

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აპლ. იმ. ჯამახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ილია აბუღაძე

ქართული და სომხური
ლიტერატურული ურთიერთობა

IX—X სს-ში

გამოკვლევა და რეკონსტრუქცია

რელაქტორი : აკად. აკ. შანიძე

ტირაჟი 150.

სელმონ. დასაბეჭდად 24. IX. 1944.

№ 9819.

ნაწილის ზომა 7,5 x 12

ლითოგრაფიული შუკვების № 1008.

შინაარსი

ბმ.

წინასიტყვაობა	v
ქართული ღ. სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში	01-0208
I. შესავალი	01-018
II. წყაროებისა და საგნის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა	018-037
III. ქართული და სომხური თარგმანების წარმოქმნის დრო	037-046
IV. თარგმანების შემოქმედი და მომხმარებელი წრეები და მათი სამკვიდრო	046-063
V. აგოგრაფიული თარგმანების შემსრულებელი წრის ორიგინალური შემოქმედება ქართულზე	063-070
VI. სომხური თარგმანების წარმოშობის დრო, ადგილი და შემოქმედი წრეები	070-072
VII. ქართული თარგმანების მნიშვნელობა მათი სომხური დედნების შესწავლის საქმისათვის	072-080
VIII. ქართული თარგმანების ლექსიკა	081-0111
ა. ირანულიდან მომდინარე სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვები (092-095).-	
ბ. ბერძნულიდან მომდინარე ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები (093-095).- გ. სემიტურიდან მომდინარე სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვები (095-097).- დ. სომხურიდან მომდინარე სიტყვები (097-0101).- ე. ქართულ-ქართველურიდან სომხურში შემოსული სიტყვები (0101-0107).- ვ. უცნობი მომდინარეობის ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები (0108-0111).	
IX. საერთო სიტყვებისა და საკუთარ სახელთა გადმოცემა თარგმანების მიხედვით	0111-0119
ა. ხმოვნები (0112-0114).- ბ. დიდოვნები (0114-0117).- გ. თანხმოვნები (0117-0119).	
X. თარგმნილი ძეგლების ცალკეული მიმოხილვა	0119-0199.
ა (I1). წამება წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი (0120-0126).- ბ (I2). სიტყუანი წამებისათვის წმიდისა იუსისა და მოყუასთა მისთა (0126-0131).- გ (I3). წამება წმიდათა მოწამეთა შესუკვეთა (0131-0136).- დ (I4). წამება წმიდათა მღვდელთ-მოდურთათა სომხთისათა არისტაკსისი, ირთანსისი, იუსისი, გრიგორისი, დანიელისი (0136-0140).- ე (I5) წამება წმიდისა ნერსის მთავარეპისკოპოსისა სომხეთისა და ხალისი ეპისკოპოსისა მოწესის მისისა (0141-0143).- ვ (I6) აღსრულება წმიდისა საშაყისი პარტევისა მისი დიდისა ნერსისი (0143-0149).- ზ (I7) წამება წმიდისა ვარდანისი ღ სხუათა ნახარათა და ძალთა სომხთისათა (0149-0153).- ლ (I8) წამება წმიდისა შუშანიკისი, ასულისა წმიდისა ვარდანისი, რომელი იყო ასულის წული წმიდისა საპაისი. ესე წმიდა შუშანიკი იწამა ქართლს ქმრისაგან თვისისა, რომელი იყო ანთიპატროსი და წინამძღვარი ქართლისა (0153-0156).- თ (I9) წამება წმიდისა ატომისი და ძისა მისისა და მოყუასთა მისთა (0156-0160).- ი (I10) წამება იზიდზოხიდისი (0160-0165).- ით (I11) წამება წმიდისა დავითისი, რომელი აღესრულა დვინს ჭემმარიტითა სარ-	

წმუნებობთა ქრისტეს მიერ (0165-0170).- იბ (II 1) ცხარება დიონისიოსისი ეპისკოპოსისა, რომელი იყო ძმ სოკრატისი და მთავარი ათენელთა, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთა (0170-0172).- ივ (II 2) წამება წმიდისა შუმანიისი, იაკობ ცურტაველისა (0172-0181).- იღ (III 1) ეპიფანე კვპრელი: თარგმანება დავითის ფსალმუნებისა (0182-0194).

Грѹзино-армянскіе литературные списки в IX-X вв. (Резюме). 0200-0208.

ტექსტები: IX-X სს-ის თარგმანები 1-175

I. სომხურიდან ნათარგმნი ავთოგრაფიული ძეგლები 3-132

1. ოსკარანოვი სარგის სარგისისი - წამება წმიდისა დედოფლისა ხანდუტისი (3-8).- 2 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (9-21).- 3 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა მარკოსისი (22-61).- 4 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა მარკოსისი (62-68).- 5 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (69-72).- 6 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (73-84).- 7 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (85-94).- 8 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (95-113).- 9 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (114-123).- 10 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (124-132).- 11 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (133-147).- 12 ოსკარანოვი სარგისისი - წამება წმიდისა ნიკისი და მარკოსისა მისთა (148-175).

II. ქართულიდან ნათარგმნი ავთოგრაფიული ძეგლები 133-147.

1. ცხარება დიონისიოსისი ეპისკოპოსისა, რომელი იყო ძმ სოკრატისი და მთავარი ათენელთა, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთა - ცხარე იქონისიისი ირანისი სიკარავისი და ცხარისი აქსენისი, ირ კოტი ქაღაღე ხმასარასიარავ (133-147).

III. სომხურიდან ნათარგმნი ეგზეგეტიკური ძეგლი 148-175

1. სერაპიონისი წყაროსი: სარგისისი მსხინოვი - ეპიფანე კვპრელი ეპისკოპოსისი:

თარგმანებაჲ ღაჲითის ფხალმუნებისაჲ (148-175).

დამატება	178-186.
1. წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა ღაჲითისი და ტირიჭანისი, საკითხავი	178-184
2. წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ რიცხვთ ცხრათაჲ, რომელნი იყვნეს სულითა ქმანი ნათლისღებითა წმიდისაგან ეშბაზისა, ხოლო შობილ იყვნეს თავის თავისა ღუღისაგან აჯსისა	184-186
შენიშვნები	188-204.
ციტატები ბიბლიიდან	204-216.
ლექსიკონი	213-270
I. ქართულ-სომხური	219-243
II. სომხურ-ქართული	243-270
საძიებელი საკუთარი სახელებისა	270-274.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას IX-X სს-ში. ამ ურთიერთობის განვითარების ისტორიაში ეს ხანა საშუალო საფეხურს წარმოადგენს. საჯნის შეწავლის დაწყება ასეთი საფეხურით ნაკარნახევია უმთავრესად სათანადო წყაროების გამოვლინების ვითარებით. საქმე ისაა, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხის კვლევისათვის ძირითადად და, რაც უმთავრესია, საიმედო წყაროს წარმოდგენს თარგმანები, რომლებითაც მეტად მდიდარია ძველი ქართული მწერლობა. მაგრამ ეს თარგმანები ჩვენამდის მოღწეულია შედარებით გვიანდელი დროის ხელნაწერებით. მაგალითად, იმ ხანის შესასწავლად, რომელიც წინ უსწრებს ჩვენგან აღებული, არ მოგვეპოვება იმავე ხანაში დაწერილი თითქმის არც ერთი სრული ხელნაწერი. გვიანდელი ხანის ნუსხებს კი, კანსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი კრებულებშია შესული, აკლიათ არა მარტო დედნის როდინდობის მარჯვებელი ცნობები, არამედ ხელნაწერთა გადამწერლების ანდერძ-მოსახსენებლებიც, რომლებსაც შეეძლო ზოგი რამ ზინც ეუწყებინა ჩვენთვის მათი წარმოშობის შესახებ.

ესაა კი, როცა სათანადო წყაროების გამოსავლინებლად მოკლებული ვართ ასეთ პირდაპირ საშუალებას, იძულებული ვხდებით სხვა გზით გამოვარჩიოთ ადრინდელი ხანის ძეგლები. გამოყოფის საფუძვლად სხვადასხვა ნიშანს იღებენ ძეგლები. ამ ნიშანთა შორის უგულვებელყოფილი არ არის ენობრივი მხარეც. ენის ანქაულობის მიხედვით ცდილობენ დაადგინონ ადრინდლობა თუ გვიანდლობა ძეგლისა. ხოლო თუ საიდან მომდინარეობს ესა თუ ის ძეგლი, ამას შესაბამის უცხო ტექსტებთან დაპირისპირებით ეძიებენ. ასე წარმოებს თარგმანების მომდინარეობის გამოწვევილვაც. მაგრამ იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი რომელს უსწრებს წინ, მეტად ძნელია. თანმიმდევრობის დადგენა ენობრივი ნიშნებით ზედმიწევნით ვერ ხერხდება, რადგან ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარების ყველა საფეხურს დაწვრილებით ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთ ჯეროვნად.

შედარებით უკატეხი პირობებია IX-X სს-თვის. IX ს-დან უკვე სათანადო აღენობით არის შემონახული ხელნაწერები. მათში წარმოდგენილი მასალის წარმომავლობის გარკვევაც ასე თუ ისე ხერხდება უცხო შესატყვის ძეგლებთან დაპირისპირებით. ნაწილი ამ მასალისა ქარაღელსა და სიახლოვეს პველ სომხურ წერილობით შემოქმედებასთანაც პოულობს. ზოგჯერ შესაძლებელია ამ მიმართების გარკვევით ახსნაც: თხზულებათა ნაწილი სომხურიდან ჩანს ქართულად ნათარგმნი, ნაწილი კი, პირუკუ, ქართულიდან სომხურად. მთავარი საკითხის გადაწყვეტაც, - თუ რა მიმდევრობაა მათ შორის აღმოცენების თვალსაზრისით, ე.ი. რომელი რომელს უსწრებს წინ-

ასე თუ ისე ხერხდება, რამდენადაც აქ მაინც ზოგიერთ ხელნაწერს ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის მაჩვენებლად ზოგჯერ მოქოვება ანდერძები და მინაწერებრი, ზოგჯერაც საიმედო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებიც, რომელთა მსხედვით ნათელი ეყინება თარგმანების წარმოშობის თარიღს და შესაძლებელი ხდება საკმაო რაოდენობით გამოცალკევდნენ ისინი და მერმე კი გაიკვეს ურთიერთობის ხასიათიც.

ასეთი უქვევლი წყაროებით მოქოვებული მასალით ვიწყებთ ქართულ-სომხური ურთიერთობის შესწავლას, რომელსაც, ცხადია, შეუძლია გავგვიადვილოს მუშაობა როგორც ადრინდელი, ისე შემდგომი საფეხურების შესაცნობად. აქ განხილული ძეგლების ერთი ნაწილის სომხურიდან მომდინარეობის ხანა, ისე როგორც ქართულიდან სომხურად მიმდინარისა, დღემდისაც ცნობილი იყო, ნაწილს კი (სომხურიდან მომდინარე აგიოგრაფიულ ძეგლებსა და ქართულიდან სომხურად გამოკრებით ნათარგმნ იაკობ ცურცაველის ნაწარმოებს) ახლად ვუჩენთ ადგილს. ერთისა ღ შეორის ბუნებასა ღ თვისებას დედნებთან მიმართებით, შედარებითი შესწავლის გზით ვარკვევთ.

ძეგლების ნუსხები (როგორც სომხურს, ისე ქართულ ნაწილში), რამდენადაც კი მათზე მიგვიწვდებოდა ხელი, ყველა გამოვიყიეთ ტექსტების ადრინდელი სახის აღსაღგენად, რამიაც ხელს გვიწყობდა აგრეთვე თარგმანები. ზოგიერთი ქართული თარგმანის დედანი მხოლოდ ესლა ქვეყნდება პირველად (ეპიფანე კვიპრელის ფსალმუნთა განმარტების რამდენიმე თავი და გრიგოლ დვთისმეტყველის ერთი სიტყვის ნაწყვეტი), ისე როგორც თვით ქართული თარგმანებიც. დანარჩენი სომხური და ქართული ტექსტები (ატიპის წამების გარდა) ყველა იყო დღემდისაც ცნობილი. ამათი უდოდესი ნაწილი კრიტიკულ გამოცემას არ წარმოადგენს; განსაკუთრებით ეს ითქმის ქართულის მიმართ, რომელიც პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ არის გამოქვეყნებული. მცირე ნაწილი კი, თუმცადა სახელმძოვჭილ ფილოლოგებს ეკუთვნის (ნ. აკინიანსა და P. Peeters-ს), მაგრამ მაინც მივიჩნიეთ საჭიროდ გამოკვემზევებინა, რადგან ზოგიერთი ძეგლისათვის ძველი და უმეტეს შემთხვევაში, უფრო საიმედო ნუსხები მოვიპოვეთ. გამოქვეყნებულ ტექსტებს სრული ლექსიკონ-სიმფონია შეკუდგინეთ ქართული და სომხური რიგით, შერჩეული ამონაწერებით ტექსტებიდან თვითთული სიტყვის ამათუ იმ მნიშვნელობისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ მან მეტად დიდი ადგილი მოითხოვა (14-ოდე ბეჭდვითი ფურცელი), ამიტომ იძულებული გავხდით შეგვემოკლებინა და მასთან ხელი ავვედო ამონაწერებზე.

ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა ადებულს პერიოდში გარკვეულ სურათს გვიშლის თვალწინ საერთოდ ქართული და სომხური კულტურული ურთიერთობისას. რომელი კულტურული წრეები და რანაირი ინტენსივით იღებდნენ მონაწილეობას ამ ურთიერთობაში, სად და როგორ ხორციელდებოდა ეს უკანასკნელი, ყველა ამ კითხვისათვის ჯეროვანი პასუხი იძებნება. მეონია,

* ქართული მასალა უმთავრესად თითო ნუსხითაა ჯერ-ჯერობით ცნობილი. გამოცემისას მისთვის თითქმის არ გვიხლია ხელი, მხოლოდ აშკარა ლასუსები შევასწორეთ და ზოგიერთი ორთოგრაფიული მხარე, რის ხელუხლებლად დატოვებაც ადვილად შეიძლება.

ეხლა უფრო ნათლად და ხელშესახებლად შეიძლება იმის გათვალისწინება, თუ როდის და როგორ დაიწყო და მიმდინარეობდა ტაოს სომხობის ყოველმხრივი გაქართველებას პროცესი, რაც ამ ორმოციოდე წლის წინათ მთავარ ხაზებში წარმოადგინა აკად. ნ. მარმა და შესაწყნარებლად კი მიიხზიეს სხვა მკვლევრებმაც, რომელთა შორის პირველთაგანი იყო აკად. ივ. ჯავახიშვილი. სომხური ავთოგრაფიული ძეგლების ქართული თარგმანი და მისი ხასიათი ეჭვს აღარ უნდა ტოვებდეს იმაში, რომ მათი სახით ჩვენ ხელთ გვაქვს ტაოს ხსენებული მოსახლეობის შემოქმედების ერთი ღარგი. მგონია, უსაფუძვლო არ უნდა იყოს ჩვენი მტკიცება იმისა, რომ ამავე წრეში ორიგინალური შემოქმედებაც წარმოებულა ქართულ ენაზე, რის დამამტკიცებელ ნიმუშებსაც აგრეთვე მოუღწევია ჩვენამდის? ვფიქრობთ, არც ის უნდა ვახდეს საცილობელი, რომ საკუთრივ ქართული წრეები სომხურიდან თარგმნას ამ პერიოდში მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ჰკიდებენ ხელს და რომ თარგმანების თვისება მიწმობს მთარგმნელთა სათანადოდ გაუწვრთნელობას და საერთოდ ქართული კულტურ. წრეების შენელებულ ინტერესს სომხური მწერლობისადმი. დასასრულ, ქართულიდან სომხურად თარგმნილი რამდენიმე ძეგლის არსებობაც, უტყუარად საბუთი იქნება იმისა, რომ ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა ამ პერიოდშიც ორმხრივი იყო, ისე როგორც ის ასეთი ჩანს წინა პერიოდშიც.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას არა ერთი და ორი საჭირობოდა საკითხი წამოიჭრა. ამ საკითხების გარშემო ყოველთვის სავულისხმო შენიშვნებსა და მითითებებს ვაძლავდი აკად. აკ. შანიძისაგან, რომელიც მუდამ შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა ამ შრომისადმი. უღრმეს მადლობას მოვახსენებ აკად. აკ. შანიძეს გაწეული მზრუნველობისა და ხელმძღვანელობისათვის. დიდი მადლობა უნდა მოვახსენო აგრეთვე აკად. ს. ჯანაშიას, რომელმაც ყოველმხრივი პირობები შეგვიქმნა როგორც შრომის დამუშავებისათვის, ისე მის გამოსაქვეყნებლადაც.

15. IX. 1944.
თბილისი.

ილ. აბულაძე

¹ ნ. რევენზია აკად. ნ. მარმის ნაშრომზე: Архан, поименованное название христиан и селу с вопросом об армянско-кавказском, «Вуз-Временник»-ში 1906 წ. ტ. XII, გვ. 437-438.

² ამათ - დამატების სახით ვურთავთ ტექსტებს, ნ. გვ. გვ. 178-186.

ქართული და სომხური
ლიტერატურული ურთიერთობა IX-X ს.ს-ში

I შესავალი

ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ურთიერთობის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ იმ დროიდან, რომლიდანაც ქართული და სომხური მწერლობის ძეგლებს მოუღწევია ჩვენამდის. დღეს-დღევანდით ამ ძეგლების აღმოცენება არ მიღის იმ ხანის იქით, რომელშიაც, საისტორიო წყაროების ცნობებით (განსაკუთრებით სომხურისა), წარმოშობლია ქართული და სომხური ურთიერთობის დასაწყისი და მწერლობა. ეს კი, როგორც ცნობილია, V ს-ის დამდეგია ჩვენი წელთაღრიცხვით. ვინაიდან უამთა სიზვეს აღრიხდელი ხანის შემოქმედების ძეგლებმა ნაკლებად გაუძლო (ან იმიტომ, რომ მათი შემოქმედელი ნუსხები დაიღუპა ხანდაზმულობის გამო, ანდა პერმანდელი ხანის ლიტერატურული წრებისათვის ისინი მიუღებელი აღმოჩნდნენ), ამდენად ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთობის მთლიანი სურათის აღდგენა ძველსაუკუნეებისათვის მეტად ძნელია და შიღვებული სურათიც მკრთალი, ხოლო რამდენხად უფრო ახლია ჩვენს დროსთან შესახვეპლი ეპოქა, იმდენად მისი სახეც უფრო სრულია და ზედმიწევნითი.

ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთობა ძველად (V-XIII ს.ს-ის მანძილზე) განუთარების სამ საფეხურს გვიჩვენებს. პირველი იწყება X ს-დან და VIII ს-ის ბოლომდის აღწევს; მეორე IX-X ს.ს-ს მოიცავს, ხოლო მესამე - XI-XIII ს.ს. ეს დაახლოებითი დაყოფა და მას საფუძვლად უდევს როგორც ურთიერთობის მაშეღავნებელი სამწერლო ძეგლების ხასიათი, ისე ისტორიული ვარემო და გეოგრაფიული არე, რომელშიაც ლიტერატურული ურთიერთობა მიმდინარეობდა. ამრიგად, მის ხანა, რომელიც ჩვენ გვინტერესებს, მეორე საფეხურს განეკუთვნება.

VIII ს-მდის ქართული მწერლობა, რომელიც ეკლესიის წიაღში ჩაისახა და მომდევნო ხანებშიაც მის ჭერქვეშ ვითარდებოდა, სომხურ მწერლობას, აგრეთვე ეკლესიის პირმშისა და მის მსახურს, ისე როგორც ახლო თუ შორეულ მეზობელ სხვა ქრისტიან ხალხთა მწერლობასაც, პეროვან ყურადღებას აქცევდა. სომხური მწერლობისადმი განსაკუთრებით ცხოველი ინტერესი ქართლის ეკლესიას, რომელიც მჭიდროდ დაფებით იყო დაკავშირებული სომხურ ეკლესიასთან, პირველ ხანებში უნდა ჰქონოდა. VI ს-ის მეორე მეთხედიდან კი ქართლი, რომელშიაც თავისი დამოუკიდებლობა სპარსელების მიმძლავრებით დაკარგა, თანდათანობით ბიზანტიის გავლენის სფეროში ექცევა და ამასთან დაკავშირებით აღრე ფეხმოდცემულ აღმოსავლურ ორიენტაციას დასავლურით ცვლის. ცხადია, ეს საერთო გეგმიური კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისა მწერლობის დარგშიაც იჩენდა

თავს და, თუ თანადროულად არა, არც დიდი ხნის დაგვიანებით, მწერლობის გულისყურს უფრო მეტი ინტენსივობით მიმართავდა დასავლეთისაკენ. ასეთი ვითარება შესაძლოა VIII ს-ის განუღამდის ვიკარაუდოთ. მართალია, ბიზანტიის წინსვლას აღმოსავლეთისაკენ ისტორიის ასპარეზზე არაბების გამოსვლა გადაელბა, მაგრამ არაბეთისა და ბიზანტიის ბრძოლა პირველ ხანებში, მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, ძირითადად საქართველოს საზღვრებს იქით წარმოებდა. ქართლსა და საზოგადოდ ამიერკავკასიის ქვეყნებში არაბთა შემოსევებს თავიდან თარეშის ხასიათი ჰქონდა, ხოლო ნამდვილი დაპყრობა მხოლოდ VIII ს-ის პირველ ნახევარში მოხდა¹. თუმცა არაბობასთან პრძოლის პერიოდში ბიზანტიას შეცნირების, ხელფხებისა თუ მწერლობის დარგში, რომელთათვის მას იმდენად აღარ ეცალა, დიდი რამ ისეთი არაფერი შეუქმნია, რომ იგი მიმზიდველი აღმოჩენილიყო სხვებისათვის², მაგრამ წინანდელი შემოქმედება ქართლისათვის ჯერ კიდევ ცხოველი და ულეველი წყარო იყო. არაბობასაც ხსენებული ხანის განმავლობაში ქართლსა და სომხეთში კულტურის ასპარეზზედაც მიმპლავრება დიდად არ გამოუჩენია, რის გამოც ქართული მწერლობის განვითარება დიდად არ შეცვლილა, ის კვლავ წინათ აღებული გეზით განაგრძობდა წინსვლას.

აღნიშნული ხანის მწერლობა წმინდა საეკლესიოა. ურთიერთობის მამულავენებელი ქართულ-სომხური ძეგლები, რომლებიც ურთიმეორის დამოკიდებულენას უმეტესად მხოლოდ ტექსტიბრივ ამჟღავნებენ, უმთავრესად ბიბლიოლოგიის ანდა ავთოგრაფიის სფეროს ეკუთვნის. ქართლისათვის ეს არაა გასაკვირველი, ვინაიდან ქართლი და ისიც მისი ის კუთხე, რომელიც ქვემო ქართლად იწოდებოდა და ქრისტიანული ლიტერატურის შემოქმედების აკვანს წარმოადგენდა, ახლო ურთიერთობაში იყო მოსაზღვრე სომხეთის ძირითად კულტურულ ცენტრებთან. ეს მხარე სომხურ სამყაროს არა მარტო უმუალო მეზობლობით უკავშირდებოდა, არამედ მის ელემენტს, რომელიც ღვთა-სამშობლოს ცენტრებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ის თავის მიწა-წყალზევე ხვდებოდა.

მწერლობის მარტო ზემოხსენებული დარგების ძეგლებით იყვენ დაინტერესებული მაშინდელი ქართული წრეები, თუ სხვაც იზიდავდა მათ, ამის გადაჭრით თქმა ჯერხხიბით ძნელია. სისრულით არც აღნიშნული დარგების გამოყენების სფერო ვიცით. ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, ვინაიდან ანდერძ-სახსენებელი, ან უეჭველი რამ ლიტერატურული ცნობა ამათუ იმ ძეგლის შესახებ, არ მოგვეპოვება. მათი მიგნება მხოლოდ დამოკიდებულების მამულავენებელი ამათუ იმ ნიშნით ხერხდება, უფრო კი გამოწვლილვითი ტექსტიბრივი შეჭერებებითა და შესწავლით. ასეთნაირი ძეგლები კი ორივე მხრით მოიპოვება. შესწავლის დღევანდელ ეტაპზე მეტ შემთხვევაში ქართული ჩანს დამოკიდებული სომხურზე, მაგრამ, რომ სომხურიც ყოფილა ქართულზე დამოკიდებელი, ამას ავთოგრაფიული დარგის ზოგი-

¹ ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, თბილისი 1936 წ., გვ. 17-28, § 4.

² შიოპ. ჯ. ჟღერ, სკვანსაროქსიზე ჩილასიგხას ჩანსაკაქსქილ იროქსანს (= Die Genesis der byzantinischen Themenverfassung), ქარგ. ჟარ. ჟარასჭიქსან, ჭიქსსა, 1903, გვ. 6.

ქართო ქველები მოწმობს. იაკობ ცურტაველის «შუმანიის მარტვილობის» ქართული-დან შესრულებული ქველი სომხური თარგმანის არსებობა, ცკონია, სპეტვი, აღარ უნდა იყოს¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული ხანის ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ მხოლოდ ზოგადად შეიძლება საუბარი. ეს ჯერ კიდევ გულდასმითს მუშაობას მიითხოვს. ერთი კიდევაც ნათელია, სახელდობრ ის, რომ ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთკავშირიცამ უძველეს ხანაშიც ფაქტია; ეს კავშირი ორმხრივია ლარ მარტვილიც ცალმხრივი, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ.

VIII - X ს.ს-ის განმავლობაში საქართველოში დიდ ძვრებსა და გარდატეხებს ჰქონდა აღვლილი. VIII ს-ში არაბების მიერ საქართველოს დაპყრობისა და დამონების პირობები მიმდინარეობდა. არაბებმა ამ მხრივ თავისი ბატონობის დამყარება უფრო მტკიცედ აღმოსავლეთ საქართველოში შეძლეს. დასავლეთ საქართველოსა (იფხაზეთში) და სამხრეთ-დასავლეთის განაპირა კუთხეებში (ტაო-კლარჯეთში) მათ, ზოგიერთი წყაროს ცხობით, თითქმის უნდა ელაშქრათ, მაგრამ, როგორც ირგუვავა, იქ ხანგრძლივად ფეხი ვერ მოუდგამთ.

მწვავე და აუტანელი იყო საქართველოს დაპყრობილი ნაწილების მდგომარეობა როგორც ეკონომიური, ისე კულტურული თვალსაზრისით. განსაკუთრებით VIII ს-ის მეორე ნახევრიდან, აბასიდების დინასტიის დაარსების მომენტიდან. არაბების მახვილი ყველას მიმართ იყო მიპყრობილი. მის სიმწარეს განიცდიდა ქვეყნის ერისთავებიცა და «ეროც», განსაკუთრებით კი დაბალი ფენები.

სომხეთის სანახარაროებსა და ნახარარებზე იყრომები VIII ს-ის გასულსა და VIII ს-ის დამდეგს დაიწყო. თუ პირველ ხანებში მათს სამხედრო ძალას („ნახაბა“ და „რამიოთავან“ შემდგარს), მხედრობას, უღუფასაც კი უწესებდნენ, ახლა მათი აღფხვრა იქმნა მიზნად დასახული, რადგან ნახარარობა თავისი ლაშქრით მთავარ მებრძოლ ბანაკში ჩანდა ხოლმე. ნახარარების გაუღების ცდა ნახიტეევანს, 707 წ.² იგება ამირას მიერ, და სუმბატ ბიჭრიტანის (მავრატუნისისა, კურაპალატი იყო 685 წლიდან) ლტოლვა ფოთს, ამას გვიმოწმებს.

ქართლის იმპროინდულ მდგომარეობას ყველაზე უფრო მჭიდვრმუტველურად აღწერს VIII ს-ის გასულის ქარაველი ავთოგრაფი ითანე ხაბაზას-ჰე თავის საწარმოებში: «მარტვილობაჲ მათო ტფილელისაჲ». საბანის-ძის ცნობებიდან ირგუვავა, რომ VIII ს-ის უკანასკნელ შეთხედში ქართლის მოსახლეობას არაბები უკვე ავიწრო-

¹ იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუმანიისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაერთო ილია აბოლაძემ, ტფილისი, 1938 წ.

² ს. ბ. ბაზანოვი. Ավագագրություն. հայ ուղագրության სկզբնային աստիճանը. Երևան, 1912, I, გვ. 803-4, § 547.

ებენ ხარკსუბების მხრით. რელიგიური მიმდევრება მანისძელს პირიქითში საზოგადოების კულტურული ნაწილის დევნას ნიშნავდა, კერძოდ იმ კულტურულ კერათა მიმართ, რომლებიც ბაშინ უმთავრესად სავსილესიო-სამონასტრო საჯანყების ჭერქვეშ ღვთადა. მართალია, ამკარა სახის დევნა ამ მიმართულებით მათ არ უწარმოებდა მკვრამ ბრძოლის შეთოდით, რომლითაც ისინი ხალხის ვადანებებს ცდილობდნენ, მაინც ამ გეზით მიიზარებოდა ყოველმხრივ: მათ „ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულანძეს“ რომელსიმე მკლავრებით. რომელსიმე მუტყუვილით, რომელსიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელსიმე მსაკუვარებით¹. ქართველი ხალხის დამონებას, მათი საკუთარი სახისა და მკობის აღფხვრასა და არაბობაში გათქვეფას პოლიტიკურ ჩაგვრასთან ერთად ხელს უწყობდა ეკონომიურიც, სახელდობრ მოსახლეობისათვის მძიმე ხარკის დადება: „და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მკლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულუ-ვანებითა და სივლახებითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა მათსა უმეცრე მუემულნი და ქენჭნილნი ძვრ ძვრად ზღვეულნი, შიშთა ცახილევითა და ირყევითა, ვითარცა ლერწამნი ქართავან ქლიფთა.“² ეს ხარკი „ხარკა“ (სადგოლმამულთ ვადასხადი) იყო წინაწდელს (ომთადების ხანის) „სიხითთან“ (პირად ვადასხადთან) ერთად³. „მათი მკალობით ქართველთა ეკონომიური დაკნინება (განსაკუთრებით დაბალი ფუნებისა) და ბოლოს მაინც მტრის მარაზე ვადახლა აუცილებელი ხდებოდა. განსახალი ერთილა იყო: გაცლა მკვლარი მოსახლეობისა იმ ადგილებიდან, სადაც არაბობას ფეხი მტკიცედ ჰქონდა მადგომელი და ვადახვეწა იმ ადგილებში, სადაც არაბებს ხელი ნაკლებ მიუწვდებოდათ.

ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტა ცვლილებას იწვევდა ქვეყნის ცხოვრების უფელ სფეროში ქვეყნის ერისთავებს, თუ ისინი არაბული პოლიტიკის გამტარებელი არ იყვნენ, ანდა, თუ ვერ ეგუებოდნენ შექმნილ ვითარებას, შინაური მართვა გამგლობის უფლებებს უვიწროებდნენ და ისინი დევნასაც კი განიცდიდნენ. ერისთავებს, რომელთა „იქმნა სიმრავლე ქუეყანასა ქართლისასა“⁴, ათეოსთ სამკვდროში ხშირად აღარ ედგომებოდათ. ისინი, როგორც მაგ. ნერსე ერისთავი, იოანე საბანისძის ცნობით, მთელი სახლობით იყრებოდნენ და შედარებით უმიმარ ადგილს აფარებდნენ თავს. ნერსეს გარდახვეწა ხანგრძლივი არ გამოდგარა, მას ბედმა გაუღიმა და აფხაზეთიდან ისევ დაბრუნდა სამკვდროში, მაგრამ, უხდა ვიფიქრით, რომ ზოგიერთი სხვა, მისებრ ლტოლვილი, ამას ვერ ახერხებ-

¹ იოანე საბანისძე, მართკილობა ამო ტყვილეოსა (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა», საკვ. 1.) კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევიონ, თბილისი, 1935, გვ. 58, 14-17.
² იქვე, 58, 17-21.
³ ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 41-42.
⁴ «ქართლის ცხოვრება», ანა დედოფლისეული ნუსხა... სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 161.

დ. და რაბინოვიჩის ცხობიანობა, ახლა არაბქისათვის ნაკლებად უახლოვან ვლენა.

ასეთი ხვედარი სკალა შეხაზული სომხეთის ყველაზე-ძლიერ ერისთავებს, ხაზარებებს, არაქემისა და არქნის [775 წ.] ბრძოლის შემდეგ აჭაყყებულნი სომხეთი უახარარდობის სახელილობა, უმთავრესად ბავრატუნთანებისა და ზღვიკონთანებლებსა. იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა და დაეგდრა თავისი მამულე-ბი ბავრატუნსა და სამხრეთ-დასავლეთ სომხეთში და ცადასეუქნილოყო ამ მიზანტობას, ახლა სომხეთის მთიან მაგარსა და მოუხელს დაცავლეთის რაიონებში, რომლებიც ახლო მდებარეობს ცხენ, ახლა ესაზღვრებოდნენ მიზანტობის საყვესტარს¹.

არაბობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრესად ქართლს იყო ჩამდვარი. აქვე, მის შუაგულში, მათგან დაარსებული ტფილისის საამირო იყო ტფილისი და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი, ე.წ. ქვემო ქართლი, ეს ქველიდანვე მოკმისავე კოლონური კუთხე, ეხლა არაბთა ბატონობის დროს ვაჩანოვების გზაზე იყო შემდვარი. მამის მისი მისასლეთობის ის ნაწილი, რომელიც მტრის მანქანების აჩკესზე ჯერ კიდევ არ იყო წამოგებული, იყრებოდა და საკუთარი მიწა-წყლიდან და შედარებით მკუდრო ნავთსაყუდელს ეძინებდა. ასეთი კი იყო მაშინ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ვანაპირა კუთხეები, უმთავრესად ხრდილოეთის მიმართულებით, ისე, შეიძლება ითქვას, უპირატესად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი კუთხეები, რომლებიც ბიზანტიის სამხედრო თემებს ესაზღვრებოდნენ. ეს ახალი საშკვიდრო ცაო-კლარჯეთი იყო.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის პროვინციები, ცაო და კლარჯეთი ზერანული სასტორიო წყაროების ცნობათა მიხედვით ქართველ ტომთა საშკვიდრო ყოფილა. ტაოს ხსენებას ბერძენი ავტორებიდან უწინარეს ყოვლისა ქსენოფონტესთან («ახაბაზიის», IV, 7 და V, 5-17) და მერმე სტრამბონთან («გეოგრაფია», თ. 528) ვპოულობთ. ქსენოფონტეს თქმით, ტაოელები (Ταοχοι) თავისუფალი ხალხი ყოფილა; ისინი სპარსთა მეფეების ქვეშევრდომნი არ გამსდარან. მაგრამ შემდეგ, აღნიშნავს ამ ცნობების ერთ-ერთი შემუშავებელი, პროფ. პ. პ. ნებეშანოვი², დამორჩილებიან ქართველებს, რომელთაგან ისინი მერმე სომხებს ჩამოუყლილებიათ. სტრამბონის ცნობა, რომ იმტაშესმა და ზარიადრემ ქართველებს პარიადრესის (Παριαδρეს) მხარე მისტაცესო, ხსენებული მკვლევრის თქმით (რასაც ავრეთვე პროფ. ნ. აღონციც იმა არებს³), ტაოს უნდა გულისხმობდეს, რადგან პარიადრესი სომხური ოსარსაი-პარ-

¹ სსკაო. ბ. მანსანოვიან. ძიუილირასის საყრდინო-ქუთხებზე ჩაქაქაქისიომ არარასის უქრასაქო-ქუთხის უქმ. სერსან, 1939, გვ. 20 (როსული თარგმანით ა. პაპოვიანისა გვ. 18).
² ბ. პი. გუბან. ზის ჩაოთი ირბოთი ამბობსებრ (II Hübischmann. Die altarmenischen Ortsnamen... St. Petersburg, 1907). სპირგმ. მ. შიქცეცხენას. ქსენსან, 1907, გვ. 116.
³ Н. Адонц, Армянныя башагы Юстиниана, политическое устройство на основе исторических страс и текстов и ризисахотии по урла-зрфе-филологии, кн. 11, გვ. 395.

ხარია და ცაოც პარხლის შთებთან მდებარეობს სომხური წყაროების მიხედვით! მაგრამ, როგორც აკად. ს. ჯანაშიას ძიებით ირკვევა, ეს ასე არაა. პარხადრესი პარხლის სახელწოდება არ ყოფილა, არამედ ის ამ შთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე აღმოსავლეთ პონტოს მთაგრესილის ყველაზე დასავლეთით მდებარე ნაწილს ჰქმევია? ამდენადვე, მაშასადამე, არტაშესისა და ზარხადრეს მიტაცების ამბავი პარხლის შთების აღმოსავლეთ კალთებთან მდებარე ცაოს არც ეხება. ცაო იბერიის შემადგენლობაში კიდევ დიდხანს დარჩენილა, აქი სტრამბონის მოღვაწეობის დროსაც კი, როცა უკვე საქართვის ზეზობელი მხარე, სომხეთის აგრესიის მსხვერპლია, რასაც შემდეგში ცაოც ვერ გადურჩა. სომხეთის დაცემისა და დაყოფის დროს (387 წ.) ცაო სპარსეთის წილში აღმოჩნდა ტოთქმის VI ს-ის გასულამდის სომხეთის სხვა ქვეყნებთან ერთად ერთ ხვედრს იზიარებს, - სპარსეთის მორჩილებაში იმყოფება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ცაო ამ ხანაში სამარხპანო სომხეთის მხარეზე დგას. 591 წლიდან ის ბიზანტიის წილში ექცევა⁴ და მისი გავლენის სფეროში რჩება ის თითქმის იმ დრომდის, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

სომხეთის ხანგრძლივ ბატონობას ამ კუთხის მოსახლეობაზე უბრალოდ არ ჩაუვლია. ცაო სომხეთის პროვინცია შეიქმნა და მისი გამგებლობა IV-V სს-ში ისეთი დიდი ფეოდალური საგვარეულოს ხელთ იყო, როგორც მამიკონიანული ბი იყვნენ. არშაკუნიანთა სომხეთში ამ საგვარეულოს შემკვიდრებით ღაყრა სპასპეტობა, ხოლო სამარხპანო სომხეთის არსებობის უამს ერთხანს (484-508 წწ) - მარხპანობაც⁵ მამიკონიანელები ჩამომავლობით, როგორც ვარაუდობენ, გასომხებული ჭანები უნდა ყოფილიყვნენ⁶. თუ აღნიშნული შეხედულება სწორია,

¹ ზ. ზ. - რქმას. ზქს ჰიყოფ ყბელოყ ანონსხერე, გვ. 116.

² აკად. ს. ჯანაშია, პარხადრე, სკილისი, მოსხური შთები „საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამხე“, ტ. III, №6, 1972 წ., გვ. 607.

³ აკად. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფის პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, „საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამხე“, ტ. III, №7, 1972 წ., გვ. 729.

⁴ ასეთივე აზრისაა ცაოს ვითარებაზე V-VI სს-ში პროფ. ნ. ბაღდატიყ: «Восточный берег Зорога, где находилась Таи́к и Кларгукетия, принадлежала Персам, при этом иеленя егдазатс ყтбергукетияно, озранизуваотсა му Таи́к восточным берегом, аму заабаотисаио заотс ерпугоо дерега, ყოқ можено зааюзиатс по неаоторым признакам. В последние елу тасе храиимп пределом персидсқам влоаеиим сааговаотс оаааотс поегереа Порта» (Н. Адонс, Армения в эпоху Юстиниана... გვ. 26-27; შტრ. აგრეთვე გვ. 222-3). მაგრამ არსებობს საწინააღმდეგე შეხედულებაც. ე. კოსტანიანცის აზრით ცაო თითქმის V ს-ში საქვისრთს ფარგლებში იყო (ნ. მისი ზქსოლახე ჰაყოფ მარეყაანსხერქ აყაყო მოსხესანს აოლახქს მააჲ რამარ... ფირე სერიორ, ვენა, 1877 წ., გვ. 20). რას ეყრდნობა ასეთი მოსაზრება, ნათქვამი არაა. სათანადო წყაროების ანალიზი ასეთ დასკვნას მხარს არ უჭერს.

⁵ ს. ასქსესანს, ნეხიქ ქარეყაყბე ლქორ აყაყო მოსხესანს ჰაყოფ აყაყრეყაყბეს, ღზისასანს მოსოქსააჲოქსქს. «ზანოქს ამასოქსაყ» 1932, გვ. 395-6.

⁶ Н. Адонс, Армения в эпоху Юстиниана... გვ. 403-4.

ქაშის ეს ფაქტი იმის მარჯვენა მხარეა, რომ სომხეთის ფარგლებში ტაოს ხანგრძლივი მოქცევით ასეთი გადაკვარება ამ კუთხის მოსახლეობის სხვა ნაწილსაც შეეხებოდა. ტაოს ჰკვიდრთა დაქვემდებარება რიყხმრავალი სომხური ელემენტის მიერ, როგორც ეცხობა, ფართო აუწყებს შესახებ და სომხეთის მხრით ამ ქვეყნის მიმხრობა-მიმტაცება იმდენად ინტენსიური ყოფილა, რომ ქაშის, როცა იბერიისაგან მიტაცებულს სხვა კუთხეებს არშაკუნთანა სომხეთის დაუძღურების ეპის (IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში) მარტვე მომენტო შეერჩევიო განდგომისა და თავის დახრწევისათვის, ტაოს ამაზე არც უფიქრია. პირიქით, მისი მფლობელი ძლიერი საგვარეულო სახლი მამიკონიანელებისა სომხეთის ვანსაჰისუფლებელ მოძრაობას უდგას სათავეში, რაც იქითკენ იყო მიმართული, რომ რეკორზე ესნა თავი ჯერ სპარსეთისა და მერმე არაბების უღლისაგან. ასეთი ცდა ხშირად მარცხით მთავრდებოდა და ტაოს ასეთ შემთხვევებში თავისი ბუნებრივი სიმაგრეებისა და უხვი მთებისა და ხეების ქსელით საიმედო თავშესაფარს უქმნიდა შიდა სომხეთიდან ლტოლვილ სომეხ ხიზნებს, რომელთა ნაწილი ალბათ შემდეგში უკან აღარც ბრუნდებოდა.

591 წლიდან, როცა არა მარტო ტაო, სამარზხანო სომხეთის ეს განაპირა პროვინცია, არამედ სომხეთის თვით ცენტრალური ქვეყნებიც კი ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცნენ, ტაოს გავლენიანი ფეოდალურა სახლი მამიკონიანელები-სა ბიზანტიასთან თანამშრომლობის გზას დაადგა, რაზედაც მას არც შემდეგში აუღია ხელი. არაბეთის დაპყრობითი ომების წარმოების დროსაცა და შემდეგშიაც. სომხეთის დაპატრონების ხანს, რაც ფაქტურად VII ს-ის ვახუშტის განხორციელდა, ტაო და მისი მომიჯნავე სომხეთის სხვა ქვეყნები ბიზანტიის მხარეზე იდგნენ. ბიზანტიის ხელის შეწყობითა და მისი დახმარების იმედით არა ერთგვის წამოწყებულა ტაოს შესვერებით მოძრაობა არაბთა აუტანელი რეჟიმისა და პოლიტიკის წინააღმდეგ. სხვა კუთხეებთან მიმართებით ტაო შედარებით გადაურჩა არაბების როგორც ხშირ თარეშს, ისე ეკონომიურსა და პოლიტიკურ ხაგვრას.

როგორც იყო ტაოს მოსახლეობის შედგენილობა და მისი შინაური ყოფა-ცხოვრება, ან სოციალურ ძალთა შეყვარება არაბების ვასალურებადლის სომხეთში, პირდაპირი ცნობების უკონკრეტობის გამო ასეთი წარმოკლებით. ვიცით ის, რომ ამ ქვეყანაში სომხურ ელემენტს უცხო ტომი დახვდა, რომელიც ენობრივი ხასიათის მიუხედავად თანახმად თითქოს მეგრულ-ქანურა ტომების მონათესავე ყოფილა. ის ფაქტი, რომ არშაკუნთანა და სამარზხანო სომხეთის დროს ტაო სომხეთის კანთხურელ კუთხეს წარმოადგენს, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელ ქართველურ ტომსაც არ უხდა ეკუთვნოდნენ ისინი, თავიანთი სახე აღარ უჩინათ, მათი ხმა არსად ისმის და მათზე არც საისტორიო წყაროები დაპირაკობენ. ეცხობა ისინი დაჩრდილოდან და ნაწილობრივ ალბათ მათელ ელემენტსაც გათქვეფილან. საფიქრებელია ერთიკა და მეორეც; უკანასკნელი უფრო სამხრეთ ნაწილში, ხოლო ჩრდილოეთით მოსახლე ნაწილს ქართველ ტომებთან სიახლოვისა და ურთიერთობის გამო შეეძლო რამდენადმე შინაც შეენათხრებინა თავისი სახე, კერძოდ ამისათვის აუცილებელი ნიშანი - დედა ენა. სომხური მოსახლეობის ზრდასა და წინ წამოწევას ამ ქვეყანაში,

¹ Корпусъ Мертвыхъ, С. Савице в. Прусска Академія наукъ, 1795. Т. 1. С. 104. ² ქართული მოსახლეობა რომ ამ მოლონად კასიმბეზულიყო და კულტურულად გაუცხოებულიყო,

ცხადია, ხელს უწყობდა სომხეთის მკვიდრთა მისკენ ლტოლვა, როგორც ნაკლებად უვნებელი მიწა-წყლისაკენ, რაც ხშირი მოვლენა ჩანს როგორც სამარხპანო, ისე საამირო-სომხეთის დროს.

სომხეთის მოქცევით ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში იწყება მასზე კულტურული ზემოქმედებაც მისი სრული მიმტკიცების მიზნით, რასაც უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიისათვის ჯერ სპარსეთისა და მერმე არაბების აგრესიისაგან თავისი სამფლობელოების გადასარჩენად. ეკლესია, რომელიც ძველად იღვთოვანი მესვეურის როლში გამოდიოდა, ბუნებრივად იცვლის გეზს შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებებთან დაკავშირებით. რაც უფრო სომხეთის შუაგულისაკენ მიიწევდა კეისრის ძალა და ფართოვდებოდა მისი გავლენის სფერო, იმდენად, ნებისთ თუ უნებლიეთ, მისკენ იხრებოდა სომხეთის ეკლესია, განსაკუთრებით ის ეპარქიები, რომლებიც უშუალოდ ეკრა ბიზანტიის სამფლობელოებს. „VI ს-ის დასასრულიდან ეკლესიის წიაღში იწყება დოგმატიკური მღელვარებისა და აზრთა სხვადასხვაობის პერიოდი... საეკლესიო უთანხმოება თითქმის VIII ს-ის დამდეგამდის ვაგრძელდა.“¹ ძველად, VII ს-მდის, სომხეთის ეკლესიაში ორი მიმდინარეობა იბრძოდა... VIII ს-ის ნახევარში ქალკედონიტობამ გაიმარჯვა სომხეთში და გაბატონებულ აღსარებად იქცა. მხოლოდ VIII ს-ის დამდეგს მოახერხეს სომხებმა მოეცილებიათ ქალკედონიტობა და ნაციონალური საეკლესიო პოლიტიკა გამოემუშავებიათ“². 726 წ. დაგვირგვინდა ეს საქმე მანაზკერტის კრებაზე. ხოლო ეს ის თარიღია, როდესაც ბიზანტიის გავლენა სომხეთის ქვეყნის შიგნით დიდად იყო შეწყვეტილი მხოლოდ მის დასავლეთ პერიფერიებშიღა ინარჩუნებდა ის შას რამდენადმე. შიდა სომხეთში დამარცხებული ბერძნული აღსარების მიმდევარი სომხობის ერთი ნაწილი იძულებული შეიქმნა ხელი აეღო მასზე, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ქელს არ იხრიდა გამარჯვებულთა წინაშე, გაეცალა სამკვიდრის და ახალი სამყოფელის ძებნა დაიწყო ბიზანტიის პროვინციებში და ტაოში, სადაც დოგმატიკურად V ს-ის გასულიდან, ყოველ შემთხვევაში, დიდად ჰქონდა ფესვები გადგმული. ამრიგად, ტაოს სომხური მოსახლეობა არა მარტო ვარეშე მტრების მოძალების მიზნით იზრდებოდა შიდა სომხეთიდან გადმობეჭქილვებით, არამედ მას VII-VIII ს.ს-ის მანძილზე ზრდიდა თვით შინაგანი ძალების მოძრაობაც; რაც უმთავრესად სარწმუნოებრივ ნიადაგზე იყო წარმოშობილი, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც პოლიტიკური თარიენტაციის ძიების შედეგი იყო.

VII-VIII ს.ს-ში ტაოსა და კლარჯეთს სხვა მხარეებიდანაც მოაწყდა ახალი მონასხლიობის ტალღა. ეს უკვე ქართლიდან მოეღინებოდა სამცხის გზით. ქვემო და ში-

მაინც კარგად იყნებოდა ასეთი მოსახლეობის ისეთი სწრაფი გაქართველვბა, როგორსაც აქ ჩვენ ვხვდებით IX-X ს-ში (რახელაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, რაზომაც ყიარ უნდა გამძღავრებულიყო აქ არაბობის მძღავრების უღელს გამოქცეული ქართული ეღემენტო.

¹ Н. Адонис. Армения в эпоху Юстиниана..., გვ. 333.
² ი ქ ვ ე , ტვ. 403-404.

დ. ქართლის აღმასავლეთ ნაწილებში არაბების განმტკიცების შემდეგ წარმოებულმა პოლიტიკამ, რ. იელსაც ამ არაბები ატარებდნენ; ამ კუთხეებიდან დაძვალ მეტად საგრძნობი ნაწილი მოსახლეობისა და მათ რიცხვში კულტურული ძალებიც. ესენი შედარებით უვნებელ სამყოფელს ეძიებდნენ მშვიდობიანი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის. ასეთი კი მაშინ უმეტესად დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იყო, კერძოდ კლარჯეთი და მისი მოსაზღვრე ტერიტორიები. ქართლიდან გაღასვლა ახალი მოსახლეობისა ამ მხარეებში VIII ს-დან არის საკუთვებელი, რადგინ ამ დროიდან უკანდა ვანსაკუთრებით აუტანელი დაპყრობილი ქვეყნებისათვის არაბების რეჟიმი. კერძოდ აზნისილების დინასტიის შექმნის დღიდან დაიწყო ქართლის დაპყრობილი ნაწილებში სასტიკი ეკონომიური ჩაგვრა და ამასთან რელიგიური დევნა. ქართული ელემენტის გაძლიერება ამ დროს ტაოსა და კლარჯეთში, ცხადია, ყოველ ეჭვს ცარტყე, ერთგვარად ხაიძელთა საყრდენს უქმნიდა ამ მხარეებში ცალკე ქართული სამთავროს აღმოცენებას, რასაც, მართლაც ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კიდევაც ჩაეყარა საფუძველი. იგი «შავშეთ-კლარჯეთის სამთავროს» სახელათაა ცნობილი, ზოგჯერ კი მას «ტაო-კლარჯეთის სამთავროს» იწოდებოდა. ამ სამთავროს დაარსება ნაგრაფიოსთა სახლის წარმომადგენლის ანთო დიდიის ვერაქალატის სახელთანაა დაკავშირებული (786-826)².

ტაო რომ VIII ს-ის მეორე ნახევარში სომხურ საგამგებლოს აღარ უნდა წარმოადგენდეს, ამას ამ ხანის სომეხთა ისტორიკოსის ლევონდის ცნობებიც უნდა ადასტურებდნენ. 747 წლის აჯანყების მინაწილე ნახარარისა, რომელსაც გრიგოლ მაგიასი ანა შესვერთწდა, განდგომის უკან ტაოს ცისე-სიმაგრეებს აფარებს თავს მთელი თავიანთი სახლეულებითა და ავლა-დიდებით, იმ იმედით უფრო, რომ კეისრის ლაშქარი იტყა ჰონტოს მხარეში, მოგვითხრობს ლევონდი³. ტაო ამის მოსუდით სომეხთათვის ისეთი დასახიზნავი ადგილი ჩანს, სადაც შესასვლელად ვინმესგან ნებართვის გამოთხოვა საჭირო არ ყოფილა. ბიზანტიელეში იქ, ყოველ შემთხვევაში, არ მდგარან; მათი ბანაკი ჰონტოს ყოფილა. რადგან ასე ადვილად ყოფილა შესაძლებელი ტაოში გაღასვლა და იქ დადგომა, ეს ფაქტი მას ისევ სომხურ საგამგებლო კუთხედ გვაგულისხმებინებს, მაგრამ ასეთად ის ამ საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში აღირ უნდა ჩანდეს. ესლა 788 წლის ახლოს⁴, არაბებისაგან დამძიმებულ უღელს გაშოქცეული სომხობა, რიცხვით 12000 სული, შაჰრ ამადრენისა და მისი შვილის ჰამამის მეთაურობით რომ ტაოს მოაწყდა კოლას გზით, სადაც მათ, ლევონდისავე ცნობით, არაბები დასწევინან, რომლებთანაც ლტოლვილ სომხობას შეტაკება მოსულია და უძლევიათ მღევარნი, ისინი ტაოს კი არ შემდგარან, არამედ ვადაურაახავთ მდ. აკამფისისი, ე. ი. ჭოროხის, და ბიზანტიის სამფლობელოებისაკენ მიუშართავთ. ამ ისინი კონტანტინე კეისარს კეთილსა და ნოყიერ ადგილებზე დაუსახლებია⁵. ტაო რომ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია. წიგნი II, თბ. 1914წ. გვ. 362-363.
² იქვე, გვ. 368-369.
³ შაჰარაისის უსონიგესაჲ მხბი ქაროყაყთი ზაჲოე, II ყაყაგ, სოც. 1837, გვ. 122-123.
⁴ მაღაქია ორმანიანის გამოანგარებებით, ნ. მისი სკაყაყაყი, I, 5 619.
⁵ შაჰარაისის უსონიგესაჲ ... გვ. 168-169.

დნიშნულ ხანს სომხური საგამგებლო ყოფილიყო, მაშინ სომეხ ლტოლვილთა ერთი ნაწილი მანც იქ დადგებიდა, როგორც სხვა შემთხვევებში. ჩანს, VIII ს-ის გასურისათვის ეს მხარე სომხურ საგამგებლოს აღარ წარმოადგენს. ის, როგორც ვცხობა, არც ბიზანტიას ჰკუთვნებია, არამედ, საფიქრებელია. შევსეთ-კლარჯეთის სამთავროში ყოფილა შესული.

ასეთთა მაკლედ წარსული იმ კუთხისა, სადაც IX-X ს.ს.ში ქართულ-სომხური მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობა დამყარდა. ამ პერიოდში კი ის, მას შემდეგ რაც ქართულ სამთავროდ იქცა, თანდათანობით გაქართულების გზას დაადგა პოლიტიკურადაცა და კულტურულადაც. IX ს-ში უკვე ტაოს შავ-შეთ-კლარჯეთის სამთავრო საგვარეულოს ერთ-ერთი უმთავრესი შტო ფლონს, რომლის წარმომადგენლები ჩვეულებრივ კურაპალატობის პატივს ატარებდნენ და ზოგჯერ წააროებით ცნობილი არიან როგორც «მეფისი ტაოაქსნი». ეს შტო იმდენად გავლენიანი იყო, რომ, რაცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამთავროების წაღში შედგება დაწესდა (შშშწ.), ამ შტოს წევრებმა მიიღეს მეფის უფლებაც მხოლოდ არჩილებდნენ საგვარეულოს სხვა წევრები «ვითარცა ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი».

ტაოს პოლიტიკურად დაპატრონებას ქართველთა მიერ და მის «ქართველთა სამეფოს» ნაწილად გადაქცევას თან მოჰყვა მისი კულტურულად დაუფლებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII ს-ის შუა წლებისათვის ტაოს მოსახლეობას, რომელიც ძირითადად სომეხი თუ გასომხებული ელემენტისაგან შედგებოდა, მიემატა შიდა და ქვემო ქართლიდან გადმოსული ქართველობა. არაბების აუტანელმა რეჟიმმა დაძრათვისი სამკვიდროდან მისი მოსახლეობის ფართო ფენები. მათს რიცხვში იყვნენ მაშინდელი კულტურული ძალებიც, რომლებმაც ახალ სამყოფელში დაიარსეს ახალი საყანებები (ეკლესია-მონასტრები), ანდა განაახლეს ასეთები და ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობაც გააჩადეს. ამ მოძრაობის მთლიანი სურათი ნათლად არის მოცემული გიორგი მერჩულის მიერ გამოთქმულს «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში». ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ როგორც ახლად დასახლებულთა, ისე დამხდურთა კულტურული შემოქმედება და ნაღვაწი, კერძოდ მწერლობის დარგში, მიუხედავად მათი სხვადასხვა ენაზე არსებობისა, ერთისა ან მეორის შემოქმედი ძალისათვის ახლო ურთიერთობის გამო უცნობი არ დარჩებოდა, ისე როგორც უცნობი არ იქნებოდა, და არც ყოფილა მათთვის, ამავე მიზეზის გამო, რასაკვირველია, ასეთივე ხასიათის შემოქმედება, რომელიც მიზანტვიასა და პალესტინაში მიმდინარეობდა.

ადრინდელი ტაო, რომელიც, როგორც სომხური პროვინცია, სომხეთთან ერთად საერთო ცხოვრების ფერხულში იყო ჩაბმული, მასთან ერთად იღებდა ცხოველ მონაწილეობას ზოგადს სომხურ კულტურულ საქმიანობაში, კერძოდ - მწერლობის დარგში. რამდენადაც ის მიზანტვიას ეახლოვებოდა და მის კულტურულსა და პო-

¹ ივ. ჯავახიშვილი; ქართველ ერის ისტორია, II, გვ. 395-397

² იქვე, გვ. 395-397.

ლიტიკის გველებს სფეროშიაც მოექცა გარკვეული დროიდან, იმდენად მას შეეძლო-
სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით საკუთარი წვლილი შეეტანა სომხურ მწერლობაში.
დოკმატიკურ-პოლემიკურ ბრძოლაშიაც, რომელმაც ფართოდ მოიცვა სომხური ეკლე-
სია VI ს-ის გასულიდან, ის სხვებს არ ჩამორჩენია. ამ ბრძოლაში დიოფიზიტების
მხარეზე იდგა ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერ-
და მას შემდეგ, რაც VIII ს-ის პირველი მეოთხედის გასურის მას შიდა სომხეთი-
დან მოაწყდა ლტოლვილი სომხობა. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, გამოდევნი-
ლი იყო სხვათა შორის სომხეთს გამარჯვებული მონოფიზიტური ეკლესიის მიერაც.
ასეთი კონფესიონალიზმად მონათესავე ტაოს სომხური მისახლეობის
უდიდეს ნაწილთან მოუხდა შეხვედრა აქ ამ საოცურის შუა წლებში
მოსულ ქართულ ეკლემენტს, რომელმაც პოლიტიკურ გაბატონებას-
თან ერთად მოახერხა თანდათანობით კულტურულადაც დაახლოვე-
ლობა მას და შემდეგში თავის წილშიც გადმოიყვანა ის, ე.ი. გაექა-
თველებინა სრულიად.

VI ს-ის გასულიდან, როგორც აღვნიშნეთ (გვ. 128), სომხეთის ეკლესიის წილ-
ში მონოფიზიტთა, ანუ ანტიქალკედონიტთა, და დიოფიზიტთა, ანუ ქალკედონიტ-
თა, შორის წარმოებდა მეტად მწვავე ბრძოლა, რაც, როგორც არა ერთგზის აღვვი-
ნიშნავს, სამოლოო ანგარიშით სხვა არა იყო რა, თუ არ პოლიტიკური ორიენტიაცი-
ისათვის ბრძოლის გამომძახალი. მონოფიზიტობა დასავლურ ანუ ბერძნულ ორი-
ენტაციას უარყოფდა, რაც ეოვკლოვის პოპულობა მხარდაჭერას ბერძენთა აღ-
მოსავლელ მოქმედებაგან, როგორც იყვნენ ჯერ სპარსელები და მერმე არაბები.
VI-VII ს.ს ში ეს ბრძოლა მშობლიურ ნიადაგზე მიმდინარეობდა. დაწყებული ბრძო-
ლიდან VII ს-ის შუა წლებისათვის ქალკედონიტობა ფაშაობდა გამარჯვებული, მა-
გრამ მოწინააღმდეგეს ამით იარაღი არ დაუყრია და VIII ს-ის პირველი მეოთხე-
დის გასურის მან იცვლდა მორეალა ქალკედონიტებს. მძიმე შეტაკებებიდან
გამარჯვებულად გამოსული ანტიქალკედონიტური სომხური ეკლესია უკვე სხვაგვარ-
ად მოექცა მოწინააღმდეგეს. მის მიერ მოწვეულმა მანაზკერტის კრებამ (726წ)
ერთხელ კიდევ დაგმო ქალკედონიტობა და სათანადო ღონისძიებებიც გამოიმუშა-
ვა სომხური ეკლესიის „განწმენდისათვის“ ქალკედონიტთა მიერ დანერვილ სი-
ახლეობაგან. „მანაზკერტის კრება, წერს პროფ. ნ. ადონცი, სარეუბლობდა პირველ-
ხარისხოვანი მნიშვნელობით და სომხური ეკლესიის ისტორიაში ახალი ხანასაც
იწყებდა. კრებამ დაუკავშირდა წარმოდგენა - სწორი თუ არასწორი, სხვა საქ-
მეა-თითქოს მისი საქმე იყო რესტავრაცია სომხური სინკლესიო ტრადიციებისა,
რომლებიც დანერვილი იყო თითქოს განმანათლებლის დროიდან, რაც დაარღვია
და მივიწყებას მისცა VI ს-ის ქალკედონიტურმა მიმდინარეობამ“. ისე დაიწყო
სომხური ანტიქალკედონიტური ეკლესიის ნაკონსტანტინოპოლისა, რაც, ავტ. ნ. შარის-
თქმით, „გივანტური ნაბიჯებით წარიმართა“² სომხური ეკლესიის საციონალი-

¹ Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана... გვ. 338
² Н. Марр. Аркаун, пантеистическое и языческое христианство в Армении с восточной и западной-халкедонитов (Отг. оттиски из «Истор. Временника», т. XII, СПб., 1905, гв. 16.

ზაციაში ცალ ვითარებაში ჩააყენა სომეხი ქალკედონიტები. მათი ხალხების «წყენდა» ცოცხალი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გამარჯვებულ მხარეს მათი სრული განადგურება ჰქონია გადაწყვეტილი და ერთგვარად მიუღწევია ედეკას მისხისაიუსის, რადგან შემდეგ ში სომეხ დიოფიზიტთა ხმა თვით სომხეთში გვიანდლამდის აღარხად ისმის; ხოლო თუ სადმე ქალკედონიტების საწიხა აღმდგომად გადადგმული რაიმე ნაშთი შეინიშნება, ეს უკვე პასუხია უმთავრესად ვარედან მომდინარე მოქმედებისა, რომელსაც აქა-იქ მომხრეებიც უჩნდებოდა. აღწათ ჯერ კიდევ გაუუჩინარებელ თანამოაზრე სომეხთა მხრით.

სომეხი ქალკედონიტების სცენიდან ჩამოსვლა უმტკივნეულო ვერ იქნებოდა. დამარცხების შემდეგ მათი ფართო მასება იძულებული გახდებოდა, ცხადია, ან დამორჩილებოდნენ გამარჯვებულთ, ანდა გასცლოდნენ სამკვიდროს, რაც სხვა მხრითაც იშვიათი მოვლენა არ იყო ხალხე სომეხებისათვის. სამშობლოდან აყრითა და უცხო მხარეს, თუნდა თანამოაზრეთა შორის, დასახლებით კი მათი თანდათანობითი დეკაცია ციონალიზაცია დაიწყო. «გავლენის სფეროს მიხედვით ზღუდრდა სომეხ ქალკედონიტების შერწყმა ქართველებთან, ბერძნებთანა და სირიელებთან, აღნიშნავს აკად. ნ. მარტი ერთს სეტალ საგულისხმო ნაშრომში, რომლითაც მას. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, აინტერესებდა „აღენიშნა მხოლოდ ზოგიერთი მოვლენები, რომლებიც მოწმობენ ზოგადად. სომეხი ქალკედონიტების მდგომარეობას... და ისიც იმ ხანაში, როცა უკვე ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენდა ქალკედონიტობა სომეხეთში, უფრო მეტად იმ დროს, რაც ანტიქალკედონიტობა და ქალკედონიტობა სომეხეთში პირისპირ იდგნენ ერთმანეთისა, როგორც ორი, ცოცხალ თუ ბეკრალ, თანაბარი მებრძოლი მხარე“.

ქართველებისაკენ ღვთაღვილ სომეხობას ცაოში თანამოაზრენი პირველყოვლისა თავისი თვისტომისანი დახვდნენ აქაური აღრიხდელი სომეხი მოსახლეობის ერთი ნაწილის სახით. მცირე სხვა ნაწილი ანტიქალკედონიტებიც უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ამას შეუძანიკის მარტვილონის წიგნის სომხურსე გამოკრებით მთარგმედ აშარონ ვანანდელზე საუბრისას ვნახავთ. სანამ ცაოს ძველი და ახალი მისახლეობა ერთიანი სომეხეთის პოლიტიკურსა და კულტურულ სფეროში შედიოდა, მანამ ის შმობლიურ ნიადაგზე აღვიწოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სომეხთს ჩამოსცილდა და «ქართველთა სამეფოში» მოექცა, იმდენად ის თავისი სომხური მოსახლეობით, რომელიც უმთავრესად დიოფიზიტურ მრწამსს აღიარებდა, გამოეთიშა შმობლიურ კერას, რის დამრეცხასაც ვამარჯვებული სომეხი მონოფიზიტობა, ცხადია, დანქარებით ლამობდა. კონფესიონალური ერთიანობა ქართველებთან, ბერძნებთან თუ სირიელებთან, ასეთ ვითარებაში სომეხთს გამარჯვებულ ანტიქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას, რომელიც ერთდერთ ეროვნულ ორგანიზაციად თვლიდა თავის თავს და ამრიგად გაერთვნების გზას ადგო, მარჯვე შემოხვევას აძლევდა, მოენათლა ისინი, როგორც ვარემე ძალუბის წევრები, ეროვნული ეკლესიის ხელმძთველენა. ეს, ცხადია, მასწ იარაღს წარმოადგენდა იმათ მისნააღმდეგ საბრძოლველად; ვინც ჯერ

¹ Н. Марр. Армян, монгольское и др. христианство... т. 3.

კიდევ სომხეთში დიოფისიგთაგან იყვნენ დარჩენილი, ანღა მათ მიმართ. ნუკეუდსუხ სა სიღზას. ჩასაკვირველია, ასეთი დამოკიდებულება გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის უნდობლობას იწვევდა ურთიერთის შემოქმედებისადმი, განსაკუთრებით მას შემდეგ (726 წ.), რაც სომხურ ეკლესიას საბოლოოდ ანტიქალკედონიტები დაეუფლნენ. წინანდელ ნაღვაწს მხოლოდ «გაწმენდა» შეეხებოდა; აღმოფხვრით მარტო დოგმატიკურ-პოლემიკური ნაწარმოებები თუ აღმოფხვროდნენ, იქნებოდა ეს თარგმნილი თუ არჩივინალური, თორემ სხვები, და ისიც ორიგინალურ ქმნილებათა ნიშუშენი, რაც კი მერვე საუკუნემდე სომხურ სინამდვილეს შეეხებოდა, თუკი მათ ესაათუის კახაფსიონალური ნიშანი არ ემჩნეოდათ, ასეთისე (შეიძლებადა მსირეიდენი ცვლილებითაც) ორივე მხარისათვის შესაწყნარებელი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ვისი ხელიდანაც არ უნდა ყოფილიყვნენ გამოსული.

გაოკლარქეთის სომხობა, რომელიც VIII ს-ის გასულიდან «ქართველთა სამეფოში» შემოვიდა, ქართველთა გავლენის სფეროში მოხვედრით, აკად. ნ. მარსის სატყუიო, შეცრწამის ქართველობას. მიწყვეტილი მშობლიურ ნიადაგს, სადაც მისი თანამოაზრეები უკვე მოვლებული იყვნენ ფართო შემოქმედებითს გასაქანს. ის ერთხანს მუშაობას მწერლობის დარგში დამოუკიდებლად ეწევა¹ ყველაფერი, რაც მას წინანდელი შემოქმედებიდან ებადა, დაცული ჰქონდა და მის ათვისებას ის დედა ენაზევე ახერხებდა, მაგრამ დროთა მსვლელობაში, როგორც ჩვენი მასალებიდან ირკვევა, ადგილობრივ ქართველ ელემენტთან ურთიერთობისა და ქართულ კულტურულ სამყაროსთან ახლო კავშირის გამო მისთვის სომხურ ლიტერატურულ ენაზე არსებული ძეგლები ადვილად ვასავეები აღარ აღმოჩნდარა. საჭირო გამხდარა ამ ძეგლების გადმოთარგმნა უფრო ადვილად ვასავეებ ენაზე, ამ შემთხვევაში ქართულზე. შემინახული თარგმანებიდან ასეთი ჩანან სომხური აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ამ დარგში გაოკლარქეთის სომხობას შემდეგში საკუთარი წვლილიც შეუტანია, მაგრამ არა სომხურ ენაზე, არამედ უფრო დასაძლევს ქართულზე. აგიოგრაფიული მწერლობა ძველად სკითხველისა თუ მსმენელის ფართო მასებისათვის აყო დანაშნული, ხოლო მისთვის ასეთი ძეგლების თარგმნა უფრო მანიშნებელია იმისა, რომ სომეხი მასიური მომხმარებლისათვის მაშინდელი სომხური სალიტერატურო ენა ძნელად ვასავეები ყოფილა, რომ მისთვის დედა სამწერლო ენის პავიკრობას უცხო ენა ეწევა. დედა ენა თუ ესმის მას, ეს ისე-და-ისევე სასაუბრო და არა სალიტერატურო, ის, მაკლედ რომ მოვჭრათ, გაქართველებს გზახე და მდგარი. სხვა რივის წყარალობითი ძეგლების თარგმანები კი, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევიათ, ასეთ მომხმარებელს აღარ გვაგულისხმევიენებს.

¹ აკად. ნ. მარს ამ ხანამდისაც კი შიანია შესაძლოდ, რომ «სომეხთა მოქცევა», ანუ «აგათანგელისის არაპული ვერსია», რომელიც ბერძნელის თარგმანი უნდა იყოს, ჰირველად სომხურად ყოფილიყვის შედგენილი (VII-VIII ს.) გაოკლარქელი დიოფისიგთი სომხის მიერ (ნ. მისი, *Крещеніе армян, 449-451, 454-455, 457-458, 460-461, 463-464, 466-467, 469-470, 472-473, 475-476, 478-479, 481-482*). *Армянская Версия. «Генезис Востокаго ерменіа. Русского Археографическаго Общества, т. XVI. СПб., 1905, стр. 181-182».*

ასინი ქართველი მკითხველ-მსმენელის ინტერესების კარნახით ჩანან გადმოთარგმნილი და წინანდელი ხანის სხვა თარგმანებთან მიმართებით - მეტად თავისებური არიან, რაც სომხურთან ურთიერთობის გარკვეულ ხასიათზე მიგვიბრუნებს. დაახლოვებით მსგავსი ბუნებისაა ქართულიდან სომხურად შესრულებული თარგმანებიც, მაგრამ მათ შესახებ უფრო დამწვრილებით ქვემოთ გვეყენება საუბარი. ესეა კი მოკლედ ქველი დროის ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესამე ეტაპს განვიხილავთ.

ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობის მომდევნო პერიოდი, რომელიც XI-XIII ს.ს-ზე მოდის, ქართული მწერლობის ე.წ. «ქროს ხანას» ემთხვევა. საქართველოს სახელმწიფოებრივობის უკვე ერთიანი ორგანიზმის შექმნისა და ეკონომიური ძლიერების პირობებში, რამდენად ეს მომწიფებულ ფეოდალურ ურთიერთობაში შეიძლებადა ანსემულიყო, ქართულ კულტურას, კერძოდ კი მწერლობას, შემოქმედების ფართო სარბივლი გიდაეშალა და წინააქ წარმოებულ საქმიანობით შემზადებული ნიადაგმა მეტად ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო. ეს თვალნათლივ ატყვია მთელ ქართულ მწერლობას, იქნება ეს საეკლესიო თუ საერო ხასიათისა. ამ ხანაში მწერლობა სრავალფეროვანი ხდება როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, თარგმნილ ლიტერატურასთან ერთად მეტად ცხოველია ორიგინალურიც, რაც ისეთ შედეგსაც კი ჰქმნის «ვეფხისტყაოსნის» სახით, რომელიც განუმეორებელი აღმოჩნდა შემდგომში. რაც ვამო მთელ ამ ეპოქას საშარლიანად ხსენებულ დვირფასი ნაწარმობის ავტორის სახელსაც უწოდებენ ხოლმე.

წინა პერიოდში თუ, საქარავილას ცალკე სამთავროებადა და სამეფოებად დაქსაქსულობის პირობებში, ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა მჭიდრო ხასიათისა ფართოდ ვერ დაჰყარდა, არამედ ის უფრო ვიწრო და განსაზღვრული ბუნებისა იყო, ესეა, XI ს-დან, როცა აღნიშნულ სამთავროთა და სამეფოთაგან ერთი შთლიანი და მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზმი გამოიკვეთა, მდგომარეობა სხვანაირი შეიქმნა. ამ დროს საქართველოს წინა წინა აზიის საერთო საქმეებში ძლიერ დიდი ვახდა და მას ანგარიშს უწევდა როგორც ვარემე ძალა, ისე მის ფართოდ ვამლილ საზღვრებში მოქცეული ქვეყნების მოსახლეობაც, და მათ რიცხვში სომხობის უდიდესი ნაწილი. წინანდელ ხანასთან შედარებით სომხობასთან ურთიერთობა ესეა უფრო შრავალმხრივი შეიქმნა და მასთან ის შეეხრა ფართო ფენებსაც არა მარტო საკუთრივ საქართველოში მონინადრე სომეხი მოსახლეობისას, არამედ საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში მახვედრილი სომხეთისასაც.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა მის ფართოდ ვამლილ საზღვრებში მოქცეულ მეზობელ ხალხთა მიზიდვას, მტკიცე შთლიანობის შექმნას, რომ ათველგვარ ვარემე დამპრობელ ძალას სათანადოდ დახვედრიდა. ამ ხალხთა შონა მტყყებლად, კერძოდ კი სომხებისა, საქართველოს პოლიტიკური შესვეურები მათს გავლენიან ფენებს უწევენ ანგარიშს და მათში ებებენ საყრდენსაც. ეს ფენები კი მამინ ფეოდალური საზოგადოების ორსავე ფრთას ეკუთვნოდენ - საეროსაცა და საეკლესიოსაც. მართლაც, საერო ფენის გავლენის მქონე ერთი ნაწილი საქართვე-

ღოს სამეფო კარს უახლოვდება, აქ ის აღწევდება კიდევაც, სახელმწიფოებრივ საქმიანობაში უბნება და აქტიური მონაწილე ხდება საქართველოს მიერ წარმოებული პოლიტიკისა. სხვა ნაწილი კიდევ, შედარებით უფრო ნაკლები გავლენისა, მონაწილეობას აცხადებს და მშვიდობიან საქმიანობას ეწევა თავის სამფლობელოში. რაც შეეხება საეკლესიო ფრთას, მისი შესვეური, სომხეთის საკათალიკოსო კარი, რომელიც ანისის სამეფოს დაცემის შემდეგ მწირობაშია, დიდხანს რჩება ის ასეთ მდგომარეობაში. აღგილზე მხოლოდ სამონასტრო წრეები ინარჩუნებენ გავლენას და არ უშვებენ ხელიდან იდეოლოგიურ მესაჭეობას.

კონსტანტინოპოლურ მიმდინარეობათა შორის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ომგადახდილი სომხური ეკლესია, როგორც ზემოთ (გვ. 11) აღვნიშნეთ, VIII ს.-ის დამდეგისათვის საბოლოოდ მონოფიზიტურ მრწამსს იწყნარებს და ეროვნულ სახეს იღებს. მოწინააღმდეგე დიოფიზიტური მიმდინარეობის სომხობა ამის შემდეგ სომხეთში ღვენას განიცდის და ის იძულებულია, ერთის მხრით, დაყაროს იაკალი და გაუჩინარდეს, ხოლო, მეორე მხრით, მიივლტის უცხო მხარეებისაკენ, სადაც მას კონსტანტინოპოლურად თანამოაზრე მეზობლები კი ზღვებიან, მაგრამ იქ ის მათი კულტურული და პოლიტიკური გავლენების მეოხებით თანდათანობით ჰკარგავს ეროვნულ სახეს და ზოლოს სრულ ასიმილაციას განიცდის. საკვსებით აღიფხვრ: სომხეთის მიწა-წყლიდან დიოფიზიტი სომხობაი, რომ ცვეთქვა გადაჭრით, არ იქნებოდა. სულ სწორი. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სრულიად არც აღფხვრილან და არც ყოველგან გათქვეფილან, რადგან მაშინ, როცა სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს ფარგლებში მოექცა, აქ სომხური დიოფიზიტური ^{კერძო} ეკლესია აღმოცენდნენ, თვით ეპარქიების სახითაც კი (ანისისა, ალაშკერტისა და ყარსისა) და მნიშვნელობაც გაიფართოვეს. მონოფიზიტური სომხური ეკლესია-მონასტრების გვერდით და, როგორც ჩანს, მათ საპირისპიროდ, დიოფიზიტური ახალი საგანგებოც კი დაარსდა. ასეთია მაგ., მონოფიზიტური სომხური მონასტრების, გეტიკისა და სანაინ-ახპატის გვერდით დაარსებული ღორის მახლობელი პლენძაძანქის საგანე, ისე როგორც სხვებიც ღორისა და ბიჭნისის კუთხეებში, რომელთა ნაშთებს ჩვენამდისაც კი მოუღწევია, ბევრ შემთხვევაში სათანადო ნიშნებითა და წარწერებით. მათი საშუალებითა და მათთვის ხელისშეწყობით საქართველოს საერო ხელისუფლება და მისი ინტერესების მსახური ქართული ეკლესია ცდილობდა მეზობელი სომხების მომტკიცებას და მინიმუმამდე დაყვანას, თუ სრულიად მოშლას არა, იმ განმასხვავებელი ნიშნებისას, რომლებიც ქრისტეს სარწმუნოების მიმდევარ ამ ორ ხალხს განაცალკევებდა ურთიერთისაგან კონსტანტინოპოლურად.

ასეთი გზით ბრძოლა კონსტანტინოპოლურად განწყობილ სომხურ ეკლესია-მონასტრებთან ხანგრძლივ ღრის მოთხოვდა. მოწინააღმდეგე სომხური ხანაკი, მიუხედავად სომხეთის კათალიკოსის თანხმობისა და გავლენიანი ზაქარია მხარკრძელის ცდებისა ზოგჯერ, არა თუ დავმატიკურს რომელსაზე საკითხში მიდიოდა დათმობაზე, არამედ ზოგიერთი საეკლესიო წესის შეცვლასაც კი არ მიიჩნევდა საჭიროდ. ამ წრეებს არ სურდა ქრისტიანული დათმობაზე, რადგან ამა-

¹ H. Mapp. Аркарум, монгольское нашествие христиан. . გვ. 40.

ნებრა. მ. ლუდრი, რაც წინათ ხვდა სომხობას ცაისა ან ბიზანტიაში. ისევე მდგომარეობას ვამბო მთავარ გზად რჩებოდა ისევ სამეხ დიოფიზიტთაოვის სელისმეწყობა, რათა სწრაფად გაზრდილიყო სომხეთს შისი მრევლი და გავლენა.

იმდროინდელი ქართული საეკლესიო მწერლობა (ბერძნულთან ერთად) მასხარდობებელ წყაროდ იქცა სომეხი დიოფიზიტებისათვის. შთისხამდნენ ისინი იდეოლოგიურ საქურველს კონსტანტინული სოფლმხედველობის მქონე ნაციონალური სომხური ეკლესიის საჯანყთა წარმომადგენლებთან საბრძოლველად. ამიტომაცაა, რომ დოგმატიკური და პოლემიკური ხასიათის ლიტერატურის მნიშვნელოვანი სომხური ძეგლები ამ დროს ერთი მხრით ქართულიდან ითარგმნება, ხოლო მეორე მხრით ქართული მასხლის გამოყენებით ითხზება (ორიგინალური ძეგლები), თარგმანებიდან ასეთთა შაგ, იოანე დამასკელის რამდენიმე პოლემიკურ-დოგმატიკური სტატია, ევსტრატო ნიკაიელის ანტიკათოლიკური წერილი და არსენ ეპაფესპის «დოგმატიკონის» ასეთივე ხასიათის რამდენიმე სხვა ნაწარმოებიც. რაც შეეხება ქართული მასხლის გამოყენებით დაწერილ თხზულებას, ესაა: სომეხი უცხოები დიოფიზიტი ავტორის მიერ შეკვნილი «სიტყვებდა სომეხთა მიმართ» (Մարութիւնս առ Հայս), რამაც ჩვენი აზრით გამოიწვია მსითარ გომის ცნობილი ტრაქტატი «ქართველთათჳს».

რომელიმე ქრისტიანობის დასაწერგავად ცხადია, მარტო დოგმატიკურ პოლემიკური ლიტერატურის თარგმნა საკმარისი ვერ იქნებოდა, და ამით უნდა იყოს ვამიწვეული ის, რომ აღნიშნულ ხანაში საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ძეგლების თარგმნასაც სათაწადო ყურადღება ექცევა, რის ნაყოფსაც ჩვენამდისაც კი მოუღწევია. ესენია - იოანე დამასკელის ფილოსოფიური ნაწარმოების «Πηγή γνῶσεως»-ის ქართულით შესრულებული სომხური თარგმნი, ამავე ენიდან თარგმნილი პიროვე დიადოხოსის «კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი» და ეპაფესპელის კომენტარები, შედგენილი მთარგმნელის იოანე ქეტრიწის მიერ, რაც პირველ რთთან ერთად სომხურად სიმეონ პღნძაშანქელს უთარგმნია VIII ს-ის პირველ ნახევარში. იქვე ცალკე აღნიშვნის ღირსია იოანე სინელის «კლემაქსის» ერთი ნაწილის ქართულით შესრულებული სომხური თარგმანიც, რომელიც თავისი შინაარსით უფრო ასკეტიკურ მწერლობას მიეკუთვნება, კიდრე ფილოსოფიურს.

¹ ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები (წინასწარი ნარკვევი), «ენიმკის» შიამბე, III, 1938 წ., გვ. 126-127; ნ. აგრეთოვი, ილ. სკრიპაძე, იოსებქელი დარაჯიქასი სკრავ გრასკანობქას არმაყასტრერ ზაყ გრასკანობქას მსკ. «სხილესაფირ» VUUN გიყოქიონსსსრქ სასარსქიქი რაქსკარ ზქიქაქი, N8 (22), სრსან, 1942, გვ. 7-9.

² ილია აბულაძე, მსითარ გომის ტრაქტატი «ქართველთათვის» და შისი ლიტერატურული წყარობი, «ტფილისის სახელ. უნივერსიტეტის შრომები», VII, 1938 წ., გვ. 97-108.

³ ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართ. ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძვ. სომხურზე, «ენიმკის შიამბე»; III, 1938 წ., გვ. 111-112 (ნ. აგრეთოვი, ამავე შიამბეს გვ. 124-125).

⁴ იქვე, გვ. 123-124 და 130-134.
⁵ იქვე, გვ. 128-130. აღსანიშნავია ისიც, რომ «კლემაქსის» დასაწყისი ნაწილი (პირვე

კონფესიონალურმა დასალოებებამ სომხური ეკლესიის ერთ ნაწილსა და ქართულ ეკლესიას შორის ლიტურჯიკას სფეროშიაც იჩინა თავი. ენეციის მხითარი ანელის ბარსელ სარკსიონის ცნობით მოიპოვება თურმე საგალბლები ერთი კრებული; ე.წ. „მარკიან“, რომლის ანდერძის თანახმად ეს ძველი ქართულიდან ნათარგმნი ჩანს ვინმე პაპ სიმონის მიერ. მართალია, ამ ინფორმაცია ნახეხეხი თარიღებით, ძველს თითქმის XVI ს-ის თარგმანად აცხადებს, მაგრამ აქ რაღაც გაუკვირებლასთან უნდა გვექონდეს საქმე და თარგმანიც, თუკი რომელიმე ხანას დაუკავშირდებოდა ის, ეს ისევე ჩვენსას, უფროკი XII-XIII სს.

ქართულიდან სომხურად შესრულებულ ამ ხანის თარგმანებს შორის ცალკეა აღსანიშნავი «ქართლის ცხოვრების» შემოკლებითი თარგმანი, რომელიც სომხურ ნუსხებში «Պատմութիւն Արագ»-ად იწოდება. მთარგმნელის ვინაობა თუმცა უცნობია, მაგრამ მისი სოფლმშენველობა და კერძოდ კონფესიონალური კუთვნილება ნათლად ირკვევა როგორც სათარგმნი ადგილებიდან და მოკლებულობით, ისე იმ ინფორმაციებით, რომელთაც ის აქ ურთავს. ამ ნიმუშების მიხედვით ის უკვე სომეხი დოგმატიკოსი კი არა ჩანს, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია², არამედ მონოფიზიტი. ფაქტი მეტად საგულთხეობა, რაც იმას მოწმობს, რომ ლიტურჯიკურ ინტერესებს ქართული მწერლობისადმი არა მარტო ქართველობის თანადადმსარებელი სომხობა იჩენს, არამედ კონფესიონალურად უცხოც კი.

აღნიშნული თარგმანები, რომელთა ერთი ნაწილის მიკვლევა ჩვენ გვეკუთვნის³, მართალია, ძირითადად სომხურ დოგმატიკურ წრეშია წარმომადგენელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათმა უდიდესმა ნაწილმა თავისი შინაარსისა და მნიშვნელობის გამო

ლი 20 თავი) ბერძნულიდან უთარგმნია მინას ბერს ქალაქ ტრაპიზონში, ხოლო განუგრძობია თარგმანი, მხროლდ უკვე ქართულთ; სიმეონ ბერმიონაზონს (პლენძაძანქელს). ეს მინასი ის მინას ეპისკოპოსი უნდა იყოს, რომელიც კირაკოს განძაქელის უწყებით (III თ.) ჰომიკალიკან ზოგადანებათა ლიტურჯიკაზე შექმნილი მხარგრძელთან და მოერთმევიან მისთვის კათალიკოსის დასტურის წიგნი იმ საწესო ცვლილებათა შესახებ, რომელთა შემოღება სომხეთის ეკლესიაში საქარიათა საჭიროდ მიუწინევიან. მინასი საქარიათა ლიტურჯიკათა მომხრე და გამგარებელი ყოფილა, რის გამოც ერთხელ კინალიმ მსხვერპლი გამხდარა ურთი ეპისკოპოსების გამოხველებიან: მოციქულად მოკლინებული მინასი დასავლელი სომეხი ჩანს და, როგორც ეტყობა; თუ დოგმატიკი არა, მისდამი გეთილად განწყობილი მანც, რომლის დაწყებული თარგმანი „ავღმაქისას“ დოგმატიკ სიმეონ პლენძაძანქელს დაუმთავრებია.

¹ A. Մարգարես. Պրիկը իմաստասիրի ասարուածարասական չարկասպաղ հայկական թարգմանությունը. ինդիქს ... «հայկավել» 1924, გვ. 23.

² ლეონ შელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტურჯიკის ისტორია, თბ., 1941წ., გვ. 129.

³ Ի. Աբուլაძե. Գարթվա-ցիლიქტაუի կամ Արագ պատմության հის հայերის թարգմանությունը. «Մասինსարարան» Գիպական სკოლის ძიողություն N1, ერևან, 1941, გვ. 26-27.

⁴ ჯერ-ჯერობით ნ. ჩემი; «რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები. (წინასწარი ნარკვევი), «ენიკის შიამხე» №, თბ., 1935წ., გვ. 123-134, უფრო ვრცლად მათ შესახებ ცალკე ნაშრომში (ქართ. და სომხ. ლიტურ. ურდოერთობა XI-XIII სს-ში) გვექნება საუბარი.

გადალახა ხსენებული წრის ფარგლები და ზოგადი სომხური მწერლობის საუბრეში შევი-
 დან ასეთი მავ, ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები, რომელთაგან ქროკლე დი-
 ადონოსისა და იოანე პეტრიჭიის ნაწარმოებნი შემდეგში ხასწავლო წიგნება-
 დაც კი იქცნენ სომეხი ახალგაზრდობისათვის. ამ თხზულებათა შემსწავლელნი რომ აღ-
 ვილად გაჩვეულიყვნენ მათში, სომეხი ავტორები (მაგ. სიმეონ გარსელი) ახალ-ახალ
 კომენტარიებს ურთავენ ქორეველ თარგმანებს და ალაგ-ალაგ ტექსტსაც ახლად
 მართავენ.

ასეთი მავლელ ლიტერატურული ურთიერთობის ეს სურათი, რომელიც XI-XIII ს.ს-ში
 შეიქმნა ქართველთა და სომეხთა უახლოესი და ცხოველი ურთიერთობის შედეგად
 საერთოდ სხვა სფეროებშიაც. როგორც ვხედავთ ეს იმ სახისაა, რომ მისი მახასიათებ-
 ლი დოკუმენტები, ე.ი. თარგმანები, მხოლოდ ქართულიდან მიმდინარეობენ სომხურში. ქორ-
 ყუ უკითხვისათვის ქრტილებით მაგალითი არ მოგვეპოვება, რაც იმით უნდა აიხსნებოდეს,
 ღმრ ამ ხანის სომხური მწერლობა, ხაიდანაც ქართული წაინე უმთავრესად უცხო მიმდინა-
 რეობის ძეგლებს იღებდა, ამ დროს რაიმე თვალსაჩინოს და ქართული მწერლობისათვის
 უცნობს არას იღებს. ამასთან ერთად ქართული მწერლობა იმ წყაროებთან, განსაკუთრებით
 ბერძნულთან, რომლითაც სომხური სწავლობდა, XI ს-დან საბოლოოდ უშუალო დამოკი-
 დებულებას აწყარებს და «საკუთარ შვილს» ამტობინებს «ბერძენისა შვილისშვილსა, ნუ
 უკუე და არა უეჭუელსა».

II. წყაროებისა და საგნის შესახები ლიტერატურის მიმოხილვა

სომხური და ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შედეგად IX-X ს.ს-ში აღმო-
 ტენებული ძეგლები, რომელთაც სათანადო დედნებთან ერთად მთლიანად ან ნაწი-
 ლობრივ ქვემოთ ვაქვეყნებთ, შინაარსის მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:
 აგიოგრაფიულად; ეგზეგეტიკურად და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურად.

აგიოგრაფიული შინაარსის ძეგლებია:

- ა. სომხურიდან ქართულად თარგმნილი -
- ბ. წამებზეა წმ. დედოფლისა სანდუხტისი (წ. 290 ს. - 291 ს.).
- ბ. სიძყუანი წამებისათვის წმ. ისკისი და მაცუასთა მისთაჲ (ა. 345 ს. - 347 ს.).
- გ. წამებზეა წმ. მიწამეთა მესუკავეთაჲ (ბ. 237 ს. - 247 ს.).
- დ. წამებზეა წმ. მღვდელთ-მოძღუართაჲ სომხითისათა არისტაკსისი, ორთანქსი, ოსიკსი,
 გრიგორისი, დანიელისი (ბ. 255 ს. - 257 ს.).
- ე. წამებზეა წმ. ნერსის მთავარეპისკოპოსისა სომხეთისაჲ და ხადისი ეპისკოპოსისაჲ მწ-
 ფისა მისისაჲ (ა. 350 ს. - 354 ს.).
- ვ. აღსრულებზეა წმ. სპაქისი ქართველისაჲ მისი ღირისა ნერსისი (ბ. 247 ს. - 249 ს.).
- ზ. წამებზეა წმ. ვარდანისი და სხუათა წახსწართა და ძალთა სომხითისათა (ზ. 230 ს. - 235 ს.)
- შ. წამებზეა წმ. მუშანვიისი, ასურისი წმ. ვარდანისი (ბ. 249 ს. - 250 ს.).
- თ. წამებზეა წმ. ატლმისი და მისა მისისაჲ (ბ. მიწყუასთა მისთაჲ (ზ. 233 ს. - 237 ს.).
- ი. წამებზეა წმ. იზიდონილისი (ბ. 250 ს. - 255 ს.).

¹ ასომთავრული ნაწევრებია «მრავალთვის» სკიპისეის რიგი, ხოლო ციფრებით - ფურცლები.

ია. წამებაჲ წმ. დავითისი, რომელი აღესრულა ღვინს ჭემმარცითა სარწმუნოებითა ქრისტესს მიერ (ზაქ. 175 ა. 173 ა.).

ს. ქართულიდან სომხურად თარგმნილი-

ა. ცხორებაჲ დიონისიისისი ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძმ სივრცისი და მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაჲ.

ბ. წამებაჲ წმ. მუშანგიისი დედოფლისაჲ, (იაკობ ცურგაველისა ვამაყებით სხვა თხზულებიანთვის: *„Машаицхან სარცი ჰახჯის სოხესაჲ, որ აჲძმ მასანსიქი კიქი, სოპ არაიონიქ მასანსიქესი... ჰიოღეს ჭხსესაჲ ქი წაჲლიმ მარხსიხე რაჲიხე ს. ქრესტოვ“*).

ეკსტრეტიკური შინაარსის ძეგლი, რომელიც სომხურადანაა ქართულად ნათარგმნი, შემდეგია: *„თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ - ეპიფანე კჲპრელ ეპისკოპოსისაჲ“*, ხოლო საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ძეგლი, რომელიც აგრეთვე სომხურიდან ჩანს ნათარგმნი, ასეთია: *„სამხილებელი არიანობთა და უწყნიანობთა ბოროტად უწყსოებისაჲ... თქუმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისაჲ გრიგოლი ღმრთისმეტყველისაჲ“*.

სომხური აგიოგრაფიული მწერლობის აღნიშნულ ძეგლთა ქართული თარგმანები და მათს შემსრულებელ წრეში აღმოცენებული რიგინაღრი ქართული წამების წიგნები, როგორცაჲ ჩვენ *„დავით და ტირიჭანისა“* და *„ქსრათა ძმათა კოლაელთას“* მარტვილობანი მიგვაჩნია, ერთად-ერთი ხელნაწერით არის ცნობილი. ესაა ათონის *„მრავალთავი“* (№ 57). ამ ხელნაწერის ზოგიერთი ძეგლის შესახებ და მათ შორის ზოგიერთი ჩვენი მასალის შესახებაც ცნობები ჯერ კიდევ პლ. იოსელიანმა¹ გამოაქვეყნა, მაგრამ სავანეებო ყურადღება ამ ხელნაწერს აკად. ნ. შარი უმთავრესად² ყველაზე უწინარეს მან აღნიშნა, რომ ამ კრებულში მოიპოვება სომხურიდან თარგმნილი აგიოგრაფიული ძეგლები. სომხურიდან შესრულებულ უეჭველ თარგმანებად მიიჩნდა მას თავიდანვე სომეხ მარტვილ-მოღვაწეთა ის წიგნები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. ამათთან ერთად უცხოურ თარგმანებად თვლიდა ის *„მრავალთავში“* წარმოდგენილ კიდევ შემდეგ აგიოგრაფიულ ნაწარმოებთ: 1. *„დავითისა და ტირიჭანის მარტვილობას“*; 2. *„გიორგი ზორავარის წამებასა“* და 3. *„გულანდუხტის წამებას“*, თუმცა არც ერთი ამათგანის შესახამისი ტექსტი მას სომხურში არსად შეუნიშნავს და დაუსაბუთებია უანასტასიელი ირი ძეგლს სომხურიდან მომდინარეობას აკად. ნ. შარი უმთავრესად ლექსიკური არაქონებების მიხედვით წყვეტდა, ხოლო პირველ იმიტომ მიიჩნევდა სომხურიდან ნათარგმნად, რომ მასში სომეხ მოწამეთა თავგადასავალია მოთხრობილი: *„დავით და ტირიჭანის წამება აგრეთვე უეჭველად სომხური წარმომდინარეა, რომელიც უეჭვლოდ გაქრა სომხური ლიტერატურიდან“*³.

ათონის *„მრავალთავში“* შესულ წამება-ცხოვრებათა სხვა წიგნებიდანაც მას არაერთი ეგულებოდა სომხური წარმომავლობისად. უმეტესი ნაწილი სომხურ-

¹ П. Иоселиани. Описание святыя, прославленныя правосл. агуз. церквисю. Тифлис, 1852.
² Н. М. Шарф. Из поездки на Афон... МЧНП, пар. 1, 1899 г., стр. 1-24.
³ „ქვე“, 83. 24.

რღვეს არის თარგმნილია¹, თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ ამ კრებულში ქართული ორიგინალური ნაწარმოებებიც მოიპოვება, როგორც შავ. «აზნის მარტვილობა» და «ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება», რომელიც შეიძლება ორიგინალური ქართული ნაწარმოებიც იყოს² (მატე მოხეტ, ორუზუაგაგაჲსე რყვიარდჲსე ირუაჲსეჲდ-მე).

ათონის «მწავილთაჲსი» ხეუნებური აგიოგრაფიული ძეგლები აუაღ. ნ. შარს, როგორც ავითონვე აღიარებს, აინტერესებდა იმ მხრით, რომ მაშინ ის ხელაჲდა დოკუმენტს, რომელიც თითქოს სომხური ლიტერატურის გავლენას დაწვრიდეს ქართულზე უძველეს ხანაში. ამასთან ეს ისეთი რივის სამუთაჲაა, რომელსაც ისეთი შესწორებები არ განუცდია, როგორც ბიბლიურ ტექსტებს ხვდა წილადა. დასაუკვეთელიც აქ არ შეიძლება გვეჩინდეს რა, რადგან ეს ძეგლები «წარმოადგენს ცხოვრებებსა და წამებებს სომხური ეკლესიის წმიდანებისას, რომელთაც სხვა ეკლესიებში არ ცნობენ»³.

აუაღ. ნ. შარის შეხედულებით ასეთი თარგმანების გადმოღება სომხურიდან ქართულად შესაძლებელი იყო მხოლოდ ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობის ხანაში, ყოველ შემთხვევაში მანამ, ხანამ ვალკივლები და «რელიგიური მუღლი და ურთიერთსახეან განდგომა, რაც ქართლისა და სომხეთის ეკლესიების განხეთქილებას ზეჲდა»⁴, ე.ი., როგორც იქვე შენიშნავს, VII ს-ის განუღამდის, ანდა VIII ს-ის დამდეგამდისა. თარგმანები თუ აღნიშნული ხანისაა, მაშინ მათი სომხური დედნები VII ს-ის შუა წლებიდან მაინც უნდა მოძლიანარეობდნენ, თუ უფრო ადრიდან არაა⁵. მისივე მოსაზრებით ქართულ თარგმანებს, რამდენადაც ზოგიერთ მათგანს ტექსტობრივი კავშირი აქვთ მოსე ხორენელის ისტორიასთან, თითქოს შეუძლია გადაწყვიტოს სომხური სამეცნიერო ლიტერატურის წრავალდგენილი საკითხი - ხორენელის მოღვაწეობის ხანა. მისი მხრით მოსე ხორენელი VII ს-ის ნახევარზე გვიანდელი მოღვაწე არა ჩანს⁶.

ასეთი საგულისხმო კითხვები წამოაჭრევიან ჩვენი აგიოგრაფიული ძეგლების წინასწარმა შესწავლამ სომხურ-ქართული ფილოლოგიის საფუძვლისძებნელს. მათ, დაწვრილებით განხილვას აუაღ. ნ. შარის ცალკე ნაშრომის სახით ჰპირდებოდა დაინტერესებულ წრეებს ტექსტებთან ერთად ახლო მომავალში⁷. ამ დაძირებას ის იმეორებდა 1901 წელსაც, როცა მან ათონის ქართული ხელნაწერების კოლექციის ზოგიერთი ღირსშესანიშნავი მანუსკრიპტის დაწვრილებითი აღწერილობა ვამოაქვეყნა⁸, აღწერილობაში მან სათანადო ადგილი დაუთმო ჩვენი აგიოგრაფი-

¹ იქვე, გვ. 16.
² იქვე, სვ. 13.
³ იქვე, გვ. 17.
⁴ იქვე, გვ. 16. ეს აზრი მან შემდეგში შეიცვალა (6. Крещение армян... გვ.).
⁵ იქვე, გვ. 24.
⁶ H. Mapp. Archäographische Materialien zu russinischen Handschriften in Venedig, тасте I: Сербия: Описание пяти портагентских рукописей. ЗВО, т. XIII, СПб, 1901, стр. 1-88.

ული ტექსტების შემცველ «მრავალთავსაც» (№57). ეს კრებული, წერდა იგი, ჰქონდა მენტიხა; მდებარეობს 381 ფურცლისაგან. ნაწერია ორნაირი ხელით, პირველით— 3-256 ფ.ჟ., ხოლო მეორით— 1 ს-2ა და 257-323 ფ.ჟ. ხელნაწერი ისეთი დედნიდან არის გადმოწერილი, რომელიც ახლმთავრულით ყოფილი შესრულებული, თვით ნუსხა კი X ს-ისაა!

ამ ნაშრომშიაც დაიწყებულია, რომ აკად. ნ. შარის გულისყური იმისთვის ქმნიდა მიტყუარა ჩვენს ძეგლებს, რომ, ავტორის აზრით, ესენი წარმოადგენენ უძველესი ხანის სომხურიდან შესრულებულ უეჭველ ქართულ თარგმანებს, რომელთა მიხედვით პირველ ყოვლისა უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივ ლიტერატურულ ურთიერთობის გათვალისწინებით ამათუიზ ხალხთა შორის, და კერძოდ, სომხურ-ქართული ურთიერთობის ისტორიისა. აღნიშნული ძეგლები მას აქვს სომხური ვაჭვების საყოფად მიიჩნია, რისი ჩვენებაც მას ცალკე შრომად ჰქონია განზრახული («О знании настоящей рукописи и соображениях к ней этнографических памятников речь будет в работе, посвященной в ближайшем армянском сборнике в архиве-румянской литературе»), მაგრამ, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დაურჩა. რამ შემალა ხელი თავის განზრახვის განუხორციელებლობის საქმეში, არსად აღუნიშნავს შემდეგში.

რაცორც შემდგომი ხანის ერთერთი ნაშრომიდან ჩანს, გამოსაცემად განზრახული ქართული ტექსტების შესატყვისი სომხური დედნების ძიებას, ისე როგორც ახალი მასალის მოძიებას, აკად. ნ. შარი არც მაშინ ივიწყებს, როცა აკად. ივ. ჯავახიშვილთან ერთად 1902 წ. სინა მოიარა და იქ სწავლობდა ამასთან ერთად ქართულ ხელნაწერებს.⁴ საფიქრებელია, რომ ახალ-ახალი მასალის მოძიებით მას რამდენადმე შეეცვალა შეხედულება სომხური ავტოგრაფიის იმ ძეგლების აღმოცენებისა და მათი თარგმანების წარმოშობის დროისა და მნიშვნელობის შესახებ, რომელთა გიორგოზი ზემოთ გვქონდა საუბარი. როცა ასეთ ვარაუდს ვაყენებთ, მხედველობაში გვაქვს 1906 წ. გამოქვეყნებული მისი ერთი მეტად საჭურლისში ნაშრომის ერთი აღვლილი, სადაც ის აცხადებს, რომ «სომხურიდან შესრულებული ქართული თარგმანები მიწერავენ აზრს, რომ ისინი ეკუთვნის ანა შირტო სომხებთან ერთობის ძველ ხანას, არამედ უფრო გვიანსაც; როცა თარგმანები, როგორც ჩანს, სრულდებოდა სომეხი ქალაქლონიტების ძეგლ-

¹ იქვე, გვ. 47. ამ ხელნაწერის დაწერის დროს შესახებ ნ. შარი მთავრად შეხედულებას იყავს 1926 წ. გამოცემულ ნაშრომშიც: *Le Synaxaire géorgien, éd. ancienne de l'union arm.-géorg., publié et traduit d'après le manuscrit du couvent Iviron du Mont Athos, en Palestine.*, XIX, fasc. 3., Paris, გვ. 829.

² H. Marr. Описание пяти перз. рукописей..., გვ. 1.

³ იქვე, გვ. 47.

⁴ H. Marr. Предварительный отчет о работах на Синае, в горах в сопредельных с И. А. Давидовичем, и в Иерусалиме, в познанию 1902 г. (апрель-ноябрь). Собр. Палест. Общ., т. XIV, ч. 2, стр. 1-51.

ბის-ტექსტებიდანაა¹. რომელია ეს თარგმანები, რა ნიშნის მიხედვით გამოირჩევიან ისინი, ანდა იგულისხმება თუ არა ამ თარგმანების რიცხვში ჩვენთვის საინტერესო ძეგლები, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

მოსალოდნელი იყო, რომ ხსენებულ თავის დაკვირვებაზე აკად. ნ. მარი უკანასკნელ სიტყვას მაშინ მაინც იტყოდნა, როცა მან ხელი მიჰყო ათონის «მრავალთავის» გამოცემას². მაგრამ აქაც მას ზოგადი შენიშვნების გარდა არაფერი აქვს ნათქვამი, ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ პირველი ნაკვეთი გამოაქვეყნა და მასში კი სომხურიდან მომდინარე ძეგლებიდან არც ერთი არ მოხვედრილა. ამ ნაკვეთის წინასიტყვაობაში მარტო იმ ძეგლებზეა დაწვრილებით საუბარი, რომლებიც «მრავალთავის» პირველ ცხდა საკითხავს წარმოადგენს. ირამდე სიტყვა მიძღვნილი აქვს «მრავალთავის» საზოგადო ნიშნებსაც, როცა იცნა ამ ნუსხის აღმოცენების ხანა და წრე, როდესაც და სადაც ეს კრებული უნდა იყოს შედგენილი. ავტორის სიტყვით «მრავალთავი», მთლიანად აღებულ, არის წაყოფი ქართველებისა და სომხების სარწმუნოებრივი ერთიანობისა, ყოველ შემთხვევაში, «მრავალთავის»-ის ვერსია შეესატყვისება შერეულ და შეჭვარებულ ქართველთა და სომეხთა რელიგიური საზოგადოების ერთნულ მისწრაფებებს. ამისათვის საკმარისია მოვივინოთ ამ კრებულში არსებული სომეხი მარტვილების აქტები. შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ იგი ქართულად შედგენილი სალიტერატურო ძეგლია ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთებულ სომეხთათვის განკუთვნილი. მე არ უარვყოფ ასეთ შესაძლებლობას, მაგრამ ამჟამად ეს რჩება თუნდა, რომელსაც დამტკიცება სჭირდება³. ასეთი შეფასების შემდეგაც კი მაინცღამაინც ნათლად არა ჩანს, ძალაშია თუ არა ავტორის წინანდელი შეხედულება სომხურიდან მომდინარე ხსენებულ ქართული თარგმანების მნიშვნელობის შესახებ და ისიც - მთლიანად თუ ნაწილობრივ. ერთი მაინც ცხადია: პირვანდელი დაკვირვებანი ავთოგრაფიული ძეგლების თარგმანის ხანის განსაზღვრის შესახებ თითქოს ეჭვის ქვეშაა დაყენებული.

ათონის «მრავალთავის» წამება-ცხვრებათა რამდენიმე წიგნი 1910 წელს გამოაქვეყნა პროფ. ალ. ხახანაშვილმა, რომელმაც მათ მოკლე-მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნების წარემძღვარა⁴. სომეხ მარტვილ-მოდგაწეთა ავთოგრაფიულ ძეგლთა ქართული თარგმანებიდან ამ გამოცემაში ერთის გარდა («წამებაჲ წმ. ატამისი და ძისა მისისაჲ და მოიუხსთა მისთაჲ») ყველაჲ წარმოდგენილი. მათთან ერთად გამოცემულია აგრეთვე იმავე მარ-

¹ M. Harn. Архангелъ, ликоимаскуе названіе кристианъ, в сѣданъ съ вѣрѣ-
сѣи ѿ арплитѣ халкедонитѣхъ..., стр. 2.

² Le Synaxaire grecque...

³ დასახელებული შრიმა, გვ. 637-658.

⁴ Материалы по грузинскому агнологическому вопросу, с предисловием
издал А. Хакановъ. «Труды по восточоведению, издаваемые Иларев-
скимъ Институтомъ Восточныхъ Языковъ», кн. XXII, Москва, 1910.

ვალთავიდან»: 1. «თეოდორე ეკქაიფელ ახლად სტრატეგად მოყვანებულსა ცხოვრებდა» და 2. «წამებაჲ წმ. რომანოს ახლისა მოწამისაჲ... რომელი აღწეა ნეტარმან სტეფანე დანასკელისს». ათე ქორველთა წარმომავლობის შესახებ პრაფ. აღ. ხახანაშვილი თავის ნაშრომში ავად. ნ. შარის მიერ 1899 წ. გამოთქმულ მოსაზრებებს იმეორებს, სამაგიეროდ მდგრადი მიმართ საკუთარ დამოუკიდებელ შეხედულებებსაც გვაწვდის. თეოდორე სტრატეგის ვინაობისათვის არსებულს ძველ ლიტერატურულ ცნობათაგან ის შესაწყნარებლად იმას მიიჩნევს, რომელიც ამ ძეგლის მთარგმნელად ევთიმე ათონელს ასახელებს.¹ მაშასადამე, მას იგი ბერძნულიდან თარგმნილად მიაჩნია. რომანოს მოწამის აღსაჩურღს კი ესევე მკვლევარი 781-786 წ.წ. შორის ღებს, მაგრამ იცხად მთარგმნელისა და არჟ თარგმანის შესრულების ხანის შესახებ არას ვეუბნებს. ამჟამად ეს კითხვები უკვე გადაწყვეტილია, ძველი არაბულიდან ჩანს მთარგმნილი IX-X ს.ს-ში.² თეოდორეს წამების ბერძნულიდან მომდინარეობის გადაწყვეტა იმ ხერხით, რომლითაც მას პრაფ. აღ. ხახანაშვილი წყვეტს, სწორი არ შეიძლება იყოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლიტერატურული ცნობები ძველ თხზულებათა შესახებ ყოველთვის სრულად არ მოგვეპოვება ხოლმე, და მეორეც, კიდევაც რომ მოგვეპოვებოდეს, მაინც ტექსტობრივი შედარება აუცილებელი, თუ კი წყაროდ ნაქარაუდევ ენაზე სათანადო ძეგლი არსებობს. ამ შხრით აუ შევისწავლით ქართულ თარგმანს, შევამჩნავთ, რომ ის სომხურზე ჩანს დამოკიდებული³ და, მაშასადამე, არსებულ ლიტერატურულ ცნობას სხვა თარგმანი აქვს სახეში და არა ის, რომელიც გამოქვეყნებული არის.

მართალია, ჩვენთვის ასე წყდები აღნიშნული ძეგლის წარმომავლობის კითხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ამ თარგმანს, ისე რაც არც ზოგიერთ სხვასაც, რომლებიც სომხურიდან მომდინარეობს და ათონის «მრავალთავშია» დაცული⁴, მაინც არ ვიყენებთ ჩვენი მიზნებისათვის, რადგან ისინი, ჩვენ მიერ გამოყენებულთაგან განსხვავებით, ისეა ხაშნეულობას ატარებენ, რაც მათ სხვა დროისა და წრის თარგმანებად წარმოგვიდგენს.

პრაფ. აღ. ხახანაშვილს მისი რედაქციით გამოქვეყნებული ავთოგრაფიული ძეგლები, როგორც თვით აღნიშნავს, ათონზე მოღვაწე ხუცის, ალექსი ბაქრაძის კაპიის მიხედვით ჰქონია გამოცემული⁵. გადმოხაწერის დედანთან შედარება გამო-

¹ იქვე, გვ. VII-VIII.
² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, 1941 წ., გვ. 673.
³ ეს ვარკვეული გვაქვს ერთერთ ჯერხობით გამოუქვეყნებელ ნაშრომში.
⁴ ასეაღება: 1 «ფილექტომონის წამება» (ნ. ჩემი - ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: მრავალთავის ზოგიერთი თავის წყარო, ტფილისის სახელ. უნივერსიტეტის შტუდიები, VI, 1936 წ., გვ. 338-347); 2. «წამებაჲ თბილისისა» (დამზადებული მათგან გამოცემად «ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები» მთარგმნ. ნაკვეთად, ნაკვეთი კი წავიკითხე სტალინის სახ. თბილისის სახელ. უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის სსტომანზე 1942 წლ. 29/IV-ს.) და 3. «ლონგინოს ანისთავის წამება» (გამოუქვეყნებელია).
⁵ Материалы по рус. агнографии... გვ. III.

მცემელს ვერ მოუხერხებია, რის გამო ის იხსნის ქანთხისმგებლობას ტექსტის სისწორის საქმეში. მართლაც, გამოცემა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, რადგან ხელნაწერს, რომლის ფოტოპირები ეხლა ხელთა გვაქვს¹, ის არა თუ ართოგრაფიით, არამედ წაუთხვე-ბითაც კი სცილობდა.

სომეხ მარჯვლ-მოღვაწეთა წამება-ცხოვრებათა წიგნების ქართული თარგმანების პირველი გამომცემელი ამძველები თარგმანის ენასაც, კერძოდ ლექსიკასაც დაჰკვირ-ვებია. ამასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს საგულისხმო მოსახრება მთარგმნე-ლის ვინაობის შესახებ. ის გარემოება, რომ თარგმანებში «უხვად მოიპოვება უთარგმნე-ლად გამვებული სომხური სიტყვები, უსწორ-მასწორ სტილი და ნარევი ართოგრა-ფია, წერს პროფ. ალ. ხახანაშვილი, მოწმობენ, რომ... სომეხი წმიდანების ცხოვ-რებათა თარგმანი, როგორც მოსალოდნელი იყო შესრულებულია სომხურიდან სომ-ხისავე მიერ, რომელსაც მტკიცედ ვერ შეუთვისებია სტილი და კონსტრუქცია ქარ-თულისა»². რომელია უთარგმნელად გამვებული სომხური სიტყვები, ან რაში გამთიბა-ტება სტილის უსწორ-მასწორობა, არსად აქვს ნაჩვენები. ივტორს.

ათონის «მრავალთავში» და კერძოდ მასში. დატურმა ცხოვრება-წამებათა იმ წიგ-ნებმა, რომლებსაც ხვენ აქ ვიხილავთ და ვაქვეყნებთ, სხვა მკვლევრების ყურადღებაგ მიიპყრა³.

¹ მივიღეთ ლენინგრადიდან ამ რვაოდე წლის წინათ. გადაღებულია იმ ფოტოებიდან, რომ-ლებიც თავის დროზე აქად. ნ. შარვა დაამზადა ათონს.

² Материалы по реч. археологии... გვ. XXIV.

³ ამ მრავალთავიდან ა აქად. ნ. შარვა და პროფ. ალ. ხახანაშვილს ვარდა სხვებმაც გამოსცეს ტექსტები. პროფ. ი. ყიფშიძემ «ანტონი რავისის წამების» გამოქვეყნებისას (Хрест. Востока, II) ისარგებლა ათონური ნუსხითაც. ასევე იყენებდა ამ ხელნაწერს, ანდა იღებდა მართოდენ შიგან ტექსტებს აქად. კ. კეკელიძეც თავისი Кетмена-სათვის, რომ-ლის მხილვად პირველი წიგნია ჭერჭერებით გამოცემული. ასეთებია: 1. «წამება... მასი-ლი ჰამელ ეპისკოპოსისა»; 2. «სინა-რაჰთის მამათა ცხოვრება»; 3. «წამება წმ. ბა-ბილაჰსი და სამთა ყრმათა მოწაფეთა მისთა»; 4. «წამება წმ. ტიმოთისი, შავლე მცობელის მოწაფისა»; 5. «წამება... კვროსისი და იოვანშისი...»; 6. «წამება წმ. ივ-ლიანე ემეჩელისა»; 7. «წამება წმ. ფილევტიონისი»; 8. «წამება წმ. მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა... საბაჰსისა»; 9. «წამება წმ. ლონგინოზ ასისთავისა» და 10. წამება წმ. მარკოზ მახარებლისა. მანვე გამოიყენა «ახლ ტფილელის წამების გა-მოქვეყნების დროს (ნ. შარვა «ადრინდელი ფილადელური ქართული ლიტერატურა», თბილ-სი, 1935 წ.) «ათონის მრავალთავის» ტექსტიც. ბელგიელმა ორიენტალისტმა P. Peeters-მა სტენბურღი «მრავალთავიდან» გამოსცა «ცხოვრება ღიონოსიანისი» (Analecta Bol-landiana, t. XXXIX, Bruxelles, 1924, გვ. 293-313). აქად. ნ. შარვა იმ ტექსტებს ვარდა, რომლებიც Le Syriacaire ფოთვლენ-ში მოთავსა, ცალკე აქვს კიდევ გამოქვეყნებუ-ლი: 1. «წამება სპევსიპესი, ელასიპესი და მელასიპესი» (Зан. Вост. Одр., т. XVII, стр. 285-344) და 2. «წამება ცხრათა მამათა კოლაელთა» (Тексты и Различия... , кн. V).

აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნულ წიგნთაგან შერჩევით რამდენიმე განხილვა თავის წიგნში: « ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I (თბ., 1935 წ.). ესენია: 1. « წამება წმ. მესტუავეთა »; 2. « სიტყუანი წამებისათვის წმ. ოსკისი და მკურანთა მისთა »; 3. « წამება არისტაკაშის, ორფანაშის, ოსიკისი, ვრიგორისი, დანიელისი »; 4. « წამება დავითისი და ტირიქანისი »; და 5. « წამება იზიდბაზილისი ».

ეს ძეგლები მკვლევარ-ისტორიკოსს უმთავრესად იმ მხრით აინტერესებდა, რომ ვაერკვია, თუ რამდენად არიან ისინი გამოსადეგი, როგორც საისტორიო წყაროები, სომხეთის ისტორიის ადრინდელი ხანისათვის. ჩვენ მიმოხილვა, წერს ავტორი, ამ ნაწილში ქართულ-სომხური ტექსტების შედარებითსა და დედნის ტექსტის თავისთავადს შესწავლაზეა დამყარებული და მხოლოდ ისეთ ძეგლებს ეხება, რომელთაც ასე-თუ-ისე ისტორიული ელფერი ადევს¹. ყოველი ძეგლი აკად. ივ. ჭავჭავაძის განხილვის აქვს გარკვეული გეგმით. ჯერ ის მოკლედ თვითურთის შინაარსს გადმოსცემს, შემდეგ მოქმედი პირების მოღვაწეობის ხანასა და ძეგლთა აღმოცენების დროს არკვევს და დასასრულ - ავტორის ვინაობას, მის სულისკვეთებასა და ნაწარმოების ფასს ისტორიისათვის. გზადგზა საუბარი აქვს აგრეთვე დედნისა და თარგმანის მიმართებაზე, უკანასკნელის თვისებებსა და წარმოქმნის ხანაზე.

აკად. ივ. ჭავჭავაძის მრავალმხრივ საგულისხმო მიმოხილვიდან ნათლად ჩანს; რომ განსვენებული მეცნიერი დაინტერესებული ყოფილა სომხური აგიოგრაფიული მწერლობიდან. განსაკუთრებით ისეთი ძეგლებით, რომლებიც ქრისტიანობის ისტორიის ადრინდელ ხანას ეხება. მათი კრიტიკული შესწავლით ავტორი იმ დასკვნამდის მიდის, რომ თათქმის ყველა განხილული ძეგლი მათში აღწერილი დროისა არ არიან; გამოიყურებიან გვიანდელი ხანის ნაწარმოებად, რომლებიც, მართალითა, ადრინდელ წყაროებს ეყრდნობიან, მაგრამ ისეააან გადამუშავებული, რომ თვალნათლივ მოჩანს მათში გარკვეულ ექაქმის აზრთა ანარქული და გაბატონებულ თეორიათა ზეგავლენა. მაინც რა ხნისაა, ანდა რა ლირებულებისა ისტორიისათვის ავითურელი მათგანი, ამათზე მკვლევრის შეხედულება ძეგლების სათითაოდ განხილვისას მოგვყავს ქვემით. აქ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ აკად. ივ. ჭავჭავაძის მტკიცებით ქართული თარგმანები არ შეიძლება IX ს-ის დამდეგზე ადრინდელი იყოს, რადგან ამას მოწმობს გარკვეული შინაარსით ნახმარი ზოგიერთი ტერმინი, რომლებიც აქ მოცემული შინაარსით ან სახით წინათ არ შეიძლება არსებელიყა ქართულში. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს სომხურიდან მომდინარე თარგმანად მიანიჭია « დავით და ტირიქანის წამება », რომელიც IX ს-ის შუა წლებისათვის არის დაწერილი.

მხოლოდ ათონის « მრავალთავით » ცნობილი « კლაელოა წამება », როგორც ქართული აგიოგრაფიის ორიგინალური ძეგლი, ცალკე აქვს განხილული აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ. თავის იმ ნაშრომში, რომელიც უკვე ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულ განხილვას შეიცავს². მისი აზრით ეს ძეგლი პირვანდელი სახით

¹ ივ. ჭავჭავაძის მიერ, ძვ. სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 4.
² ივ. ჭავჭავაძის მიერ, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგნი I: ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა (V-XV სს.). მეორე შეესხებული გამოცემა, თბილისი, 1921 წ.

არ არის ჩვენამდის მოღწეული, იგი IX ს-ში „ძველი დედნითგან გადაკეთებული და შემოკლებული“.

«ღავით და ტირიჭანის წამების» სომხურიდან მომდინარეობას აკად. კ. კეკელიძეც იწყნარებს. იგი ამ ძეგლსა და «კოლაელთა წამებას» შორის ნათესაობას ხედავს და ამიტომ ორივე სომხურიდან ნათარგმნად მიიჩნია, არა უადრეს IX ს-ისა¹.

სხვა მკვლევარაგან, რომლებიც სპეციალურად შეჭებთან ათონის «მრავალთავის» იმ ძეგლებს, რომლებიც ჩვენ გვიანტერესებს, აღსანიშნავი არიან კიდევ ბელგიელი ორიენტალისტი P. Peeters-ი და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი.

P. Peeters-ი ათონის «მრავალთავით» დიდად იყო ყოველთვის დაინტერესებული. არა ერთგზის იხსენიებს ის თავის ნაშრომებში ამ კრებულს. მისთვის, ისე როგორც აკად. ნ. მარისთვისაც, ეს კრებული ნაყოფია ქართულ-სომხურ მართლმადიდებელი ეკლესიების ერთიანობისა, რაც გარკვეულ დროს სუფევდა ტრაკლარ-ქეთს, სადაც უნდა იყოს ის შედგენილიცა². სომხური აგიოგრაფიის იმ ნაწარმოებთაგან, რომლებიც ამ ხელნაწერში მოიპოვება, მას ზოგი საგანგებოდ აქვს განხილული და ზოგიც სხვათა შორის, სხვა საკითხებთან დაკავშირებით. საგულდაგულოდ მას შესწავლილი აქვს იზიდობზიდის მარტვილობის წიგნი, რომლის ლათინური თარგმანი გამოსცა კიდევაც სომხურ ტექსტთან ერთად სათანადო გამოკვლევითა და შენიშვნებით³. ასევე ცალკე აქვს განხილული და ლათინურად ნათარგმნი «მუშანიკის მარტვილობაც», სახელობრ სხენებულ «მრავალთავში» წარმოდგენილი ე.წ. მოკლე წიგნი, რომლის ქართულად გადმონათარგმნას ის 940-944 წ.წ. შორის სდებს⁴. მეათე საუკუნეზევე მოდის მისი ანგარაზით «იზიდობზიდის წამების» თარგმანიც (966-972 წ.წ. შორის)⁵.

აღნიშნული გარდა P. Peeters-ის ეკუთვნის აგრეთვე პირველობა ათონის «მრავალთავში» დატული ერთი ძეგლის ძველად, IX ს-ში შესრულებული ძველი თარგმანის შიკვლევისა და დამტკიცების საქმეში. ესაა «ცხოვრება დიონისიოსის».

¹ აქვე, გვ. 37.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძვ. მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 480-481.

³ P. Peeters. Traductions et traducteurs dans l'hagiographie orientale à l'époque byzantine. «Analecta Bollandiana», t. XL, fasc. III et IV, გვ. 241-296, Brux. 1922.

⁴ De Sancto Isobozeta, martyre in Perside. Commentarius praevius, p. p. 191-203; Passio S. Isobozetae, p. p. 204-213 «Acta Sanctorum, novembris collecta digesta illustrata ab Hippolyto Delahaye et Paulo Peeters, tomus IV... Bruxelles, 1925.

⁵ P. Peeters. Sainte Sousanik, Martyre en Arméno-Georgie. «Analecta Bollandiana», t. LIII, fasc. III et IV, Bruxelles, 1935.

⁶ «Analecta Bollandiana», t. LIV, p. 399: რეცენზია აკად. ივ. ჯავახიშვილის წიგნზე - «ძველი სომხური საისტორიო მწერლობა», წიგნი I, თბილისი, 1935 წ.

სი», რომელიც მან გამოკვლევასთან ერთად გამოსცა კიდევაც (საკუთარი ლათინური თარგმანითურთ) აღნიშნული «მრავალთავის» ნუსხის მიხედვით.¹

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს განხილული აქვს მხოლოდ ერთი ნაწარმოები: «წამებაჲ მესუჯვეთაჲ». თავის ნარკვევებში² ავტორი განსაკუთრებით ყნებდა ამ ძეგლის გამომდინარე ძველს ქართულ მწერლობაში. ამასთანავე აკეთებს ზოგიერთ შენიშვნებსაც დედნის აღმოცენების ხანის განსაზღვრისა და ძეგლის, როგორც საისტორიო წყაროს. მნიშვნელობის შესახებ. მისი აზრით „ეს ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს მე-V-VI საუკუნის განმავლობაში... თუშეა თვით ამ ძეგლს, სომხურ დედანს, რომელიც შენახულა ხხვადასხვა ვერსიებით, მთუღწევიან ჩვენამდე მხოლოდ მერმინდელ დროს, საყმათღ გადაკეთებული და, ამასთანავე ერთად, გადამახინჯებული სახით“. როგორც საისტორიო წყაროდ გამოსადეგი ნაწარმოები მას იგი სრულიად უმნიშვნელოდ არ წარმოუდგენია: „მოიპოვება ზოგიერთი ადგილები, რომელთაც რეალური ვლფური აქვთ და ამიტომ გამოსადეგი არიან ვითარცა ისტორიული წყარო“.

სხვა ძეგლების მიმართ კი ხსენებული ავტორი იწყნარებს სხვების მიერ გამოთქმულ ამართულ მოსაზრებას, რასაც ორიოდ სიტყვით აღნიშნავს თავის სახელმძღვანელოში: სომეხ მარტვილ-მოდვეწეთა მარტვილობა-ცხოვრებათა „ტექსტები მოიპოვება ქართულ თარგმანში, რომელიც დაცულია ათონის ივერიის მონასტრის X საუკუნემდე (sic!) გუდაწერილს ერთ-ერთ ხელნაწერში. ხოლო ქართული ვერსიების არსებობის ფაქტს უაღრესი მნიშვნელობა აქვს სომხური დედანების შესასწავლად, კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სომხური პრიტორტივი დაკარგულია (მაგ., დავით და ტირიქანის ცხოვრება)“.³

ასეთთა მოკვლელ შეხედულებები ათონის «მრავალთავისა» და მასში შემავალ ჩვენთვის საგულისხმი ძეგლებზე იმ მკვლევარებისა, რომლებიც მათ შეჭებთან. თავი რომ მოუწყაროთ მათ მიერ გამოცანილ დასკვნებს ძირითად კითხვებზე, შემდეგ სურათს მივიღებთ:

1. ათონის «მრავალთავის» X ს-ის ხელნაწერს წარმოადგენს (აკად. ნ. მარი და სხვები, ვარდა აკად. კ. კეკელიძისა, რომლის საბუთით ის XI ს-ის დამდეგსაც შეიძლება იყოს დაწერილი“).

2. «მრავალთავის» ხელნაწერი პირველ დედანი არაა; მასში შესული ძეგლების ზოგიერთი ბდგილები მოწმობს, რომ ისინი ასომთავრულად ნაწერი დედნიდან მომდინარეობენ (აკად. ნ. მარი).⁴

¹ P. Peeters. La version Ibéro-arménienne de l'authographie de Donyz d'Azéropagite. «Anal. Bolland.», t. XXIX pp. 277-292; 293-313 (ტექსტი).

² ლ. მელიქსეთ-ბეგი, სუქაველი ძველს ქართულ მწერლობაში, «ფილოსოფიის უნივერსიტეტის მოამბე» VI, 1925 წ. გვ. 125-135.

³ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქველა სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941წ. გვ. 61-62.

⁴ კ. კეკელიძე, აღნიშნული ფილ. ქართ. ლიტ-რა, საკვ. I, თბ., 1935, გვ. 13.

⁵ დაკვირვება სწორი ჩანს იმ ნაწილისთვისაც, რომელიც სომეხ მარტვილთა წიგნებს შეეხება. ნერსეს არქიეპისკოპოსის მარტვილობაში მაგ., «იფრეა» გვაქვს «იფრეა» შეივრ

3. «მრავალთავი» ამ დროსაა შედგენილი, როცა ქართულ-სომხური დიოფიზიტური ეკლესიების თანამშრომლობა სუფევდა, რაც გარკვეულ ხანაში მიმდინარეობდა ტაიკლარტეთში (აქად. ნ. შარი, P. Peeters-ი).

4. სომეხ მარტვილ-მოდვეშეთა ცხოვრება-წამების წიგნები, რომლებიც ათონის «მრავალთავშია» შესული, უეჭველად სომხურიდანაა ნათარგმნი, მათ რიცხვში «დავით და ტირიჭანის წამებაც», რომლის დედანი სომხურად არ შენახულა (აქად. ნ. შარი და სხვები).

5. «დავით და ტირიჭანის წამების» შესავსად «ცხრათა ძმათა კოლაელთა წამებაც» სომხურიდან ნათარგმნი ჩანს, რადგან უკანასკნელს პირველთან ენობრივი და შინაარსობრივი ნათესაობა ახასიათებს (აქად. კ. კეკელიძე), თუმცა აღრიღებული ისეთი აზრითაა გაგვირცელებული, რომ «კოლაელთა წამება» ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს (აქად. ნ. შარი, აქად. ივ. ჯავახიშვილი და სხ.), 18 ს-ში გადაკეთებულსა და შემოკლებულს (აქად. ივ. ჯავახიშვილი).

6. ათონის «მრავალთავში» წარმოდგენილი სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანები, აქად. ნ. შარის შეხედულებით, ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ერთობის დროს თუ არა, მანამდის მაინც არის ნათარგმნი, სანამდის ამ ეკლესიების განხეთქილებით გამოწვეული რელიგიური შური და მტრობა გაძლიერდებოდა, ე.ი. VII ს-ის გასულამდის, ან VIII ს-ის დამდეგამდის.

აქად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, თარგმანები იმ ძეგლებსა, რომლებიც მან სპეციალურად განიხილა (მუსუკავეთა, ოსკიანთა, გრიგოლ განმანათლებლის შემკვიდრეთა, იზიდონიისა და დავით-ტირიჭანის მარტვილობებისა), 18 ს-ზე აღრიღებული ხანისა არ შეიძლება იყოს ენობრივი, კერძოდ კი ტერმინობრივი მახვევებლების გამომავალი ნიშნის მიხედვით. მისივე შეხედულებით, ქართული ორიგინალური ნაწარმოები «კოლაელთა წამებაც» ამ ხანაშია გადაკეთებული და შემოკლებული.

P. Peeters-ი კი სომხური აგიოგრაფიის ძეგლების ზემოაღნიშნული ქართული თარგმანებიდან ზოგიერთების აღმოცენებას (შუმანიკისა და იზიდონიის მარტვილობებისას) X ს-ის სხვადასხვა წლებით განსაზღვრავს.

7 ქართული თარგმანების შემსრულებელი, პროფ. ილ. ხახანაშვილის აზრით, სომეხია. ეს იქიდან ჩანს, რომ თარგმანებს შემონახული აქვთ სტილბრივი და ლექსიკური არმენიზმების ნიშნები (სხვა მკვლევრებთან ასეთ კითხვას სრულიად არ ვხვდებით).

8. ქართული თარგმანების სომხური დედნები, აქად. ნ. შარის შეხედულებით, VIII ს-ის შუა წლებიდან მაინც უნდა მომდინარეობდნენ, თუ უფრო აღრიღდნენ არა. აქად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით კი ისინი აღრიღდნენ წყაროებს ეყრდნობიან, მაგრამ ისე არიან გადაშეშავებული, რომ მერმინდელი გარკვეული ეპოქის დარი აფყვია თვითიველ მათგანს.

(71, 16), ხოლო გრიგოლ განმანათლებლის შემკვიდრეთა მარტვილობაში «გუემა» მინიშნება «გუემა-ის» ნაცვლად, რაც ასომთავრულით ნაწერი დედნის უმართებულად წაკითხვის ნაყოფი ჩანს.

ეგზეგეტიკური შინაარსის ერთადერთი ძეგლი, რომლის თარგმანი ჩვენთვის საგულისხმოდ პერიოდზე მოდის (X-ის პირველ ნახევარშია აღმოცენებული თანახმად ანდერძისა, რომელიც მის მთარგმნელს, დარჩის, ეკუთვნის¹), მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის ჩვენამდის მოღწეული. ესაა ცნობილი «შატბერდის კრებულის» ნუსხა, რომელიც 973 წლის ახლოს ჩანს დაწერილი. იგი ძირველად აკად. ნ. შარმა აღწერა მეცნიერულად². მის შემდეგ ამ ხელნაწერმა სხვების ყურადღებაც მიიპყრა. ბუნებრივია, რომ მკვლევართა უმრავლესობის ინტერესი განსაკუთრებით ამ ხელნაწერში მოთავსებულმა «ქართლის მოქცევამ» მიიქცია.

აკად. ნ. შარმა უფრო მეტად ამ კრებულის იმ ძეგლების შესწავლას მიაპყრო ხელი, რომლებიც სომხურიდან მომდინარე აღმოჩნდა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს მას იმისთვის ესაჭიროებოდა, რომ გეარკვია სომხური ლიტერატურის გავლენის სფეროდ ძველ ქართულ მწერლობაზე³. უმთავრესად ენობრივი მახვევებლების მიხედვით აკად. ნ. შარმა სომხურიდან თარგმნილად დაადგინა ხსენებულ კრებულში წარმოდგენილი იქალიტე რამაელის თხზულებები და «ფიზიოლოგი». იქალიტეს ნაწარმოებთაგან მან მხოლოდ «თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲს» ერთ ნაწყვეტს დაუძებნა შესატყვისი სომხურში⁴ და გამოსცა ქართული ტექსტი სრულად, ისე როგორც «ფიზიოლოგი»⁵. იქალიტეს ნაწარმოებთა ქართული თარგმანების აღმოცენების ხანად მან მიიჩნია ექალიტა სომხური და ქართული ეკლესიების ერთიანობისა და საზოგადოდ სომხურის გავლენისა ქართულ მწერლობაზე, რაც, რამდენადაც შეგვიძლია ჭრჭერობით ვამტკიცოთ, არ გადასულა მეცხრე საუკუნეში⁶. მართა-

¹ ნ. უენიშენები, ქ, გვ. 197-198.

² Исполит, Толкование Песни песней. Груз. текст по рукописи XV. исследование, перевод и примеч. Н. Марр. «Тексты и Разыскания... III, СПб, 1904, გვ. I.

³ იქვე, გვ. III.

⁴ იქალიტე რამაელის სხვა თხზულებათაგან სომხეთის ხელნაწერ კოლექციებში დაუძებნე-
აგრეთვე, კარაქე ტერ-შარტნიანის ერთი ცნობის მიხედვით (სმ. ჯ. 144-145, გვ. XXXVI-XXXVII
«დავითისა და გილიათის განმარტებაჲს» რამდენადმე სრული შესატყვისი ტექსტი, რომელიც ცალკე
გვაქვს მოზარდებული გამოსაცემად ქართულთან ერთად. ქართული თარგმანი იმავე თვისუბი-
საა, როგორც «ქება ქებათაჲს» განმარტება.

«შატბერდის კრებულის» სხვა ტექსტებიდან ქართულთა აგრეთვე სომხურ ხელნაწერებში რამ-
დენადმე შესატყვისის იმ სტატიისასაც, რომელსაც სათაური მიფხევილი აქვს და რომელშიც
საუბარია «ექვსთა დღეთა ქმნილებაზე, საღვთო წერილის წიგნებზე, ხაწყაოსა და ასო-
ებზე», ისე როგორც იმ «მადიანის» რამდენადმე შესაბამისისაც, რომელშიც საუბარია
«სპარსეთ-ეგვიპტისა და ბიზანტიის მეფეებზე». არიან თუ არა ისინიც სომხურიდან
თარგმნილი, ჭრჭერობით არ შეგვიძლია რისამე გადაჭრით თქვა, რადგან ხელმოხაჯილი
გარკვეული ნიშანი თათქის არა ჩანს.

⁵ Физиолог, арм.-груз. извѣд. Груз. и арм. тексты исследования, примеч и перевод
Н. Марр. «Тексты и Разыскания... VI, СПб, 1904.

⁶ Исполит... გვ. XVII. უკანასკნელ ხანს იქალიტე რამაელის ნაწარმოებთა ქართუ-

ლია, მას წარმოადგენს იყოს, რომ « შატერდის კრებულშივე » დაკვირვებული უპიფანე კვიპრელის « თარგმანებად დაკითხის ფსალმუნებისა » მასზე ღრუბლიანი ანდერძის თანახმად X ს-ის პირველი ნახევარი თარგმანია, მაგრამ ამაზე, იმავე ანდერძის ავტორის განცხადებით მიხედვით, შენიშნავს, რომ ასეთი თარგმანები გამოჩაქის შემთხვევებში სრულდება დაღა? « ფიზიოლოგი » კი ისეთ აღრიხნდელ თარგმანად, როგორც იპოლიტეს ხსენებული ნაწარმოების თარგმანია, მას აბ წარმოუდგენია. იგი VIII ს-ის გასულის ანდა IX ს-ის დამდეგისაა? ამასთან ტექსტის დამახასიათებელი დიალექტური მხარეები პირველთან შედარებით არა მარტო ახალ ღრის გვანიშნებს, არამედ

და ანდერძის ადგილებს დროის განსაზღვრებისათვის აუღ. კ. კეკელიძემ ერთი საყურადღებო დაკვირვება გამოიტყუა: « ციტატი იპოლიტე რომელიდან გიორგი მერჩულის შრომაში » (საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის შრომები, IV, გვ. 269-272), რომლითაც დადგენილია. ფაქტი, რომ გიორგი მერჩულის ნაწარმოებში მოიპოვება ერთი ადგილი, მსგავსი იპოლიტეს იმ ქართული თარგმანის ბოლო ხაზებსა, რომლის სათაურია « დაკითხისთვის და გლოთათისთვის ». ეს ციტატი, რომელიც მერჩულის თხზულებაში ისეა წარმოდგენილი, როგორც საბა იშხნელის ნათქვამი მაგრამ კურაპალატისათვის, აუღ. კ. კეკელიძეს აფიქრებინებს, რომ ის ნამდვილად საბას სიტყვებია და არა გიორგი მერჩულის მიერ ამოწერილი იპოლიტეს ხსენებული შრომიდან ამოწერილი იპოლიტე არ შეიძლება იყოს, რომ ის განსხვავება, რომელიც მაინც შეინიშნება წყაროსა და ციტატის შორის, მერჩულს კი არ შეუძლია ჩაეღწინა, არამედ ამ წყაროს ქართულად შთარგმნელს, რომელსაც დასჭირდა მისი ექსპლიკატორი შევანაო. ხოლო ჩამდენდაც ექსპლიკატორი მთქმელი საბა იშხნელია, იმდენად იპოლიტეს თხზულებაში შთარგმნელიც ის უნდა იყოს, რომელსაც თარგმანი უნდა შეესრულებინა იშხნის 836-842 წლებს შორისა.

აღნიშნული მისაზრების გაზიარებას ზოგიერთი გარემოება უშლის ხელს. მთავარი ამ მხრივ ისაა, რომ საბას მსგავსად ეს ციტატი გიორგი მერჩულსაც შეუძლია მიეყვანა იპოლიტეს შრომიდან შეპირად და ხუცოლებელი არ იყოს თვით თარგმანში ექტორა და ისე გადმოეწერა ის. ამაზე რომ ვაძიებთ, მხედველობაში გვაქვს მერჩულისავე ნაწარმოებში მოცემული ერთი სინტაქსი ადგილი, რომელიც გრიგორ ხანძთელის გულისხმიერებას გადმოსცემს სწავლის საქმეში (მ. 89-47). მის მსგავსად გიორგი ალექსანდრიელის « მთავარი იქროპირის ცხოვრების » უძველეს ქართულ თარგმანში, რომლის ნუსხას ჩვენამდის უნდა წილიდან მოუღწევია (ნ. ხეში: « ქართული წიგნები ითანე იქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ქართულ მწერლობაში ». პნოპის შრომები, XIV, გვ. 69). კავშირი ხსენებულ ადგილებს შორის ხავეჭვად არ უნდა იყოს, და რა გუნდის იხილი ერთმანეთს არც ეხლა ხვდებიან, როცა ციტატი სხვისი პირით ნათქვამი აღარაა, ამიტომ გიორგი მერჩულისათვის ვეღარ ვიტყვი, რომ მას ახასიათებდეს ამათურად წყაროსი ხარვეჭლობის შემთხვევაში, როდესაც ის კანონიერი ტექსტი არ იყო, წყაროდ გამოიყენებულ ადგილებს უთუოდ შეჭმინებენით გამოიკრება. ამრიგად, საკითხი, თუ რაღისაა თარგმნელი ქართულად იპოლიტეს თხზულებანი, თუ არ ენობრივი ნიშნებით, სხვაგვარად ქვემოთ იხილავთ, ხოლო ხსენებული ნიშნებით; როგორც ეს აუღ. ნ. შანს აქვს დადგენილი, ეს თარგმანები IX ს-ის დამდეგზე გვიანდელი არა ჩანან და შეიძლება, ტოპოგრაფიის არც უნდა უკავშირდებოდნენ.

1 იპოლიტე... გვ. XV.
 2 ფიზიოლოგი... გვ. XLV.

ასარ აღვიღსა და დოკუმენტურ გარემოს, სადაც ისაა შესრულებული. ეს ახალი ადგილი კი მისი მოსაზრებით ტაო-კლარჯეთია.

აკად. ნ. შარის მოსაზრება, რომელიც მან «ფიზიოლოგის» ქართული თარგმანის წარმომობის შესახებ გამოთქვა, ძალაში რჩება დღესაც, რადგან ის ახალი ნიშანიც, რომელიც მისი ზედმიწევნითი და უფრო დამატარებელი დათარიღებისათვის არის ბოლო-დროის დაძებნილი, სინამდვილეში ვითარებას არა სცვლის. ეს დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც აქ მხედველობაში გვაქვს, ძველი ქართული საკალენდრო ტერმინოლოგიის ხმაარებაა. ჰაველე ინგოროყვას მტკიცებით «ფიზიოლოგის» ქართული ტექსტი... ეკუთვნის ხანას, არა უგვიანეს VI-VII საუკუნისა¹. ეს განსაზღვრა დამყარებულია საკალენდრო ნიშანზე, სახელდობრ მასზე, რომ ამ ნაწარმიებში ქართული წარმართული საკალენდარი ტერმინოლოგია არის მიღებული². დავკვირვება, რომ ის ტექსტები, რომლებშიც თვეების ძველ სახელწოდებას ვხვდებით, აღინდელ ხანაში აღმოცენებას მოწმობს, სწორია, მაგრამ სულ ისე მარტივად არ ედება. ზღვარი ხსენებული ნიშნის შემცველი ტექსტების წარმოქმნას, როგორც ეს ხსენებულ მკვლევარს წარმოუდგენია. საქმე ისაა, რომ ის ტექსტები, რომლებშიც თვეთა ძველი ქართული სახელწოდებები მოიპოვება, უმთავრესად თარგმნილ ძეგლებს წარმოადგენენ და მათი შედარება წყაროდ ცნობილ თუ სავარაუდებელ უცხო ტექსტებთან ყოველთვის ერთნაირ შესაფასებლს არ გვაწვდის. უკანასკნელთან შედარებით ზოგჯერ ძველ ქართულ თვეთა რიგი, რომელიც წართებულად მოაყავს თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანს (რასაც აგრეთვე მხარს უჭერს ძველ სომხურზე დაცული ქართული თვეების სახელების ნუსხები, რომლებსაც ნშირად ვხვდებით სომხურ ხელნაწერებში. ამ საუკუნეიდან მოკიდებული), შენაბამის რიგს კი არ იძლევა, არამედ უფრო მეტად ერთით არა ხოლმე ნაკლები, მაგალითად, სომხურთან მიმართებით; იშვიათად აგრეთვე ერთით მეტიც ჩანს ხოლმე. ასე მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში «სთურისაჲ», რომელიც შემთხვეა ძველი ქართული წელიწადისა, სომხურისავე მეორე თვეს ჩიოხ-პარის უდრის, ერთს შემთხვევაში ის ასეთი შესაფასებლობით კი არა ჩანს წარმოდგენილი, არამედ ჩიოხ-პარის ქართულით («თაღელეოსის მარტვილობაში») ტირისკანა, ე.ი. ქართულის მესამე თვე შეესწორება. ასეთი ჯერჯერობით მარტო ერთი შემთხვევა ვიცი: უფრო მეტად, როგორც აღვნიშნეთ, ჰინუტუ ვითარება შეიხიშნება: ქართული თითო თვით ჩამორჩება ხოლმე სომხურის რიგს. ასე მაგალითად, ძველი ქართული წელიწადის მეხუთე თვე «აპნისი» თუ ზოგჯერ ზედმიწევნით სომხურის მეხუთე თვესვე ჟაღიფ-ქაღიფ-ს შეესაბამება, ზოგჯერ მეექვსე თვის ჟაღიფ-არაგის ბადლადაც არის მოცემული და სხ... ეხლა ასეთი მკვლევან უკვე ახსნილია. მასზე პასუხს აკად. კ. კეკელიძის ერთერთ ნაშრომში ვხვდებით³. ასეთი თანხვედნილობა და დაცობება იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ

¹ ჰაველე ინგოროყვა, რუსთაველის ეპიქის სალიტერატურო შემკვიდრება. «რუსთაველის კრებული», თბილისი, 1938 წ., გვ. 65. ² იქვე, გვ. 64-65.
³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი. «ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები», 1941 წ., გვ. გვ. 1-28.

როცა წელიწადით გამოიანგარიშებოდა ესათუის უცხო თვე ქართულად - აგვისტოს წელიწადით, რომელიც უმთავრესად VII ს-მდე იყო ხმარებაში, თუ სექტემბრის წელიწადით, რომელიც თანდათანობით შესცვალა აგვისტოს წელიწადი და IX ს-ის დამდეგამდე იხმარებოდა.¹

ამავე ხანის განმავლობაში, ე.ი. ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრებიდან IX ს-ის დამდეგამდე, სომხური მოძრავი წელიწადი დასაბამად არა ერთ თვეს იღებს; 468-472 წლამდის ასეთი იყო აგვისტოს ესათუის რიცხვი, ხოლო შემდეგში ყოველი 120 წლის შემდეგ დასაბამი თითო თვით იხვედა უკან, ე.ი. 472-592/96 წ.წ. შორის ის ივლისი იყო, 596-712/16 წ.წ. შორის - ივნისი, ხოლო 716-836/40 წ.წ. შორის - მაისი. მაშასადამე, დასაბამი თვეებით ქართულ და სომხურ წელიწადთა თვეების რიგი მხოლოდ 472 წლამდის ხვდება ერთმანეთს, ხოლო მერმე ისინი ურთიერთს სცილდებიან: ქართული უძრავი წელიწადი დასაბამად სექტემბერს იღებს, სომხური კი ჯერ ივლისს (პირველი 120 წლის განმავლობაში) და მერმე შესაბამისად ივნისს, მაისსა და ა.შ. ცხადია, უკანასკნელ შემთხვევებში, როცა სომხური და ქართული წელიწადების საწყისად სხვა თვეებია წარმოდგენილი (ივლისი - სექტემბერი/აგვისტო², ივნისი - სექტემბერი, მაისი - სექტემბერი...), უკვე მათი თვეების რიგი ერთმანეთს ერთი თვით კი არ ჩამორჩება (თუ წაემოტება), არამედ მეტით ამდენად ირკვევა, რომ ქართული და სომხური თვეების რიგი თუ ერთმანეთს ხვდება, მაშინ ისინი დასაბამ თვეებად აგვისტოს იღებენ, ხოლო თუ ერთით სცილდებიან (ვთქვათ სომხურის VI თვე ქართულში V-ით არის წარმოდგენილი), მაშინ სომხურის დასაბამი თვე ერთით რჩება უკან ქართულის ან აგვისტოსა და ან სექტემბრის წელიწადს (ივლისი - აგვისტო, აგვისტო - სექტემბერი). ამნაირად,

სომხური თვეების რიგი	და ამათი შესაბამისი		ქართულ თვეთა რიგს	ასე შეესაბამებოდა	
	472 წ-მდის (აგვისტო)	და 596 წ-მდე (ივლისი)		აგვისტო	სექტემბერი
1 სათაბარო	აგვისტო	ივლისი	1 ახალწლისა	აგვისტო	სექტემბერი
2 ზოთი	სექტემბერი	აგვისტო	2 სთულისა	სექტემბერი	ოქტომბერი
3 საბარბი	ოქტომბერი	სექტემბერი	3 ტირისკანი	ოქტომბერი	ნოემბერი
4 ნილი	ნოემბერი	ოქტომბერი	4 ტირისდენი	ნოემბერი	დეკემბერი
5 ჭაროყ	დეკემბერი	ნოემბერი	5 აპნისი	დეკემბერი	იანვარი
6 სარაყ	იანვარი	დეკემბერი	6 სურწყურნისი	იანვარი	თებერვალი
7 სეხეხასი	თებერვალი	იანვარი	7 შიბრკანი	თებერვალი	მარტი
8 სარბე	მარტი	თებერვალი	8 ივრიკა	მარტი	აპრილი
9 სეხეხასი	აპრილი	მარტი	9 ჯარღობისა	აპრილი	მაისი
10 სარბე	მაისი	აპრილი	10 მარბილი	მაისი	ივნისი
11 სარბე	ივნისი	მაისი	11 თიბისა	ივნისი	ივლისი
12 ზიოთი	ივლისი	ივნისი	12 ქუელთობისა	ივლისი	აგვისტო

¹ უფრო გვიან, აღნიშნულ თვეს აგვისტო.

² სექტემბერი. თანდათანობით სცვლის აგვისტოს. ამ რკალში ძირითადი მაინც აგვისტოა საფუძვლებელი.

«ფიზიოლოგის» ის ადგილი, სადაც ძველი ქართული თვის სახელი გვხვდება, შე-
 მდეგია: „და მივიდის არეგლ ქალაქად თთუესა მიჭრაკნისასა ვინა თუ ვარ-
 დობისასა“. სომხურ ტექსტში ამ ადგილს დასახელებულია *արეგ-არეგი*, ე.ი.
 მერვე თვე, რომელიც ქართულში «მიჭრაკნით», ე.ი. მეშვიდე თვით არის გად-
 მითვებული, მაშასადამე, ერთით ჩამორჩენილი სომხურს. როგორც აღვნიშნეთ, ასე
 თი ვითარება მაშინ იქმნება, როცა სომხური წელიწადის დასაბამი თვე აგვისტო
 და ქართულით გამოანგარიშებულია სექტემბრის წელიწადით, ანდა სომხურისა
 ივლისია და ქართული ნაანგარიშეგია აგვისტოს წელიწადით. პირველ შექსიკე-
 ვაში ხომხური ტექსტი 472 წლამდის აღმოცენებული იქნებოდა, ხოლო შემდგომ -
 596 წლამდის. «მიჭრაკნის» გვერდით «ფიზიოლოგის» ხსენებულ ადგილს ნა-
 ხმარია კიდევ «ვინა თუ ვარდობისაჲ». როგორ გავიგოთ ეს «ვინა თუ», არის
 ის «ანუ», ე.ი. «მიჭრაკანს» ძველად პარალელურად. «ვარდობისაჲც» ერქვა,
 თუ «ვინა თუ» არის «ან» (ან - ან). რადგან ქართულ «მიჭრაკანს», რომ პარა-
 ლელურად ოდესმე «ვარდობა» პრქმეიოდა, არ არის დადასტურებული (და ეს არც
 შეიძლება), ამიტომ აქ ეს «ვინა თუ» შეიძლება იყოს ნა-
 ხმარია. მთარგმნელმა, ცხადია, იცის, რომ «არეგი» მერვე თვეა, მაგრამ, რო-
 გორც წინა შემთხვევაში, მას ქართულ მერვე თვეს - იგრიკას - კი არ უპირისპი-
 რებს, არამედ ერთ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, - მიჭრაკანს - და შეიძლება
 შეცხრე თვეს - ვარდობას. მას შეეძლო აქ «იგრიკა» მოეყვანა, ის რომ სარგებ-
 სექტემბრის წელიწადით ანგარიშობდეს, მაგრამ ჩანს, რომ ის მას მხოლოდ აგვის-
 ტოს წელიწადით ანგარიშობს ორსავე შემთხვევაში და ამიტომ «არეგის» პირდაპი-
 რი საბადლო - «იგრიკა» - ხან «მიჭრაკნით» არის გადმითვებული და ხან «ვარდო-
 ბისაჲთ».

აღნიშნული ვარემოება მეტად საყურადღებოა, რადგან ის თითქმის ზედმიწევ-
 ნით ადასტურებს აქად. ნ. შარის შეხედულების სისწორეს «ფიზიოლოგის» აღმო-
 ცენების განსაზღვრის შესახებ როგორც სომხურს, ისე ქართულ ენაზე. აქად. ნ. შარი
 ამ ძეგლის თარგმნას სომხურ ენაზე VI-VII ს-ით საზღვრავდა, ხოლო ქართულისას,
 როგორც ზემოთაც ვახსენეთ, VIII ს-ის გასულით ან IX ს-ის დამდეგით. ზემოთ
 აღნიშნულმა ნიშანმა ვითარება უფრო ზედმიწევნით მოხაზა: სომხური ტექსტი 596
 წელზე გვიანდელი აღარ უნდა და აღარც ქართული თარგმანი IX ს-ის დამდეგზე
 გვიან შესრულებული. რაც შეეხება ამ ძეგლის ქართული თარგმანის ცვა-
 კლარჯეთ-
 ში აღმოცენებას, ეს ასეით აღრიხნული ხანისათვის შეიძლება ნაადრევი იყოს და
 ამდენად საცილობელიც.

იპოლიტე რომაელის ნაწარმოებებთანა და «ფიზიოლოგთან» ერთად, რომლე-
 ბიც მხოლოდ «მატერდის კრებულის» არიან ცნობილი, ჩვენ არც ამავე კრებულისა
 აღებულსა და ლონდონში პრინცი. *H. B. Laue*-ს მიერ გამოცემულს ეპიფანე კვიპრე-
 ლის «მატიასან თუალთათვის-ს». ვხდით საგანგებო საუბრის საგნად, თუმცა მისი

¹ Epiphanius de Gemmis by Herbert P. Laue, Ph.D., and Helen J. Lewis
 (A Studies and Documents edited by Fitzroy Laue, Litt.D., and Silva Laue, M.A.)
 ქართ. ზ. სომხ. ლიტერატ. უროიერობა

გამომცემელი დამატებებლად ამტკიცებს მის სომხურიდან მომდინარეობას და აკად. ნ. შარის მსგავსად მასაც ის ცალკლარტეთში მიაჩნია აღმოცენებული, არა უგვიანეს IX ს-ისა¹.

«შატბერდის კრებულის» ბოლოში მოიპოვება ერთი ცხოვრების წიგნიც: «ცხოვრება და განგებაა წმიდისა იაკობისი, რომელი ებისკოპოს იქმნა ქალაქსა სისიბინს». იაკობ სისიბელის ცხოვრება მოიპოვება სომხურადაც, ისიც რამდენიმე რელაქციით, რომელთაგან ერთერთის დასაწყისი² დაახლოვებით ისეთივეა, როგორც ქართულისა: «ამათ მსგავსად ასეაივე დასაწყისი ბერძნულ ცხოვრების წიგნსაც ჰქონია, რომელიც თურმე ვანზე თეოდორიტეს მიეწერება³. სომხური ცხოვრების წიგნები მკატოი ავკერიანის დაკვირვებით პირვანდელი სახით არ ყოფილა მოღწეული. სისიბელის ცხოვრების წიგნს, რომ რაიმე კვალი ეტყობოდეს სომხურობისა, ვიცოდით, მის დაგული აქვს დაკარგული რელაქცია სომხურისა, მაგრამ რამდენადაც მასში ასეთი რამ არ მოიპოვება, ამდენად ის უფრო ბერძნულიდან მომდინარე უნდა იყოს. ხსენებული მიწვევის გამო ეს ნაწარმოებიც აგრეთვე ვერაქცევა ჩვენი განხილვის საგნად.

ამრიგად, «შატბერდის კრებულის» სომხურიდან თარგმნილი მასალა, რომლის უმრავლესობას სათანადო შედამიწვევითი დედნები სომხურში ჯერხნობით ყოველთვის არ ეძებნება, აქ მხოლოდ ერთადერთი თარგმნილი ძეგლით გვაქვს წარმოდგენილი, რომლის უეჭველ მომდინარეობას სომხურიდან გარკვეულ ხანაში (X ს.) ამ ენებზე შემონახული მცირე ნაწილიც კი აღასტურებს მთარგმნელის ან დერძის შესაბამისად.

საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ძეგლი, რომლის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ ძველი ლიტერატურული ცნობა მიგვეპოვება, არის გრიგოლ ოშკელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის ერთერთი ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება: «სამხილებელი არიანობა და ევნუმიანოსთა...». ლიტერატურული ცნობა ამ თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ XI ს-ის ქართულ დიდ მეცნიერს, ცნობილ ეფრემ მცირეს ეკუთვნის. გრიგოლ ოშკელი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში X ს-ის მოღვა-

London: Christophers 1934.

«პატრიოსან თუალოთვს-ის» შესაბამისი სრული ტექსტე სომხურად ჯერ ცნობილი არაა, მხოლოდ მცირედი ნაწყვეტებია გამოყვეყნებული. სომხეთის ხელნაწერთა კოლექციებში ჩვენ მივაკვლიეთ ამ ძეგლის ბირველ ნაწილს, რომელიც R. B. A. E. S. გამომცემით ქართული ტექსტის 3-21 გვ. გვ. -ის მოცულობისაა. ვრცელი სომხური ტექსტა R. B. A. E. -საც უპოვნია ვატივანს, მხოლოდ არ გამოუქვეყნებია ჯერჯერობით, გეპირდება, რომ ცალკე გამოსცემს. საინტერესოა, რა ნაირი დამოკიდებულებაა მათ შორის!..

¹ იქვე, გვ. LXXXV. [უჩი 1874, გვ. 83-107.
² ქარე და ქსაქაქანოქისე არიოგ, რასრსრქიქ ქაილსაქ ქ ზაილსრქაგ, რასრ. F, ქსსს-
³ ქსასკაქარ ქარე და ქსაქაქანოქისე არიოგ... კიქისსა... ქ ს. Ա. Ա. ქსრსან... რასრ. D, ქსსს. 1814, გვ. 56-57.

წელ არის აღიარებული¹. XI ს-ის ერთადერთ ხელნაწერში (საქ. შუზ. ხელნაწ. A ფონდი № 87) დაყუდებული ხსენებული ძველის თარგმანი გადამწერის შენიშვნის თანახმად, რაც ერთგან ანთა-ზეა აღნიშნული, გრიგოლ ოშკელს მიეწერება; ასე რომ ეფრემ მცირის ცნობა უსაფუძ-ველი არაა.

გრიგოლ ნაზიანზელის თითქმის ყველა ნაწერია სომხურად ძველად ნათარგმნი². ისინი ერთი რედაქციისა ჩანან. როცა ამ სომხურ თარგმანს ვუდარებთ ქართულს, შეი-ნიშნება, რომ ქართული და სომხური ტექსტები ერთმანეთს არც სიახლოვითა და არც მი-ცულობით არ უდგება. ამის გამო უნდა აღგვეარებინა, რომ წყაროების ცნობა და გადა-მწერის განცხადება არ შეეფერება სინამდვილეს, ანდა უწყებაცა და მიწაწერაც სწო-რია, მხოლოდ დღეს არსებულ სომხურ ტექსტს გარდა ყოფილა კიდევ ძველად სხვა თარგმანიც, რომელიც გრიგოლ ოშკელს გადამოუღია. ჩვენ ეს ვარაუდი უფრო სწორი გვგონია, რადგან ქართულ თარგმანში ერთი ისეთი ნიი ანთა ვიპოვეთ, რომე-ლიც, თუ არ სომხურით, სხვანაირად ვერ აიხსნება (ნ. აშის შესახებ ქვემოთ, ნაწარ-მოების ცალკე განხილვისას).

გრიგოლ ნაზიანზელის კიდევ ერთი სიტყვა მოაჩინა აკად. კ. კეკელიძე გრიგოლ ოშკე-ლის მიერ თარგმნილად სომხური ენისაკენ. ესაა : «ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესა-რიოს ძმისა თვისისაჲ» (საქ. შუზ. ხელნაწერთა A ფონდი № 87; B ფონდი № 1696). ენა-ბრიკვად ეს თარგმანი ახლო დგას ამავე პირის ნათარგმნად აღიარებულ ზემორე აღ-ნიშნულ ნაწარმოებთან. ესეც მსგავსად პირველისა არ ხვდება სომხურ სათანადო ჰველ ტექსტს, რომელიც მხოლოდ ერთი რედაქციითაა სომხურად ცნობილი. ვერც რამე საგანგებო ნიშანი იძებნება ქართულ თარგმანში, რომლის მიხედვით შეგვეძლოს იქაფ ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, როგორც წინა შემთხვევაში, სახელდობრ ის, რომ ეს თარ-გმანიც ოდესღაც სომხურად არსებული ცალკე რედაქციის თარგმანია³.

ესენია ჩვენი მთავარი წყაროები, რომლებშიაც მოიპოვება ის თარგმნილი ქართუ-ლი ძეგლები, რომელთა სომხურიდან მომდინარეობა, IX-X ს.ს-ში, არავითარ ეჭვს არ იწვევს. არა თუ ეს ძეგლები, არამედ მათი შემცველი უძველესი ხელნაწერების უმრავლესობაც ამავე პერიოდის ფარგლებში თავსდება, ყოველ შემთხვევაში ლი-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, თბ. 1941, გვ. 151-152.

² გამოცემით კი მარტო ერთია გამოქვეყნებული : « შობისათჳს » : ჩიქრე ლ ჳაია რიგჯიან. 47, 1792. ნ. აკინიანის ანოთ ნაზიანზელის ნაწერები 450-572 წ.წ. შირის უნდა იყოს ნათარგმნი სომხუ-რად (ნ. ასიხნასა. იასასკას ნაქარქსე ლ ქიხნსასკას სქისქარესან რუიიყდ. ქიხნსა, 1932, გვ. 68). ³ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია... I², გვ. 151-152.

⁴ გრ. ნაზიანზელის ნაწერებიდან ძველ « მრავალთავებში » გვხვდება ორი თხზულება : 1. « შობის-ათჳს » (« ქე იშვებას, უგალობლით... ») და 2. « ნათლისღებისათჳს » (« ამა კუილად დღეს სიღუმ-ლოჲ... »), რომლებსაც აკად. კ. კეკელიძე IX-X ს-ის თარგმანებად მიიჩნევს, შესრულებულთ ტაო-კლარჯეთის უცსობ მთარგმნელთაგან (ქართ. ლიტ. ისტ. I², გვ. 591). სომხურობის რამე ნიშანი მათ არ მოეპოვება, ამიტომ ისინი შეიძლება ბერძნულიდან მომდინარეობდნენ. თუ კი ასეთი არ გამო-დგენენ, მაშინ საფიქრებელია, რომ ისინი სომხურიდან მოდიოდნენ, მაგრამ ჯერ მოუქველველი დედნებოდან (ნ. რეში « მრავალთავი », ენიშპის შიამბე, გვ. 248).

დად არ სცილდება მას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, «ათინის მრავალთავი» აკად. ნ. მარს X ს-ად მიაჩნდა, თუმცა აკად. კ. კეკელიძის საბუნების შეიძლება XI ს-ისაც იყოს. «შატბერდის კრებული», როგორც ეს ექ. თაყაიშვილმა¹ და თ. ჟორდანიამ² ვაარკვიეს, 973 წლის ახლო ხანსაა დაწერილი, ხოლო გრიგოლ ოშკელის თარგმანის შემსველი ხელნაწერი დაახლოებით 1065 წლის ახლოსაა დაწერილი³.

ქართულიდან სომხურად შესრულებული ერთი თარგმანის დედანი: «ცხორებაჲ დიონისიოსისი» - უძველეს ქართულ «მრავალთავებშია» დატული («ათინურს» - აქ 57-ში და ერთერთ «თბილისურში» - საქ. მუზ. ხელნაწ. A ფონდი № 19), ხოლო მეორე თარგმანის დედანი: «მარტვლობაჲ შუშანიკისი» XI ს-ის დამდეგის ერთერთ «თბილისურ მრავალთავშია» შენახული (საქ. მუზ. ხელნაწ. A ფონდი № 95⁴). «დიონისიოსის ცხოვრების» სომხური თარგმანის აღმოცენების დრო IX ს-ის 80-იანი წლებია, როგორც შთარგმნელის, ვინმე იოანე მკურნალის ანდერძიდან ირკვევა. იაკობ ცურტაველის «შუშანიკის მარტვილობა» კი X ს-ის დამდეგის ერთ სომეხ ავტორს, აპარან ვანანდელს აქვს გამოყენებული თავისი ერთი კომპილაციური ხასიათის ნაშრომისათვის: «მცხეთის ჭურის ისტორია-ში», სადაც ხსენებული მარტვილობა გამოყრებით ხანს შესული. ამრიგად, ხსენებული ძეგლების სომხურად აღმოცენების ხანა წინ უსწრებს ამ ძეგლების შემსველ ქართულ უძველეს ხელნაწერებს და ერთერთ ზღვარსაც წარმოადგენს, რომლის უგვიანეს არ შეიძლება ვიკარაუდოთ მათი შემქმნა ქართულ ენაზე.

როგორც ქართული თარგმანების სომხურ დედნებს, ისე ქართულიდან სომხურად თარგმნილ ტექსტებსაც ძირითადად ჯაიღლსიქი-ებში («მრავალთავებში») ვხვდებით. ესენი კი ისე ძველი არ არიან, როგორც ქართული ხელნაწერები. თუ ხსენებული სომხური ძეგლების ხელნაწერთა ფრაგმენტებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც შეიძლება «მრავალთავებისა» არც იყვნენ და ამასთან X-XI ს.ს-ისა ჩანან ხელის მიხედვით, სხვები, მთლიანი ტექსტების შემსველი «მრავალთავები», XII-XIII ს.ს-ზე ძველი არ მიიჩნევა. ყოველ შემთხვევაში სომხეთის ხელნაწერთა საცავებში არ შეგვხვდრია.

ქართულის შესახამის სომხურ ძეგლთაგან თითქმის არც ერთი არაა კრისტოკულად გამოცემული. აგიოგრაფიული ძეგლებიდან მხოლოდ «იზიდნოზისი: წამება» P. Peeters-ის მიერ სათანადოდ გამოქვეყნებული ლათინური თარგმანითურთ, რომელსაც თან ახლავს ალ. ხახანაშვილის გამოცემის მიხედვით მის მიერვე შესრულებული

¹ ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბილისი, 1890წ., გვ. LXXIX.

² თ. ჟორდანიას, ქრონიკები... I, თბ., 1892წ., გვ. 103.

³ G. D. Jördaniia, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, т. I, გვ. 87.

⁴ იაკობ ცურტაველი - მარტვლობაჲ შუშანიკისი, გამოც. ილია აბულაძისა, თბილისი, 1938წ., გვ. 51 (შენ.).

თარგმანის¹, და რამდენადმე აგრეთვე «დიონისიოსის ცხოვრების» სომხური თარგმანს ნ. აკინიანის მიერ, ვვიანდელი ნუსხების მიხედვით². სხვა ყველა დანარჩენი მოქმედ ჰაუსკასკანს-ის სერიაშია დაბეჭდული ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით. აქარონ ვანანდელის შრომა კი ისევ ხელნაწერებშია დამარხული. ამ ავტორის სახელით გამოცემული ის «ისტორია მცხეთის ჯვრისა», რომელიც ქრისტე მედიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა³, სინამდვილეში ამ ისტორიის მხოლოდ დასაწყისია. ეგზეგეტიკურისა და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური დარგის ნიმუშებს, რომელთაც ჩვენ ვაქვეყნებთ, დღემდის ბეჭდვითი გამოშვებებია არ ჰქონია. ყველა ამ გარემოებამ მოყარა მამუკიდა ხელი კრიტიკული გამოცემისათვის და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გამოყენებინა ყველა სომხური «მრავალთავი» (ჯამალსიქი), რადგან თუ სადმეა სხვანაირი ძეგლების ტექსტები საძებარი, ეს ისევ «მრავალთავ-ჯამალსიქი-ებში».

რას გვაწვდის ახალს ჩვენი ტექსტების შესწავლა, ესაა ეხლა მორიგი გასარკვევი კითხვა, რომელთადაც დაკავშირებულია ჯერ იმის გამოწვევით, თუ ზედმიწევნით რა დროის წარმონაქმნია ესათუის ძეგლი და მერმე - ვინაა შემოქმედი წერი, საიდან ჩანს ეს, და რაში მდგომარეობს ძეგლთა ენის თვისებები.

III. ქართული და სომხური თარგმანების წარმოქმნის დრო.

სომხურიდან თარგმნილი ქართული ძეგლების ერთი ნაწილი, სახელდობრ ეგზეგეტიკური და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებები, აღმოცენების ხანის მხრივ მკვლევართა შორის რაიმე ეჭვს არ ჰბადებდა და არც ამჟამად იწვევს. ერთ მათგანს თარგმანის შესრულების დროს მათუწყებლად მოეპოვება ანდერძი, რომელთაც დაახლოებით ირკვევა ეს თარიღი, ხოლო მეორეს დასახელებული ჰყავს მთარგმნელად ისეთი პირი, რომლის მოღვაწეობის ხანა აგრეთვე დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს. მსგავსი სურათი გვაქვს, როცა ქართულიდან სომხურად შესრულებული ძეგლების წარმოშობას ვარკვევთ: ერთგან აქვს («დიონისიოსის ცხოვრება») თარიღი შთიბრებამ, მათუწყებელი იმისა, თუ როდის ითარგმნა ეს ძეგლი, ხოლო მეორეგან («მუშანიკის მარტვილობა») მთარგმნელია დასახელებული, რომლის ვინაობასა და მოღვაწეობის ხანაზე ცნობები ზოგიერთ სომეხ ისტორიკოსთან გვხვდება. მხოლოდ აგიოგრაფიული შინაარსის ძეგლებია, რომ ანდერძსაცა და მთარგმნელის

¹ Passio s. Jshozetae. «Acta Sanctorum», novembriis, tomus IV, Bruxel-
lis, გვ. გვ. 204-213.

² Պատմութիւն սրբոյ Դիոնիսիոսի Եպիսկոպոսի Արիսպագայւոյ. «Խառնէս ԱՄ-
սարեայ», Կիևისა, 1914, გვ. 205-216.

³ Պատմութիւն սրբոյ Նշանիկ Նունի: Կրօնց Կան առաջնորդի. «Տեղեկագիր» ՍՍ
ՌՍ փորձությունների Ակադեմիայի հայկական ֆիլիალի, №9(14), 1941, გვ.61-63.

დასახელებასაც მოკლებულია, რის გამოც ისინი საგანგებო განხილვას საჭიროებენ მათი აღმოცენების დროის დასადგენად.

სომხურიდან მიმდინარე აგიოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანთა წარმოშობის ხანის განსაზღვრის შესახებ მკვლევართა შორის, როგორც წინა თავში შევნიშნეთ, აზრთა სხვადასხვაობა სუფიერს. ყველაზე უწინარეს ამ ძეგლებით დაინტერესებული მკვლევარი აკად. ნ. მარი თავის წინასწარ შენიშვნებში, რომლებიც მან 1899 წ. გამოაქვეყნა¹, იმ აზრისა იყო, რომ აღნიშნული ძეგლები (მათ რიცხვში «დავით და ტირიჭანის წამება») VII ს-ის გასულამდის ანდა VIII ს-ის დამდეგამდისა ქართულად თარგმნილი, ასეთ მოსაზრებას ის გარემოება ედგა საფუძვლად, რომ სომეხ მარტვილთა და მოღვაწეთა წამება-მოქალაქეობის წიგნები მას შემდეგ, რაც ქართლისა და სომხეთის ეკლესიები ურთიერთს გაეთიშნენ (VII ს-ის დამდეგს), შეუძლებელი იყო ქართულად ეთარგმნა ვისმეო. უკიდურეს ზღვრად აკად. ნ. მარი VII ს-ის გასულს ან VIII ს-ის დამდეგს დებდა, ე.ი. იმ მიმენტს, რომლიდანაც, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, იწყება „რელიგიური შუღლისა და ერთმანეთისაგან განდგომის“ გაქრო-ერება.

ზემოთ აღვნიშნავდით აგრეთვე, რომ შემდეგში აკად. ნ. მარი თავის წინასწარ დაკვირვებებს აღარ დაბრუნებია, თუმცაღა დაპირების, დაწვრილებით განვიხილავ საკითხსა, ის არა ერთგზის იძლეოდა. ერთხანს ის, ეცხობა, ამ შეხედულებას კიდევ იცავდა, როგორც ეს 1901 წ. გამოქვეყნებული ზოგიერთი ათონური ხელნაწერების აღწერიდან ჩანს², რადგან ის აქ აღნიშნულ თარგმანებს ისე უცქერის, როგორც სომხური ლიტერატურის გავლენის ნაყოფს ქართულს აღრინდელ მწერლობაზე. მაგრამ შერამე, მას შემდეგ რაც მან სომხურიდან თარგმნა მერშინდელ ხანაშიაც შესაძლოდ მიიჩნია, ქართული და სომხური ლიტერატურული ეკლესიების თანაარსებობის უამს ტაო-კლარჯეთში, საფიქრებელია, წინანდელი შეხედულება რამდენადმე შეეცვლიდა. ამის გამოხატულება უნდა იყოს მისი 1926 წლის ერთი გამონათქვამი, რომელიც ათონის «მრავალთავის» დასაწყისის ნაწილის გამოცემასთან დაკავშირებით მოგვცა. ათონის «მრავალთავი», ამბობს ის აქ შესაძლებლობის სახით, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულ სომეხთათვისაა განკუთვნილი³. კითხვას, თუ როდინდელია ამ კრებულში მოთავსებული სომხური აგიოგრაფიული ძეგლების თარგმანები, ის აქ აღარ შეხებია, ასე რომ საქმე გვაქვს ისევ მის აღრინდელ მოსაზრებასთან, რაც მას სხვაგან აშკარად არც შეუხსრივია და არც უარუყვია.

როგორც აქიდან ვხედავთ, აგიოგრაფიული ძეგლების თარგმანთა დასათარიღებელ საყრდენად მიღებულია ისტორიული პირობები ქართულისა და სომხური ეკლესიების ურთიერთობისა, მხოლოდ არაა საბოლოოდ განსაზღვრული, მაინც რომელი პერიოდია ამ თარგმანების წარმოშობის - ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ერთობისა, თუ ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული სომხური ეკლესიის ერთი.

¹ Н. Марр. Из поездки по Афон. ИСМНПР, № 87, стр. 1-24.

² Н. Марр. Описание пяти первоначальных рукописей. ЗБО, т. XIII, стр. 1-88.

³ La Synaxaire géorgien... Patrol. orient., XIX, fasc. 5, გვ. 638.

ფრთისა.

ისტორიულ გარემოებას აღნიშნული თარგმანების წარმოქმნის განსასაზღვრავად არც სხვა მკვლევარები უგულებელსყოფენ, მხოლოდ ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენობრივ მონაცემებსაც, კერძოდ ტერმინების სმარებას, სათანადო ანგარიშს უწევენ. ამ მხრივ ზოგიერთი ძველი IX ს-ზე აღრინდელად მათ არ მიაჩნიათ. ასეთნაირად ვადაქრა აღნიშნული საკითხი ზოგიერთი საგულისხმო ძეგლის მიმართ აკად. ივ. ჭავჭავაძის შვილმა, რასაც «დავით და ტირიჭანის მარტვილობის» თარგმანის შესახებ აკად. კ. კეკელიძე იწყნარებს.

სხვაგვარი ცდა, ვანსაზღვროს ზედმიწევნით სომხური აგიოგრაფიის ზოგიერთი ქართული თარგმანის აღმოცენების ხანა, P. Peeters-ს ეკუთვნის. მის საყრდენს თარგმანის აღმოცენების დასათარიღებლად დედანსა ზ თარგმანში მოსახსენებლად დადებული დღე წარმოადგენს. თვითეული ძველის ქართულ თარგმანს, როგორც საერთო წესი ამ დარგის ნაწარმოებთათვის, დასაწყისში, სათაურის წინ, მარტვილისა თუ მოღვაწის მოსახსენებლად ეკლესიის მიერ დაწესებული დღე აქვს დასახელებული. ჩვეულებრივ ის იგივეა ხილმე, რაც მარტვილისა თუ მოღვაწის აღსრულების დღედ ძეგლში მოხსენებული დღე, თუკი ასეთი რომელიმე მაგჯანს მოეპოვება. ქართულ თარგმანებში ეს დღე რომაული აღრიცხვით არის წარმოდგენილი. დასახელებულია ესათუის თვე რომაული სახელწოდებით და მის გვერდით მოთავსებულია ამ თვის რომელიმე რიცხვი. სომხურს შესატყვის ტექსტებში ასეთ შემთხვევებში ეროვნულ აღრიცხვას ვხვდებით. იქ თვე დასახელებულია ძველი სომხურა სახელწოდებით და მის გვერდით ამ თვის რიცხვია (შეცნობად ასოებით) გამოყვანილი. როგორც ცნობილია, ძველი სომხური წელიწადი მოძრავი იყო, ქართული კი უძრავი მსგავსად რომაულისა. სომხურიდან მომდინარე აგიოგრაფიულ ძეგლებს, რომელთაც მარტვილ-მოღვაწის ხსენება მოძრავი წლის მიხედვით ჰქონდა დადებული, ქართულად განმკარგველი მოსახსენებლად დედნის თარიღს უცვლელად ვერ დაუტოვებდა, რადგან ქართული ეკლესიის პრაქტიკაში უძრავი წელიწადი იყო მიღებული ძველად. განმკარგველს, ბუნებრივია, ის ქართულ აღრიცხვაზე უნდა გადასულიყვნა. ამის გამო სომხური თვის სახელწოდების შავიერ ქართულ თარგმანებში VII ს-დან რომაულს ვხვდებით. რიცხვებიც, რასაკვირველია, ამავე მიზეზის გამო ყოველთვის ერთნაირი არ შეიძლება იყოს. რომელ ვითარებასთან შეფარდებით შეიძლება იყოს. მოძრავი წლის თარიღები გადმოყვანილიყო უძრავისაზე, იმასთან, რომელიც პირველსა და მეორეს შორის შაშინ არსებობდა, როცა რომელიმე ძეგლი ითარგმნებოდა, თუ იმ მიმართებასთან შეფარდებით, რომელიც მათ შორის უნდა არსებულებოდა ძეგლში აღწერილ ამბების დროს? ერთთანაცა და მეორესთანაც, მაგრამ უფრო პირველთან შეფარდებით, რადგან მთარგმნელ-განმკარგველისათვის, როცა წამება-ცხოვრების წიგნში აღწერილ ხანას ძლიერ იყო დასილებული, ადვილი საქმე არ იყო წინააღმდეგ ვითარებასთან დაკავშირებული შეფარდების დაყვა. P. Peeters-საც სწორედ მოსახსენებლად დადებული თვე და რიცხვი რამდენიმე ქართული თარგმანისა მთარგმნელის ნაშრომის ხელიდან გამოსვლის დროსთან მიმართებით მიაჩნია განმკარგულად, რაც უცხოობლად მართებული უნდა იყოს.

P. Peeters-ს მარტივი ორი ქართული თარგმანის აღმოცენების დრო აქვს ასეთი ხერხით განსაზღვრული. ერთია «შუშანიკის მარტვილობა», ე.წ. მოკლე წამების წიგნი, ხოლო მეორეა «იზიდბოზიდის» წამება». «მარტვილობა» შუშანიკისა, რომლის აღსრულების თარიღს, ქალაქის 17-ს, ქართული თარგმანით მოსახსენებლად დაწესებული 21 აგვისტო შეეფარდება, P. Peeters-ის ანგარიშით ნათარგმნია 946-944 წ.წ-ში, რადგან ამ დროსაა მხოლოდ, რომ 17 ქალაქი 21 აგვისტოს უღრის. ასევე «მარტვილობა» იზიდბოზიდისა, რომლის აღსრულებისა და მოსახსენებლად დაწესებულ თარიღს, ქალაქის 2-ს, ქართული თარგმანით აღსასრულის თარიღად გამოყვანილად 2 ივლისი და მოსახსენებლად დაწესებული 28 ივლისი შეეფარდება, უკანასკნელის ოდენ მხედველობაში მიღებით, იმავე მკვლევარის ანგარიშით 968-972 წ.წ-შია ნათარგმნი, რადგან ამ დროსაა მხოლოდ, რომ 2 ქალაქი 28 ივლისს უღრის.²

როგორც ვხედავთ, ქართულად თარგმნილი მარტვილობის წიგნების მოსახსენებლებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მინიჭებული P. Peeters-ის მიერ მათი ქართულად წარმოქმნის დროის დადგენის საქმეში. მაგრამ, თუ თვით თარგმანის ტექსტში ნახმარი აღსასრულის თარიღის სომხურთან მიმართებას მივაქცევთ ყურადღებას, შევნიშნავთ, რომ აქ რიცხვი არაა შეცვლილი, ხოლო თვის სახელწოდება თარგმანის ტექსტშიცა და მოსახსენებელშიც ერთიდაიგივეა („ივლისი“). როგორც ეტყობა, მთარგმნელი თუ რედაქტორი ტექსტის თარგმანისა თუ რედაქციის დროს სომხური თვის სახელით იღებს გარკვეულ თვის, რომელიც მაშინ ქართული სინამდვილეთ შეეფარდებოდა სომხურს, ხოლო რიცხვს ანგარიშს არ უწევს. ასევეა საფიქრებელი, რომ შუშანიკის მარტვილობის აღსასრულად დედანში დასახელებული 17 ქალაქი მთარგმნელისა თუ რედაქტორის ნუსხას არ უნდა ჰქონოდა, თორემ, თუ ასე იქნებოდა, მაშინ თარგმანში 17 აგვისტო (ან ივლისი) იყო მოსალოდნელი. რატომაა, რომ აღსასრულის დღედ დასახელებული თვის რიცხვი დედანსა მოსახსენებელშია (თარგმანისა) შეცვლილი, არ ირკვევა. შეიძლება ამ მარტვილისათვის ასეთი დღის დაწესება შეუძლებელი იყო ამავე დღეს სხვებისათვის დაწესებულ ხსენებათა გვერდით, ანდა ევების თარგმანის ტექსტის თარიღი თარგმანის შესრულებისა თუ რედაქციისა იყოს, ხოლო მოსახსენებლისა კი - ეკლესიის სებართვისა. ამიტომაც მგონია, რომ თარგმანის აღმოცენების ხანის განსაზღვრავად მაინც ტექსტების ჩვენებას უნდა მივცეს უპირატესობა.

მთარგმნელი (თუ რედაქტორი) რომ თვის გადმოყვანას უწევს ანგარიშს და არა რიცხვისას, ამას ჩვენი ძეგლების მარტვილ-მოღვაწეთა აღსასრულისა და მოსახსენებლის თარიღებიც გვიდასტურებს:

ა. სანდუხტის თარიღი აღსასრულის მიხედვით დედანში. „ქალაქის“ 7, ხოლო თარგმანში აღსასრულითა და მოსახსენებლითა - მაისის 5³.

¹ P. Peeters. S. Sossanik... Anat. Bollan., t. LIII, fasc. 12, pp. 303-305.
² P. Peeters. რეცენზია ავად. ივ. ჭავჭავაძის წიგნზე - ძველი სომხ. საისტორიო მწერლობა, წიგნი I. Analecta Bollandiana, t. LIV, p. 399.
³ შეუთანხმებლობა რიცხვებისა (7 & 5) იმით აიხსნება, რომ რიცხვის გამომხატველი ასო დედანსა, რომელიც ან 7 უნდა ყოფილიყო, გადაშქერისა, თუ ქართულად მთარგმნელის მიერ ამოუცხვრილია

ბ. ოსკის თარიღია დედნის მოსახსენებლით („ჰირის“ მეორე შაბათი), ხოლო თარგმანით (აქაც მარტო მოსახსენებლით) - მაისის 12.

გ. მესუკავეთა თარიღი აღსასრულითა და მოსახსენებლითა დედანშია „ნავახარდის“ 15, ხოლო თარგმანში (აღსასრულითა და მოსახსენებლითა) - აპრილის 15.

დ. გრიგოლ გინმანათლებლის შემკვიდრეთა თარიღი დედანში არ მოიპოვება, ძველ სხვა სომხურ წყაროს კი ჰქონია „ტრეს“ 22², ხოლო თარგმანში მოსახსენებლად ივლისის 19.

ე. ნერსეს მთავარეპისკოპოსის თარიღი სომხურს ცხების წიგნში არ მოიპოვება, სხვა ძველ წყაროებს კი ჰქონიათ „ჰროტიც“ 5, „ნავახარდის“ 30 და „ტრეს“ 11³, ხოლო თარგმანში მოსახსენებლად ივლისის 1.

ვ. საჰაჰის თარიღია დედანში, აღსასრულით - „ნავახარდის“ 30, ხოლო თარგმანში, აღსასრულითა და მოსახსენებლითა - აპრილის 30.

ზ. ვარდანის თარიღია დედანში, მოსახსენებლით - „ჰროტიც“ 30, ხოლო თარგმანში, მოსახსენებლით - მარტის 28.

შ. შუშანიკის თარიღია დედანში, აღსასრულით - „ქალოცის“ 17, ხოლო თარგმანში, მოსახსენებლით - აგვისტოს 24.

თ. ატომის თარიღია დედანში, მოსახსენებლითა და აღსასრულით - „ნავახარდის“ 9, ხოლო ქართულ თარგმანში, მოსახსენებლითა და აღსასრულით - აპრილის 9.

ი. იზიდოზიძის თარიღია დედანში, აღსასრულით - „ქალოცის“ 2, ხოლო თარგმანში, აღსასრულით - ივლისის 2, მოსახსენებლით - ივლისის 28.

იპ. დავით დვინელის თარიღია დედანში, აღსასრულით - „ბეგის“ 23, ხოლო თარგმანში, აღსასრულითა და მოსახსენებლით - ფებერვლის 23.

თითქმის ყველგან, სადაც კი ჩვენი მარტვილობების დედნებში სადმე აღსასრულისათვის თარიღი გვაქვს, ქართულ თარგმანებში ის მხოლოდ თვის სახელწოდების შეცვლით არის მოცემული, ხოლო რაცხვი უცვლელად არის გაშვებული. სადაც იხონი ურთიერთს არ ხვდებიან, იქ ან რიცხვის გამომხატველი ასიების გრაფიკულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, ანდა რაღაც ჯერ უცნობ მოვლენასთან, რაზედაც ზემორე (გვ. 040) გვქონდა საუბარი.

აქ მოგანიღ ნუხსას თუ დაუუკვირდებით, სომხურ თვეთა სახელები რამდენჯერმე შეგვხვდება გამეორებული. ასე მაგ.:

სამასაჰი:	}	აპრილი (გ. მესუკავენი).	წარღუე	}	მაისი (ა. სანდუხტი).
		აპრილი (ვ. საჰაჰი).			ივლისი (ი. იზიდოზიძი).
		აპრილი (თ. ატომი).			აგვისტო (შ. შუშანიკი).

მცდარად, დაწერილობის მსგავსების ნიადაგზე.

¹ ნ. გვ. 191, 21 (ზენიშენები - ი).

² ეს წყაროა: Մոսկովის Կաթողիկոսար, յոր յարի և Կոնստանդ, աշխ. Վրթանէս վարդ. Աս-կերեանց. Վեներիկ, 1782 (ნ. Օրմանեան. Ազգասպարում, I, § 86, გვ. 124).

³ ამ უკანასკნელის წყარო ყოფილა ճաշուց-ի (ნ. Օրմանեան, Ազգասպարում, I, § 155, გვ. 219).

S r t { ივლისი (დ. გრიგოლის შემკვიდრენი). < ზიიზ > შაისი (ბ. ისკი).
 { ივლისი (ე. ნერსისი). ზიიყიყ მარტი (ზ. ვარდანი).
 Արևყ ფებრვალი (ია. დავით დვინელი):

ურყევად, ყველგან ერთიდაიგივე ქართული შესატყვისი სომხურ თვეთაგან, როცა ის რამდენჯერმე შეივლიდა, ჯერ სասասიარ-ნავასარდს და მერმე ყიქ-ტრეს მოქავეება. ნავასარდი სომხური მოძრავი წლის პირველი თვეა, რომელიც ჩვენი თარგმანებით ყველგან უცვლელად „აპრილი“ ნავასარდის შესატყვისად „აპრილი“ როგორც მონახსენებელში, ისე ტექსტშიაც, აღსასრულის გადმოცემისას იხმარება. უკანასკნელ შემთხვევაში თავდაპირველად არც იყო მონახსენებული, რომ ის თარგმნილიყო, ანუ გადმოყვანილიყო ქართულზე, რადგან იმ წრისათვის, ვისთვისაც ეს მარტვილობა-ცხოვრებათა წიგნები ითარგმნებოდა, ეს სიტყვა უთარგმნელადაც კვანავები იყო ისე, როგორც სხვა საკუთრივ სომხური სიტყვებიც, რომლებიც უთარგმნელადაა გაშვებული¹. და მართლაც, როცა თვით ქართულ ტექსტში კავკიარლებით ამ სომხური სიტყვის ბადალს, სამი შემთხვევიდან იგი ერთგან უთარგმნელად გვხვდება, მხოლოდ გვეყრდით ახსნა მოსდევს: „ რომელ არს აპრილი“ (I 6, გვ. 83, 2-3); მეორეგანაც (I-9, გვ. 111, 6) ნავასარდი ყოფილა დაწერილი ათონის ნუსხის დედანში, რის მიხედვით ამ ნუსხის გადმოწერსაც ის გადმოუღია, მაგრამ მალე შეუნიშნავს, წაუფხეკია და ზედ „აპრილი“ გამოუყვანია, მაგრამ ისე, რომ პირველი ნაწილის კვალი მაინც ჩანს; მესამე შემთხვევაში კი მხოლოდ ქართული ბადალით-აპრილით-არის წარმოდგენილი ნავასარდი. ამ თვის რიცხვი სომხურსა და ქართულშიაც სამივეგან ერთიდაიგივეა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მთარგმნელი არ ცვლის მას, ხელუხლებელს ტივებს ისე, როგორც ხელუხლებელად გაუშვია თვის სახელწოდებაც. ახსნა, რომელიც ერთგან ამ სიტყვას ახლავს, საფიქრებელია, მთარგმნელს არც ეკუთვნოდეს, არამედ ჩვენი ნუსხის დედნის რედაქტორ-განმკარგველისა იყოს. ამასთან ცხადია, რომ ის „შესწორებაც“, რომელიც ნავასარდის წაფხეკასა და ზედ აპრილის გამოყვანაში გამოიხატება, ჩვენი ნუსხის დამწერს ხსენებული გლოსის მიხედვით შეუდანიო. ხოლო ნავასარდის ბადალ ქართულ ტექსტში მხოლოდ აპრილის ხმარება ჩვენი ნუსხის მწერლისაგან კი არ უნდა მომდინარეობდეს, არამედ მისი დედნის დამწერისა ან განმკარგველისაგან.

ნავასარდის აპრილით წარმოდგენას იმიტომ ვერ მივაწერთ ჩვენი ნუსხის მწერალს, რომელიც X ს-ის გასულის ან XI ს-ის დამდეგის მოღვაწე ჩანს, რომ მის დროს სომხური ნავასარდი ქართულში აპრილს კი არ უდრიდა, არამედ მარტს. აპრილს ნავასარდი 836/40 - 956/60 წ.წ. შორის უდრის. ასე რომ ნავასარდი აპრილზე ჩვენი ნუსხის დამწერს კი არ გაუმართავს, არამედ მის დედანს ჰქონია უკვე შესრულებული, ისიც გლოსის სახით, რაც მხედველობაში მიუღია ჩვენი ნუსხის გადამწერს და უხელმძღვანელებია კიდევაც მით: უთარგმნელად გაშვებული „ნავასარდი“ წაუფხეკია და ზედ „აპრილი“ წაუწერია. ამას გადამწერი ვერ ჩაიდინდა (მისი მოღვაწეობის ეპოს ნავასარდი უკვე ზემო მარტს უდრიდა!), რომ მას სახელმძღვანელე მითითება არა ჰქონოდა. ხოლო ხელნაწერი, რომელიც ასეთი

¹ ამათ შესახებ დამწერილებით ქვემოთ « ლექსიკის » მიმოხილვისას.

მითითება იქნებოდა, ცხადია, მხოლოდ 840-960 წ.წ. შორის შეიძლება დაწერილიყო ჩანს, ამავე ხანაში დაწესებულა სომეხ მარტვილ-მოღვაწეთა წამება-ცხოვრებათა მოსახსენებლები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში აღსასრულის თარიღს იმეორებენ უცვლელად.

მხოლოდ გარკვეულ ხანაში რომ იყო შესაძლებელი ნაკასარდის შესაბამისად „აპრილის“ ხმარება (ე.ი. 840-960 წ.წ. შორის) და ამ პერიოდის შემდეგ კი ის „მარტო“ უნდა ყოფილიყო გადმოცემული, ეს ერთი ძველი ქართული ძეგლითაც მტკიცდება. ეს ძეგლია: «კანონი წელიწდისაჲ, განწესებული რიცხუსა თუეთასა, რომელი განაწესეს ნეტართა და ღმრთივ-შემოსილთა წმიდათა მოძღუართა ჩუენთა წესისაებრ წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა», რომლის ჩვენი ნუსხა მეცნიერებაში «პარიზის ლექციონარის» სახელით არის ცნობილი¹. ამ ძეგლში ზოგიერთი ხსენება სომეხ წმინდანთათვისაც არის დაწესებული. იმ სომეხ მარტვილ-მოღვაწეთაგან, რომელთა ცხოვრება-წამებანი ჩვენს თარგმანებშია წარმოდგენილი, აქ მხოლოდ „საპაის ხსენებას“ ვხვდებით: ეს ხსენება ჩვენს თარგმანში 30 აპრილს არის აღნიშნული, ხოლო ლექციონარით 30 მარტისთვისაა დაწესებული: „თთუესა მარტსა: ღ: წმიდისა საპაისის, ანასტასიას, და ნეტარისა-იპოლიტისი, ყოველთა წმიდათა მოძღუართაჲ“². «პარიზის ლექციონარის» ხელნაწერი XI-XII ს-ში გადაწერილად ითვლება³. მისი რედაქციაც, რომელიც შეიცავს იმავე ტიპის კალენდარს, რაც აჟად. კონსტანტინოპოლის მიწერ გამოქვეყნებულს «იერუსალემის განჩინებაში» გვაქვს⁴, XI-XII ს-ში ჩანს შევსებული სახით ჩამოყალიბებული, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს 960 წლისა, რადგან ამ თარიღის წინ საპაისის მოსახსენებლად სომხურში დადებული ნაკასარდის თვე „აპრილს“ წარმოადგენდა, ხოლო მისი შემდგომი ხანისა, 1080 წლამდის, - მარტს. საკულისხმთა ამ ცნობაში ისიც, რომ, როგორც ჩვენს თარგმანებში, ისე მათი აღმოცენების შემდეგაც, სომეხი წმიდანის სახსენებელი ქართულზე გადმოყვანილია იმნაირად, რომ თვეს და არა რიცხვს ეწევა ანგარიში. რიცხვი ორსავე ხანაში უცვლელად არის დატოვებული.

¹ კ. კეკელიძე, «მიმოხილვალი»: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, გვ. 268-269. შტრ. ექ: თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და აცო ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933 წ., გვ. 24-30.

² ნ. «პარიზის ლექციონარის» ფოტო-პირი, საქ. მუზეუმის ხელნაწერთა დეპონირი, № 11 ამ ხელნაწერიდან ამ აღვიღს პროფ. H. Souasson-ი, რომელმაც ამ ძეგლის კალენდარული ნაწილი გამოსცა (Mémoires de la Société de la Recherche des Manuscrits et des Bibliothèques de la République de France, Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem betreffend, B. Kühnlen, München-Glabach, 1923, № 10); შეკრებით კითხულობს: (Gedächtnis des h. Seleukus (und) in der Anastasis des „seligen“ Hippolyt (von Rom)...). ეტყობა, გამოცემელს „საპაისისა“ ამოუთხოვს „სალაუსი-ღ“, რაც Seleukus-ის გუუცია.

³ ასე ფიქრობს აჟად. კ. კეკელიძე თავის რეცენზიაში («მიმოხილვალი», გვ. 268), ხოლო ექ. თაყაიშვილი მას XI-ის დასასრულს ან XI ს-ის დამდეგს აუთუფებს (პარიზის... ხელნაწ., გვ. 24-31).

⁴ К. Кекопидзе, Меры восточных календарей VII века., Тб., 1912.

ნაკვასარს გარდა სომხურს ტექსტებში რამდენჯერმე გვხვდება ფაღიფ-ქაღა-
 ციცი. მაგრამ ეხლა უკვე ფაღიფ-ი ერთიდაიგივე შესატყვისით კი აღარაა წარმო-
 დგენილი ქართულში, არამედ ნაირ-ნაირით: „მაისით“ (I 1, გვ. 3, 28), „ივლისით“
 (I 10, გვ. 123, 23-24) და „ავვისტოთ“ (შუშ. მარტ., გვ. 49, 2). ამ სამი შემთხვევიდან
 „მაისი“ და „ივლისი“ ორგან თვით ტექსტშია ნახმარი აღსასრულის აღნიშვნის დროს,
 ხოლო „ავვისტო“ შარტი მოსახსენებელშია. რით უნდა აიხსნებოდეს ასეთი სხვადა-
 სხვაობა, ნუთუ სხვადასხვა ხანაშია ნათარგმნი მათი შემცველი ტექსტები? არა
 შეიძლება, რომ ისინი სხვადასხვა ხანის თარგმანებს წარმოადგენდნენ. ისინი ისე ახლოს
 დგანან ერთმანეთთან ენობრივად, რომ ერთ ენობრივ წრეში აღმოცენებულნი და ერთ
 ხანაში ნათარგმნი არიან. ფაღიფ-ისათვის სხვადასხვაობა ქართული შესატყვისების
 მხრით იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ სომხური მოძრავი წლის თარიღის უძრავზე გად-
 მომყვანს ვერ დაუცავს ზედმიწევნით სათანადო ანგარიში. ქაღაცი სომხური მო-
 ძრავი წლის მეხუთე თვე იყო. სომხური აღრიცხვის ქართულზე გადმომყვანს, ეტყო-
 მბა, კარვად სცოდნია, თუ წლის პირველი თვე რომელს შეესაბამებოდა ქართულში;
 აქ მას შეცდომა არ მოსდის, მაგრამ ქაღაცი, ე. ი. მეხუთე თვის გამოანგარიშების
 დროს ამ გამოსავალი თვიდან ქართული შესატყვისი ერთგან წესიერად გამოთ-
 ვლია (აპრილი-1, მაისი-2, ივნისი-3, ივლისი-4, ავვისტო-5), ხოლო მეორეგან
 წინა თვეში გადაუტანია (თუ სომხურ დედანში მართლა ეს თვე იყო დასახელებუ-
 ლი), ან იმის გამო, რომ მან იცის უძრავი წლის ამათუნიმ თვისათვის ერთ თვეში
 ხაზყება და მეორეში გადასვლა მოძრავი წლით, ანდა იმიტომ, რომ გამოანგარიშე-
 ის დროს გამოსავალი თვე „მარტი“ იწყება. ეს კი შესაძლო იყო 960-1080 წ.წ.
 სანძილზე, კერძოდ XI ს-ის ოციან წლებამდის, რადგან ამ ხანამდის არის ჩვენი
 ნუსხა წარმოშობილი. მაგრამ თუ მოვიგონებთ ზემოთ აღნიშნულ ვითარებას, რომ
 სომხური თვეების გადაყვანა ქართულზე ჩვენი ნუსხის დამწერის საქმე არ უნ-
 და იყოს, მაშინ აღნიშნულ ხანას ვერ მივაკუთვნებთ იზიდაობის წამების
 თარგმანს, რომელსაც სწორედ ქაღაცი შესატყვისად „ივლისი“ მოეპოვება. ის
 ადრე უნდა იყოს თარგმნილი და შეუფარდებლობის მიზეზი სხვა რითმე უნდა აიხსნებო-
 დეს! რატომღაა ქაღაციისათვის „მაისი“ დადებული სანდუხტის წამების ტექსტში
 ან მოსახსენებელში? ეს ხომ მეტისმეტ შეუფარდებლობას აჩენს! აქაც ორგვარი
 ვარაუდი შეგვიძლია გავწიოთ. ან იმიტომ, რომ ჩვენი თარგმანის დედანში ფაღიფ-
 ის მაგიერ სხვა თვე ეწერა, რომელიც „მაისს“ იძლეოდა (ასეთი კი ჩიჩი შეიძ-
 ლებოდა მხოლოდ ყოფილიყო), ანდა ფაღიფ-ქაღაცი, რომლის სახელწოდებას
 ქართული „სთულისაჲ“ უდრის სიტყვა-სიტყვით, უკანასკნელის რიგითაა გაანგა-
 რიშებულნი. «სთულისაჲ» ქართულის მეორე თვეა, თუ პირველი, ე. ი. გამოსავალი
 თვე, გადაყვანისას აპრილია, მაშინ მეორედ მიჩნეული სთულისაჲ-ფაღიფ, რა-

¹ იქნებ მით, რომ ამ დროისათვის ქართულ სინამდვილეში მოქმედი უძრავი წელიწადი
 მარტისა იყო, რომელიც თურმე ჩვენში მეცხრე საუკუნის დამდეგიდან, სექტემბრის წელი-
 წაღთან ერთად, ფებს იყიდებს ქორონიკული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით...
 (კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი («სტალინის სახ. ტფ. სახ. უნივ. შრომები XV, 26).

საკვირველია, „მაისი“ იქნება.

ბრტერ ვხვდებით ერთი სომხური თვის ქართულ შესაბამისს, რომელიც ორგანზე ერთი და იგივეა. ესაა კრქ-ტრე, რომელიც ძველი სომხური წლის მეოთხე თვე იყო: ის გრივოდ განმანათლებლის მემკვიდრეთა და ნერსესის ხსენების დღედა დასახელებული არა ჩვენი თარგმანების შესაბამისი სომხური ტექსტების მიერ, არამედ ძველი სომხური კალენდარული ძეგლებით. სომხური მოძრავი წლის ამ მეოთხე თვის შესაბამისი ქართულ თარგმანებში (მოსახსენებლებით) კარგადაა გამოანგარიშებული: აპრილი-1, მაისი-2, ივნისი-3, ივლისი-4.

სხვა თვეები, რომლებიც ან ტექსტებითა (აღსრულების აღწერისას) ანდა მოსახსენებლებით იხსიარება, თითქმის ყველგან გვაჩვენებს წესიერ შესატყვისობას. ასე მაგ., (ჩიოქი) - მეორე თვე, „მაისით“ არის წარმოდგენილი, ანდა ჩოთაჟი, ეს მოძრავი სომხური წლის უკანასკნელი თვე, „მარტად“ არის აღნიშნული. მხოლოდ ერთი თვეა სრულ-არეგი (მერვე თვე), რომელიც არა ჩანს, თუ რის გამოა „ფებერვლით“ მოცემული. მაღაქია ორმანიანის ანგარიშით აქ თითქმის მარტაჟ-მარტაჟ უნდა ყოფილიყო! თუ ასეა, მაშინ ამ შემთხვევაშიც სწორი შესატყვისი გვექნება, რადგან მარტაჟ სომხური მოძრავი წლის მეოთხე თვეა, რაც ფებერვალს მხოლოდ აღნიშნულ პერიოდში (840-960 წ.წ.) უდრის.

როგორც ვხედავთ, სომხური თვეებისათვის ქართულ თარგმანებში მოცემული შესატყვისებიდან ორი თვეა, რომ განმეორებული ხმარების დროს შესატყვისობას ყველგან ზედმიწევნით იცავს: ნძვასარლი-აპრილი და ტრე-ივლისი. ამასთან პირველ ამოთვანს საგანგებო ყურადღებას აქცევს ტექსტის რედაქტორი თუ განმკარგველი. ჯერ ერთი, ტექსტში ახსნას, გლისას, ურთავს და მეორეც, სწორად უძებნის მას ქართულ ბადალს. ეს თვე სომხური მოძრავი წლის პირველი თვეა და მისთვის ასეთი ყურადღების მიქცევა ბუნებრივია. სხვა თვეების მიმართ თუ ორიოდ შემთხვევაში მოსალოდნელი შესაბამისი არ მოგვეპოვება, ეს დიდად საკვირველი არც არის. შეიძლება აქ შეცდომა არც იყოს, არამედ ისევე წესიერად იყოს ჩატარებული შეფარდება, როგორც უმეტეს შემთხვევაში სხვაგანაც, ე.ი. თარგმანის სომხურ დედანში ამ თვის სხვა სახელწოდება ყოფილიყო და არა ის, რომელიც შემოგვჩვენია. თუ ასე არაა, მაშინ, ეტყობა, უძრავი კალენდრისა და მოძრავის ერთმანეთთან შეფარდება მთლად ადვილი საქმე არ ყოფილა. თვეების გადაყვანა იმდენად მთარგმნელისა ან ჩვენი ნუსხის დამწერის საქმე არ უნდა იყოს, რამდენადაც აგიოგრაფიული ძეგლების თარგმანთა რედაქტორისა თუ განმკარგველისა, რომლის ხელში გაუქვლია ახლად თარგმნილ ძეგლებს. მაშასადამე, თვეების გადაყვანა იმ ხანასთან შეფარდებით უნდა იყოს შესრულებული, რომელშიაც მთარგმნელთან ერთად რედაქტორი ან განმკარგველი მღვდლები იყვნენ. ხოლო ამ ხანის განსაზღვრა შეიძლება სომხური პირველი თვის ქართული შესაბამისის (აპრილის) მიხედვითაც.

1 ს. ოტმანსკან. Աղգասպարով, հայ ուղղափառ եկեղեցւոյ անպէრდ սկիզբէն մինչև մեր օրերը, յարակից սուգային պարագաներով պատմութեամբ. Կ.Պոլիս, 1912, 9525, გვ. 777.

რამელიც სწორად არის მოცემული, რომ არაყური ვთქვათ იმის შესახებ, რომ სხვა
 ავტორების შესატყვისობაც აგრეთვე უწყვეტად სწორდება მოცემული და გარ-
 კვეთი მნიშვნელობა აქვთ ამ ხანის დასადგენად. ეს ხანა ამ ნიშნებით
 840-960 წ.წ-ზე მოდის. ამ ხანაზე აღრე ჩვენი ტექსტები აღმოცენებული არც
 უნდა იყოს, რადგან ის წრე, ვისთვისაცა და ვისი ინტერესების შესაბამისადაც ისი-
 ნი ითარგმნებოდა, ამ პერიოდის დასაწყისზე აღრე არცაა წარმოსადგენი.

IV. თარგმანების შემოქმედი და მომხმარებელი წრეები და
 მათი სამკვიდრო

IX-X ს.ს-ის ქართულისა და სომხური ლიტერატურის ურთიერთობის მამულავნებელი
 ძეგლები, რომლებიც შინაარსობრივ სამ დარგს - მიეკუთვნება - ეგზეგეტიკურს, საღვთოს-
 მეცყველო-ფილოსოფიურსა და აგიოგრაფიურს - წარმომოხილი უნდა იყოს, ცხადია, მო-
 მხმარებელთა ვარკვეული წრეების ინტერესების შესაბამისად და მათივე შემოქმედი ფე-
 ნების უშუალო მონაწილეობით.

ამ ხანაში სომხურიდან ქართულად ნათარგმნი ეგზეგეტიკური ნაწარმოების აღდერძ-
 ში დასახელებულია მთარგმნელად ისეთი ზოღვაწე-კონმე დაჩი- რომელიც დაინტე-
 რესებული ყოფილა ასეთი შინაარსის თხზულებებით, თვალყური უღვევებია ამ დარგის
 მწერლობისათვის სხვა ენებზე და მშობლიური საეკლესიო მწერლობის ვასამდობრე-
 ზლად ხელი მიუყვია ერთ-ერთი ცნობილი საეკლესიო ავტორიტეტის ნაწარმოების ვად-
 მობებისათვის. დაჩი იქითკენ მიისწრაფის, რომ ისეთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებით,
 როგორიცაა ეჭიფანე კვიპრელის «თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ» და-
 ენერგოს ქართულ ეკლესიაში (ნ. შენიშვნები j, გვ. 197, 23). მასადაღმე, ხსენე-
 ბული ეგზეგეტიკური ნაწარმოების ვადმთარგმნა ქართული ეკლესიის ინტერესებს შე-
 ეფერება, ხლო თარგმანი ამ ეკლესიის წევრთავანის მიერ არის შესრულებული. ასე-
 თი ნაწარმოების სომხურიდან თარგმნა ამ დროს იმის მარწყებელიცაა, რომ ქართული
 ეკლესიის მოღვაწეთა შორის ისეთ ადგილს, როგორიცაა ტათ, სადაც ქართველობას
 ბიზანტიის სამყაროსთან კულტურული ურთიერთობა სომხურისაზე არანაკლებ ვაცხოვე-
 ლებული ჰქონდა, მოიპოვებოდა ისეთი პირები, რომელთაც სომხური მწერლობა არ
 ეუცხოებდათ და ასეთისე კიდევ ახერხებენ მასთან კავშირის შენარჩუნებას. უეჭვე-
 ლდა, ამ საქმეში მათ ხელს უმართავდა ურთიერთობა თანამორწმუნე სომხურ
 ელემენტთან, რომელიც სომხური შემოქმედების მონაპოვარს თავის წილში იცავდა,
 ერთხანს ჰმატებდა კიდევ მას და ზოგჯერ სხვებსაც უზიარებდა.

ნადვთისმეცყველო-ფილოსოფიური მწერლობის ძეგლიც, რომელიც ეკლესიის ისეთს
 ღიდ ავტორიტეტს ეკუთვნის, როგორიცაა გრიგოლ ნაზიანზელი, ანუ დვთისმეცყველი, ქარ-
 თული ეკლესიის ინტერესებითაა ვადმობებული ამავე ეკლესიის მსახურის გრიგოლ ომ-
 კელის ხელით. X ს-ის მეორე ნახევრის ტათელ მოღვაწეს, გრიგოლ ომკელს, ისე რო-
 გორც ტათსვე მოქმედ დაჩის, ეტყობა შესძლებია თვალყურის მიღვევება სომხური
 მწერლობისათვის და იქიდან ვადმოუთარგმნია კიდევაც ისეთი ძეგლი, რომელიც
 რომელიმე სომეხი ავტორის ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, არამედ უცხოელისას,

რომელიც კათოლიკე ეკლესიის მიღწაწერდ ითვლება. უნდა ვიფიქროთ, რომ სომხურ მწერლობასთან ^{საკუთარი} ~~წინააღმდეგ~~ ცალს სომხური დიოფიზიტიური წრეების მეოხებით არის გაბმული, რადგან მხოლოდ მათთან, როგორც კონფესიონალურად მონათესავეებთან, შეიძლება ამ ხანაში თანამშრომლობა და დაახლოვება.

ზემორე დასახელებული მწერლობის არც ერთი დარგი მომხმარებელთა ფართოდ წრეებისათვის დანიშნული არაა. ისინი მასობრივ მკითხველს არასოდეს არ ვარაუდობენ, არამედ განსწავლული ფენებისათვის იყვნენ მხოლოდ მისაწვდომი. მაგრამ სომხურიდან მომდინარე თარგმანთა შორის ფართოდ მკითხველი მასისათვის განკუთვნილი დარგიც არ გვაქვია. ასეთია აგიოგრაფიული შინაარსის ნაწარმოებები - მარტვილები და ცხოვრებები. მათი ერთი ნაწილი თვით ქართული წრეების ინიციატივითა და საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად უნდა იყვნენ სომხურიდან ნათარგმნი (ამათი გამორჩევა ცალკე ძიების საგნად უნდა იქცეს), ხოლო ერთი სხვა ნაწილი, როგორც ირკვევა, იმ წრის სურსიკვეთებითა და თაოსნობით არის შესრულებული, რომელიც ტომობრივი შედგენილობით სომხურია, ხოლო კონფესიონალურად დიოფიზიტიური. აღსარებით ცალკლარქეთის ქართულ ელემენტთან მონათესავე ეს წრე ქართულ კულტურულსა და პოლიტიკურ სფეროში ექცევა, როგორც ჩანს, ძალიერქმედებარება მის სრულ გავლენას და ენობრივად გადაგვარების გზაზე დგება, რასაც საბოლოოდ მისი სრული დენაციონალიზაცია მოჰყვა. ამ ვითარებასთან დაკავშირებით, თუ ეს წრე თავისი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სომხური აგიოგრაფიული ძეგლების გადმოღებას ჰკიდებს ხელს უფრო აღვივლად გასაგებ ენაზე, შემდგომი ის ამავდენაზე საკუთარ შემოქმედებასაც ეწევა. მაგრამ ამ მოვლენის გათვალისწინებამდე, საქარია ნათელვყოთ, თუ სძიდან ირკვევა ყოველივე ეს. სანამ აღნიშნულ კითხვაზე გავცემდეთ პირდაპირ პასუხს, მოკლედ უნდა მოვიგონოთ, თუ რას ფიქრობდნენ ჩვენი აგიოგრაფიული ძეგლების აღმოცენების გამომწვევ მიზეზთა და შემსრულებელთა შესახებ ის მკვლევარები, რომლებიც სპეციალურად შეჰხებთან ამ საკითხს.

ის გარემოება, რომ სომეხ მარტვილ-მოღწაწერთა წამება-ცხოვრებანი მოიპოვებინან ისეთს ძველ ხელნაწერში, როგორიცაა «ათონის მრავალთავი», მკვლევართა წინაშე კითხვას სვამდა: ვისთვის და როდის უნდა თარგმნილიყო ეს ძეგლები? აკად. ნ. მარს ასეთ თხზულებათა გადმოთარგმნა ვერ წარმოედგინა იმ ხანის გარეშე, როცა ჯერ კიდევ სომხეთის და ქართლის ეკლესიების ერთობა არსებობდა (VII ს-ის დამდეგამდე), ყოველ შემთხვევაში, ასეთი ძეგლების ქართულად თარგმნა, მისი შეხედულებით, მანამ იყო შესაძლებელი, სანამ შეწყდებოდა ხსენებული კავშირი და გაღვივდებოდა სეპარატისტული მიდრეკილება ურთიერთისაგან განშორებისა და წინათ არსებული ერთობის სრული უარყოფისა (VII ს-ის გასული ან VIII ს-ის დამდეგი). ამრიგად, აკად. ნ. მარსის შეხედულებით, სომხურიდან მომდინარე ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, რომლებიც სომეხ მარტვილ-მოღწაწერთა წამება-ცხოვრებათა წიგნებს წარმოადგენენ, წარმოამდგინა უნდა იყოს VIII ს-ის დამდეგამდის. თარგმანების შემსრულებელთა შესახებ მას საკითხი ცალკე არ წამოუყენებია, რადგან, ეტყობა, რომ მისთვის ისინი თვითონ ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. ასე უნდა გავიგოთ სწორედ მისი

ერთი ნათქვამი «მუშანიკის მარტვილობის» ერთი ადგილის გარშემო. აქ გადმოცემულ სიტყვებს: «მიზეზნი განათლებისა ჩუენისანი» სომეხი იერარქების პირველი წყებააო, ის თავის მხრით ურთავს, რომ «ძველად ქართველს, რომელიც VIII ს-ის დამდეგზე გვიან არ ცხოვრობს, არ ეუხერხულება უწოდოს სომეხ იერარქებს... მიზეზნი... განათლებისა ჩუენისანი; ე. ი. ქართულთაო»¹ აქიდან ამჟღავნად ჩანს, რომ აკად. ნ. მარისათვის ხსენებული აგიოგრაფიული ძეგლის შთარგმნიელი ქართველია, რომელსაც ქართული ეკლესიის ინტერესები ამოძრავებს.

ამ შეხედულების ერთგული ის შემდეგში, როგორც ჩანს, ბოლიშის არ ღარჩენილა, თუმცა ცხადად იგი მას არც არსად უარუყვია და არც შეუცვლია. რომ აღნიშნული გარემოება სწორია, ამას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აკად. ნ. მარის მიერ 1926 წ. გამოცემული ერთი მისი ნაშრომი მოწმობს: აქ ის ხსენებული სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ქართული თარგმანების მოთავსებას ათონის კრებულში, წმინდა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების გვერდით იმით ხსენის, რომ «შესაძლებელია... იგი (ე. ი. ათონის კრებული) ქართულად შედგენილი სალიტერატურო ძეგლი იყოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. დაკავშირებულ სომეხთათვის განკუთვნილი»². როგორც ვხედავთ, წინასდელი შეხედულების გამეორება აქ აღარ უნდა იყოს, მაგრამ მაინც არაა გადაჭრით ნათქვამი, თუ როდის, ვისთვის და ვისი თაოსნობით არიან ეს ნაწარმოებნი ნათარგმნი. აკად. ნ. მარის ნაშრომებში პირდაპირ ქანუხს ამ კითხვებზე ვერც სხვაგან ვპოულობთ.

კითხვაზე, ვისი თაოსნობითა და უმუალო მონაწილეობით წარმოიშვა აღნიშნული ძეგლების თარგმანები ქართულად, ქანუხს ვერც სხვებთან ვხვდებით. თუ მაგალითად აკად. ივ. ჭავჭავაძის ჩვენი ძეგლების თარგმანები IX ს-ზე აღრინდელად არ მიაჩნდა, სამაგიეროდ მას არ განუსაზღვრავს, როგორ წრეში და ვისი ინტერესების კარნახით არიან ისინი აღმოცენებული. ასეთნაირად კითხვას არაუინაც არ აყენებდა, თითქოს ყველანაირად არაწმუნებული მასში, რომ თარგმანები ქართველების ხელითა და მათივე ინტერესების შესაბამისად იყოს წარმოშობილი. მხოლოდ პროფ. ალ. ხახანაშვილი წარმოადგენს ამ მხრით რამდენადმე გამონაკლისს. ის აკვირდება იმ ვითარებას, რომ სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანებში მოიპოვება საკმაოდ იდენტობით უთარგმნელად გამოვლენილი სიტყვები და უსწორ-მასწორად სტილი, და ახკვნის, რომ ეს ძეგლები სომხისავე ხელით უნდა იყვნენ ნათარგმნი (შტრ. ზემოთ II თავს). ესაა და ეს, სხვა მხარეებზე, კერძოდ იმაზე, თუ ვისთვისაა ეს თარგმანები შესრულებული, როდის და რა მოთხოვნილებებისათვის, არას ამბობს.

სომეხ მარტვილ-მოღვაწეთა წამება-ცხოვრებანი რომ მართლაც სომხის მიერ არიან ქართულად თარგმნილი, ამას პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ შენიშნულ მო-

¹ Н. Марр. Из поэтики на Афон... გვ. 20.

² Le Synaxaire Géorgien... publié et traduit... par N. Marr, Paris, 1926, pp. 629-743.

³ იქვე, გვ. 638.

⁴ Материали по ррѣз. агиологии, по рукописям X в., с предисловием издава А. Хачанов. Москва, 1940, стр. XLIV.

სომეხ მარტვილ-მილვანეთა წამებისა და ცხოვრების წიგნთა ქართულ თარგმანებს შორის მოგვეპოვება კიდევ ერთი ძეგლი, რომელიც¹ მსგავსი ტექსტობრივი მაჩვენებლით ამჟღავნებს მთარგმნელისა და მისი წრის სომხობას. ეს ძეგლია «*შუშანიყის მარტვილობა*», ე.წ. მოკლე წამების წიგნი. აქ ძეგლის შესავალში, რომელიც მისე ხორენელის ისტორიის ტექსტთან იჩენს ნათესაობას, ნათქვამია:

„წმიდანი და ნეტარნი ვინმე და პირველნი ნახარართა შორის და ზედამსტოვარნი ქუთუყანისა სომხითისანი სამღვდლოთა წესითა მიზეზნი განათლებისა ჩუენისანი, რომელნი შვილიერებით სათნოთა ცხორებითა მიიწინეს ვიდრე წმიდისა საბაჰისამდე, რომელი იყო ძმ დიდისა ნერსისი, ძისა ათენაგენესი, ძისა ნეტარისა ოსიკისი, ძისა დიდისა ორთანესი, ძისა წმიდისა გრიგოლისი...“ (სორეჟ იმასჟ ერესქიჟ, სომაჟიჟე ზე სსაქსარარაჟუნ ყსრაჟიჟიოჟე საქსარჩიჟ ზსიყი, ლოსალირიქსანს ყყსოჟსოჟე, ორქსზხოქსამჟე ხქსაჟ ყმზზს სორეს სარასჟ, ორქი ძსზბჟს სსრაჟიჟი, ორქოჟ ამჟანსაჟსჟი, ორქოჟ ზოსსკანს, ორქოჟ ღრჟანსაჟ, ორქოჟს სრქიჟს მრქიჟიჟი...) [გვ. 49, 9-12¹].

ამ ადგილის შესახებ აკად. ნ. მარს, რომელსაც ძეგლის მთარგმნელად ქართული მწიგნობარი წარმოედგინა, შემდეგი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „Итак пред нами рукоп. схибутий не только названа VIII века, но стеченоется напечатанная черепица... схибутийская... прочеваемая нашего, т.е. рукоп.“. მაგრამ მას შემდეგ, რაც ირკვევა, რომ მთარგმნელი ქართველი კი არა სომეხი უნდა იყოს, და წრეც, ვისთვისაც ის თარგმნის, სომეხთაგან შედგება, ბუნებრივი ჩანს თარგმანის შეუწყვლადობა და დედნის ზედმიწევნით დაყვა. მხოლოდ ასეთ მთარგმნელს შეეძლო პირდაპირ ეთქვა თავისი თანამემამულეებისათვის: სომხეთის იერარქები იყვნენ ჩვენი განათლების, ე.ი. გაქრისტიანების მიზეზით. მართალია, ადრე ქართველი მოღვაწეებიც კი, როგორც მაგ. არსენ საფარელი, სომეხ პირველ მამათაგან განსაკუთრებით გრიგოლ განმანათლებელს თვლიდნენ თავიანთ განმანათლებლად, მაგრამ ეს შესაძლო იყო მხოლოდ გარკვეულ ხანამდის (IX ს-ის მეორე ნახევრამდის) და არა მაშინ, როცა ჩვენი ანგარიშით, რაც აკად. ნ. მარს ვარაუდს ეწინააღმდეგება, ჩვენი თარგმანები ჩანს აღმოცენებული. ამათი სომხურიდან თარგმნის დროს ქართველები უკვე დამოუკიდებელი განმანათლებლის კულტს ამტკიცებენ და სომხებთან ყოველგვარი კავშირისაგან იმიჯნებიან. ამნაირად, ზემოთ მოყვანილი ადგილის ასეთი განმარტება, მეგონია, ეჭვს არ უნდა ტოვებდეს მასში; რომ ეს ძეგლიც სომხის მიერ ჩანს სომეხთათვისვე ნათარგმნი, რაც გარკვეული მიზეზებით იყო გამოწვეული.

სხვა თარგმნის ძეგლებში მსგავსი ტექსტობრივი მაჩვენებელი არ მოგვეპოვება. მაგრამ ამ შემთხვევაში ნიშანი, რომელიც მთარგმნელის ვინაობისა და მომხმარებელი წრის განსარკვევად უნდა გამოვიყენოთ, სხვა რიგისაა. ერთი ასეთი ნიშანდობრივი მომენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაგ. აღ. ხახანაშვილმაც

¹ იაკობ ცურტაველი: მარტვილობა შუშანიყის, ჩვენი გამოცემა, თბ. 1938 წ.

დაძებნა. ესაა ჩვენი ძველების. ლექსიკა, კერძოდ მისი ის ნაწილი, რომელიც უთარგმნელად არის გამუდმებული თარგმანებში და რომელიც მეტწილად ტერმინებია, ვიდრე საზოგადო სიტყვები. მეორე ნიშნად შეგვიძლია მივიშველიოთ ფრაზეოლოგიური, ანუ სინტაქსური, არმენიზმები, რომლებიც ისევდაისევ სომეხ მთარგმნელს შეეძლო დაეშვა.

ვნახოთ ესაა, როგორია ან ერთი ანდა მეორე ნიშანი, რომელიც აჩვენს მას; რომ სომხურიდან მომდინარე აგიოგრაფიული ძეგლების თარგმანები უეჭველად ეკუთვნის სომეხ მთარგმნელსა, თუ მთარგმნელებს, და მათი თანამემამულეების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის შესრულებული. ნერსესის წამების ჩიგნის ქართულ თარგმანში უსარგმნელად გაშვებული სიტყვები, როგორც სხვაგანაც, ძირითადად ტერმინებია. ასეთებია:

1. ა ვ ა ნ ი -

„და განუკუთთა ხაკი ზედა ავანთა და სოფლებთა(!) ნაყოფიერთა...“

(*Եւ Բաժանსաց Ի Նոսա Կաւասնս Ա զազարակս...* [15, გვ. 70, 15].

ეს სიტყვა ყველგან ასეა წარმოდგენილი, არსად არა გვაქვს შემთხვევა, რომ სადმე ბი. სი ქართული შესატყვისისი იხმარებოდეს:

„დაჰმარხა ავანსა თილს.“ (*Թալեաց Ի Թիլն Կաւասնի*) [15, გვ. 77, 14 15].

„... მოიწინეს... ავანსა თილს“ (*Եկին... Ի Թիլն Կաւասնի*) [15, გვ. 79, 4-5].

2. ზ ო რ ა ვ ა რ ი -

„ერჩლა მათ... თევდოსი დიდი, რამეთუ იყო იგი უამსა მას ზორავარ...“

(*Որում Կող եղեալ... Մեծն Թիողոս զարավար...*) [15, გვ. 72, 22-24].

ასეთივე სახით არის ნახმარი ეს სიტყვა კიდევ ერთგან:

„ზეიპყრა იგი ზორავარმან...“ (*Ըմբոնსալ Ի Կարավարէն*) [15, 77, 23-24].

3. ნ ა ხ ა რ ა რ ი -

„მოსრნა ნახარარნი თვისნი, მთავარნი...“ (*Կոպირեաց Կնախարարսն*) [15, გვ. 73, 18. ნ. აგრეთვე გვ. 73, 4]

ეს სიტყვა ყველგან ასეთი სახით არ არის მოცემული, ხშირად მას ის სიტყვა ესაყვლება, რომელიც აქ გლობად არის დადებული; ე. ი. „მთავარი“:

„შორის ვეფისა და შორის. მთავართა მისთა...“ (*Ի Մէջ Կրքային Ա Է Մէջ Նախարարացն*) [15, გვ. გვ. 71, 20; 72, 3-14; 74, 29-32; 76, 15].

სომხური ტერმინების უმეტეს შემთხვევაში უცვლელად ვაღმოვლავთ, რაც სომხურიდან მომდინარე სხვა ქართულში თარგმანებში ახუ. ~~ფრაზა~~ ~~ად~~ ~~არ~~ იცის, უცილობლად ამას მოწმობს, რომ ხსენებული თარგმანი სრულდება სომხის მიერ მისივე თანამემამულეთათვის, რომელთათვის ტერმინების უცვლელად დატოვებას ან არი ჰქონდა, რადგან მათთვის ისინი გასაგები იყვნენ. თუ სადმე რომელიმე მათგანს ახსნა ახლავს ვლობის სახით, ეს შეფარდებული ჩანს იმ ვითარებასთან, რასაც მთარგმნელს, ის სინამდვილე აწველიდა, რომელშიაც იგი ტრიალებდა. ასე ეკ. „ნახარარი“, ეს სასახლიანთა დროინდელი სომხეთისა და არაბობის ხანის სომხეთისავე გარეუღული სოციალური ფენის აღმნიშვნელი სიტყვა, შეცვლილია „მთავრით“, რომელიც IX-X ს. ს. ს. საქართველოში დიდისა თუ მცირე ფეოდალების აღმნიშვნელად იყო გავრცელებული, ისიც განსაკუთრებით იმ მხარეში, სადა ჩვენს თარგ-

მანებიო შესრულებული, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მკვიცნოთ თუნდ გრი-
გოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებებიდან: გამბრიელ დაფანჩული
-მთავარი" (იგივე „აზნაური“) [გვ. 108, 109] და ვიორჯი ჩორჩანელი - „მთავარი დიდო“, რომ-
ლის ასაუთარო ეწოდება „მთავარი“ (გვ. 154, 5 ; 155, 20-23).

ასევე თავისებური, დროისა და ადგილის დამახასიათებელი, შესატყვისია სომხ.
გალაღ-ისათვის - „ქუვი“, რომლის გვერდით აქ უფრო ხშირად „ქუეყანაჲ“
იხმარება, მაგრამ ძველად კი გავრცელებული იყო: „სოფელი“¹ ან „სოფლები“², „დაბ-
ნები“³, „სანახები“⁴, „ველი“⁵ და „მამული“⁶.

„ხილო ნერსე უჩრძანა კეველ-კეველ, რაჲთა აღაშენენ საგლახაკინი...“

(ჩას სირა რამაჲსაჲს დსჲ გაღაღაჲს გაღაღაჲს გჩსს აოქსაჲსა-
სოჲს) [I 8, გვ. 70, 10-11].

„ქუეყანის“ გვერდით „ქევის“ ხმარება იმ მხრივ არის დამახასიათებელი, რომ
წინანდელი ხანის თარგმანებში გაღაღ-ისათვის ეს ახალი შესატყვისი (ქევი) არ-
სად არ მოგვეპოვება მაშინ, როცა ის ამ ხანის სხვა ტექსტებში, როგორც ჩვენს თარ-
გმანებში, ისე ამავე წრიდან გამოსულ ორიგინალურ ქართულ თხზულებებშიც, თი-
თქმის ერთადერთი გავრცელებული ტერმინია.

ამ ორ უეჭველად სომხურიდან მომდინარე აგიოგრაფიულ ტექსტს არ აკლია არც
სინტაქსური არმენიზმები, ისინი რამდენადმე მაინც ჯერ კიდევ შემორჩენილია თარ-
გმანებს.

1. „შემდგომად გარდასლვისა ბრძოლისა მის, დაწყნარებისა ქუეყანასა
სომხითისა, და დაღვა ნეტარმან ნერსე აღთქუმაჲ და წამებაჲ.“ (მსჲ
აჲსაჲსოჲს აჲსაჲსრაჲსაჲს და სჲსაჲსაჲსაჲსოჲს ხრისიჲს ჲაჲსოჲს, მხბს სერსჲს
გსჲრ. վկայութիւն) [I 5, გვ. 76, 11-13].

კიდევაც, რომ სწორი იყოს აქ „ქუეყანა-ს“ ხმარება (მისალოდნელი იყო „ქუეყანი-
ხა“), გამართლებული ვერ იქნება მასთან „სომხითისა-ს“ დაკავშირება. „სომხითისა“
მსაზღვრელია და ხაზღვრულის მომღვეზოდ წარმოდგენილი ასეთი მსაზღვრელი სა-
ზღვრულთან უნდა იყოს შეთანხმებული ბრუნვაში, ე.ი. უნდა გვექნოდა-„სომხითისაჲსა“,
მხოლოდ სომხურმა იცის მსაზღვრელად არსება. სახელის ნათესაობითი ბრუნვით
ხმარება საზღვრულთან, რომელიც შეიძლება ამათუიმ ბრუნვაში იღვეს. ამიტომ
საფიქრებელია, ზემოთ აღნიშნული შემთხვევა საზღვრულ-მსაზღვრელის წარმოდგე-
ნისა, სომხურის გავლენას მიეწერებოდეს, რაც, ცხადია, უფრო სიმეხ მთარგმნელს
დაურხებდა შეუმჩინეველი, ვიდრე ქართველს.

სომხურის გავლენით უნდა აიხსნებოდეს ასეთი ქართულისათვის უცხო შემთხვე-
ვაც:

2. „და უბრძანა მეფემან... ქვაჲ დაკრებაჲ მას ზელა“ (ჲრამაჲსაჲს... ჲარ-
კობჲს) [I 5, გვ. 74, 25].

„ქვაჲ დაკრებაჲს“ ნაცვლად მისალოდნელი იყო „ქვისა დაკრებაჲ“. „ქვაჲ დაკრე-

¹ ჰადიშის ითხავით: მათე 13, 34-37, მარკო 6, 1-4, ლუკა 4, 25, იოანე 4, 44. ² ლუკა 4, 44. ³ მარ-
კო 6, 5-57 (სხვა ხელნაწ-ში ახლადები). ⁴ იოანე 4, 35. ⁵ ლუკა 24, 24. ⁶ სხვა ხელნაწ-ში იხივლის ნაცვლად

ბაჟ» ისეა ნახმარი, როგორც ჭარკობს, მხოლოდ არა კომპლზიტურად (როგორც ეს ხომხურშია), რაც სომეხი მთარგმნელისა და მკითხველი წრისათვის საჩიოთი არას წარმოადგენს.

ასეთივე ვითარებით უნდა იყოს გამომწვეული ამავე ტექსტის კიდევ ერთი ადგილი, სადაც ქართული წინადადების ბუნება შეზღუდული ჩანს:

3. „დიდმან თევდოსი... უკუ მიაქვინა ყოველი წმიდანი მისნი, მამანი... რომელცა უკუ მოიყვანა ნეტარი ნერსე, და დაიყენა იგინი მის თანა პატრივითა დიდითა“ (მქიოჲს მსხ... դարձոյց զամենայն հարս սուրբս... ընդ որս և զմեն ներսս ամենալ առ իր պարի մենալ պարսուով) [15, გვ. 75, 13-19].

«რომელცა-ს» ხმარება ამ წინადადებაში, თუ აქ გადამწერს არა დაუკლია რა (ხელნაწერშია: რცა), არაფრით არ შეიძლება იქნეს გამართლებული; არსებული ხომხური კონტექსტით თარგმანში მოხალოდნელი იყო: «რომელთა თანა». საიდან გაჩნდა «რომელცა», ნათლად არ ირკვევა:

ისეთი შემთხვევა, როგორცაა მრავლობითის ორმაგი ნიშნით გადმოცემა, შვედია, ზემოაღნიშნულ სხვა გარემოებებთან ერთად, ხსენებულისავე წრის დამახასიათებელი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეს მოვლენა, რომელიც მხოლოდ გვიანდელი საუკუნეების ქართულში შეინიშნება, საკმაოდ ძველი ჩანს.

4. „განუკეთა ხარკი ზედა ავანთა და სოფლებთა“ (Բաժանեսաց ի նոսա զաւանս և զագարակս) [15, გვ. 70, 15-16].

შუშანიკის მარტვილობის ე.წ. მოკლე წიგნშიც აგრეთვე მოგვეპოვება ზოგიერთი ზემოთ დასახელებული მოვლენა. აქაც კვლავით უთარგმნელად, გამკვეთულ სიტყვებს. ეს სიტყვები ძირითადად ტერმინებს წარმოადგენენ.-

1. ნახარარი:

„პირველი ნახარართა შირის“ (առաջինք ի საխարարացս) [გვ. 49, 10¹].

ეს ტერმინი ზოგჯერ ქართული ბადლითაა შეცვლილი ისე, როგორც ეს იყო წინათ განხილულ წამების წიგნში:

„მათ თანა მოვიდოდეს მთავარნი და დედოფარნი...“ (Ըսք նմին աւրինակի նա. խարարք և սեպուհք տիկնայք...) [გვ. 51, 13].

«მთავარი» შუშანიკის მოკლე წამების წიგნის თარგმანში ყოფილარის შესატყვისადაც გვხვდება:

„ითხოვდეს მისვან ყოველი ვედრებით - ეპისკოპოსნი და მთავარნი...“ (Խնդիր ի մէջ ամենալ ամենեցունց՝ եպիսկոպոսացս և զօրավարացս) [გვ. 51, 20¹].

ამავე წამების წიგნში ერთგან სინტაქსური არმენიზმიც გვხვდება:

„შემიწყნარე მე მოყურათა ზენთა თანა... რომელთა შეგიყურეს შენ და სათნო გეყვნეს წინაშე უფლებისა შენისა, რომელთაჲ პატრიოსან არს სიკუდილი მათი წინაშე შენსა“ (Ընկալ դիս... ընդ փառաբանիչս անուան զի... որք սիբեցին զքեզ և հարու երին տիրութեան զում, որոց փառաւորեսալ են մահք

¹ იაკობ ტურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, 1938 წლის გამოცემა.

ილქასყ ათიუჩ ასაჟლსაბოცხას ჟილ) [გვ. 52, 18¹].

«რომელთაჲ ჰატიოსან არს სიკუდილი მათი-ს» შესაბამისია სომხურში: ირიყ ყისაა-
 ლორხაჲ ხს მარჲ ილქასყ: ამ სომხური დამოკიდებული წინადადების ყოველ წევრს, რივის
 შეუცვლელადაც კი, კვალდაკვალ მისდევს ქართული თარგმანი. მიმართებით სახელნაცვა-
 ლი ირიყ (= რომელთაჲ), რაც შეკავშირებულ სიტყვას წარმოადგენს, იმავე დროს მსაზღვრე-
 ლი ჩანს წინადადების ქვემდებარისათვის- მარჲ-სიკუდილი-სა, რომელსაც კუთვნილებითი
 სახელნაცვლის სახით კიდევ ახლავს მსაზღვრელი. ეს მეორე მსაზღვრელი ქართულისათვის
 მაინცადაზმანს აუცილებელი არაა, შეიძლება ითქვას, ზედმეტია და არც სომხურისათვის
 მიიჩნევა ის არსებით მხარედ.² აღნიშნულ წინადადებაში, რომლის მსგავსი ჩვენს სხვა ქველ-
 შიაც მოგვეპოვება, მსაზღვრელად მოცემული მიმართებითი სახელნაცვალი მართულ-შეთან-
 ხმებულ მსაზღვრელს წარმოადგენს მაშინ, როცა ის, მსგავსად სომხურისა, ქართულშიაც
 მარტო მართული უნდა ყოფილიყო, რადგან ის აქ წინ უსწრებს საზღვრულს. თუ ასეთი
 ვითარება ჩვენი თარგმანების დამახასიათებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ ეს მიმენტი დიალექ-
 ტური მუხებისა იქნებოდა, რაც, რასაკვირველია, თავისთავად საინტერესო გარემოებაა.
 ხსენებული ზედმეტი მითითება სომხურისა და მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი შე-
 თანხმება ქართულისათვის დიდად დამახასიათებელი არა ჩანს და ამიტომ აქ მთარგმნე-
 ლიცა და მისი მკითხველი წრეც, რომელთაც ეს მოვლენა არ ეჩიოთიერებათ, ქართველე-
 ში კი არა მგონია, არამედ სომხები, რის მაუწყებელი ნიშნები, როგორც ვნახეთ, სხვა
 აბაღია განხილულ ქველებს.

სომხურიდან მომდინარე და უეჭველად სომეხი მთარგმნელის მიერ შესრულებული
 სხენებური ორი აგიოგრაფიული ქველის თარგმანის აღნიშნულ ენობრივ თვისებებს
 ჩვენ სომხურიდანვე მომდინარე სხვა ქველების თარგმანებშიაც ვხვდებით. უთარ-
 ვმელად გავშვებულ ზოგიერთ ზემოთ აღნიშნულ ტერმინს ალაგ-ალაგ შესატყვისი-
 ბიც ცვლიან «გრიგოლ განმანათლებლის შემკვიდრეთა მარტვილობის წიგნსა» და
 «ვარდანის წამების წიგნში» ასეთებია პირველს ქველში:

1 ავანი -

„ხოლო გუამი წმიდისა მის აღილეს აუხთა მონათეთა და მიიღეს
 ავანსა თილს“ (ხსკ იმარაქის ხრანსლთჲს ჩარბხალ აჯასერყასყ
 სიორის ჩხრის... ქ იქილ ქიროსლ ალანსხს) [I 4, გვ. 64, 18-20].

«ავანს» ზოგჯერ « სოფელი » ცვლის :

„და დაჰმარხეს ველსა, სოფელსა ამარენს ნეტარი ვრიგარის“ (ქსა-
 ილქის კსმარსანს ალანსხს კსრანსქი სიორის ჳრიჳიორის) [I 4, გვ. 66, 17].

ანდა:

¹ იაკობ ტერტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, 1938 წლ. გამოცემა.
² ს.პ. შალქაასხანსე. ჳრარარქი რამანბანის-ქიანსე. იქიქლი, 1992, 55 141, 222.
 მიმართებითი სახელნაცვლის შემდგომ იმავე პრუნქსაში კიდევ კუთვნილებითი სახელ-
 ნაცვლის დართვა საზღვრულისათვის, არსენ აიტნიანის შენიშვნის თანახმად, ებრა-
 ულის დამახასიათებელი ყოფილა (ქ. შალქიანს. ჩხრანსლთჲს ჩარბხალს ჩარბხალს
 აქსიოყასიორსა ქ ჩარბხალს აქიოხსანს. ქიანსა 1885, გვ. 352).

„წარვიდა დაუბრკოლებლად ქუეხანად ეგელეციისა, სიფელსა თილს“ (Ան-
վիփս անցեսլ գուայր յնկելեսց գաւառ. ի Թիլն սուան [14, გვ. 66, 29-30].

2. ნახარაჩ -

„მზაუჯვართა შაინა მის მყოფთა ბირებითა ნახარაჩთაჲთა იწებეს
მოკლვაჲ დიდისა ორთაენსი“ (Նենգ գործեսլ բնակչաց լերինն այնորիկ
ի սադրելոյ նախարարացն կամեցին սպանանსկ զմենն չրթանէս)
[14, გვ. 66, 24-27].

ვარდანის წამების თარგმანში უთარგმნელად გაშვებული ტერმინები შემდეგია:

1. ნახარაჩი -

„და ცხრანი დიდთავან ნახარაჩთა მასვე აღვიღსა აღესრულენს“
(Ընդ ինն մեծամեծ նախարարացն անդէն ի ყեղևոջն կարարեցան)
[17, გვ. 90, 8-10]

2. ზორავარი -

„გარნა რამეთუ დაცემულ იყო ზორავარი სომხთისაჲ შრძოლასა მას
დიდსა“ (Բայց քանդի անկեսլ էր զաւրավարն ճայոց ի մեծ պարբերաց-
յաւցն) [17, გვ. 88, 11-13].

ამავე თხზულების ქართულ თარგმანში ნახმარია „კევცი“ სომხ. գաւառ-ის
შესატყვისად, რაც წინანდელ თარგმანებში, როგორც აღვნიშნავდით, ჩვეულებრივ
„ქუეყანით“ არის ხოლმე გადმოცემული.

„განუმავრდეს ზედა მრავალთა კევთა და ციხეთა“ (Բռնանային ի վե-
րայ բազում գաւառաց և բերդից) [17, გვ. 89, 7].

აღმინისტრაციული ერთეულის ტერმინად „კევცი“ ხმარება იმით არის საგულის-
ხმოდ, რომ ის გარკვეულს აღვიღსა და დროზე მიათითებს, რაზედაც დაწვრილე-
ბით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ავთოგრაფიული ძეგლების აღნიშნულ წყვილს მოეპოვება სხვა რიგის ნიშნებიც,
რომლებიც მათს არა მარტო სომხურიდან მომდინარეობას მოწმობენ, არამედ მასაც,
რომ ისინი შესრულებული არიან სომხის მიერ თავის თანამემამულეთა ინტერესე-
ბის კარნახით.

გრივოლ განმანათლებლის შემკვიდრეთა მარტვილობის თარგმანში ერთი ისეთი
აღვილი მოიპოვება, რომელსაც სომხური დედნის კვალი უნდა აჩნდეს, რის დაშვე-
ჯა სომეხი მთარგმნელის საქმე უნდა იყოს, ხოლო შეწყნარება სომეხი მკითხველი წრი-
სა. ესაა -

„მოვკლა მე, ვითარცა დამორგუნველი ხატსა სამეუფოსა“ (Չմարս ասե-
լով ինքն մեռանսկ իրեն վկիտող թագաւորական պարկերի) [14, გვ. 68, 3-6].

გამოთქმის - „დამორგუნველი ხატსა სამეუფოსა-ს“ - შავიერ მოსალაიდნელი იყო: ადა-
მორგუნველი ხატისა სამეუფოჲსა. თარგმანში დაცული შეწყობა გვიანდელი ხანის
ქართულისათვისაა დამახასიათებელი. ასეთს აღვნიშნავდით ტექსტში ის შესაძლოა სო-
მხური დედნით იყოს გამოწვეული, რადგან სომხ. թագաւորական պարկերի მთარ-
გმნელს შეეძლო მიცემითი ბრუნვის ფორმად მიეჩინა.

ვარდანის მარტვილობის თარგმანში არაქართული შეწყობის შემდეგე შემახვე-

ვა მოიპოვება:

„რამეთუ არა მიპხედნეს სიკუდილსა თავთა მათთა“ (*Ոչ ինչ խնայեցին զանգիտելով իբրև զանարի վարասիրոս կամ ի մահ անշանց*) [გვ. 26, +2].

აქ, როგორც ზემოთ ერთგან, უეჭველ თარგმანთა წყების ვანხილვისას შევნიშნეთ (გვ. 252) შეუთანხმებლობა საზღვრულისა ისეთ მსახვერეთან, რომლის ფუძე ნათესაობითი დგას, რაც სომხურის დამახასიათებელი თვისებაა და არა ქართულისა.

ამავე ტექსტში ვხვდებით ისეთ ადგილსაც, სადაც ასეთი მსახვერელი მხოლოდ ნაწილობრივ არის შეთანხმებული საზღვრულთან:

„იხილა რაჲ, რამეთუ მვლ ნაწილად უმეტეს მისინეს გუნდნი იგი მისნი, ვიდრელა არა გუნდნი სომეხთაჲ“ (*Իբրև ხրես զանհարին հարուստսն և թնասպարիկ իւրոյ գնդին քան զհայոց*) [I 7, გვ. 91, 5-8].

ამრიგად, გვგონია, ღიდად არ შევცდებოდით, თუ დავასკვნდი, რომ ეს წყებაც ძეგლებსა, თუმცა მათ ისეთი ტექსტობრივი მაჩვენებელი არ გააჩნიათ, როგორც პირველისას, სომხურიდან არის ნათარგმნი სომხისავე ხელით და სომეხი საზოგადოებისათვის.

სომხურიდან მომდინარე სხვა ავთოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანებში არც რაიმე ტექსტობრივი მაჩვენებელი და არც ზემოაღნიშნული ტერმინები მოგვეპოვება. (გვხვდება მხოლოდ *დასრუდა*-ი, რომელიც მარტოოდენ მესუკავეთა წამების წიგნს დაუცავს, და ისიც ქართული ბაღით: „მთავარი“ და „ერისთავი“). არ მოგვეპოვება იმის ვამე, რომ ისინი საერთოდ დედანში არ იხმარებინან. სამაგიეროდ მათში ჩვენ სხვა სომხურში გავრცელებული ტერმინები გავგაჩნია, რომლებიც, რასაკვირველია, იმან ვგაუწყებენ, რომ ეს თარგმანებიც სომხის მიერ არის შესრულებული სომხისავე მკითხველი წრის მოთხოვნისათა დასაკმაყოფილებლად. ამ დასკვნას ამაგრებს სინტაქსური არმენიზმებიც, რომლებიც უკვე განხილული თარგმანების მსგავსად, აქაც საკმაოდ გვხვდება.

უთარგმნელად გაშვებული ტერმინები, რომლებსაც ამ დანარჩენ თარგმანებში ვხვდებით, შემდეგია:

1. აპარანი (იზიდბიზიდის წ~ბა) -
„ზორვანა... აღასრულებდეს... აპარანთა შინა ჰამა(რ)კარისათა“ (*Զորհ... մարուցանելին... յապարանս համա(ր)կարին*) [I 10, გვ. 445, 30-32, გვ. 116, 9].
2. დაჭჭაჭეთი (ანდუხტის წ~ბა) -
„და მიამთხვა დაჭჭაჭეთსა და მოკლა იგი“ (*Եւ նհար զդաւթնասպարს և սպան զնա*) [I 1, გვ. 7, 5].¹
3. დივცაზნი (ატფის წ~ბა) -
„ დივცაზნთა მამათი თქუენთი მსახურებაჲ აღელი“ (*Եւ դիւցախանն և սխնեսացն ձերոց պաշտամունքն բարձան*) [I 9, გვ. 26, +2].
4. შეჭეკანი (იზიდბიზიდის წ~ბა) -
„ და იყო ეამსა ზამთრისანჲ, თთუესა მეჭეკანისანა“ (*Եւ լինէր ի ձմեռային*

¹ ვხვდებით ამ სიტყვას იზიდბიზიდის სომხ. მარტვილობაშიც, რის მაღალი ქართ. თარგმანშია: „მტარული“.

ძამასასქი, ო მწიფესასქის) [I 10, გვ. 115, 24-27].

5. ნავასარდი (საქავის აღსასრული)-

„აღესრულა... თთუესა ნავასარდისახა, რომელ არს აპრილი, ო“ (ჭასი-
 ნანსეა... ქამანსანს სალასაოიქი ირ ასი რესიამ ჭრ ასიონს) [I 6, გვ.
 83, 2-3 ; 6. აგრეთვე I 3, გვ. 22, 1 ; I 6, 111, 6].

6. ოსტანი (ატომის წმა; იზიდბიზიდის წმა)-

„წმიდაჲ ვარის სახლისაგან ოსტანისა“ (ოორეს ჭარიო ქოსიას
 უასქ) [I 9, გვ. 111, 10-11].

„დაემკვდრა ოსტანსა სომხითისასა, დვინს“ (მსასქი ქოსიასქს ჯაოქ
 ო ოოს) [I 10, გვ. 115, 22-23].

7. პარეგავტი (იზიდბიზიდის წმა)-

„უმბრანა მსახურთა თვსთა დაქებელ პარეგავტი მისო“ (ჯრამასქი ასა-
 სალიორანს ასაფაძსლ დასარბასას სიორა) [I 10, გვ. 120, 25-27].

8. ქარანძავი (ატომის წმა)-

„პოვეს... მარტოღმყოფი ვინმე ქარანძავსა ერთსა შინა დამკვდრებუ-
 ლი“ (ჟოხეს... ოქანსასასას დომ ო ჭარანძასქ ოქიქ მსასქას) [I 9,
 102, 1-4].

9. ჰამა(რ)კარი (იზიდბიზიდის წმა)-

„და იხილა ცოლმან ჰამა(რ)კარის(ა)მან“ (მსასქი ქოსიასქს ოსიქ ოას(რ)-
 კარის) [I 10, გვ. 116, 16-19 ; 6. აგრეთვე გვ. გვ. 115, 24 ; 115, 32].

ქართულ თარგმანებში უცვლელად დაცვა აღნუსხული ტერმინებისა, რომელთა დიდი ნაწილი სომხურიდან მომდინარე სხვა ძეგლებში უმთავრესად ქართული შესატყვისი-
 სემით გვხვდება, უდაოდ მოწმობს, რომ შეითხველი წრისათვის, ვისი ინტენსიუმი-
 თაც მთარგმნელი ხელმძღვანელია, ესენი განსაგები არიან. ხოლო ეს წრე, როგორც
 ზოგიერთი თარგმანის ტექსტობრივმა მაჩვენებლებმა ცხადყვეს, არ შეიძლება სხვა
 რომელიმე იყოს, თუ არ ისევ სომხური, რომლისთვისაც თუმცაღა მშობლიური სა-
 მწერლო ენა საერთოდ გაუგებარი გამსდარა, მაგრამ ცალკეული ტერმინები, რამდენ-
 ნადაც ისინი მარტო მწიგნობრულ ხმარებაში არ ყოფილან, ისევ ცოცხალი არიან.
 ამიტომ, რომ მათ მთარგმნელი უცვლელად გადმოსცემს.

ბლნიშნული სახის მსგავსი ტერმინები მხოლოდ სამი ძეგლის ქართულ თარგმანში
 არ გვხვდება. ესენია: მესუკავეთა მარტვილობის წიგნი, ოსკისა და დავით დვინელის წა-
 მგნის წიგნები. სამაგიეროდ ესენი, განსაკუთრებით პირველი ორი, ისე როგორც აღნიშ-

¹ განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას წარმოდგენილ ნუსხაში შესული თვეების სახელთა შესახებ, რომ-
 ლებიც წმიდა სომხური ფორმებითაა ქართულად გადმოცემული. არსად სხვა ქართულ თარგმანებ-
 ში, რომლებიც კი სომხურიდან მომდინარეობენ და ამ თვეებს ასახელებენ, არ ვხვდებით
 ასეთ ქართულ შესატყვისებს. წლის დასაბი თვე, რომელსაც ძველი სომხურით სალასაოი-
 ვასარდი ეწოდებოდა, ქართულით „ახალწლისაჲ“ ერქვა, ხოლო სომხურ მწიფესასქს-
 კანს „მიპრაკანი“ ეწოდებოდა. ქველმა ქართულმა წელიწადმა სვეების სახელებად
 არც „ნავასარდი“ და არც „მეჭვანი“ არ იყოს და თუ მათ აღნიშნულ მარტვილობათა წიგნებში

ნულ ტერმინთა შემცველი სხვა თარგმანები, ბლომად აღარებენ გრამატიკული ხასიათის არმენიზმებს, რაც ისევდაისევ სომეხი მთარგმნელისა და სომეხივე მკითხველისათვის ბუნებრივი მოვლენა იყო. ასეთი ადგილებია:

სანდუხტის წამების წიგნში-

„შემრთე მე გუნდას მას წმიდათა შენთასა, რომელთა შეგიყურეს შენ და სათნო ეყვნეს ღმრთიებასა შენსა, რომელთანი დიდებულ არიან სიკუდილნი მათნი წინაშე უფლებისა შენისა“ (საანსნსა აჩუა ჩიგონიყა იორიყ დიგ და ჩიქისა აქსიფიქ, იორე სირესყის დესე და ნადიყ სელს სასიოლადიქსანსიქ დილ, იორიყ ქარალორესაქ სს ქააქე ჩირესანგ ათაქიქ ქი, იქროქსანსიქ) [I 1, გვ. 5, 10-16].

სრულიად მსგავსი ადგილი ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, როცა საუბარი გვექონდა შუშანიკის მარტვილობის ე.წ. მოკლე წამების შესახებ (ნ. გვ. 053-054). იქაც და აქაც საზგასმული ადგილები რამდენადაც ბუნებრივი შეიძლებოდა ყოფილიყო სომხურისათვის, იმდენად უჩვეულო ჩანს ქართულისათვის, მაგრამ მათ თუ მაინც ვხვდებით ჩვენს თარგმანში, ეს იმიტომ, რომ ეს თარგმანიც სხვებსავე სომხის მიერ ჩანს შესრულებული მისივე თანამემამულეთათვის, რომელთაც ასეთი ადგილები არ ეუცხოვებათ.

ანალოგიურ ადგილებს სხვა თარგმნილ ძეგლებშიაც ვხვდებით. განსაკუთრებით ისინი ოსკისა და მესხუკავეთა წამების წიგნებში მოაპოვებინან.-

1. „მრავალი რაჲმე მითხრა მან ჩუენ იონთა მადიანისაგან, რომელთანი წიგნნი მრავალ არიან და აწ ჩუენს შოვრის იპოვებინან“ (ნადილ ჩიუკ აყაჲმესაგ სსა მსე ჩიქონსაკას მარესე, იორიყ ვრესანს ანსიქი უაჲაჲსანსიქსანს დიოცაგ და აქმ ქი მქიქი მქროლ ვჲანსიქ) [I 2, გვ. 9, 9-12].
2. „ისმინეს ესე მახლობელთა დედუფლისათა, რომელნი მოსრულ იყვნეს მის თანა ჰერეთით, რომელთანი დშერთმან განაბრწყინვნა გონებანი მათნი შეწყნარებად სიტყუათა ცხოვრებისათა“ (დორილესაქ დსიუა და მქრბასლორესაქ იქსნიქს, იორე დქსი სორა სესაქ ქის დიქ სსა ქსიქანსაგ, დიორიყ სასიოლადიქ ქსასაჲსა ყიყ დსირჲა სიყა დიქონსე დსანსიქსაყ) [I 2, გვ. 12, 1-6].
3. „ხოლო კაცთა მათ, რომელთანი განუხუნა გონებანი მათნი და შეიწყნარეს სიტყუაჲ ცხოვრებისაჲ“ (ჩსაქ არანსგ სრეიყ, დიორიყ ხესაგ სასიოლადიქ დსირჲა სიყა დიქონსე დესანსიქსაყ) [I 2, გვ. 13, 8-11].
4. „შეერთებულნი წყართა ევერატისათა, რომელთაჲ ჰირველი მათი იყო წმიდაჲ ოსკე“ (სქარორესაქე ქასიონს სქირაჲაყ, იორიყ ათაქიქსნი სორეს ჩსაქიქ) [I 3, გვ. 24, 1-4].

მიმართებითი სხელთნაცვლის ასეთი თავისებური ხმარების გარდა სომხურიდან მდმიდინარე ქართულ თარგმანებს ამავე სხელთნაცვლის სხვა უცნაური გამოხატულებაც

ვხვდებით, ეს წამოღვენილი ანსნის შემდეგ, მგონია, ნათელი უნდა იყოს.

მოეპოვნებათ. ეს ისაა, რომ მიმართებითი სახელთნაცვალი, რომლის ბრუნვა დამოკიდებულია წინადადების შემასმენელზე, არაა შეთანხმებული მასთან ჯერონვად.

1. „და დაემკვდრნეს მუნ ვიდრე აღსასრულადმდე მათდა, რომელი ჰოვებს მწყემსთა ვითმე და დაჰკრძალნეს“ (სე ესაქცეყას ანთი ძინჯღ ყაი კაყარაჲმას ხრესანგ, გორს ყირესლ ანტიორიყაყ იმანგ & ბაძცეცხს) [I2, გვ. 20, 5-9].
2. „ვითარცა გინებაჲ თავთა თვსთაჲ შეჰრაცხეს, რომელთაცა მოწყვდნეს მახვლითა ვითარ სამეოცდახუთ ოდენ“ (ჩერს ყმუნსამასა ხრესანგ წა-ქარქის, ორიგ ყღერაჲ ყღირ ლესალ კოყორცხს ჩერს არს მნ) [I2, გვ. 17, 12].

სომხური ტექსტის ასეთნაირი გადმოღება და გაუმართავად დატოვება, თუ არ სომხის მიერ და სომხურივე მკითხველი წრის არსებობისა, შეუძლებელია.

ჩვენს თარგმანებში მოკვეთვება სხვა რიგის უსწორ-მასწორებშიც, რომელთა აღმოცენება კვლავ დასახელებული ვითარებით არის გამოწვეული.

1. „ვითარ იყადრე დატევეებაჲ მამული მოგუებაჲ და ვრწმენა უცნაური-სა ჭრისტმსი“ (ღიქარე იქცეცერ ყრყარსსი ასყოლამს ითიოღ & წა-ლარაყერ ანბანსაღმძის ჭრქაროიტი) [ბზობზობის წმა: I10, გვ. 113, 1-3].
2. „ადვილი იგი აღაშშნეს მონასტერი ვალაშის მიერ მეფისა და მუნ დაამშნა ძმ თვისი“ (ნესქს ჯისესლ ალას მქბი მადალირქს ჭაღარ-ჯიღ ანთი ვიორქის ხერ ესაქცეყასანერ) [ოსკის წმა: I2, გვ. 20, 13-15].
3. „სოლო მთაჲ იგი ტრაბახტი სახელად უმთავრესისა მათისა სუქია-სისა ეწოდა სუკავი“ (ესე ესაქცეყას ჯარაყაჲ ქასიღს ყღსალირქ ზიყა მოღქარაღს კიღესაღ მოლკაღ) [ოსკის წმა: I2, გვ. 21, 1-3].
4. „სოლო ღმრავის მსახურთა დაბნელებული გუნდთა მათ სძარსთა ღამე ყოველ შეუდგეს კუალსა მათსა“ (ესე ყღსაყაჲჲ & სსაყინიღ ყარს უარსიღ ყღქერს ამსსაჲს რყარამიღ ლესლ...) [ბაღობის წმა: I9, გვ. 106, 6-8].
5. „ისმინე უფალო, ... და ნუ სცემ ადვილ გმრავსა“ (ღორ ყღ... მქ ყარ ყღსი სარყასაჲ...) [მესუკავეთა წმა: I3, გვ. 44, 11].
6. „ესე მე ანტონი მეუღობნოემან ჰარმმან ვპნატრიღი ცხვრებანსა და წამებანსა მათსა, რაჲმაცა მეცნიერ ვიქმენ“ (სე კსიონ ანსაყარყა-კანს ი ჲიღქმაჲ ყანსკაყაჲ ყაროღ & ყღსაიღესანს ერანსესანგ ყღ-ყარს ქისეს) [მესუკავეთა წმა: I3, გვ. 61, 1-3].
7. „მამინ მეფემან კოსტანტინე მონღვანსა მეორისა მის წელიწადისანსა წარვიდა სიფყვანებრ მის ანგელოზისა“ (კაყა მადალირს კოყარანტი-ანოღს ი ყაღ მქს ამქს ყნსაყ ლყ რანღ რესყარსქს) [მესუკავეთა წმა: I3, გვ. 59, 12-14].
8. „და იყავს... თქუენ მრავალთავან შრომათა განსუღნებად, და სიხარულ-სა, რომელი განჰმზადეთ თქუენტვს დიღითა ღუაწლითა, რომელი ჰვიეს უკუნისამდე“ (სე სესეს... მესე ი რაყიმ აუქარაღქესანგყ რანსყარ & ოღ რაქიღქისნ ვიღ კაღმსესე რაღიმ დანოღესანს; ოღ კაჲ & მსაჲ ქა-ღარსანს) [მესუკავეთა წმა: I3, გვ. 54, 9-12].

9. „და (ა)იძულებდეს მათ სიტყუად კაცთა მათ მიმართ, რაათა ჳანე შოვრნებს სარწმუნოებასა ქრისტესსა“ (სა რარცხეილესანსქის ჳსოსა ჯასსელ ღუ არახსუნს ჟ დაჳ ყალ ქსიკრყაყოლქსსქს ქრქსოოქს) [ოსკის წ'ბა: I 2, გვ. 14, 13-15].
10. „ვითარცა ეუწყა გური მათი, ვითარცა აღამატი შეუჭრეთელი და მიუღრეველი და განზრახვასა ორკერძოვე წმიდათაჲ, ჰრიდეს კაცთა მათ“ (შირ ჟმადესალ ჳსნო-ამანოქსაჳ სჟრჟს სოჳს, „სა ჳსარაყოლქს ჟოროლოქსა ჟრქიოოლსჳ კიოქმანსჳ, სსსაჳსალ აჟსოქსსარს კარას...“) [ოსკის წ'ბა: I 2, გვ. 15, 5-9].

სათავე აღნიშნულ უსწორ-მასწორობათა, რამიაც, როგორც მთარგმანთა ადგილების გვერდით მოყვანილ სომხურ სათანადო შესატყვისებთან შედარებაჲ მოწმობს, დედნის ენის გავლენასაც არამცირელი წვლილი მიუძღვის, თვით მთარგმნელის ვინაობასა და მის ნაღვაწთა მიმხმარებელ წრეში უნდა ვეძიოთ. აღნიშნულ შემთხვევებს გადამწერთ ვერ მივაკუთვნებთ, ჰიროქით ასეთთა რიცხვი ქართული გადამწერის ხელში საგრძნობლად შემცირდებოდა კიდეცა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მათგან ტექსტი სრულიად მაინც ვერ გაუცხრილავთ.

თითქმის ყველა თარგმნილი აგიოგრაფიული ძეგლი გვანჯღიდა ამათუიმ ენობრივი უსწორ-მასწორობის შემთხვევას, ერთის გარდა (ლავით დვინელის წამების წიგნისა), რომელიც თარგმანების აღნიშნული წყებიდან გამოხაკლისს მაინც არ უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული შემთხვევების მეტ-ნაკლებობა სხვადასხვა ტექსტის მიხედვით, შეიძლება იმაზედაც იყოს დამოკიდებული, რომ ისინი ერთ მთარგმნელს კი არ ეკუთვნოდნენ, არამედ რამდენიმეს. საერთო ნიშნებისა და ენობრივი უსწორ-მასწორობის ხასიათის საფუძველზე თარგმნილი ტექსტების დაჯგუფებაჲ კი არის შესაძლებელი. ასე მაგ., ნერსეს მთავარეპისკოპოსის ცხოვრება და შუშანიკის მარტვილობის ე.წ. მოკლე წიგნი ერთ ჯგუფს ქმნის; გრიგოლ განმანათლებლის შემკვიდრეთა წამებისა და ვარდანის მარტვილობის წიგნები მეორე ჯგუფს შეადგენს; ოსკის, მესუკავეთა და ატომის წამებათა წიგნები მეხამე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს; სანდუხტის წამების წიგნი, საპაქის აღსასრულისა და იზიდბიზიდის მარტვილობანი მეოთხე ჯგუფს შექმნიან, ხოლო ლავით დვინელის წამების წიგნი სრულიად ცალკე გამოცალკევდება. შესაძლოა გვიარაუღოთ ისიც, რომ თვითეთელი ამ ჯგუფთაგანი ცალკე მთარგმნელის ხელიდან იყოს გამოსული და ისიც არა ერთბაშად, მხოლოდ ისე, რომ ეს მთარგმნელები ყველანი სომხები იყვნენ და მათი შემოქმედებაჲ გამოწვეული იყოს ერთიდაიგივე სომხური წრის მიერ, რაც როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა რეგის ნიშნებით მტკიცდება.

შენიშნული მაჩვენებლები რომ მოჩვენებითი არ უნდა იყოს და მათ მიხედვით გავეთებული დასკვნა კიდეც სანდო უნდა ჩანდეს, ამას. ერთი ახალი ნიშანიც მოწმობს. ეს ისაა, რომ „ათონის მრავალთავში“ დაცული სომეხი მარტვილებისა და მოღვაწეების წამება-ცხოვრებათა წიგნების თუ მთელი კომპლექსისა არა, მისი ერთი ნაწილის მიხედვით სომხურიდან თარგმნილობა თვით ამ ნუსხის ერთი ადგილით ირკვევა. „მრავალთავის“ მე-60 თავს; ახუ საუთხავს (ოსკისა და მის მოყვასთა წამებას), სათაურის წინ მოქაოვება სომხურს წყაროზე მიმათითებელი ცნობა, რომელიც ნუსხის დამწერის ხელითვეა შესრულებული ასომთავრულად სინგურით, არ სტრიქონად. მიუხედავად იმისა, რომ შერ-

მინდელს ღრმში უცლიათ მისი წამლა (უცხობა განზრახ, როგორც ამას აკად. ნ. მარცი აღნიშნავს¹), წინაფხევის ქვე? მაინც დატყლია აღნიშნული ვითარების მანუწყებელი კვალნი: ამ წამლაღულ ადგილს აკად. ნ. მარცი ასე აღადგენს: „ესე [წამებ]ანი. სომხ[ურის]გნ თარგმნილ არიან-თ“ და იქვე დასძენს, რომ „за тѣмъ слово, поименованное в скомху, я не знаю слово; но тѣмъ слово с « армянского », именно « сომხ... გნ » « с армян... » и существительные слова этих строк, тѣмъ « зѣм - перебода », тѣмъ « зѣмъ » безъ всякого заимствованнаго». მართლაც, იმ ფოთლსურათებდაც, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს და აკად. ნ. მარცის მიერ გადმოღებული ფოთლები პირს წარმოადგენს, უკანასკნელი სიტყვები „თარგმნილ არიან“ ნათლად იკითხება. ასეთი გამოთქმა კი კაცს აფიქრებინებს, რომ მის გვერდით (ამ შემთხვევაში წინ) დასახელებული უნდა იყოს ენაც, საიდანაც რაღაც არის დასახელებული თარგმნილად. ამ რაღაც თარგმნილს აკად. ნ. მარცი „შესაძლებელი ანუ ვარაუდის ფორმით გვიხატვლებს („წამებანი-თ“), მაგრამ უქვევლობით იმას გვიმტკიცებს, რომ სიტყვის ნაწილები „სომხ... გნ“, რომლებიც მიუხედავად შელახვისა მაინც ასეთისე ირკვევა, მათთვის სომხურ ენაზე, საიდანაც რაღაც ყოფილა თარგმნილი. არ შეიძლება არ დავეთანხმეთ მკვლევარს იმაში, რომ ამ შეზღუდული სიტყვის ნაწილები მართლაც „სომეხ“ ფუძისაგან წარმოებული სიტყვის გარკვეული ფორმის ნაშთი უნდა იყოს, რაც „თარგმნილ არიან-თან“ დაკავშირებით თუ რამეს გვაპარაულებინებს, ეს პირველ ყოვლისა ენას („სომხურისაგან თარგმნილ არიან“), მაგრამ ეს ვარაუდი, როგორც ვნახეთ, სრული ზედმიწევნობით არ მართლდება. სასამ რაიმე შესწორებას შევიტანდეთ, უნდა აღვნიშნოთ ჯერხელად, რომ წარწერის შეუზღუდავი ადგილები: „თარგმნილ არიან“ და „სომეხ“ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვის გადარჩენილი ნაწილები მიწმობენ, რომ ამ წარწერის მქონე წამების წიგნი და რომელიღაც სხვები ნათარგმნი ყოფილან და ეს თარგმანები კიდევ რაღაც დამოკიდებულებაშია სომხურთან.

თუ როგორია ეს დამოკიდებულება, ეს აღნიშნული წარწერის გულდასმითი შექერება-შეწამების საფუძველზე ირკვევა. წარწერის პირველი სტრიქონის მთლი სიტყვის თითქოს ამჟამად ნაწილი, რომელსაც აკად. ნ. მარცი „სომხ“-ად კითხულობს, ნამდვილად „სომხ“-ს კი არ წარმოადგენს, არამედ „სომე“-ს, ხოლო მისი გავრცელება მეორე სტრიქონზე თუ არ „სთაგნ“-ად სხვად ვერ წაიკითხება. ამრიგად, აღდგენილი სიტყვა აქ „სომეხთაგან“ გამოვა, ხოლო მომდევნო სიტყვებთან ის შემდეგ ფრზას მოგვცემს: „სომეხთაგან თარგმნილ არიან“. შელახული სიტყვა ვერ იქნება „სომხურისაგან“ ამის გამოც, რომ მეორე სტრიქონის დასაწყისი ადგილი უქვევლს ხაკითხავ ნაწილადის (გნ), ვერ დაითვლება ხუთ ასოს, რომელთაც აქ აკად. ნ. მარცი ვარაუდობს („ურისა-გნ“), სამი კი მასთვის ნორმალურია, და ეს კი მხოლოდ „ხოთ“ შეიძლება იყოს. საექველ ჩანს აკად. ნ. მარცის წაიკითხვა წარწერის დასაწყისი სიტყვისა, რომელიც, როგორც ირჩევა „წამებანი“ კი არაა, არამედ „საკითხავნი“, ყოველ შემთხვევაში ამჟამად მოცემულ დაბეზღუბების „ნი-ს“ წინ „ნი“ კი არ ირჩევა, არამედ „ვ“-ინი. მაგრამ, კიდევაც, რომ სწორად იყოს ეს სიტყვა ამოკითხული, იგი არსებით დატყლიანს მაინც არ ქმნის იმხ-

¹ Н. Марр. Описание пяти пергам. рукописей... გვ. 68-69.

თან შედარებით, რასაც მისი მომდევნო სიტყვის «სომეხთაგნაის წაეთხევა «სომხურ-რასაგნაად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შველად არც თუ იშვიათი მოვლენა იყო აგიოგრაფიული ძეგლების სომხურიდან ქართულად თარგმნა, მაშინ, შევინია, სომეხ მარცვილ-მოდვეთა წამება-ცხოვრებათა ჩვენი წიგნების თარგმნაც რაიმე ანაჩვეულებითვის არას შექმნიდა, რომ ის საგანგებო აღნიშვნის ღირსი ვამხდარიყო, მაგონამ ის კი იქნებოდა საჭირო აღნიშნათ, თუ ეს თარგმანები თვითონვე სომეხების მიერ იქნებოდა შესრულებული, რადგან ამით პასუხი გაეცემოდა კითხვას, რომელიც უთუოდ აღეძრვიდა ქართველ მკითხველს, რაცა ის ქართულისა და მსოფლიო ეკლესიის აგიოგრაფიული მასალის გვერდით სომხურსაც შენიშნავდა, - თუ კისთვის და ვისი თათნობით არიან ეს ნაწარმოებნი ქართულად თარგმნილი.

ამრიგად, ჩვენს წინაშე უძველესი სურათი იშლება. ცალში მოსახლე სომეხების ფართო ფენები ქართულს სახელმწიფოებრივსა და კულტურულ გავლენის სფეროში მოქცევიით VIII ს-ის ვასულიდან იმდღხად მოსწყვეტიან თავის მშობლიურ ბუდე¹, რომ უკვე 840-960 წ.წ. შორის საჭიროება შექმნიათ ეთარგმნათ მათს ლიტერატურულ წიგნებს უფრო გასაგებს ქართულ ენაზე სომხური აგიოგრაფიული ძეგლები, რომლებიც მანამ მათ რიგებში მშობლიურ ენაზე არსებობდა. სომხური მოსახლეობის ენობრივ გადაგვარების კონკრეტული მომენტის, როგორც ეს უკვე აღნიშნულია სამეცნიერო მწერლობაში², ხელს უწყობდა მათი კონფესიონალური ერთიანობა ქართველობასთან, რომელიც VII ს-დან საბოლოოდ დიოფიზიტურ აღსარებას იზიარებს წინააღმდეგ სომეხებისა, რომელთა შორის ამ დროიდან მოკიდებული დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა უცილობელი ბატონობისათვის სომეხეთში ურთიერთ შორის მწვავე ბრძოლას ეწევა, რაც VIII ს-ის პირველ ნახევარში (726 წ.) საკუთრივ სომეხეთში მონოფიზიტობის გამარჯვებით დასრულდა. ცალ, ბიზანტიის სამფლობელოების ახლო მეზობელი და მისი გავლენის სფეროში მოქცეული ძველიდანვე, სომეხეთს წარმთებელი ბრძოლის პერიოდში მეტწილად დიოფიზიტობის მხარეზეა, ხოლო VIII ს-დან, როდესაც სომეხეთში გამარჯვება მონოფიზიტობამ მოახივდა, უნდა ვითვქროთ, დევნილი დიოფიზიტების შემწყნარებელიც კი შეიქმნა. აი, ამ ქველი და ახალი დიოფიზიტური აღსარების ცალს სომხური ფართო მოსახლეობის ფენებისათვის, როგორც ირკვევა, სწრაფად დამდგარა ხსენებული მიზეზისა და პირობების გამო ენობრივი გადაგვარებისა და დენაციონალიზაციის ხანა, რომლის მათწყებელი ლიტერატურული დოკუმენტები 840-960 წ.წ. ეკუთვნის.

სომხური აგიოგრაფიული მწერლობის ჩვენი თარგმანები რომ მართლაც ცალს დიოფიზიტ სომეხთა წრეში უნდა იყოს წარმოშობილი, ამას შემდეგი დაქცეც ადასტურებს. ქართულ ეკლესიაში, რომელიც, როგორც ცნობილია, VII ს-დან დიოფიზიტური აღსარებისაა, სომეხ მარცვილ-მოდვეთათვის, რომელთა წამება-ცხოვრებანი ჩვენ ქართულ თარგმანებს დაუცავს, ხსენებანი დაუწესებიათ

¹ ტყემლის ავად. ნ. მარისაა, ნ. მისი «*Սմ Բրդյանէկն և Լույս Բնիկն քրիստոսն և յ Կաթողիկոսի Երեսն*», ԱՅԲ. ԱԿ, 1911 թ., ԵԻԲ. 1297.
² Ի. Մ. Մարր, *Արժ Կոմ...* ԵԻԲ. 21-23.

და ამრიგად სომეხ წმიდანებს პატივისცემაც დაუმსახურებიათ. ეს გარემოება გარდა იმ ამრავალთავისა», რომელშიაც ეს ძეგლებია მოთავსებული და, როგორც ირკვევა, ქართული ეკლესიის წიაღშია შედგენილი 985-1020 წ.წ. შორის¹, ნათლად ჩანს ტაძარი ხმარებული ერთი XI ს-ის გახულის ხელნაწერი «სკინაქსარიდანაც» (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 97). ამ ათონური მომდინარეობის «სკინაქსარში», როგორც ამას სხვა საკითხთან დაკავშირებით ამ ხელნაწერით დაინტერესებული მკვლევარი პ. ინგოროყვა აღნიშნავს², შეტანილია რომელიღაც კლარჯული სკინაქსარიდან ის ხსენებანი, რომლებიც ათონურ სკინაქსარს აკლია. მასში კი შედიან «როგორც აღგილობრივი მოღვაწენი, რომელთა მიღვაწეობა უმუალოდ საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ისე უცხოელი მოღვაწენი, რომელთა ხსენება მიღებული ყოფილა საქართველოში, კერძოდ კლარჯეთში»³. თვრამეტს ასეთ ხსენებას შორის ხუთი ჩვენნი ძეგლების რიცხვიდან მოიპოვება (დავით დვინელია, მესუკაველთა, ნერსეს მთავარეპისკოპოსისა, იზიდობიტიისა, შუმანიკისა) და, რაც საგულისხმოა, ხსენების იმავე დღეებით, რომლებიც ათონურ «ამრავალთავეშიაც» გვაქვს. რით აიხსნება ასეთი მოვლენა? თავისთავად ცხადია, რომ ქართული დიოფიზიტური ეკლესია, IX-X სს-ში, ხსენებულ სომეხ მარტვილ მოღვაწეთათვის უკრ დააწესებდა ხსენებებს, თუ ისინი მარტოდენ სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მიერ იქნებოდნენ შეწყენარებული, არამედ მათ ის უეჭველია, დიოფიზიტური, და ისიც ტაძის სომხური ეკლესიიდან იღებს და მას უწევს სათანადო ანგარიშსაც. ტაძის სომხური დიოფიზიტური ეკლესია შეერწყმის გზას დაადგა ქართულ ეკლესიასთან: ჩვენი თარგმანების სახით, მაშასადამე, ეხლა უკვე ხელთა გვაქვს ტაძის სომეხ დიოფიზიტთა ლიტერატურული შემოქმედების ნაყოფი, რის დაწერილობითი ანალიზი სამუდამებს გვაძლევს გავითვალისწინოთ ამ წრის კულტურულ-ისტორიული თავგადასავალი და მისი განვითარების საერთო გზაც.

V. აგიოგრაფიული თარგმანების შემსრულებელი წრის ორიგინალური შემოქმედება ქართულზე

სომხურიდან მომდინარე აგიოგრაფიული ძეგლების ქართული თარგმანების შემსრულებელი ეს წრე, რომლის საქმიანობა ზემოთ დავახასიათეთ თანდათანობითი გაქართველების პროცესში, როგორც ირკვევა, მარტო თარგმნას კი არ აწარმოებს, არამედ ორიგინალურ შემოქმედებასაც ეწევა ქართულ ენაზე. ის, როგორც სომხური წარ-

¹ კ. კეკელიძე, აღნიშნული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1935 წ., გვ. 13.
² პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, «მნათობი» 1929 წ., № 10-11, გვ. 246-248.
³ ი. ქვიციანიძე, გვ. 247.

მოშობის წრე და ძირითადად ტაოურია, დაინტერესებულია შექმნას სომხური ავთოგრაფიული ძეგლების თარგმანების გვერდით არსებული გადმოცემების სადაცხე ადგილობრივი, ცალსახა დაკავშირებული მარტვილების წამების წიგნები და სხვებაც დაუწესოს ასეთებს თავის ეკლესიაში. ასეთი საქმიანობის ნაყოფი უნდა იყოს ხვენი დაკვარებით და ვით და ტირიჭანისა და კოლაელთა წამების წიგნები.

დავით და ტირიჭანის წამება რომ სომხურ წრეში აღმოცენებული ნაწარმი, მთებია და სომხის მიერ გამოთქმული, ეს ტექსტობრივი მაჩვენებლით ირკვევა. ჯერ ერთი, აქ ხანა, როდესაც მარტვილობას ჰქონია ადგილი, დათარიღებულია სხვათა შორის სომხეთის საერო და საეკლესიო მმართველების ზეობით -

„ჟამთა მათ ოდენ მეყუთა მათ ქუეყანის- მპყრობელისა, საბერძნეთს- ჰე. რაკლე მეფისასა, და სომხეთს- არშაკ მეფისასა, და სპარსეთს- ვარამ შაჰოასა შეფობასა... იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისაჲთა (?), ჟამთა ნეტარისა დიდისა ნერსე კათალიკოზისათა... კაცი ვინმე წარჩინებული და ერისთავი...“ (გვ. 173, 5-10).

ნათქვამია მარტვილობის დასაწყისში. მეორეცა და, მოხსენებული კათალიკოზი «ჩუენად» არის წოდებული:

„მაშინ ვითარცა ეუწყა საქმე ესე (სასწაულზეა ხუზარი) წმიდასა მამასა ჩუენსა და ნერსეს კათალიკოზსა სომხეთისასა...“ (გვ. 183, 22).

მარტვილობის წიგნის ხანგასმული ადგილი: «წმიდასა მამასა ჩუენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხეთისასა», რომელიც სრულ პარალელს პოულობს ნერსეს შთავარებისკიპიონის ცხოვრებისა და უზმანიკის წამების ე.წ. მოკლე რედაქციის წიგნების მსგავს ადგილებთან, სადაც აგრეთვე სომხეთი წოდებულია, როგორც «ქუეყანაჲ ჩუენი» (ნ. გვ. 049), ანდა სომხეთის პირველი იერარქები, როგორც «შიზუნისი განათლებისა ჩუენისანი» (ნ. გვ. 050). უეჭველია შეეძლო ეთქვა მხოლოდ სომეხ ავტორს, რომელსაც შეეძლო ლობაში ეყოლიებოდა უთუოდ სომხებისაგან შემდგარი მკითხველი თუ მსმენელი წრე.

სომეხი ავტორი ამ თხზულებას ქართულად უნდა აღგენდეს თავისივე თანამემამულეთათვის. ეს რომ ასეა, შემდეგიდან ჩანს. დავით და ტირიჭანის წამების წიგნში, როგორც შენიშნულია, მოიპოვება ერთი ადგილი, რომლის თანახმად ავტორი აღწერილი ამბების თანამედროვედ კი არ გამოდის, არამედ ის მასზე. არი საუკუნითაც კი ყოფილა დაცილებული -

„ხოლო არკანი იგი, რომელიც განერა კელთავან მისთა (იგულისხმება: მონყლური და ვით), ნიგუზისაჲ იყო; დავარდა მიწასა ზედა, ხედ დიდ იქმნა მთასა მას ზედა. და დაყო ხე მან ვითარ ორასი წელი და წარიღეს იგი ევლოგიად მლოცავთა“ (გვ. 180, 30-32).

მარტვილობის წიგნში მოხსენებული ნერსეს კათალიკოზი, როგორც ეს უკვე დადგენილად უნდა მივიჩნიოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ, იშხნელია, რომელიც კათალიკოზობის ჟამს ცალში 653-659 წ.წ. შორის იმყოფებოდა². ასე რომ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, I. გვ. 36-37.

² შ. ორბელიანი, Ազգայնագիտ., § 429, გვ. 729-730.

მარტვილამის წიგნის გამოშქმელების 860 წლის უწინარეს არ შექმნილი ვეხივრა. ის, უნდა ვი-
თქვათ, ტაოელი იყო, ხოლო ტაოში კი მის დროს, ე.ი. IX ს-ის მეორე ნახევარში, ჩვენ
სომეხი საეკლესიო მოღვაწენი პირველ რიგში დიოფიზიტები გვეგულები.
დიოფიზიტ სომეხს კი, რასაკვირველია, შეეძლო ნერსეს იშხნელისათვის, რომელიც
აგრეთვე ამ აღსარებისა, თუ მისკენ მიდრეკილი იყო, მის თანამოაზრე თანამემამულე-
ებთან ერთად ეწოდებინა «წმიდაა მამაა ჩუენი».

დავით და ტირიჭანის წამება რომ მოსოფიზიტი სომეხი გამოშქმელების ხელიდან
ყოფილიყო გამოსული, მას სომხეთის ეკლესია, რომელიც VIII ს-დან უკვე მთლიანად ამ
აღსარებას იზიარებს, შეიწყნარებდა და შემოგვრჩებოდა სადმე (ან საკითხავების წიგნ-
ში - ბაზილიკონ-ებში, ან სინაქსარებში - კაპადოკიე-ებში, ან ჰიმნოგრაფიულ კრებულებ-
ში - ჯარაყსიფ-ებში და ან ლექციონარებში - ბაგრატიონ-ებში) მისი რაიმე კვალი, ხოლო
მისგან კიდევ ქართული ეკლესია, თავის მხრით VIII ს-დან უკვე დიოფიზიტური აღსა-
რებისა, ვერ მიიღებდა. ქართულ ეკლესიაში კი ამ მარტვილების სახსენებლად მოიხა-
ვება საკითხავი, როგორც ამას ჩვენი ნუსხა ცხადყოფს, დაწესებულია ხსენე-
ლის დღეც, რაც ზემოხსენებულ კლარჯულ სინაქსარში გვაქვს დატულია და შეთხუ-
ლია საეკლესიო ჰიმნებიც, რომლის ერთ წყებას «უენიშენებში» (გვ. 199-201) ვა-
თავსებთ ქვემოთ.

დავით და ტირიჭანის წამება, რომელი კონფესიონალური წრიდანაც არ უნდა იყოს
გამოსული, მაინც თარგმნილი ძველი არაა, როგორაც ის აკად. აკად. ნ. მარს, ივ.
ჭავჭავაძის შვილსა და კ. კეკელიძეს მიაჩნიათ. ეს ძველი რომ ნათარგმნი არაა, ენა-
ბრძოლი ნიშნულთბითაც დასტურდება. თარგმნილ აგიოგრაფიულ ძეგლებში, როგორც
ვნახეთ, სომხური სლავური და გეოგრაფიული ტერმინები უთარგმნელად იყო
ქართულად გადმოღებული, როგორც მაგ. ნახარარი, ზორავარი, ავანი და სხ...
ამას გარდა ზოგიერთ სომხურ ტერმინს ისეთი შესატყვისი აღმოაჩნდა ქართულ
თარგმანში, რომელიც სხვა ძველი დროის თარგმანებში არსად გვხვდებოდა, როგო-
რიცა მაგ. ყაყაყი-კევი. დავით და ტირიჭანის წამების წიგნში აღნიშნული
ტერმინები ყველა იმ ქართული შესატყვისიგანაა მოცემული, რომლებსაც აქა-
თარგმანებშიც ვხვდებით. ასე მაგ., «ნახარარი» - მთავარი; ან წარჩინებული;
«ზორავარი» - მთავარი ან ერისთავი და «ავანი» - სოფელი, ან დაბა.

«მთავარი - წარჩინებული» :

„კევისა ბასიანისასა, დაბასა, რომელსა ჰქვანთ თნკომ, იყო ვინმე კაცი
წარჩინებული და ერისთავი; და სახელი ერქუა ვარდან, და სახელი ცო-
ლისა მისისაა - თავინე. იყვნეს ორნივე იგი ნათესავთაგან სამე-
რფოთა“ (გვ. 178, 9-12).

«წარჩინებული» რომ სასარაფარ-ის შესაბამისი უნდა იყოს, ეს იქიდან ჩანს,
რომ აქ მოხსენებული წარჩინებული სამეფო გვარის მახლობელი ყოფილა თა-
ვის მეუღლესთან ერთად: „იყვნეს ორნივე იგი ნათესავთაგან სამეფოთა“. მას რე-
ზიდენციად დაბა თნკომი იხსენიება. «დაბა» აქ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სასარ-
არის, ე.ი. დიდი სოფელი ანუ დაბა-ქალაქი.

«წარჩინებულს» ეწოდება «მთავარიც», რომელსაც თავისი „საკლმწიყთ“ ე.ი.
ქართული და სომხური დიოგრაფიული ურთიერთობა

სამფლობელო აქვს:

„მოკუდა ვარდან მთავარი იგი ერისთავი, და თევდოსი უღმრთო მან მძლავრ მითაცა ხაკელმწიფოა იგი ვარდანისი და სიძისა თვისისაჲ“ (გვ. 178, 26-27).

«მთავარი» ეწოდება ტაოს ერთ-ერთ მმართველსაც, სახელად ვაზგენს, რომელიც ბასიანელი ვარდან წარჩინებულის მახლობელი ყოფილა:

„წარმოივლტოდა [თავინე და მისი შვილები] ჩრდილოეთ კერძად, ქუეყანად ტავიანსა. და მოვიდა დაბასა ერთსა, რომელსა ერქუა ვაჟგანი. და იყო მუნ მთავარი ერთი. წმიდათა მათ ნათესავი, რომელსა ერქუა ვაზგენი («ვაზგენი») [გვ. 179, 31-33].

შავრამ ტაოში მარტო ერთი მთავარი, ანუ ნახარარი, არ ყოფილა. იქვე სიფულ დივრს სხვა მთავარიცაა, რომელსაც თავისი ერთი შყავს, ე.ი. ისიც მსგავსად სხვა მთავარ-ნახარარებისა «ერისთავია», ანუ მეთაური თვისი სამფლობელოსი, კერძოდ კი რაწმისა:

„ვითარცა იგრძნა ამბოხი ესე მთავარმან მან... იწყო ღალადებად და ერისა კრებად... განემზადა მწრაფლ ბრძოლად მათა“ (გვ. 180, 36-38).

ეს მთავარი მიზი რეზიდენციის სახელითაც იწოდება:

„მთიწია მთავარიცა იგი დივრისაჲ“ (გვ. 181, 7).

„აღმკედრდა მთავარი იგი დივრისაჲ და აღკდა ერთურთ თვისთ მთასა მას ზედა“ (გვ. 181, 23-24).

«მთავარი-ერისთავი»:

მთავარი ატარებს «ერისთავის» სახელწოდებასაც, ზოგჯერ მარტო უკანასკნელითაც იწოდება. ეს კი ბუნებრივი ჩანს, რადგან ძველად საერისთავოს, ანუ სანახარარის, მეთაური თავისი სამფლობელოს «ერის» წინამძღვარიც იყო ბრძოლებში:

„პოვეს ერისთავი იგი მათი თევდოსი, რამეთუ იყო მწუხარჲ... და სიმრავლჲცა იგი ერისაჲ შეშფოთნეს“ (გვ. 181, 11-13).

ამ ერისთავის მეზობლ რაწმს ერთი ეწოდება:

„ვითარცა იხილა ერთი იგი შესულეზული და ერისთავი მათი მწუხარედ“ (გვ. 181, 25-26).

«ქევი»:

მთავარ-ერისთავის სამფლობელოს, როგორც ვნახეთ, საკელმწიფო ეწოდებოდა. რომელსაზე «ქვეყანაში» ან «კევეში» შეიძლება რამდენიმე ასეთი „საკელმწიფო“ ყოფილიყო. ასე მაგ., ბასიანის კევეში ორი ასეთი სამფლობელო ყოფილა: ვარდან წარჩინებულისა ან ერისთავისა და მისი ცოლისძმის - თევდოსისა. ტაოს ქვეყანაშიაც ორი მთავარი, ე.ი. „საკელმწიფოს“ მეთაურია დასახელებული.

ბასიანი «კეველ» იწოდება, ხოლო ტაო - «ქუეყანად». კევი თარგმანებით, როგორც არა ერთხელ ავკინიშნავს, სომხურ գաდაღ-ს შეესაბამება, ხოლო ქუეყანაჲ - աշխարհ, თუმცა ზოგჯერ ის სომხ. գადაღ-საც ვადმოსცემს. მართლაც ბასიანი ყველგან სომხურს ვეოგრაფიულსა და ხანისტორიულ ძეგლებში გადაღ-ად იხსენიება, ხოლო ტაო - աշխարհ-ად ან ხრქირ-ად (ზ. ხნაჩხნას, სპირიანოვ-

მის რჩს ჰაყასადსხაყ. სხს ჰაყ. ჰსხსიტყ , 1822, გვ. 380-387; 368-375). უკანასკნელი უფრო ფართოა შინაარსობრივ, ვიდრე პირველი. აკუსარი-ქუეყანა¹ რამდენსამე-
ყასად-ქუეყანა² ჯი შეიცავდა. ბასიანი აჩარაღ-აკურასარის ყასად-ად იხ
ვლებოდა, ხოლო ცალ აჩარაღისებრ აკუსარი-ად იხსენიებოდა.

ქვეთ ზოგჯერ თავისი პირველადი ვაგებიოთაც გვხვდება რომორც ამ ძეგლში,
ისე თარგმანებშიაც. აქ მაგ., ვაჟგანის სამთავროში არა ერთი კვეთ ყოფილა:

„წარავლინა იგინი კვეთა მათ ვაჟგანისთა; ვითარცა იაკობ იოსებ ლე-
ღეთა მათ ქებრონისთა“ (გვ. 180, 15-16).

ქვეთ რომ სხვაგანაც ჩვენს ტექსტში ყასად-ი არაა, ამას შემდეგი ადგილი
მოწმობს:

„ხოლო ნეტარი თავინე წარვიდა კვეთა მამორკანისთა სოფელსა,
ჩოშელსა პრქვიან ტაძარანი და მუნ შეისუენა“ (გვ. 183, 36-37).

მამორკანი სწორედ კვეთად იწოდება ძველ სომეხ ისტორიკოსთა ნაწერებშიაც:
შირს წამრიღასს³. ამრივად, აქ ქვეთ ღირ არის, ე.ი. დიდი ლელი.

«სოფელი-დაბა»:

ქვე-ყასად-ის მთავრის საჭლომ ადგილს «დაბა» ეწოდება. ეს დაბა სომხურ
ასასს შეუსატყვისება. ვარდან მთავრის საჭლოში ადგილი, «დაბა თეოსი» სომხურ
საისტორიო მწერლობაში, მართლაც ასას-ავანად იწოდება: ასას ოკასი⁴.
«დაბა» ეწოდება ჯათში ვაჟგანის მთავრის სამყოფელ ადგილსაც, ხოლო ამავ ქვე
ნის ლივრის მთავრისას - «სოფელი». ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში არც
ვაჟგანი და არც ლივრი არ იხსენიება, რის გამო მოკლებული ვართ საშუალებას გავარ-
კვიოთ, რას უდრის მათით მარტვილობის წიგნში ნახმარი «დაბა» და «სოფელი». მაგ-
რამ თვითის მიმართ. სომხურში ხმარებულ ასას-ი, რომელსაც ჩვენი ტექსტით
«დაბა» შეესწორება, ხოლო ჩვენივე თარგმანებით ზოგჯერ «სოფელი» გვიჩვენებს,
რომ დავით და ტირიჭანის წამებაში მოხსენებული «დაბა» და «სოფელი» ასას-ის
ცნების გამომხატველია.

ამრივად, დავით და ტირიჭანის მარტვილობის წიგნში ნახმარი ტერმინები: «წარჩინე-
ბული-მთავარი-ერისთავი», «მთავარ-ერისთავი», «კვეთი» და «სოფელი-დაბა»
იმასვე გადმოსცემენ, რასაც ზემოვანხილული თარგმნილი ძეგლების სომხურ ლე-
ღანთა სახარარ, ყასად, და ასას, რომელთაც თარგმანებში ალაგ-
ალაგ ეს ქართული შესატყვისები მოქალებათ, ხოლო უმეტეს შემთხვევებში უთარ-
გმნელად ვაუშვიათ. დავით და ტირიჭანის წამება რომ სომხურის თარგმანს
წარმოადგენდეს, მაშინ, უჭკველია, დედნის ზეგავლენით აქაც აღმო-
ჩნდებოდა სადმე უთარგმნელად გაშვებული რომელიმე სომხური ტერ-
მინი.

¹ აღრიღელი თარგმანებით: სოფელი.

² აღრიღელი თარგმანებით: ქუეყანა.

³ სურფანისთი ნარკანსკი ყასადის წყაროებში სტეფრასკის. სურფ. 1885, გვ. 276.

⁴ ლ. ხ. ნახას. სურფანისთის რჩს ჰაყასადსხაყ... ჰსხსიტყ , 1822, გვ. 365.

რაკი დავით და ტირიქანის წამების წიგნი გაქართველებულ ტაის სომეხთა წრეში აღ-
მოცენებულ იორიგინალური ნაწარმოები გამოდგა, რომლის თვისებები ასე თუ ისე ნათელი
გახდა, ესლა საშუალება გვეძლევა ჩვენი აზრით ასევე აღვიღობრივ გადმოცემაზე წარ-
მომობილი ქართული აგიოგრაფიის ერთი სხვა ძეგლის აღმოცენების პირობებსაც შევე-
ხთ. ესაა «კოლაელ ყრმათა წამება», რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობა (აჟად-
ნ. მარი, აჟად. ივ. ჯავახიშვილი, პ. ისვიროყვა) ირიგინალურ ქართულ თხზულებად
თვლის, ხოლო აჟად. კ. კეკელიძეს ისიც დავით და ტირიქანის მარტვილობის წიგნ-
თან ერთად სომხურიდან მომდინარე თარგმანად მიაჩნია.

ამ ძეგლში, რომელიც მოკლე წამების წიგნს წარმოადგენს, არა გვაქვს რაიმე ტექსტო-
ბრივი მაჩვენებელი, რასაც შეიძლება ეუწყებინა ჩვენთვის მისი შემოქმედი წრის ან
ავტორის ვინაობა. ამიტომ ერთადერთი საშუალება, რომელიც მის აღმოცენებას გა-
გვირკვევდა, ისევ ენობრივი მაჩვენებელი შეიძლება იყოს. ასეთი რამე კი მხოლოდ
ტერმინების ხმარებაში შეინიშნება. აქაც, ისე როგორც ზემორე განხილულ ტაის
თარგმნილსა თუ ირიგინალურ ძეგლებში, ვხვდებით ზოგიერთ ტერმინებს, რომლე-
ბიც ერთნაირი ვაგებით იხმარება. ესენია: «ქევი», «სოფელი» და «მთავარი».

კოლა, სადაც მარტვილობას ჰქონია აღგილი, სომხურს ძველ გეოგრაფიულსა
და საისტორიო მწერლობაში ტაის ქვეყნის. გასაღად იხსენიება, სადაც მტკვრის
სტავის წყაროები იმყოფებოდა. გასაღად-ის შესატყვისი კი, როგორც ვნახეთ,
ჩვენს ტექსტებში «ქევი» და არა «ქუეყანა» ან «სოფელი», როგორც ეს სომ-
ხურიდან მომდინარე აღრიხდელს თარგმანებშია. კეკელ იწოდება კოლა კოლაელ-
თა მარტვილობის წიგნშიაც:

„იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვან მტკუარი, კეკსა, რომელსა ჰრქვან კოლაჲ“ (გვ. 134, 9-10).

ამ ქვეში, ე. ი. კანტონში, დიდი მდინარის, მტკვრის თავს ყოფილა „სოფელი
ერთი დიდი“, რომელსაც ჰყოლია „ხუცესი“ და „მთავარი“. არც სოფლისა და არც
ხუცისა ან მთავრის სახელი არ იხსენიება. «სოფელი დიდი» აქ, რასაკვირვე-
ლია, აუქარაი არაა; ის ან გიღ-ია, რომელიც წინანდელს თარგმანებში «დაბად»
გადმოღის ხოლმე, ან ადას-ი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ჩვენითვის საინტერესო
ხანის თარგმანებში ან უცვლელად გადმოწყობათ, ანდა ზოგჯერ «სოფლად» უთარგმნი-
ათ. «მთავარიც», რომელსაც ხსენებულ სოფლის „უმრავლესი ერთი სოფლი-
საჲ მის წარმართთა კერპთმსახური“ მიჰმართავს, უეჭველია, ამ კუთხის „წარ-
ჩინებულთა ან «ერისთავია», ე. ი. ამ ცნების გამომხატველი სომხური ტერმინი
რომ ვიხმარეთ, სასაყარა-ნახარარია, რასაც ჩვენი თარგმანების სომხურს
დედნებშიც ვხვდებით დასახელებული ქართული ტერმინების მაღლად.

იმ ვარაუდებში: რომ კოლაელთა მარტვილობის წიგნში სხვა ენობრივ მაჩვენე-
ბელს ვერ ვხვდებით, რომელიც ქართულად გამომთქმელი სომხისათვის ჩანდეს
დამახასიათებელი, შეიძლება ეჭვი დაჰბადოს მის ასეთს წარმოშობაში, მით უმე-
ტეს, რომ ჩვენს ძეგლში მკვლევრები ხედავენ როგორც ენის არქაულობას, ისე აღ-

2. გიგეჯიანი. გიგეჯიანი, ანსონსერი... სხისსა, 1907, გვ. 241-243.

რიდელი ქრისტიანობისათვის დამახინათებელ მომენტებს (მდინარეში ნათვლა, იხივ ღამით, და სიმარტყვე ღვთისმსახურების წესისა). შენიშნავენ აგრეთვე ავტორის ისეთი თვალთახედვან, რომლიდანაც თითქოს ჩანდეს, რომ ის ქრისტიანობის დანერგვასა და გავრცელებას ტრადიციული შეხედულების საწინააღმდეგოდ წარმოადგენდეს. ტრადიციულ წარმოდგენით ქრისტიანობა, ამბობს ამ მოსახრების ავტორი, აკად. ნ. მარი, ელვის სისწრაფით ვრცელდება ქართლსა და სომხეთში და იმთავითვე იქცევა ეროვნულ სარწმუნოებად, ხოლო კოლაელთა მარტვილობაში მოცემული სურათი ამას არ ეთანხმება, რადგან აქ ნათლად ჩანს ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის და უკანასკნელისადმი მიდრეკილება კოლას მოსახლეობის უმრავლესობისა. ასეთი შეუსაბამობა მოგვიანო დროის შეხედულებებთან, დასძენს აკად. ნ. მარი, საფიქრებელია, უნდა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ მეგლი არ შესულა ჩვეულებრივი ტიპის ცხოვრებათა კრებულებში.

ენის არქაულობა, როგორც უკვე აკად. ივ. ჭავჭავაძის და აკად. ვ. კეკელიძემ აღნიშნეს, ტერმინების მხრივ, რომლებიც ქველში იხმარება, არ დასტურდება. ის IX ს-ზე უწინარესად ვერ ჩაითვლება. აღნიშნული ქრისტიანობისათვის დამახინათებელი ზოგიერთი მომენტი კიდევ, ჩვენი აზრით, შესაძლოა რომელიმე ლიტერატურული წყაროდანაც მომდინარეობდეს. რამდენადმე მსგავს სურათს მაგ, ოსკიანთა მარტვილობის წიგნშიც ვხვდებით (შტრ. I 2, გვ. 12, 6-13). აღნიშნულ მომენტებს თუ სარწმუნოდ მივიღებთ, მაშინ დანარჩენი მოსახრებებიც აკად. ნ. მარისა თავისთავად იხსენებ; კერძოდ, კოლაელთა წამების წიგნის გუვრცელებლობა იმით კი არ უნდა აიხსნებოდეს, რომ მასში წარმოდგენილი ბრძოლის სურათი წარმართობისა და ქრისტიანობისა მერმინდელი ეკლესიისათვის შეუწყნარებელი აღმოჩნდებოდა, რადგან ის მოგვიანო დროის შეხედულებებს აღარ ეგუებოდა, არამედ, მეინია, იმიტომ, რომ ის, ისე როგორც ტაოში აღმოცენებული სხვა ავტობიოგრაფიული ძეგლები, ისეთი სომხური წრიდან მოდიოდა, რომლის ნაღვანს ადვილობრივი ქართული დიდიფიზიურნი ეკლესია თუმცაღა იწყნარებდა, მაგრამ ზოგადი აღიარებისა მაინც ვერ შეიქმნა.

¹ H. Март, Мученичество в Грузии в IV в. Т. V, СПб, 1875, 53-54.

² აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ შენიშნული მონაგროები, რომლებიც მარტვილობის წიგნს IX ს-ის განახლებულ ძეგლად მიიჩნევენ იმის გამო, რომ ზოგიერთი ტერმინი მხოლოდ ამ ხანისათვის არის დამახინათებელი და წამების წიგნსაც მარტვილობათა ძეგლებისათვის ნიშანდობლივი არსებითი მხარეები აკლავს (ნ. მისი - ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 32-39). აკად. ვ. კეკელიძის შეხედულებით კოლაელთა წამება დავითისა და ტარიჭანის წამებასთან ერთად, რომელთადაც მას ერთნაირი ტერმინების ხმარება და შინაარსის მსგავსება აკავშირებს, IX ს-შია ნათარგმნი სომხურიდან (ნ. მისი - ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941 წ., გვ. 480-481).

აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ შენიშნული მონაგროები, რომლებიც მარტვილობის წიგნს ქველ სახეს არ ანიჭებს, პ. ინგოროვის დობრეობად არ მიაჩნია, რომ ძეგლი ქალიან ქველი ხანისად არ იცნას (ნ. მისი - ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, « მნათობი » 1939 წ., XI 4, გვ. 135).

ამხარად, კრძალთა მარტვილობა წარმომადგენელი უნდა იყოს იმავე ხანასა და წრე-ში, რომელშიც «ღავით და ტირიჭანის მარტვილობა» აღმოჩნდა აღმოცენებული, ე. ი. მათი წარმოქმნა 18 ს-ის მეორე ნახევრიდან არის შესაძლებელი, ტაიხ იმ სომხური მოსახლეობის წიაღში, რომელიც ქართველობასთან კონფესიონალურ კავშირში იმყოფებოდა და, როგორც ვეყობა, ქართული კულტურის ისეთი დიდი გავლენა განუტლია, რომ მშობლიური მწერლობის ძეგლების ვასაპყრობებლად ესენი ქართულად გადმოეთარგმნია და თანაც საკუთარი შემოქმედებაც ამავე ენაზე უწარმოებია.

VI სომხური თარგმანების წარმომობის დრო, ადგილი და შემოქმედელი წრეები

ქართულიდან სომხურად თარგმნილს, ჭერხნობით ცნობილ ორად-ორ ავთოგრაფიულ ნაწარმოებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ (ნ. ვკ. 037), წარმომობის ხანის განსასაზღვრავად გაჩნია საიმედო მათემატიკური ნიშნები: ერთს - ანდერძი, რომელიც თარიღს ასახელებს, და მეორეს - ცნობა, სათაურშივე აღნიშნული, რომელიც ასახელებს ასე თუ ისე ცნობილ პირს, ვის მიერაც ძეგლი ყოფილა ნათარგმნი. ასე რომ ამ მხრივ რაიმე დამაუბრებელს ვარემოებასთან, რასაც შეეძლო სხვაგვარა დიება გამოეჩნევა, საქმე არა გვაქვს.

ტაიში მიმდინარე კულტურული შემოქმედება და იქ მოღვაწე ლიტერატურული წრეების საქმიანობა, რომელშიც ჩამბული ჩანს წმინდა ქართულ ელემენტს ვარდა დიოფანტის ალსარების სომხობაც, საფიქრებელია, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა მეზობელი სომხური კუთხეებისათვის, როგორცაა: ბასიანი, ვანანდი და მათი მიმდგომი სხვა სომხური მხარეები. მიუხედავად კონფესიონალური სხვაობისა ამ კუთხეების სომხური ლიტერატურული წრეები იმ ქართულ ლიტერატურას, რომელიც ან ასეთი კონფესიონალური მიდრეკილებიანაგან დაზღვეული იქნებოდა, ანდა ისეთი ძველი ხანის ნაწარმოები იყო, რომელიც კონფესიონალური ბრძოლის ჩასახვასა და გავლევებას უსწრებდა წინ (იქნებოდა ის ადგილობრივი თუ უცხოურა წარმომობისა), ცხადია, არ დაერიდებოდა გადასაღებად, ისე როგორც ასეთ რამეს თავის მხრით სრულიად არ შეეძებოდა ზურგს ქართულიც. ამასთან დაკავშირებით აქ მხილად ერთი ვარემოებაა მხედველობაში შიხადები. ეს ისაა, რომ ტაიხ ქართული წრეებისათვის ამ შემთხვევაში სომხური ლიტერატურის ნაწარმოებებთან გასაცნობად თანამშრომლობის ვაწევა შეეძლოა აქაურ სომხებს, რომლებიც ქართული კულტურისა და პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცევიან, როგორც ვნახეთ, გაქართველების გზას დაადგინენ და, მაშასადამე, თვითონაც არანაკლებ დაინტერესებული იყვნენ ასეთი ურთიერთობით მაშინ, როცა მეზობელი სომხეთის კულტურულ კერებს აღნიშნული ურთიერთობისათვის შუამავალი არ გაჩნდა, ყოველ შემთხვევაში არა ჩანს, და თვით უნდა ეტვირთა საქმის მთელი სიმძიმე.

მეზობელი სომხური კუთხეებიდან ტაიხთან აღნიშნული ურთიერთობა, როგორც ირკვევა, ვანანდს ჰქონია. 18 ს-ის დამდეგს ამ მხარის ერთ-ერთ მოღვაწეს, როგორც ჩანს შინაფილიტს, აპირონ ვინანდელს, ტაიხ მოუხილავს ტ. იქ,

რომელიღაც არმეოსთა [მარტვილთა] ხაზანეში ისეთს ლიტერატურულ დოკუმენტებს გახ-
ცნობია, რომელიც მას, ეტყობა, სამშობლო მხარეში არ სცოდნია. ერთ ასეთ ნაწარმდ-
ებს, რომელსაც ჩვენამდის არც მოჟღერებია, ის ასახელებს კიდევაც. ესაა: ჰმაიჟის (ჯარ-
ღან მამიკონიანის ძმის) მარტვილობის წიგნი, ხილა სხვებზე ის ჰირდაპირ აცხადებს,
რომ „ვიპოვე სხვაც მრავალი სახსენებელი წმიდათა, რომლებიც დავიწყებას მის-
ცემოდა ჩვენი ქვეყნის გახაჭირში ყოფნისაგან-ო“. რა ენაზე მიაკვლია მან ივინი?
უნდა ვიფიქროთ, სომხურზე, თუმაჲ ქართულადაც რომ ენახა მას ისინი, შეუძლო
ესარგებლნა მათით, რადგან სათაურში თავისი ნაწარმოებისა, რომელსაც „მცხეთის
ჯვრის ისტორიას“ უწოდებს, თვითონვე აღნიშნავს, რომ ჩემი თხზულება „ფრიადითა
შრომითა და ძიებითა გამოწველილვილი მაქვს სომეხთა და ქართველთა მრავალ
მატიანეთაგანო“. მართლაც, მისი თხზულების იმ ფრაგმენტით, რომელიც ზევნ მ-
გვეპოვება, დასტურდება, რომ ერთ-ერთი ასეთი წყარო მისთვის ყოფილა იაკობ
კურტაველის «მარტვილობაჲ შუშანიკისი», რომელიც მას გამოკრებით აქვს ნა-
თარგმნი და გამოყენებული თავის ნაწარმოებში. გამოკრეპისას, რასაკვირველია,
მას შეეძლო დედნის ზედმიწევნითი თარგმანისათვის აევლო გვერდი, მაგრამ,
როგორც ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტი მოწმობს, ის მას თითქმის სიტყვა-
სიტყვით გამოჰკრებს. ასეთნაირად შესრულებული თარგმანიდან ირკვევა, რომ აპა-
რონს სათანადოდ სცოდნია ქართული, თუმაჲლა ტექსტის ზოგიერთი სიტყვის
ღრმადიანობის გამო, ჰირდაპირი მნიშვნელობით ისინი არ არიან მოცემული.

აპარონ ვანანდელი, უნდა ვიფიქროთ, მარტო არ იქნებოდა. იმ მიმართულებით, რომ-
ლითაც იგი მოღვაწეობდა, მას აღმათ მიმდევრებიც გაუჩნდებოდა. ის, რასაკვირველია,
არც დამწყები უნდა ყოფილიყო ასეთი საქმიანობისა. მას, საგონებელია, წინამორბე-
დიც ეყობებოდა. მართლაც, უკვე ცნობილია P. Peeters-ის შეიხებით, რომ IX ს-ის
ოთხმოცათ წლებში, სომხურ ენაზე ვინმე იოანე მკურნალს ქართულიდან უთარგმნია
«დიონისე არეოპაგელის ცხოვრება», რომელიც, როგორც ხსენებულნი მკვლევრის ძე-
გებით ირკვევა, თავის მხრით არაბულიდან უნდა მომდინარეობდეს. თარგმანი, რო-
გორც მისი მთარგმნელი აღნიშნავს, იერუსალიმშია შესრულებული. ამრიგად, ეს
ჟაქტი იმასაც მოწმობს, რომ სომხური და ქართული ლიტერატურული სამყაროები
საქართველოს მიწა-წყლის გარეთაც ხვდებიან ერთმანეთს და ურთიერთს, ცხადია, ხელ-
საც უმართავდნენ ამათივე მონაპოვრით. სადაურია ეს სომეხი მთარგმნელი, არ ვიცით,
მაგრამ ერთი გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ის ქართულს უფრო დაუფლებული
იქნება თვით საქართველოს კულტურულ კერებთან სიახლოვისა და მჭიდრო ურთი-
ერთობის გამო. შეიძლება ის სომეხი დიდიფიზიცი კი იყოს. მისი თარგმანი დედნის
ერთგულებას ზედმიწევნით იჩენს, ისე რომ ყოველი წერილმანიც კი; მიუხედავად
იმისა - ასტანი იყო თუ არა ის სომხური ენის სტილისათვის, დაგვლებული არაა.
Non sens-ებიც მის თარგმანს, აპარონ ვანანდელის შრომის მსგავსად, არა ურთო და
ორი მოეპოვება.

ჭერჭერობით ესენი არიან ის თხზულებანი, რომლებიც ქართულიდან არიან შე-
სული სომხურში IX-X ს.ს-ში. ესენი, როგორც აღვნიშნე, მარტონი არ უნდა იყვნენ.
მათ რიცხვს აღმათ გაზრდის მომავალი კვლევა-ძიება, რომელმაც ჩვენი მაგალითე-

ბის მხედველობაში ნიღებით, კვლევა უნდა მიმართოს რაიერც დამოუკიდებელი თარგმანების დაჩხრეკისაკენ, ისე უცხო წყაროებზე აღმოცენებული სომხური თხზულებების გამოწვლილვისაკენ.

VII. ქართული თარგმანების მნიშვნელობა მათი სომხური დედნების შესწავლის საქმისათვის.

სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანებში, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, X-XI ს.ს-ის ნუსხებითაა ჩვენამდის მიღწეული, ხოლო თარგმნილი - IX-X ს.ს-ში, მნიშვნელობას არაა მოკლებული დასადგენად სათანადო სომხური ტექსტებისა, რომლებიც, მცირეოდენ ფრაგმენტებს გარდა, უფრო გვიანდელი ნუსხებითაა შემონახული. ქართულ თარგმანებს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ძველი სახის აღსადგენად. ეს ძეგლები ძველ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებზე ჩანან აღმოცენებული და ამდენად თარგმანების დედანთა მიმართ გაკეთებული ესათვის დასვენა, თავისთავად შეეხება მათ წყაროებსაც. ესენი კი არიან: აგათანგელოსი, ფავსტოს ბიზანტიელი, კორიუნის, ლაზარე ფარაქელი, ელიშე და მისე ხორენელი. ჯერ კიდევ არაა საისტორიო მეცნიერების მიერ შედმიწევნით განსაზღვრული ამ ძველი სომეხი ისტორიკოსების ნაწარმოებთა, აღმოცენების ხანა, ეკლავ კამათის საგნადაა ქცეული აგათანგელოსის ისტორიის იმ სახის ჩამოყალიბების დროს განსაზღვრა, რომლითაც მას მოუღწევია ჩვენამდის. ასევე ერთი აზრი არ სუფევს მეცნიერთა შორის ლაზარე ფარაქელის ისტორიის ამ ნაწილის წარმოშობის გარშემო, რომელიც ერთ-ერთ აგიოგრაფიულ ძეგლს გააჩნია, ისე როგორც მისე ხორენელის შესახებაც, რომლის არც ყველა ნაწარმოებში და არც მოღვაწეობის ხანა არაა გარკვეული.

ხსენებულ ავტორთა საისტორიო ნაწარმოებებზე სულ ოთხი აგიოგრაფიული ძეგლია აღმოცენებული: 1. გრიგოლ განმანათლებლის მეშვეობით მარტვილობის წიგნი; 2. ნერსეს მთავეპისკოპოსის ცხოვრება; 3. საპაკის აღსრულების წიგნი და 4. ვარდანის მარტვილობა. ზოგი ამ წიგნთაგანი რამდენიმე ისტორიკოსის ნაშრომებიდან მომდინარეობს, ხოლო ზოგი მარტო ერთ-ერთზეა აღმოცენებული. ასე მაგ., გრიგოლის მეშვეობით წამების შემდგენელს გამოუყენებია აგათანგელოსის ისტორიის ერთი ნაწილი (რომლის ერთი ადგილი კორიუნის «მამუციის ცხოვრების» სათანადო ტექსტს იმეორებს) და მისე ხორენელის ისტორიის გარკვეული ადგილები. ნერსესის ცხოვრებაში ასახულია მისე ხორენელის ისტორიის სათანადო ადგილები და ფავსტოს ბიზანტიელის თხზულების ერთი ადგილი, ხოლო საპაკის აღსრულება უმეტესად ლაზარე ფარაქელის ისტორიის პირველი წიგნის მე-18 თავს იმეორებს და ვარდანის მარტვილობა კვლევ ელიშეს ისტორიის გარკვეული თავების ზოგიერთ ადგილს.

დანარჩენი აგიოგრაფიული ძეგლები აღმოცენებული არიან სულ სხვა წყაროებზე, ზოგიერთი მათგანი უცხოურზედაც კი, როგორც მაგ.: იზილბოზიდის წამება, სანდუხციის წამება და შეშანციის მარტვილობის ე.წ. მოკლე წიგნი. რა-

დესაც უცხო მომღწერებისა და ისტორიკოსებისაგან დამოუკიდებლად წარმომადგენელი სომხური ავთოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანებს ვადარებთ მათს სომხურ შესაბამისსა და ჩვენამდის მოღწეულ ნუსხებს, ვნიშნავთ, რომ ესენი უფრო ახლის დგანან ურთიერთთან ტექსტობრივად, ვიდრე სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებზე აღმოცენებული ავთოგრაფიული ნაწარმოებები მათს ქართულ თარგმანებთან. თუ პირველი წყების ძეგლების სომხურ-ქართულ ტექსტებს ერთიმეორესთან მიმართებით ცალკე სდგაყვი ბი ან ფრაზები აკლია ანდა მეტი აქვს, სამაგიეროდ მეორე წყების ძეგლების სომხურ-ქართულ ტექსტებს ამასთან ერთად მოზრდილი ადგილებიც აკლია ანდა მეტი ახადია. ეს განსაკუთრებით იმ სომხურ ავთოგრაფიულ ძეგლებს ეხება, რომლებიც მისე სორენელის ისტორიაზე (გვ. 73, 1-5), ავთანგელოსის ისტორიასა და ლაზარე ფარსელის ნაწარმოებზეა (გვ. გვ. 80, 13-15; 81, 6-19; 82, 1-5) წარმომადგენელი. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ უქანასკნელ დაშორების შემთხვევებში (რაც ხანგანით არის აღნიშნული ტექსტებში), ამა თუ იმ სიტყვებისა და ფრაზების შესაბამისობის მსრით, უჯრო მეტად მოკლებით, ვიდრე სხვენს. შემთხვევითი, რასაკვირველია, არც ერთი და არც მეორე მოვლენა არ უნდა იყოს. ერთი და მეორე იმას მიწმობს, რომ ქართული თარგმანების დედნები, რომლებიც ჩამოთვლილ ისტორიკოსთა ნაწარმოებებზეა დამოკიდებული, იმათთან მიმართებით, რომელთაც ჩვენამდის მოღწეულია (ყოველ შემთხვევაში გამოყენებულ ნაწილში), რამდენაღმე განსხვავებული ყოფილა.

ბოგორც ზემოთ გავარკვიეთ, ჩვენი თარგმანები 840-960 წ.წ. შორის არის შესრულებული. ცხადია, ზოგიერთი მათგანის დედნის წყაროებში, კერძოდ სომხური ისტორიული თხზულებები, რომლებიც გამოკრებილს ნაწილში ტექსტობრივ ჩვენამდე მოღწეულ ამ ნაწარმოებთან ტექსტთაგან სხვაობენ, ამათ წინა სახეს წარმოადგენს. ეს სახე კი, მამასადაღმე, იმ ხანისა მაინც უნდა იყოს, თუ უფრო აღრინდელი არა, რა ხანისაც სომხურიდან მომდინარე ამ ავთოგრაფიული ძეგლების თარგმანებია, ე.ი. დაახლოვებით რომ განსაზღვრათ - IX საუკუნისაა. შეიძლება ეს ხანა კიდევ უფრო შემოისაზღვროს. საქმე ისაა, რომ სომეხ მარტვილ-მოღვაწენი, რომელთა წამება-ცხოვრების წიგნები ქართულადღა ნათარგმნი, VIII ს-მდელი არიან. შემთხვევითი, რასაკვირველია, არც ეს გარემოებაა. ამ საუკუნემდის, უკეთ ამ საუკუნის მეორე მეოთხედამდის, ხანამ მონოფიზიური მიმდინარეობა სომხეთის ეკლესიას მთლიანად დაუფლებული არ იყო და ჯერ კიდევ ის სომხურ ნაციონალურ ეკლესიად არც იყო ქცეული, სომხურ ნიადაგზე შემოკრძოლი მონოფიზიურსა და დიოფიზიტურ მიმდინარეობას თანაბრად შეეძლო მოპყრობოლა მაშინდელ მოღვაწე ამათუიმ სომეხ მარტვილ-მოღვაწეს, რომელსაც ქრისტეს მოძღვრებისათვის თავი დაედო ანდა ემოღვაწნა. აღნიშნული მომენტისაგან კი, როცა სომხეთის ეკლესიაში მონოფიზიტური ქრისტოლოგია გაბატონდა და სომხეთის ნაციონალურ ეკლესიას საფუძველი ჩაეყარა, სომეხი დიოფიზიტების მოძღვრებას ფრთები შეეკვეცა და მისი მიმდევრებიც ამიერიდან თავშესაფარს, ბოგორც აღრუც აღვნიშნეთ (ნ. გვ. 044-043), სომხეთს გარეთ ეძიებდნენ, იქ, სადაც მათ აღსარებას მოძღვრებული ჰქონდა სრული ბატონობა. ისინი ახალ სამკვიდროში უკვე ამ ლიტურგურული საზრდოთი აკვებებიან ერთხანს, რაც მათივე ხელით ანდა მონაწილეობით დუ-

და-სამშობლოში შეიქმნა, მერმინდელი შემოქმედების ნაყოფს კი, რასაც სომხური კულტურის ეკლესიის სალიტერატურო წრეები იძლეოდნენ, ისინი უნდობლობით ეპყრობიან და, ცხადია, შეწყნარებაზედაც უარს აცხადებდნენ, ისე როგორც პირველნიც ამთხელიდან გამოსულ ნაწარმოებზე, თუ კი სადმე ასეთი გამოჩნდებოდა. აღნიშნული ვითარების გამო, შეგვიძლია სარწმუნოდ მივიჩნიოთ, რომ სომხურიდან მომდინარე აგიოგრაფიული ძეგლები არაა მოსალოდნელი, რომ VIII ს-ის დამდეგზე უფრო გვიან აღმოცენებულიყოს და არც მათი ქართული თარგმანების დედნები უნდა იყვნენ იმავე საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი. მართლაც, ყველაზე გვიანდელი მარტვილი, ვისი წამების წიგნიც* გაქართველებულ სომეხ დიოფიზიტთა წრეში წარმოშობილ ქართულ თარგმანს დაუცავს, დავით ღვინელია, რომელიც 703 წ. იწამა. მარტვილობის ეს წიგნი 726 წელზე გვიან შეთხზული ვერ იქნება, რადგან ეს წელი სომხური ნაციონალიზებული ეკლესიის გამოკვეთის თარიღია (მანაზკერტის კრება) და ამიტომ ისეთ ზღვარს წარმოადგენს, რომლის შემდეგ შეთხზული ნაწარმოებში სომეხი დიოფიზიტური წრეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა. ამრიგად, სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ქართული თარგმანების დედნები VIII ს-ის პირველი ნახევრისათვის ჩამოყალიბებული სახის ნუსხებიდან უნდა მომდინარეობდნენ. თუ ასეა, მაშინ ქართულ თარგმანებს დაცული ჰქონია აგათანგელოსის, ლაზარე ფარქელისა და მოსე ხორენელის საისტორიო თხზულებების გარკვეული ნაწილების ყველაზე ადრინდელი სახე, რადგან ხსენებული თხზულებანი სომხურად გვიანდელი ნუსხებიდანაა მოღწეული და, უნდა ვიფიქროთ, რედაქტორთა და გადამწერთაგან, რამდენადმე სახე შეცვლილიც.

აგათანგელოსის სახელით. ცნობილ „სომხეთის ისტორიას“, რაც სომეხთა მოქცევის გადმოგვცემს, იმ სახით, რომლითაც იგი ჩვენამდისაა მოღწეული; სამეცნიერო კრიტიკა არ მიიჩნევს, რომ მას პირვანდელი სახე ჰქონდეს დაცული. სანამ ეს ისტორია, იმ სახეს მიიღებდა, რომლითაც მან ჩვენამდის მოაღწია, მას მკვლევართა აზრით (აკად. ნ. მარ¹, პროფ. ნ. ადონცი², აკად. ივ. ჯავახიშვილი³), რამდენიმე რედაქციული ცვლილება უნდა განეცადა. ის ნაწილი, რომელიც ამ თხზულებიდანაა გრიგოლ განმნათლებლის შემკვიდრეთა მარტვილობის წიგნის ქართულ თარგმანში დაცული, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „სომხური აგათანგელოსის თხზულების უკანასკნელი და საბოლოო რედაქციის თარგმანია“⁴. მართლაც თარგმანის შედარება ხსენებულ წყაროსთან არ გვანჯღის. რაიმე ისეთ ტექსტიმბრძოვ განსხვავებას, რომელიც მათ ურთიერთს დაიცვლებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი მოშენტი მაინცაა ამ მხრით საყურადღებო. სომხურისა და ქართული ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ ისე თანამიმდევრული და ზედმიწევნითი არ არიან, რო-

¹ Н. Марр. Крещение армян, ерзуим, амазяс и агапос... армянская вера..., გვ. 182

² Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана..., გვ. 342, შენიშვნა.

³ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი პირველი, თბილისი, 1935 წ., გვ. გვ. 124-130, 143-144.

⁴ იქვე, გვ. 31.

გორც სხვები. ამის მიზეზი შეიძლება ან იმაში მდგომარეობდეს, რომ ქართულად მთარგმნელს სომხური მარტვილობის წიგნის სახით აგათანგელოსის არსებული რედარციისაგან რამდენადმე განსხვავებული ტექსტი ჰქონდა ხელთ, ანდა, თუ მისი დედანი არსებული აგათანგელოსისაგან არ განსხვავდებოდა, ის გადახვევა, რომელიც შედარებიდან ირკვევა, უნდა ვიფიქროთ, დედნის ენობრივმა თავისებურებამ გამოიწვია. როგორც აღვნიშნეთ, ქართული თარგმანი რედაქციულად განსხვავებული არა ჩანს არსებული სომხური აგათანგელოსის სათანადო აღვილისაგან, ამიტომ ცხადი ხდება, რომ, თუ ის სრულიად არ ხვდება სომხურ ტექსტს, ეს ფაქტი ამ უკანასკნელის ენობრივი თვისებებით უნდა აიხსნებოდეს. მართლაც, მკვლევართაგან შენიშნულია, რომ აგათანგელოსის «მეტისმეტად უყვარს მრავალსიტყვაობა და გამეორება»¹. გამეორება ერთიდაიგივე მნიშვნელობის სიტყვების, განსაკუთრებით ზმნების ზედინედ მიწყობაში გამოიხატება. ამნაირი მოვლენა კი ქართლისათვის დამახასიათებელი არაა. აგათანგელოსის სტილი, რომელიც ცხადილი სომეხი გრამატიკოსების, ჩალხიანისა და აიფნიანის მიერ დახასიათებულია როგორც «მდიდარი და შეშველი» (ძიხს ს. ყსჩრძ²), ქართულ თარგმანში ლიტონადაა გადმოცემული. რომ ამნაირი ვითარებით უნდა აიხსნებოდეს ქართული თარგმანის არაზედმიწევნილობა დედანთან მიმართებით, ამას იმავე წყაროდან ქართულად თარგმნილი ერთი სხვა საკმაოდ მოზრდილი ნაწილიც მოწმობს. ესაა «რიფსიმინთა წამების» წიგნი, რომელიც, როგორც თარგმანზე დართულს მოსახსენებელშია აღნიშნული, «გროგოლის ვრცელი ცხოვრებიდან», ე.ი. აგათანგელოსის ე.წ. უკანასკნელი რედაქციიდან არის გადმოღებული, რაც, როგორც ვარკვეული გვაქვს, IX ს-ის დამდეგზე გვიანდელი არ უნდა იყოს³. თარგმანს აქაცა და გრიგოლის შემკვიდრეთა მარტვილობის წიგნშიც ერთნაირი თვისებები ახასიათებს: თავის არიდება ხსენებულ გამეორებათა და ზედინედ მიწყობილი სიტყვებისა, რის გამო ქართული ტექსტი სომხურთან შედარებით ყოველთვის უფრო მოკლეა ხოლმე.

აგათანგელოსის ერთვხურ რედაქციის სომხური ნაციონალური ეკლესიის საფუძვლის განმტკიცების ჟამს თვლიან ჩამოყალიბებულად შემოხსენებული მკვლევრები, მათ ის VIII ს-ის დამდეგზე აღრინდელად არ მიაჩნიათ (აკად. ივ. ჯავახიშვილით: ის VIII ს-ის პირველი ნახევრის უკანასკნელი ათეულების ნამუშევარი⁴). მაგრამ უხლა, როცა ირკვევა, რომ ჩვენნი თარგმანები და მათ შორის გრიგოლის შემკვიდრეთა მარტვილობაც შესრულებული ჩანს გაქართველებული დიოფიზიტი სომეხების მიერ, რაღებიც ნაციონალური სომხური ეკლესიის შემოქმედებას VIII ს-ის მეორე მეოთხედის დამდეგიდან ნდობის თვალთ აღარ უტქეროდნენ, საეჭვო ხდება იმის აღიარება, თითქოს გრიგოლ განმანათლებლის მარტვილობის წიგნის ის ნაწილი, რომელიც აგათანგელოსის ე.წ. უკანასკნელი ერთვხური რედაქციის სათანადო აღვილს ხვდება,

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი პირველი, გვ. 93.

² ზ. რქასჩაძე, ზარქასანს კერასკანსოქის წაკვარსას ცლოტ წასოქრბ. ჰიოქოქამაძე ს. კანსიკანბიძე, აუქსარასქასლ ქ. კრსხს ქ. სკვრდნას, ჰახხსსა, 1904, გვ. 514.

³ ტექსტი თანდართული გამოკვლევით ერთ არ გამოგვიქვეყნებია.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 144.

ასეთი რედაქციიდან იყოს აღებული. იგი, საფიქრებელია, მომდინარეობდეს ამ რედაქციის წინამორბედისაგან, რომელშიც, შამსახადამე, ჩვენი თარგმანის შესატყვისი ადგილი იმავე სახით ყოფილა დაცული როგორც მერმინდელს, ე.წ. ეროვნულ რედაქციამია. ხოლო ამ წინამორბედი, ე.წ. კესარიული რედაქციისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია აქვს აქად. ივ. ჭავჭავიძის, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყოს კესარიისზე დამოკიდებულება სომხეთის განმანათლებლისა, რომლისგანაც თავის მხრით დამოკიდებული იქნებოდა სომხეთის ჩრდილოეთით მოსახლე მეზობელი ხალხები¹. თუ ასეა, მაშინ ერთი და მეორეც მოცემულია ამ მარტვილობის ქართულ თარგმანში, სახელდობრ იმ ნაწილში, რომელიც მოსე ხორენელისაგან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საკითხისათვის თავის წყაროდ ასახელებს ავთანგილოსს, რაც, როგორც ფიქრობენ, სხვანაირი ყოფილა, ვიდრე დღეს არსებული ე.წ. ეროვნული რედაქცია². ამრიგად, ჩვენი მარტვილობის წიგნის თარგმანის დედანი, როგორც ჩანს, შეგუებული ყოფილა იმ სულისკვეთებასთან, რომლისავე გაუდენთილი უნდა ყოფილიყოს «სომხეთის მოქცევის» კესარიული რედაქცია, რომლის ავტორად აქად. ივ. ჭავჭავიძის აზრით სომეხი დიოფიზიტე შეიძლება მხოლოდ ყოფილიყოს³. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული თარგმანი, რომელიც სომეხ დიოფიზიტთა წრეშია აღმოცენებული, სწორედ ასეთი დედნიდან მომდინარეობდეს.

სომხურიდან ქართულად თარგმნილს ერთ-ერთ ავთოგრაფიულ ძეგლს — «საშაჰის აღსრულების წიგნს» — მოეუხვება ერთი ნაწილი, რომელიც, თუმცაღა თავისებური დალაგებით, ტექსტობრივ ღაზარე ფარაბის «სომხეთის ისტორიის» I წიგნის მე-18 თავს ხვდება. სამეცნიერო კრიტიკამ ეს თავი სამართლიანად გამოაცხადა მერმინდელ დანართად ღაზარეს ისტორიისათვის თითქმის მის შემცველ მთელ წიგნთან ერთად⁴. დღემდის სომხურს სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს საერთო აზრი არც ხსენებული დანართი ნაწილის წყაროსა და მისი აღმოცენების ხანის განსაზღვრის საკითხში. «საშაჰის აღსრულების» ქართული თარგმანი, რომლის მთლიანად შესაბამისი ტექსტი ჯერ არსად ჩანს, ფარაბის ისტორიის დანართი ნაწილის ხსენებულ მსგავს ადგილს გარდა სხვა ძეგლების გარკვეული ადგილებისგანაც ჩანს დამოკიდებული. მართალია, ამ სხვა ნაწილით ის რამდენადმე უახლოვდება მოსე ხორენელის «სომხეთის ისტორიის» გორკვეულ ადგილებს, მაგრამ მას იგი საყსებით არ ხვდება, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ ის სულ სხვა წყაროზეა აღმოცენებული, ხოლო ამ უკანასკნელისაგან თავის მხრით დამოკიდებულია მოსე ხორენელიც. ამ წყაროს ძიებას ბერძნულ მწერლობაში დაცული ერთი ძეგლისაკენ მივყავართ. ესაა «Narratio de rebus Armeniae», კერძოდ ერთი მისი ნაწილი — «Διήγησις ἀπὸ τοῦ ἀγίου Γρηγορίου μάρτυρος τοῦ ἁγίου», რომელიც მკვლევართა აზრით სომეხ დიოფიზიტთა წრეში შექმნილი ნაწარმოების თარგმანი უნდა იყოს. ბერძნული თარგმანის ამ ძეგლის სომხურ დედანზე დამოკიდებულად მიაჩნიათ როგორც მოსე ხორენელიც, ასევე სომხური ლიტერატურის მკვლევარები.

¹ ივ. ჭავჭავიძის, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 141-143.

² იქვე, გვ. 144.

³ იქვე, გვ. 143.

[რუს საზოგადოება, 1935 წ. გვ. 459.

⁴ ს. ასქისას, შიკაპასი, სიკიტიკი 380-450 ურქაისი რამარ (სამართალი იქსიტიკი), ს. ვანს

რენელი, ისე ლაზარე ფარქელის ისტორიაზე დართული ხსენებული ადგილებიც. ამრიგად, «საბაჟის აღსრულების» ქართული თარგმანის დედანიც სომეხ დიოფიზიტთა შორის არსებულ სომხურ წყაროებზე აღმოცენებულ ნაწარმოებად გვევლინება, რომელიც, საფიქრებელია, მათივე ხელით უნდა იყოს ცალკე წიგნად დამუშავებული, სანამ სომეხ დიოფიზიტებს თავის სამშობლო მიწა-წყალზე შეეძლოთ თავისუფალი შემოქმედების წარმოება, ე. ი. 726 წლამდის. ამ დროიდანვე შეეძლო ეს ძეგლი ტაოს თავშემოფარებულ მათს ერთ ნაწილს შემოეტანა და გავრცელებინა ის სომეხ მისახლეობაში, ხოლო გარკვეულ დროს კიდევ უთარგმნიათ ის მათსავე წრეში ქართულად. ამ შემთხვევაშიც, მასალად, ქართული თარგმანის დედანი VIII ს-ის პირველ ნახევარამდის არსებული და დაახლოვებით ამ საუკუნის დამდეგისათვის. ჩამოყალიბებული სომხური ძეგლისაგან მომდინარე ჩანს.

დასასრულ, მისე ხორენელის «სომხეთის ისტორია» წყაროდ გვევლინება «ნურსეს მთავარეპისკოპოსის მარტვილობის წიგნისათვისაც», რომელიც, როგორც შედარება მოწმობს, გამოკრებილი ნაწარმოებია. რედაქციულად ეს წყარო და მასზე აღმოცენებული მარტვილობის წიგნი განსხვავებას არ გვიჩვენებენ. ქართული თარგმანის დედანი აქაც ისე, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, VIII ს-ის დამდეგისათვის თუ არა ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის მაინც ჩამოყალიბებული სახით არსებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ დრომდის გავრცელებული ასეთი წარმომავლობის სომხური ძეგლი შეიძლებოდა მხოლოდ ეთარგმნათ ტაოს მისახლე სომეხ დიოფიზიტებს; როგორც ეს სხვების მხრითაც დასტურდებოდა.

ამრიგად, სომხურიდან მომდინარე რამდენიმე ავთოგრაფიული ძეგლის ქართული თარგმანების ჩვენებით ირკვევა, რომ VIII ს-ის დამდეგისათვის, უკიდურეს შემთხვევაში ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის, მისე ხორენელის «სომხეთის ისტორიის» არსებობა უეჭველი ფაქტია. ის ამ დრომდის ჩანს დაწერილი, რადგან ამ მომენტისათვის უკვე მასზე აღმოცენებული ავთოგრაფიული ძეგლები მოეპოვება სომხურ საეკლესიო მწერლობას. ასე წარმოგვიდგენს ხორენელის ისტორიის აღმოცენების ხანის ერთ-ერთს ზღვარს, სახელდობრ გვიანდელს (რომლის შემდეგ ეს ნაწარმოები არ შეიძლება წარმოქმნილიყდა) ჩვენი მასალები, რაც, რასაკვირველია, არ ამართლებს იმ მკვლევართა მტკიცებას, რომლებიც სურ უკანასკნელ დროსაც კი, ხორენელის ისტორიის აღმოცენების დროდ IX ს-ის შიორნევენ (აკად. ჰ. მანანდიანი¹, ნ. აკინიანი² და სხ.).

[უფრო ადრინდელ მწერლად მისე ხორენელს ბოლო ხანებში ერთი სხვა ქართული წყაროს ჩვენებითაც მიიჩნევენ მკვლევარები. ეს წყაროა არსენ საფარელის ნაწარმოები: «განსყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისი, მცხეთელ კათალიკოსისაჲ, რომელიცა სანახებთავეან სამცხისთა - საფართთ» (ნ. თ. უორდანიანი - ქრონიკები, I, გვ. 313-332). ამ ნაწარმოებში ირგან იხსენიება მისე. ერთგან აქ, სადაც საუბარია

¹ ჯაკობ შანსარჯიანს. Սորենայու առեղծվածի լուծումը. Երևան, 1934, გვ. 129-136

² სერაქს აკჩინსას. Մարենարարական հեղափոխություններ. հատոր 4- Նևնոք երեց և Մովսես Սորենացի. « Ազգային Մարենարարան» ճի. Կիևსնա, 1931.

თანე მაირაგომელის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ. მაირაგომელს კომიტას კათალიკოსმაო, აშხიბს არსენ საფარელი, -თარგმანებად სცნა წიგნნი მწუღებელ(თან)ნი ტომთე აღეჭსანდრი-ელიისანი, რომელსა ეწოდა კუჭრნი, და პეტროს შვარცველისანი, რომელსა ეწოდა მეგლი, და სევერიოსისნი და სხუთა მწუღებელთანი და სახელად დაწერნა თქუმულად მართლმადიდებელთა მოძღუართანი - წმიდისა საპაქისნი და მოსესი, და ამით ცუყვილითა დააჭერა ქუეყანაჲ ყოველი სომხითისაჲ» (გვ. 321). ვინაჲ აქ მოხსენებული «მართლმადიდებელი მოძღუარი მოსე, არა ჩანს. შეიძლება შეირო ადგილას ქერდულად მოხსენებული მოსე იყოს იგი. აქ ნათქვამია, რომ ანტიქალკედონიტებმა « ფიცხელი ეკალი ნებსით განაწინეს სულთა მათთა (იგულისხმებთან: წმ. სპაქი, მაშტოცი და სხვა «მოძღუარნი») და ერსა უბრალოსა, და თჳსი მოსე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედაჲ მათი და არცა მისი ისმინესო» (გვ. 325). მოსე ხორენელი ქერდულად და ქერდულთა მამადაც კი იხსენიება სომხურ მწერლობაში; თანაც მის ისტორიას მოეძივებთ ნახსენები წარწყმედის მომთხრობი დანართი, რომელსაც ეწოდება « გოდებანი აღკიცისათჳს მეფობისა სომეხთაჲსა, ნათესავისაჲს არმაკუნელთაჲსა, და მღუდელთა მოძღურებისა, - ნათესავისაჲს წმიდისა გრიგოლისისა» (იღვ. მქსანს წაინსარე, მადჳალორ-ქსანს ზაიოგ, კაყაქს სკუასიონსაჲ, ს ხაქსიკიოსაჲ-მადჳალორ-ქსანს კაყაქს სკუასიონსარე).¹ ამიტომ განსაკვირველი არაა, რომ აქ მკვლევრები, პროფ. ლ. შელიქსეთ-ბეგი² და პ. ინგოროყვა,³ მოსე ხორენელის ხსენებას ხედავენ. ამასთან შესაძლებელია ისიც, რომ კაცმა ეს მოსე ქერდული მიიჩნია იმავე მოსედ, რომელიც აღნიშნულ ძეგლში ერთგან მართლმადიდებლად იხსენიებოდა. მართლაც, სომეხმა მსტოვანმა ფილოლოგმა, აკად. სტეფანოს მალხასიანცმა, რომელიც არსენ საფარელის თხზულების ადგილებს პროფ. ლ. შელიქსეთ-ბეგის თარგმანით გაეცნო,⁴ ამოწერილი სიტყვების მიხედვით ასეთი დასკვნაც გააკეთა. ამასთან ისიც დასძინა, რომ აქ მოსე ხორენელი დიოფიზიტი ჩანს, რადგან მას დიოფიზიტი ქართველი კათალიკოსი «მართლმადიდებელს» ეძახის. ეს მოსე კომიტას სომეხთა კათალიკოსის დროს სახელმწიფო იღვ. მქსანს ყოფილა, რის გამოც მას ამ კათალიკოსზე აღრე უნდა უბოძაჲ; ეს ხანა კი სხვა წყაროების ჩვენებებთან ერთად მოსეს V ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწედ გვისახავს. მოსე ხორენელის სახელით წაწერილი ნაწარმოებსაც ჩვენამდის მოუღწევიაო (დაბეჭდილია წიგნში: ჟიქს რიქსი, გვ. 22-28), აღნიშნავს იქვე ეს მკვლევარი. ამრიგად, ხსენებული სომეხი მკვლევრის მტკიცების თანახმად გამოდის, რომ ირივე ეს ცნობა მოსე ხორენელს შეეხება, რომელიც დიოფიზიტი ყოფილა და V ს-ის მეორე ნახევარში უმოღვაწეოა.

აკად. სტ. მალხასიანის ეს მოსახრებას, რომ მოსე ხორენელი დიოფიზიტი უნდა ყოფილიყო, ეტყობა პროფ. ლ. შელიქსეთ-ბეგზე მოუხდენია გავლენა და ისიც თავის წიგნში, « ქველი სომხური ლიტერატურის ისტორია» (თბილისი, 1941 წ., გვ. 83), აცხადებს, რომ სიტყვები: « მოსე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედაჲ მათი და არცა მისი ისმინესო» მაჩვენებელია.

¹ შიქსანს ხორენსაჲჲე ჴადჳალორ-ქსანს ზაიოგ, კაყაქს სკუასიონსარე ს. მალხასიანს და ს. შაროიქსანს. შიქსი, 1915, გვ. 325-326.

² ჟიქსი-რიქსი. სტ. სტეფან-ბეგი. სკუასიონსარე ჴადჳალორ-ქსანს და ჴაიქსი-მასსი, სკუასიონსარე, 1934, გვ. 61.

³ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 1939, გვ. 265.

⁴ სტ. მალხასიანს. ხორენსაჲჲე ანტიქალკედონიტ ჴიქსი. თბილისი, 1940, გვ. 204-206 და 142-143.

ბელია ამისა, რომ მ. ხორენელი დიოფილიტურად ამარსენას თანამოაზრე უნდა ყოფილიყო, ე.ი. ქალკედონისტი, რაც დასაშვებია VI ს-ის მეორე ნახევრისა ან VII ს-ის დამლევისათვის და არავითარ შემთხვევაში არა მასზე აღრეი". (გვ. 63) უნდა ითქვას, რომ მარტო ამ აღვლიზე დაყრდნობით მისე ხორენელი დიოფილიტად ვერ გამოცხადდება, რადგან ისეთი - მოთხრობა, მამხილებელი ხასიათისა, მონოფიზიტსაც კი შეუძლია ჩაეღიბა თავის თანამოაზრეთა მამართ. აქ ისევ სტ. მარხასიანცი იჩენს თანამოდევრობას თავის მსჯელობაში, როცა ამ აღვლის არ აცოცხებს მეორე ზემოთ დასახელებულ ადგილს, სადაც მისეს. მისი ვარაუდით იმავე ქერდულს, არსენი "მართლმადიდებელ მოძღვარს" უწოდებს. მითხედავად იმისა, რომ აუდ. სტ. მარხასიანცი თავის მოსაზრებას ასე მარტვედ და თითქოს დამატებლად წარმოადგენს, მგონია, ხორენელის დიოფიზიტობა მაინც უეჭველი არ უნდა იყოს იმ აღვლიების მიხედვით, რომელთაც ის ეყრდნობა. «მართლმადიდებელ მოძღვრად» მოხსენებული მისე, შესაძლოა ხორენელი კი იყოს, მაგრამ ასეთი ეპითეთით ხომ მასთან ერთად საჭაყიც იხსენიება! ეს გარემოება მოწმობს, რომ წოდებით არსენის იმდენად დიოფიზიტი მოღვაწეები კი არ უნდა ჰყავდეს მხედველობაში, რამდენადაც ისინი, რომლებიც ან ქალკედონის კრებამდის მოღვაწეობდნენ, ანდა, თუ მერმე იღვწოდნენ, მონოფიზიტური თუ დიოფიზიტური ქრისტიანობის მოყვარენი არ ყოფილან. ეს აქვს ალბათ მხედველობაში არსენის, როცა ამბობს, სიძველემ მწვალებლებმა «ფიციხელი ევალი ნებისთ ვანაწინეს სულთა მათთა (იგულისხმებთან: საჭაყი, მამოცი და სხ.) და ერსა უბრალისა». მათ, განაგრძობს არსენი, «თუთ მისე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედაჲ მათი და არცა მისი ისმინესო». ამ გამოთქმიდან ნათლად ჩანს, რომ მისე ქერდული მოსაზრებელი და ავტორიტეტის მქონე ძირი ყოფილა მათთვის, რომლისა მაინც უნდა ესმინათ, მაგრამ «არცა მისი ისმინესო». ჩანს, მისე ხორენელი დიოფიზიტად არ წარმოიღვინება, თორემ, რა ფასი ექნებოდა მამონ სიტყვებს « თუთ მისე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედაჲ მათიო». მისე რომ დიოფიზიტი ყოფილიყო, მისას, ცხადია, მოწინააღმდეგენი არას შეიწყნარებდნენ, როგორც დიდი ავტორიტეტის არ ჰქონოდა და როგორც რჩევაც არ უნდა მიეცა მას. თუ, მაშასადამე, მისი სიტყვა, არსენის თქმით, მისალიდნელი იყო შესაწყნარებელი გამხდარყო, მაშინ მისე, რასავერკველია, მწვალებლების, ე.ი. ამ შემთხვევაში, მონოფიზიტების თანამოაზრე უნდა. ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში ნაკლები მოქალაქე რომელიმე ქრისტიანობისა].

ეგზეგეტიკურისა და სალვთისმეტყველო-ფილოსოფიური დარგის სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანების დედნების საკითხის გარკვევაში აღნიშნულ თარგმანებს ავტოტოვე აკუთხარი წვლილი. შეაქვს. პირველ ყოვლისა ირკვევა, რომ ეპითეთს კვამრელობის ეგზეგეტიკური ნაწარმოები «თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ» ძველად მთლიანად სახით არსებებულა სომხურად. ეს გარემოება აღნიშნულია მთარგმნელის წერილში, რომლითაც მას სტეფანე მტბევერისათვის მიუმართავს და რომელიც მერმე ვადაშწერს «თარგმანებისათვის» წარუმიძღვარებია. დღეს სომხურ სწერლობაში ასეთი სრული სახით ეს ნაწარმოები არ მოიპოვება, მოღწეულია მხოლოდ ფრაგმენტები, რომელთა შორის ქართული თარგმანის რამდენიმე ზედმიწევნითი შესაბამისი იძებნება. ერთადერთი მხარე, რითაც დედანი და თარგმანი სხვაობენ ურთიერთისაგან, ისაა, რომ დედნის ენის თვისებები, რომლებიც ქართულად შეიძლება დაცულიყო და მართლაც შენახულიყავა სხვა თარგმანებში, მთარგმნელს არ დაუცავს. აქ მთარგმნელის ინდივიდუალობასთან გვაქვს საჩქე, რაც იმით

არის გამოჩენული, რომ იგი მწიგნობრულ სომხურს, და ისიც ეგზეგეტიკური ხასიათის ნაწარმ-
უბიხან, ზედმიწევნით ვერ სძლევს და ამიტომ ხშირად შორდება მას, ე.ი. ტექსტს, მაგრამ
არა ცალკეულ სიტყვებს დედნისას (ისინი ყველა დაცული), არამედ ამ სიტყვებით გადმ-
ცემულ აზრს. ამდენად იხ. ცხადია, დედნის აღდგენისა და გამართვის საქმეში ნაკლებ
ბაღ არის სანდო.

როცა X ს-ის ქართველი მთარგმნელის ასეთი თვისებები გვაქვს მხედველობაში, ბუ-
ნებრივია, ამ თვალსაზრისით დავუწყებთ ცქერას ამ საუკუნის სხვა ქართველ მთარგ-
მნელთა ნაშრომებსაც, რომლებიც კი სომხურიდან აღმოჩნდება გადმოღებული. უწინა-
რეს ყოვლისა სახეში გვაქვს გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანი: „სამხილე-
ბელი არიანობთა და ევრუმიანოსთა ბრძოლად უწესობებაჲ“, რომელსაც სომხურიდან
მომღინარეობის ნიშანი ერთგან გააჩნია non sens-ის სახით. ამ ნაწარმოების გრიგოლ თმე-
ლისეულ თარგმანს რომ სომხურად არსებულ ერთადერთ ვერსიას ვაღარებთ, ჰიპოვებდად თუა-
რე ის გვხვდება, რომ ქართული თარგმანის ტექსტი სომხურთან შეფარდებით გავრც-
ბილია და თვით ქართულიც თავისი ბუნებრივი წყობით არის მოცემული, იხე რომ მას-
ში ნაკლებ იგრძნობა დედნის გავლენის კვალი. ერთი სიტყვით, ის ტექსტობრივ არ
გასდევს სომხურს, რაც იმას გვიჩვენებს, რომ ის ამის დედანი არაა და, მაშასადამე,
სომხურად ძველად არსებულა გრიგოლ ნაზიანზელის ხსენებული ნაწარმოების სხვა
რედაქციაც;

მაგალითად არა მარტო ამ ნაწარმოებს, არამედ სხვებსაც (მაგ. „მატებრდის კრებულის“ ზო-
გიერთ ნაწარმოებს), როგორც ვნახეთ (გვ. 030-034), ჭერჭერებით აღეძინება ზედმიწევ-
ნით შესატყვისი სომხური დედანი მაშინ, როცა აშკარა ჩანს მათი სომხურიდან
შარშიმავლობა. ეს კი, შეიძლება ვითუქროთ, რაღაც საერთო მიზეზზე მიგვივითოთებს.
მაგონდა იყოს ეს? ეს ვითარება, გვეჩინია, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ქართული
თარგმანების დედნები განსხვავებული რედაქციისა ყოფილა, რომლებიც შემდეგ-
ში, გამოქალაქდნ; იქნებ იმდრო, რომ ისინი სომეხი დოქტორიტების (უფრო კი დე-
და-სამშობლოსაგან გაცლილების) ხელით იყვნენ შესრულებული სომხურად (ცხა-
დია, არა იმ ხანაში, რომელშიც ზოგიერთ მათგანს ნ. აკინიანი მიიჩნევს აღმო-
ფენებულად [გვ. 035, შენ. 2], არამედ შედარებით გვიანს დროში - VII-VIII სს-ში). დოქტო-
რიტობა: მხარზე იდგა ტაო-კლარჯეთის სომეხების უმრავლესობა, რომელსაც შე-
ეძლო მიეწოდებინა მათგან შექმნილი ასეთი ტექსტები ერთმორწმუნე ქართვე-
ლებისათვის. როგორც არ უნდა მომხდარიყოს, ერთი მაინც ნათელია: მოგვეძი-
ება სომხურიდან მომღინარე ძველი დროის ქართული თარგმანების ერთი
წყება („ქართოსან თუალთათჳს“, „ფიზიოლოგი“, ნაწილობრივ, „გრიგოლ ნა-
ზიანზელის დასახელებული თხზულება“), რომლებიც არსებულ ტექსტებს (სომ-
ხურისას) არ უდგება და რედაქციულადაც მათგან განსხვავებულია.

1. გრ ნაზიანზელის ნაწერებიდან ძველ „მრავალთხვებში“ გვხვდება ორი თხზულება: 1. „შო-
ბისათჳს“ („ქრისტე იშვების, უგალობლით“) და 2. „ნათლისღებისათჳს“ („მაჲ კუალად დღეს
ხაიღუმლოა...“), რომლებსაც აკად. ვ. ვეველიძე IX-X სს-ის თარგმანებად მიიჩნევს, შესრუ-
ლებულთ ტაო-კლარჯეთის უცნობ მთარგმნელთაგან (ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, 1941, გვ.

VIII. ქართული თარგმანების ლექსიკა

IX-X ს.ს-ში სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად ნათარგმნი ძეგლები, სხვა ხანის ამგვარივე ძეგლების მსგავსად, ქართული და სომხური სალიტერატურო-ენების ისტორიისათვის, და კერძოდ ამ ენების ურთიერთობის ხასიათის გასათვალისწინებლად, საკმაო მასალას გვაწვდიან. ისინი შეტად საინტერესო წყაროს წარმოადგენენ მკვლევრისათვის სომხურისა თუ ქართლის სპეციფიკური მხარეების დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენების ბუნების გარკვევის საქმეში. მაგრამ მათ დაწვრილებით განხილვას აქ ჩვენ არ შევუძლებით; ამჟამად მხოლოდ იქი საკითხის გარკვევას ვკიდებთ ხელს: თარგმანების ლექსიკის გამოწვლილვას, განსაკუთრებით საერთო ხმარების სიტყვების მხრით, და საკუთარ სახელთა გადმოცემას. პირველს იმიტომ ვანაჩვენებთ უპირატესობას, რომ თავისთავად ინტერესთან ერთად ძეგლების დათარიღების საყრდენად გამოდგება, ხოლო მეორეს იმიტომ ვუთმობთ აქ აღვიღებ, რომ დავადგინოთ, სომხურთან საერთო ხმარების სიტყვების ერთ ნაწილთან ერთად, IX-X ს.ს-ის სომხურის ძირითადი ფონეტიკური ცვლილებანი.

ძველი ქართული თუ სომხური თარგმანების ლექსიკა ბევრი მხრით არის საგულისხმო. მათი შეჭირისპირებით დედნებთან სამუალებმა გვეძლევა წარმოვიდგინოთ არა მარტო ის, თუ როგორ ესმოდათ ძველად, IX-X ს.ს-ში, ესა თუ ის სიტყვა, არამედ ისიც, თუ რა შემთხვევებშია ნათარგმნი ერთი და იგივე სიტყვა ერთი და იმავე ან სხვადასხვა ბადალი სიტყვებით.

სათარგმნი ტექსტის სიტყვები ზოგჯერ სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვებით ან ამ ორსავე ენაში არსებული საერთო ძირისა თუ ფუძისაგან წარმოქმნილი სიტყვებითაა წარმოდგენილი. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსალოდნელი საერთო ხმარების თავისთავადი სიტყვისა და ძირისა თუ ფუძისაგან წარმოქმნილი სიტყვის მაგიერ თარგმანში სხვა მასალის სიტყვაა დაღებულნი, ისე რომ. საქმე გვაქვს ისეთ მოვლენებთან, რომელსაც ძველად, მაგ. ეყარემ ვტარემ «ტეტურღებაჲ სიტყვსაჲ» უწილა¹. თარგმანებში შენიშნულ ორსავე ხსენებულ მხარეს თავთავისი უნივერსალურობა აქვს ჩვენთვის.

სომხურ-ქართული საერთო ხმარების ლექსიკა წარმოიშობა მარტოდღენ სომხური ანდა ქართული კი არა ჩანან, არამედ მათი უდიდესი წილი უცხო წყაროდან მომდინარეობს ხშირად. ეს წყაროები კი პირველ ყოვლისა ის ენებია, რომლებზედაც მოლაპარაკე ხალხთან ძველად ურთიერთობა პქონია ერთმანეთის მეზობელ ქართველებსა და სომხებს. სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვებისა და ფუძეების უცხო წყაროს, რომლის დაძებნა შედარებით ადვილად ხერხდება, უმთავრესად ირანული და სემიტური ენები წარმოადგენენ ბერძნულიან ერთად. თვითონ სომხური ან ქართული

591). სომხურიდან მომდინარეობის რაიმე სამიწხო ნიშანი მათ არ მოუპოვება, ამიტომ შეიძლება ბერძნულიდან მომდინარეობდნენ ისინი, ხოლო თუ ასეთიც არ გამოდგენენ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სომხურიდან წარმოიშობებიან, მაგრამ ჯერ მიუკვლეველი დედნებიდან (ნ. ჩემი «მრავალთავი» - ენციკლის მოამბე, XIV, გვ. 248).

ქართ. და სომხ. ლიტერ. ურთიერთობა

¹ ფ. ქორდანი, «ქრონიკები», ტ. II, გვ. 42.

ენების ლექსიკური მასალა, რომელიც ჩვენს ტექსტებში მოიპოვება, პირველთან შედარებით მეტად მცირეა. უკანასკნელზე უფრო მეტია ის ნაწილი, რომელიც დასახელებული ენებიდან მომდინარე არა ჩანს, არამედ რაღაც სხვა, ჭერჭერობით უცნობ წყაროს გვაუარაუდებინებენ.

უცხო წარმომავლობის ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები და ფუძეები ისე, როგორც ერთიერთისაგან ნასესხები საკუთარი ამგვარივე მასალა საზოგადოდ ენათმეცნიერებისა და კერძოდ ქართულ-სომხური ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის გულისხურს დიდი ხანია მიიქცევს. ენათმეცნიერებას უცხოური წარმომავლობის ლექსიკური მასალის სფეროში აინტერესებს განთვალისწინოს სესხების გზები: ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის ჩვენი ენების მიერ ნასესხები ასეთი მასალა, თურომელიმე მათგანის შემკვებით. ხოლო ერთისა ან მეორის საკუთარი სიტყვებისა და ფუძეების დასესხების შემთხვევაში ქართული ან სომხური ენათმეცნიერება, თუ ფილოლოგია, ცდილობს გვარკვიოს წყაროსთან მიმართებით მათი ფსევტურული და სემასიოლოგიური მხარე.

ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკის კვლევა იმ ხნოდან დაიწყო, რაც საერთოდ ამ ენების მეცნიერულ შესწავლას, კერძოდ კი ეტიმოლოგიურ ძიებას დაედო საფუძველი. პირველად ეს საქმე სომხურ სინამდვილეში წამოიწყო. ამას ხელს უწყობდა, ჭერ ერთი, ის, რომ სომხურმა ფილოლოგიამ შეძლო ადრევე დაემუშავებინა და გამოექვეყნებინა ძველი სომხურის სრული დოკუმენტალური ლექსიკონი¹, და მეორეც, ის, რომ ამ ენის ლექსიკის მთავარი წყაროების - ირანულის, ბერძნულისა და სხვა ინდო-ევროპული ენებისა (რომელთადაც ძვ. სომხურს გენეტიური კავშირი გააჩნია) და სემიტური ენების - მეცნიერული შესწავლა მაღალ დონეზე იდგა. ყველა ამან ნიადაგი შეუმზადა აკად. ჰრ. აჭარიანის კაპიტალურ ნაშრომს - «სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონს»² და «სომხური ენის ისტორიას»³, რომლებითაც აქ ჩვენ პირითადად ვხელმძღვანელობთ. რამდენადაც ქართულ სინამდვილეში მსგავსი ძიებები არ შექმნილა, იმდენად აღნიშნული საქმე სათანადო მასშტაბით არ განვითარებულა.

ა. ირანულიდან მომდინარე სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვები.

სომხურმა ენათმეცნიერებამ ძველი სომხური ლექსიკის შესწავლისას შენიშნა და ცხადაგზა აღნუსხა კიდევაც, რომ ამასთუიმ ენიდან სომხურში შესული სიტყვა ბევრჯერ ერთნაირი სახითა და მნიშვნელობით მოეპოვება ხოლმე ქართულს (ან ქართველურს) ენასაც. ასეთ მოვლენებს აღუნიშვნელს არ ტოვებდა ქართულ-სომხური ტექსტების შესწავლისა და გამოქვეყნების დროს აკად. ნ. მარტი⁴ და შემდეგ მისი მოწაფეებიც.

¹ ს. ორ. რაოზაფიძე რაკილასქანს ქელი (ორ ტომად), ქსენოქსი 1836-7.
² ჰრ. Աճառևան, հայերէն արմատական բառարան (7 ტომად), ერևան, 1926-35
³ ჰრ. Աճառևան, հայոց լեզվի պատմություն, I Դաս. ერևան, 1940.
⁴ Ե. Երզնանի և Բախուչաճուի ու Բրու-Զրբ. Փաստաթուղթ, Կ. 1911, VI, VII და სხ.

სომხური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელმა პრფ. ჰ. ჰიუბშმანმა, როცა ის სომხურში შესულ სპარსულ, სირიულ, ბერძნულ და არაბულ სიტყვათა შესწავლას აწარმოებდა, შენიშნა, რომ სპარსულიდან, განსაკუთრებით საშუალო სპარსულიდან იხუ ფლაურისგან, შესულ სიტყვებს, თუ მათ სიტყვის შეგნით ხმოვნებიდან „ი-ი“ და „ი-უ“, ხოლო დიფთონგებიდან „ქ-შ“, „სა-ვა“ და „ი-ო“ მოეპოვებათ, მათ ისინი შეკუმშული აქვთ (ხმოვნები „ე-ჯ“ დ, ხოლო დიფთონგები სითანადო ლიტონ ხმოვნებად „ქ-შ“ > „ს-ე“ ან „ი-ი“ დ; „სა“ > „ს-ე“ დ & „ი-ო“ > „ი-უ“ დ) მაშინ, როცა ამისათვის დამტკიცებულია სხვა ზემოხსენებული ენებიდან შესული სიტყვები: მთლიანად ბერძნული და არაბული, ხოლო ნაწილობრივ - სირიული. მან რომ ხმოვანშეკუმშული სიტყვების ქარაულები ქართულში უკუმშველად შეამჩნია, ანდა სომხური „ე-ჯ“-ს შემსწავლი სიტყვების ბადალად ქართულში ზოგან ამ ბგერის ადგილს „ი“ და „უ“ შენიშნა, ვთქვითა დასკვნა, რომ ქართულში, რადგან მას „ე“ ბგერა არ გააჩნია, მის ადგილს „ი“-სა და „უ“-ს ხმარობს¹. შეკუმშული წარმოდგენილი ფლაური მომდინარეობის სომხურ სიტყვები მან ქრისტიანობის წინააღ ხანას მიაკუთვნა. რადგან ბერძნულიდან და არაბულიდან ნასესხები და ათვის მხრით უკუმშველი სიტყვები ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ შემოდის სომხურში, ვ. ა. 300 წლის შემდეგ ჩვენი წელთაღრიცხვისათ².

ჰ. ჰიუბშმანის დაკვირვებას სპარსულიდან (აქალაურიდან) ნასესხები სომხური სიტყვების შესახებ ყურადღება მიაქცია ცნობილმა ენათმეცნიერმა ან. მე. ა. მ. მან უფრო ზღმიწვენიით დაადგინა ზღვარი. როცა სპ. „ი“ და „ი-უ“-ს ამოღება უნდა მოხდარიყო სომხურში, ანდა შეკუმშული გარკვეული დიფთონგები (ქ, სა, ი, უ). მისი ვარაუდით ეს მოკლებს სომხურში უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე სიკუმშის განუღს არის მომხდარი. მისივე შეხედულებით, თუ ქართულში უკუმშველად არის წარმოდგენილი სომხურთან. საერთო და ფლაურიდან მომდინარე სიტყვები, ეს იმას მიწმობს, რომ ქართული სომხურის იმ ვითარებას წარმოადგენს, რომელიც სომხურშია იყო მეორე საუკუნეების³ ამრიგად, როგორც ვედავათ, აქალაურიდან მომდინარე სიტყვები (რომლებიც გარკვეულ ხმოვნებსა და დიფთონგებს შეიცავენ) სომხურში რომ შეკუმშული სახით არიან წარმოდგენილი, ყველა კი ირია აღრინდელ დროს ნასესხები, როგორც ეს ჰ. ჰიუბშმანს მიჩნდა, არამედ ნაწილი, ისიც ისეთი, პირველ ყოვლისა, რომლის ბადალი ქართულში შეუკუმშველად და ცუდი. ასეთი მომდინარეობის სომხური სიტყვების დათარიღებისას, რომლებიც უფრო ხშირად შეკუმშული სახით არიან სომხურში წარმოდგენილი, მანასადაამე, ქართულია დასაყრდენად გამოყენებული, ცხადია მაშინ, როცა ამით შესაძლებელი მოეპოვებათ სომხურში. ასეთი როლის მიკუთვნება კი ქართულისათვის აღნიშნული მოკლების გარკვევის საქმეში იმით

¹ ნ. პ. ანდრეასიანის თან - ჯამიყი ერქვე (Ազգ. Մատեն. 40), Է. Է. 1928, გვ. 101.

² ნ. პ. ანდრეასიანის თან - ღայსაქანის (Lautlehre) վրայերէն հայերէնի փոխառաւ բառերի («Արարատ»), 1898, გვ. 413.

³ პ. ანდრეასიანის. ჯამიყი ერქვე. გვ. 103

⁴ პ. ანდრეასიანის. ღայსაქანის (Lautlehre)... გვ. 313. შერ. A. Meillet, Esquisse d'une Grammaire comparée de l'Arménien classique, seconde édition, Vienne, 1936, გვ. 23.

არის გამიწვეული, რომ ან. მეფეს შესაწყნარებლად შიამნია ქროფ. ჰრ. აჭარიანის ის აზრი, რომლის თანახმად ქართულისა და სომხურისათვის საერთო ფალაურიდან მომდინარე სიტყვები ქართულში უკლებლივ უშუალოდ ფალაურიდან კი არა, არამედ სომხურიდანაა შესული. ჰრ. აჭარიანისავე შენიშვნით, თუ ზოგჯერ „ი“ და „უ“ გვაქვს და ზოგჯერ კი არც ერთი ამათგანი არ მოიპოვება ფალაური წარმოშავლობის „ღ-ჯ“-ს შემცველი სომხურის რომელიმე სიტყვის ქართულის ბადალში, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ეს გამიწვეული იყო „ღ-ჯ“-ს უქონლობით ქართულში, რის გამოც აქ ხან აღნიშნული ბგერების („ი“, „უ“) გაჩენი ხან კიდეც დაკლებულ იქნებულს. თანაც, არამედ იმით, რომ აქ გარკვეული დროის ვარკვეული მოვლენაა: ასახული ჯერაც კანონზომიერებით.

შემათხვევითი ანაა, რასაკვირველია, რომ აღნიშნულ ბგერებს ასეთი სავანგებო ყურადღება მიეძევა. ისინი წარმოადგენენ ძირითადად გნმასხვავებელ ნიშანს წყაროსა და მსესხებელი ენების (ქართულისა და სომხურის) ზოგჯერ შორის, რაც გვაპარადგები-ნებს, რომ შეიძლება, ასეთი სიტყვები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი იყოს ნასესხები. ზემოთ მოყვანილი მისაზრებთა მიუხედავად ასეთი ვარაუდი მაინც სულ მოხსნილი არაა.

სომხურიდან რომ ყოველთვის კერ გამოკავიანთ ქართულში შემოსულ ფალაურ სიტყვებს, ამას ისეთი სიტყვებიც მიწმობენ (ესენი ჩვენს ტექსტებშიაც გვხვდება), როგორცაა მაგ.: „ნიში, ნიშანი“ და „პილი“. რომელია შესაბამისი სომხურშია სიქ, სუას და სიქი; ანდა კიდევ ჩვენს ტექსტებისაგანავე არსებული სხვა ძველი ხმარების სიტყვები, როგორცაა, ვთქვათ, „მიჭრავ(ა)ნი“ (= მოჭრის) და „გუმბბბბ“ (გუმბბბ). „ნიშ“ რომ თავი დაკანებთ, რომელიც სპარსულიდან კი არა, არამედ სემიტური სპარსიდანაც (კერძოდ სირ. נִישָׁא) შემოსულია სომხურში და იქიდან ქართულშიაც, „ნიშანი“-ის სომხური შესაბამისი სუას უეჭველად ფალაური ნიშანი-ის ხადალია, შეკუმშულად წარმოდგენილი სომხურში, ხოლო უკუმშველად ქართულში „ნიშანი“-ის სახით, რომელიც, თუ ან. მეფეს შეხედულვასაც დავდებოლით, მაშინ უნდა ყოფილიყო სომხურიდან შემოსული ქართულში, როცა სუას უკუმშველი იქნებოდა სომხურშიაც („სიქას“), ე.ი. მეორე საუკუნემდის. მიუხედავად ასეთი ახსნის შესაძლებლობისა ჰრ. აჭარიანს, რომელსაც ფალაური სიტყვების სესხება ქართულის მიერ მხილილ *via armenica* აქვს წარმოდგენილი, ქართული „ნიშანი“ უშუალოდ ფალაურიდან ნასესხებად აქვს მიჩნეული, რადგან სემანტიკური მხარე ქართულისა და ფალაურისა ერთნაირია მაშინ, როცა ამ სიტყვას სომხურში სხვა მნიშვნელობაც მოეპოვება. აქ, როგორც ვხედავთ, სათანადოდ აქვს ანგარიში გაწეული სიტყვის სემანტიკური მხარეს. „პილიც“, რომელიც სომხურში სიქი-ის სახითა გვაქვს, აგრეთვე ფალაურიდან მომდინარე მიაჩნია ქართულში. აუად. ჰრ. აჭარიანს, რადგან აქ ქართული ფონეტიკურად ფალაურთან უფრო ახლია, ვიდრე სომხური. სომხური თავისი „სი-ფ“-ით უშუალოდ ვერ გამოდგება ქართულისათვის. ამავდ მიზეზით „მიჭრავ(ა)ნიც“ ფალაური მიჩნე-

¹ ჰრ. Աճառեան. Տնայնաբանութիւն վրայերէն հայերէնից փոխառեալ բառերի... Գვ. 310-313 და აგრეთვე նისი հայոց լեզու պատմություն. Ա յայտ. Երևան, 1941, Գვ. 207-209.
² ჰრ. Աճառեան. Հայերէն արմատական բառաբան, V. Գვ. 148-149.
³ იქვე, VI, Գვ. 1228-1228.

გნი-ის ქართული სახეა და არა ამათი სომხური ბაღლისა - მსნესას-ისა. ასევე «კუმბათიკ» სომხური ფაქქი-იდან კი არ გამოიჭყავს აკად. ჰრ. აჭარიანს, არამედ უმუ ალოდ ფალაური ფაქსი-იდან¹, ცხადია იმიტომ, რომ სომხურთან ქართული არა მარტო თავის უ-ნით, არამედ ანითაც ვერ მიღის: კუმბათი - ფაქქი. ასეთი მაგალითები კიდევ მეტი იღვენობით შეგვეპოო მოგვეყვანა იმავე ჰრ. აჭარიანის ლექსიკონიდან, მაგრამ, სჯონია, ესეც საკმაოა იმისათვის, რომ მთლიანად ვერ გავიზიაროთ აკად. ჰრ. აჭარიანის მოსაზრება ფალაური სიტყვების ქართულში შემოსვლის შესახებ, თა-საქოს ესენი მარტოდენ სომხურით შემოსულობებს ქართულში. ფალაურს სომხურ-ზე ლექსიკონის მხრით დიდი გავლენა აქვს მიხედვით, ისიც უმუხლოდ, რადგან ამას ვეოგრაფიული არეცა და სხვა ისტორიული ვითარებაც უწყობდა ხელს, მაგრამ უკანას-კნელი გარემოება არც ქართულისათვის არის გამორიცხული. მართალია, ისტორიული ქართლი და მისი მოსახლეობა გეოგრაფიულად უმუხლო შესებამში არ იმყოფებოდა ფალაური ენის მომხმარებელ სპარსეთთან, მაგრამ პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომი-ური ურთიერთობა ქართლს ირანთან ძველად მჭიდრო ჰქონია, რასაც ისტორიულ ვად-მოცემებთან ერთად ბოლო დროის არქეოლოგიური გათხრები და კერძოდ მცხეთა-არმა-ზის გათხრების დროს მოპოვებული არმაზის სამარხების წარწერებაც მოწმობენ.²

აღნიშნული გარემოებით არ გვიწდა, რასაკვირველია, სრულიად უარყოფით სომ-ხურის შემეობა ფალაური სიტყვების შემოსვლის სფეროში ქართულისათვის. ეს ფაქტების და-მახინჯება იქნებოდა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საბუთები მარჯვლიდენ უშუალო-მასაც არ უჭერენ მხარს. ქართულს, ამჟამად, უმუხლო ურთიერთობაც ჰქონია ფალა-ურთან, ისე როგორც შემდგომში სპარსულთან აქვს.

ირანულიდან მომდინარე სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვები, რომ-ლებიც ჩვენს ტექსტებში გვხვდება, შემდეგია:

1. Ամբիս - ამბიხი - აინხი (სპ.).
[მაგრამ ფაქსამფიქს - სიმრავლე].
- [2]. Ապարուս - აპარანი - აჟადანი (ძვ. სპ.).
3. Ասպարէս/ս - ასპარეზი - aspars, aspas (ფალ.) [გვხვდება მარტო არი-ოპაგელის ცხოვრებაში].
- [4]. Ասան - ავანი (II სოფელი) - asanona (ძვ. სპ.), * asan (ფალ.).
[„სოფელი ტექსტებში ზოგჯერ უდრის სომხ.: շէք-ს, ագարակ-ს, Կաւառ-ს գիւղ-ს და Երկիր-ს].
5. Բագին - ბაგინი - ხაგ (ფალ.).
6. Բիւր (+ բւր) - ბური - ხეւარ (ფალ.) [გვხვდება მარტო ფსალმ. თარგმანებში].
7. Բն-իկ (+ բուն) - ბენი - ხანი (ფალ.).
Բնութիւն - ბუნება, მაგრამ բն-աւ - ყოვლად .
8. Գունս - გუნდი (II კრებულის) - gunid (ფალ.).
Ապարտագուն - გუნდი აზნაურთა ; սևագուն - დაბნელებული გუნდი .

¹ გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა. « ანთიმის მოამბე ». XIII, თბილისი, 1943 წ., გვ. 1-83. 6. მისივე Артавазд и Армаша ... Тбилиси, 1941.

[გუნდო-სათვის გვხვდება კიდევ: ყაღარ].

[9]. ზაინაყსარ - ღაპქაქეტი (II მთავარი) - *dāniz (ფაღ.), მაგრამ რაინდ-მკვლარი.

[10]. ბენსამაყეს/ეს - მჭული ჩუენი და მახდენი - dēn-l-mazdēsān (ფაღ.).

[11] რაჟირ (ქსარჩის... რაჟირ იმს - ქნარანი) ღაპრი-ონ - dipre (ფაღ.), მაგრამ რაჟირ-
ქისს-წიგნი .

12. ღარაღარ - ზორავარი (II ერისთავი II მთავარი) - *zavaz (ძვ. სპ.), zōz (ფაღ.).

13. ზირი, ყირს (რ ღირს) - ზორვა - zōhiz (ფაღ.).

14. ქამ, ქამანასკ - ჟამი (II დღე-მამანასკ) - žamān, žamānāsk (ფაღ.).

კოდამაჟს - მახვე ჟამსა. სოხდამაჟს - მახვე ჟამსა. შორდამ - რაჟამს
(II დღეს), მაგრამ ქაჟდამ - მამინ, აჟმ-აჟ, აჟა ესერა, იჟრ-რაჟამს.

15. ზაყარაყსარ - აზრაქეტი - *hazāraqat (ფაღ.).

[16] ზამარსკარ (პრ. აჭარანთან: ზამარსკარ) - ჰამარკარი - hamārkaz (ფაღ.).

17. ზირაყარაყსადიოღ (რ რაყარაყს) - ურაქარაყსა ზელა კრებაჟ - *hāpādaq.

18. ზირიარაყსკ - პრორადავი (II წიგნი) - hēzavaztaq (ფაღ.).

19. მარყსანს - მატონე - mālikān, mātyān (ფაღ.).

[20]. მარყსკანს - მეჭეკანი - mihrayān (ფაღ.).

21. შიკ - მოგვ - moq, moqū (ფაღ.).

შიფსკ - მოგუება

[22]. მარყსკარ - მოგუქეტი (II მოგუთ-მთავარი) - moq'et (სახან. ფაღ. mōbedat
mōbed).

[23]. სარაყარ - ნავესარდი (II აპრილი) - narazād (ირან.).

[24]. სარაყარ - ნახარარი (II მთავარი, წარჩინებული) - nāfādmāz (ირან.).

წარჩინებული-სათვის გვხვდება კიდევ - ხიღასჩს, სარაყარსკ].

25. სკანს - ნიში (II სანწაული, ბრწყინვალეობა, სახე, ქუარი) - nišān (ფაღ.).

26. ტისს (რ-ტის) - აღ-მშნ-ება (II დადემა) - šēn (ფაღ.).

ტისს - სთელი, არღა დარღუეული.

[27]. შიყარს - ოსტანი - *ostan (ფაღ.).

28. შიყარს - ქატივი - *pativ (ფაღ.).

შიყარსკანს - ქატიოსანი (II დირსი); ყარაყარსკანსოქისს - ქატიოს-
ნება; ყარაყარსკ - ქატიოსანი; ყარაყარსკ - ქატივი-ცემა.

ქატივი-სათვის გვხვდება კიდევ: ყარაყარს, ყარაყარს; ქატიოსანი-სა-
თვის; ღარაჟირ.

[29]. შირიყარს - ქარევეტი - qaragvad (ძვ. ფაღ.).

30. შიყარსკანს (რ-შიყარს) - სახეპურა - shēpāh (ირან.).

31. შიყარსკანს - სპარაზენი - *spaz (ფაღ.).

32. შიყარსკანს - სპარაქეტი - *spādaqat, spāhpat (ფაღ.).

33. შიყარსკ (რ-შიყარსკ) - სპეტივი (II აეთრი) - spētaq (ფაღ.).

შიყარსკანსოქესარ - სპეტივითა მონილი.

34. 1) ყაუქს - შტახში - *staxša* (ფაღ.).

35. 'სასმე - ვანი - * *arān* (ირან).
საქსმას - სავანე (წსადგური).

36. ჭარბ - ვარდი - *vard* (ფაღ.).

37. წაწარ - ტადარი - *tačara* (ძვ. სპ.).

[ტადარი-ხათვის გვხვდება კიდევ *შხჩხას*].

38. წასმე-ასმე - ტანჭვა, სატანჭველი - *tanj* (ფაღ.).

წასმე, - ტანჭვა (წგუემა). [ვხვებით აგრეთვე: სატანჭველი = *საყარასმე*;
 ტანჭვა (წ დასტა) = *ჯარჯარასმე*; ტანჭული მტერისა = *საყარასმე*].

39. *Φουκρასაყ* (+ *Φ* *ჩ*) - ჰილო-ას ძუაღელი - *φῶλ* (ფაღ.) [*არიოპაგელის ცხვან*].

წარმოდგენილ ნუსხასთან დაკავშირებით შემდეგი უნდა შევნიშნოთ. აღწერილი სიტყვების უდიდესი წილი მარტო ჩვენი ტექსტების კუთვნილება არაა, ის ძველს, თარგმნილსა თუ ორიგინალურს, ქართულ მწერლობის სხვა ძეგლებშიაც გვხვდება. მაგრამ აქ სთიბოვება ერთი ნაწილი სიტყვებისა, რომლებიც ჰერტერობით სხვაგან არსად ჩანან და, თუ გვხვდება კიდევ, - განსაკუთრებული სახით. ამიტომ შეიძლება ესენი ჩვენი ტექსტების საკუთრებად მივიჩნიოთ [ასეთი სიტყვების ვამისარჩევად ზემოთ ნუსხაში მათი სათვალავი ციფრი სწორ ფრჩხილებში ჩავსხით; განსაკუთრებული სახის სიტყვები კი ნახევარ სწორ ფრჩხილებში].

როდესაც ასეთ სიტყვებს (2, 4, 5, 10, 11, 16, 20, 22, 23, 24, 27, 29 - სულ 12 სიტყვას) ვაკვირდებით, ვამჩნევთ, რომ უკლებლივ ყველა სომხურის პირდაპირ ტრანსკრიბციას წარმოადგებს მაშინაც კი, როცა ვადმოძღვებთ იცის სახმარებელი სიტყვების რეალური მონარსი) *მარა* *სასმე* - (ავანთ) სოფელი, *ყარანასმე* - (დაჭაჭაძე) მტარვალი, *საყარასმე* - (ნახარარი) მთავარი, წარჩინებული, *მარასმე* - (მოგუქეტი) მოგუთ-მთავარი. რად იქცევა ის ასე? აღბათ იმიტომ, რომ მთარგმნელი ასეთ შემთხვევებში სყდილობს სიტყვას უკლებლივ. დატოვებით შეუნარჩუნოს მას სპეციფიკური რამე მხარე, კერძოდ მნიშვნელობა. ნაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს მომენტი, ერთი ცხადია, მთარგმნელმა ასეთი სიტყვა მაინც გასაგები უნდა გახადოს მკითხველისა თუ მსმენელისათვის. ამ შემთხვევაში ასეთ სიტყვებს რან უნდა ახლდეს რაიმე ახსნა გლოსის სახით. ხოლო, თუ ასეთს რასმე მოკლებულია ტრანსკრიბირებული სიტყვები, მაშინ საფიქრებელია, ე იმას მოწმობდეს, რომ ეს სიტყვები ახსნის გარეშეც არის გასაგები მსმენელისა თუ მკითხველისათვის. ხოლო მათი გამგები (მსმენელ-მკითხველი) ქართული სინამდვილიდან მაშინ შეიძლება აღმოგვაჩნდეს, თუ იგი სომხურ მოსახლეობასთან ან მის კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი იქნება. შეიძლება მომხმარებელი წრე თვითონ იყოს სომხური ელემენტი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მისთვის მამა-პაპათა ენაზე შექმნილი ნაწარმოები იმდენად ორიგინალში არაა გასაგები, რამდენადაც მეორე, მისთვის არა უცხო ენაზე შესრულებული თარგმანით.

უკანასკნელი შესაძლებლობა რომ ჭეშმარიტებასთან ახლო უნდა იდგეს, ამას ჩვენს ტექსტებში დაცული ფაღაური მომდინარეობისა და სომხურთან საერთო ხმარების სხვა სიტყვებიც მოწმობენ, ჰირველ რგები ისეთნი, რომელნიც ცნობილი არიან სხვა ძველი ქართული ტექსტებითაც, მაგრამ სხვა სახის ქართული შესაბამისით. ასეთებია - *მხჩხას*

და ყაარნყააჲ. მწინესან-ის ბაღლად ძველად ივეულებრივ ამიჰრავ(ა)ნი¹ მოკვეპოვება, რომელიც ფალაური მიჩნევილი უშუალო გარმოცემა, როგორც ეს შენიშნულია სხვების მიერაც. ასევე ყაარნყააჲ-ის ძვ.ქართ.შესახვევისები - «ქალეკარტ-ი² ან «პარეგავლატი³ სომხური ფორმის გადმოღებას კი არ წარმოადგენს, არამედ, როგორც სამართლიანად მიაჩნიათ⁴; ირანულიდან (ძვ. ფალ. *paθaθaθaθ-იდან) მომდინარეა. ჩვენი ტექსტების ქართულად გადმოღებას, ჩანს, ქართულ მწერლობაში გავრცელებული ამ სიტყვების დასახელებული სახეები ან არ სცოდნია, ანდა, თუ სცოდნია, მხედველობაში მიუღია ის გარემოება, რომ ასეთი სახით ისინი გაუგებარი ყოფილან იმ წრისათვის, რომლის ინტერესებითაც ის სელმძღვანელობდა, და ამიტომ გადმოუცია ისინი უფრო გასაგები ფორმით, რაც მხოლოდ ზედმიწევნითს ტრანსკრიბციას წარმოადგენს სომხურისას (მწინესან - შეჰეკან-ი , ყაარნყააჲ - პარეგავლატი-ი).

სომხური ტექსტის მთარგმნელს ერთგან ფალაური სიტყვა იქსიამაღრესან, რომელიც კომპოზიციის წარმოადგენს: ძეო-ი- მაზდესი, დაუნაწევრებია ისე, რომ პირველი წევრი იქსი, რომელიც ცალკეც იხმარება სომხურში, ქართული ეკვივალენტით - «შტულით» გადმოუცია, ხოლო მეორე უცვლელად დაუტოვებია და ამრიგად იქსიამაღრესან-ის გამოსახატვად მიუღია - «შტული ჩუენი და მაზდენი». აქიდან კიდევ ერთხელ ამკარად ჩანს, თუ როგორ იქცევა მთარგმნელი, როცა სათანადო ეკვივალენტს ვერ უძებნის სომხურ ამა თუ იმ სიტყვას, განსაკუთრებით უცხოური მომდინარეობისას. მას ასეთ შემთხვევებში სიტყვები უცვლელად აქვს გადმოღებული, ტრანსკრიბირებული, რაიმე ახსნის გარეშე, რადგან ვარაუდობს, რომ მისი მკითხველისათვის ისინი უცხო არ არიან.

ერთგან კიდევ მთარგმნელს ჩვეულებრივი ხმარების ერთი სიტყვა იყაიო (=მწიგნობარი), რომელიც წარმომდებთ ფალაურია, მომდევნო სიტყვასთან იან (=ვინმე)-თან ერთად დაწერილობის გამა, აღბათ, სპარსელი მოხელის საკუთარ სახელთან ხმარების მიზეზით, რაღაც ეპითეტად მიუჩნევიან და უცვლელად გადმოუცია: «ჩისაიიქს... იყაიო იან-ქანრანი დაჩიონ».

ამრიგად, ჩვენი თარგმანების ირანული მომდინარეობისა და სომხურთან საერთო ხმარების ლექსიკის განხილვიდან ირკვევა: 1. ქართულ სინამდვილეში და კერძოდ მის მწერლობაში ძველთაგანვე შემოსული ასეთი ლექსიკა ისეა ჩვენს თარგმნილ ძეგლებში წარმოდგენილი, როგორც ის ამ ძეგლების აღმოცენების წინათ იყო გავრცელებული ქართულში; 2. ხსენებული მომდინარეობის სომხურთან საერთო ხმარების სიტყვებისას ითვის თუ თარგმანების ავტორი (ან ავტორები) ვერ იცნობს ან არ ხმარობს წინათ ქართულში ხმარებულ ბაღალ სახეებს, მაშინ ეს სიტყვები თარგმანებში სომხურის ზედმიწევნით ტრანსკრიბციით არის წარმოდგენილი.

¹ იაკობ ცურცაველი. «მარტვილობაჲ შუშანიკისი», იღ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1938წ., გვ. 40, 44-47.

² ჯ. მწინესან. ჯაიხეჩენ სომხურისას რაიარაიან, V. გვ. 970.

³ გვხვდება ქართულში «კუართის» სიტყვით. იღ. აბულაძე - ქართულ-სომხ. ფილოლოგიური შტუდიები... III: მარტვილობაჲ თეკლაძის (ენიშნის მიამბე, VIII, გვ. 80).

⁴ ჯ. მწინესან. ჯაიხეჩენ სომხურისას რაიარაიან, V. გვ. 965-970.

შენიშნული ვითარებიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: 1. ქართულ-სომხური საერთო ხმარებისა და ირანული მომდინარეობის სომხური სიტყვები თუ რამდენიმე სახითა ვკაქვს ძველ ქართულში წარმოდგენილი, მაშინ მათგან ის არის უფრო ახალი, რომელიც ზედმიწევნით ვადმისცემს სათანადო სომხურ შესაბამისს; 2. სომხურთან საერთო ირანული მომდინარეობის სიტყვების ის გარკვეული ნაწილი ქართული თარგმანებისა, რომელიც ან სრულიად ახალი ხმარებისა ჩანს, ანღა ძველად ხმარებული სახისაგან განსხვავებული, ისე რომ ერთსაცა და მეორე. შემთხვევაშიაც ის სომხურის ზედმიწევნით ფრანსკრიბციას, ანუ უყველად ვადმისცემს, წარმოადგენს, მოწმობს მომხმარებელთა ისეთი წრის არსებობას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სომხურ მოსახლეობასთან ან მის ლიტერატურულ სამყაროსთან, ანღა თვით წარმოადგენს ისეთ სომხურ ელემენტს, რომელიც სხვა ენობრივი კოლექტივის ვავლენას არის დაქვემდებარებული ისე, რომ მამა-ქაქეული ენის ვავება მას უფრო თარგმანების სახით ესერებება. ასეთი წრე კი, რავორც ვაიკვა, IX-X ს.ს-ში მხოლოდ ცათ-კლარქეთში არსებობდა.

სომხურთან საერთო ხმარების ლექსიკის ვადმოდების ზემორე სენებური წესი, რომელსაც ჩვენი თარგმანები გვიჩვენებენ, სახეში უნდა ვქონდეს ყოველთვის, როცა ვწვადია სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვების ვამოხატულების მიხედვით ვავითვალისწინოთ, თუ როგორ ვამოითქმელა ამა თუ იმ ხანაში სომხური დაწერილობით წარმოდგენილი სომხური სიტყვები, რა ბგერა იგულისხმება ამა თუ იმ ნიშნის ქვეშ, რადგანაც ამ მხრივ სომხურ ბგერებს ისტორიულად ღიღი ცვლილება აქვთ ვანცილი. ასეთი მიზნისათვის რომ ქართულ-სომხურ საერთო ხმარების ლექსიკის ქართულ ფორმებს სათანადო სამსახურის ვაწევა შეუძლია, ეს ნათლად არის ნაჩვენები საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერ აკად. ჰრ. აჭარიანისა და მერამე აკად. აკ. შანიძის მიერ. ქართულ-სომხური სესხებული სიტყვების მეცნიერულ შესწავლას, წერს აკად. ჰრ. აჭარიანი, „შეიძლეა სარგებლობა ვაეწიო არა მარტო ქართული ენის აკლავისა და მის წყარობთან ჯეროვნად ვაცნობისათვის, არამედ აგრეთვე სომხური ენისათვისაც, რადგან ამ სესხების შესწავლით ჩვენ შევვიძლია ახსნა მოუძებნოთ სომხური ენის უძველესი ბგერების, კერძოდ კი დიფთონგების მიმართ ჩვენში არსებულ აზრთა სხვადასხვაობასი“¹. აკად. აკ. შანიძე სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერ ლექსიკონებში მოცემულ სომხურ ბადალთა შესახებ, რომლებიც ქართული დაწერილობითაა შესრულებული, შემდეგს აღნიშნავს: „სომხური ცოცხალი ენის ცვლილებანი ყოველთვის როღია სწორად აღბუქდილი სომხური ასოებით. სომხურ ასოებს მკვევევარი ზოგჯერ მცთარ დასკვნებამდე მიჰყავს საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ, ქართულად ჩაწერილი სომხური სიტყვები კი ერთბაშად ნათელს ჰფენს ყველაფერს და არავითარ ვაურკვევლობას არა აქვს აღგილი. სულხან-საბას ლექსიკონში შეტანილ სომხურ თარგმანს ქართული სიტყვებისას სომხური ენის ცოცხალი ვამოთქმის ვასათვალისწინებლად მე-XV^წ საუკუნეში ღიღი მნიშვნელობა აქს². რა წვლილი შეუძლია ამ მხრივ შეიტანოს ჩვენ

¹ ზრ. ს. შანიძის. შსაუსარაწსოქისს მქაყსერქს რაყსერქსიყ ქოქსაწსლ რაწსერქ... გვ. 310.

² სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ქროფ. იოსებ ყოფშიძისა და შროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, აბილინი, 1928 წ., გვ. 114.

ტექსტებს აღნიშნული საკითხის მოგვარებაში, ამას სხვა მხარეებთან ერთად ქვემოთ შევხებით ცალკე.

სომხურ-ქართული საერთო ხმარების ირანულიდან მომდინარე სიტყვების ზემომოყვანილი ნუსხის სიტყვებსა და ფუძეებს თუ მივხედავთ, ვნახავთ, რომ

1. ქართული შესატყვისების ერთი წილი სრულიად უცვლელად იმეორებს სომხურთან ერთად ირანულის შესაბამის სიტყვებსა და ფუძეებს: 7, 8, 13, [16], 19, [23], 26, [27], 28, 33, 36, 38 [სულ 12 სიტყვაა, ახლების (ა) გამოკლებით - 9].

2. ერთი წილიც ირანულს უფრო უჭერს მხარს, ვიდრე სომხურს: 21, [22], 25, 34, 37, 39 [სულ 6 სიტყვაა, ახლის (1) გამოკლებით, - 5].

3. ერთი წილი კიდევ ემხრობა ირანულის სომხურ სახეს, რომელიც რამდენადმე განსხვავდება პირველ-წყაროსაგან: 1, [2], 3, [4], 5, 6, [9], [10], [11], 12, 14, 15, 17, 18, [20], [24], [25], 30, 31, 32, 35 [სულ 21 სიტყვაა, ახლების (8) გამოკლებით - 13].

ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ მასში, რომ ეს უკანასკნელი სომხურიდანაა შემოსული ქართულში მაშინ, როცა პირველ ორ შემთხვევაში აღვიღად შესაძლებელია საქმე ვექონდეს უშუალო სესხებასთანავე ფალაურისაგან (იმ სიტყვების გამოკლებით, რომლებიც მხოლოდ ჩვენი ტექსტებით სდება ცნობილი¹), თუ, რასაკვირველია, ასეთი სიტყვების სემანტიკური მხარის რაიმე სპეციფიკური მომენტი ამით სომხურთან არ აკავშირებს.

ზემომოყვანილ ნუსხას რომ ვუკვირდებით, ვხედავთ, რომ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა წყაროსავე ესათუის სახის სიტყვა და ფუძეებია მხოლოდ წარმოდგენილი ქართულადაც, და ისეთებიც, როცა ასეთთა კვირდით ქართული სიტყვაა ეკვივალენტად ნახმარი. არის შემთხვევები, თუმცა მცირე, როცა საერთო ხმარების სიტყვა, და ისიც წარმოქმნილი, მარტოდგენ ქართული სიტყვით არის მოცემული. ნახესხები თავისთავადი თუ წარმოქმნილი საცყვისადავის რომ პარალელურად ქართული ეკვივალენტიც მოგვეპოვება, შეიძლება იმიოთ იყოს გამოწვეული, რომ შემოსულ სიტყვას ერთ შემთხვევაში (საერთო ფუძისა ან ძირის დაკვირვება) კერძო სპეციფიკური მნიშვნელობა ჰქონდეს და მეორეში - ზოგადი და ფართო. ხოლო ის გარემოება, რომ წარმოქმნილი სიტყვის გადმოცემისას სესხებულ ძირსა თუ ფუძეზე ხელია აღებული, შესაძლებელია იმის მომასწავებელი იყოს, რომ ნახესხები სიტყვა ჯერ კიდევ ვერ არის მტკიცედ დანერგული ახალს ნიადაგზე. საერთოდ კი ირკვევა, რომ ყველა ის ნახესხები სიტყვა თუ ფუძე, როცა პარალელურად ქართული ეკვივალენტითაც არის ტექსტებში წარმოდგენილი, არ არის ახლად სესხებული, ხოლო ნახესხები სიტყვის ფუძისა და ძირისაგან უხვად წარმოქმნილი სიტყვები უფრო იქნას მოწმობენ, რომ შემოსული სიტყვა თუ მისი ძირ-ფუძე დიდი ხნოვანობისაა.

IX-X ს.ს-ში ქართულად ნათარგმნ სომხურ ტექსტებს ზემოთ ნუსხად წარმოდგენილ სიტყვებს გარდა მოეპოვება ფალაურთან საერთო სხვა სიტყვებიც, რომლებიც ქართულად გადმოცემულია არა სომხურის შესაბამისი ქართული სახით, არამედ ან სომხურ-ქართული სხვა საერთო სიტყვით ან წმინდა ქართულით. ასეთებია:

¹ ასეთი სიტყვები სწორი (შთლიანი ან ნახევარი) ფხჩხილებით წარმოვადგინეთ.

1. სკაყ, რომელიც ჩვენი ტექსტების აღმოცენებამდისა და ჩვენს ტექსტებშიც «აზნაური» სიტყვით არის ხოლმე გადმოცემულთ, ხოლო სამუელ ქართულში-
«აზნაურით», რაც სომხურში ფალაურიდან (აზატ, სპ. აზად) მომდინარეობს,
ხოლო ქართულში - სპარსულიდან.

[შპრ. აგრეთვე: აყაყაყისი - გუნდი აზნაურთაჲ, აყაყაყის-
აზნაურება, ანსაყაყ-უაზნა, მაგრამ აყაყელ - განთავისუფლებულა].

2. სმწარყაყაყ, ირანული *smcāra-ის შესაბამისი, მოხალოდნელი
«ამპარჯავანით» კი არ არის წარმოდგენილი, როგორც ეს ჩვენი ტექსტე-
ბის აღმოცენებამდისა და შემდეგშიც გვაქვს ხოლმე, არამედ «უმჯუ-
ლოთი».

3. სრძან, რომელიც ფალაური arzdān, arzdān-იდან მომდინარეობს, ამის
ზოგიერთი ძეგლის შესავსად (მაგ. ლეონტი მროველისა) ქართული «არ-
ძანავით» კი არ არის წარმოდგენილი, არამედ «ღირსით», რომელსაც
ჩვენი თარგმანების წინადა და შემდეგშიც უხმარება სომხ. სრძან-ის
ბაღდად.

[შპრ. აგრეთვე: სრძანსაო - ღირსი, სრძანსაოხ - ღირს ყოფა,
სრძანსი - ღირსი, ანსრძან - უღირსი, არა ღირსი].

4. წიოიყ, ფალაური *šā-ისაგან წარმოქმნილი სიტყვა, რომელიც უცვლე-
ლად გადმოღებული ძვ. ქართულში «უკეთურის» სინონიმი, «კეთ-
რთვან-ით არის წარმოდგენილი ჩვენთან, როგორც ეს აღრეცა და შე-
მდეგშიც გვაქვს ხოლმე.

5. წიოყაყ, რომელსაც აგრეთვე ფალაურ šāq-თან აჯავშირებენ და რომელიც ზოგ-
ჯერ ძვ. ქართულის ძეგლებში იხმარება «ბერკვალ - ბერკვარ-ის» სახით
(იოანე საბანისძის თხზულება, გვ. 80, 4¹), ამ სიტყვით კი არაა მოცემუ-
ლი, არამედ «საყეცხურ-ით».

6. ყასბ ფალაური ფაიჟ (სპ. ფაიჯ)-ის სომხური შესაბამისი, რომელიც ქარ-
თულში «განბ-ის» სახითვე გვაქვს, ჩვენს ტექსტებში, ისე როგორც
მათ აღმოცენებამდის, ყოველთვის ქართული ეკვივალენტით - «საუნ-
ჯით» არის მოცემული.

[«საუნჯე», რომელიც «უნჯ-ისაგან» არის ნაწარმოები და «განბის სა-
ცავს, სახლს, საწყობს» ან ზოგადად «სადგომს» აღნიშნავს ქართულში, სომხურ-
ში ვერსაყაყ-ით არის ხოლმე აღმეჭრილი, ზოგჯერ კი სპარს. ითაყ. ეს უკანა-
სუნელი კი თავისი ძირითადი ნიშნით შეიძლება ქართულ «უნჯ-ს» დავუკავშიროთ,
როგორც ამას აკად. ნ. მარტი ჩადიოდა, რასაც არ იწყნარებს აკად. ბრ. აჭაიანიძე.

7. სხრყაყაყაყ «კერპ-ისაგან» ნაწარმოები სიტყვის სახით კი არაა წარმოდგე-
ნილი ჩვენს ტექსტებში (ასე არც სხვაგან არის სადმე ძველად), არა-
მედ «ხატ-ით». სხრყაყაყი კერპ-იდან მომდინარეობს.

8. ჯამარ ფალაური *jamāz (სპ. ჩამაზ)-ისაგან მიღებული სომხური სიტყვა

¹ იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, 1935წ., გვ. 80, 4.

«ამბარ-ით» კი არაა წარმოდგენილი, როგორც ეს XI ს-დან გვხვდება, არამედ «აღრავცხვით».

[შღრ. აგრეთვე: სარასმარ - ურცხვ, რასმარელ - შერაცხვა].

9. რსარ ფალაური ჩაიარ (სპ. ჩაიარ) -ის ქართული შესაბამისით - «უნარით» კი არაა მოცემული (როგორც ეს გვიანდელს ხანაში გვხვდება), არამედ «ღონისძიებით» ან « შეძლებით » (ფსალმუნთა თარგმანებაში).

[შღრ. აგრეთვე: რსარელ - გულება, სარსარელს - უსაზომო].

10. ზორამასკილქის, რომელიც «მზაუვარებით» არის გადმოცემული, როგორც სხვაგანაც, აგრეთვე ქართულს შესატყვის სიტყვაში არსად აჩვენს «მანკ-ს», რაც სპარსული წარმომობისაა (ფალ. * manq, სპ. mang).

11. სარამას, ფალაური * sarmas (სპ. saram) -ის სომხ. შესაბამისი, მერმინ - დელ ქართულში გავრცელებული «სამანიოთ» კი არაა წარმოდგენილი, არამედ - «საზღვრით», როგორც ეს ძველად სხვაგანაც მოგვეპოვება.

12. შირა, ფალაური ხარო -ის შესატყვისი, მთხროდნელი იყო «ტო(ჭ)მის» სახით, მაგრამ აქ მის ნაცვლად, ისე როგორც სხვაგანაც ძველად, «ნათესავი» გვაქვს.

ჩვენს ტექსტებში გვხვდება კიდევ ერთი სომხური სიტყვა ზსირ (რომელიც ფალაური * sior - დან გამოჰყავთ), რაც აკად. ჰრ. აქარიანს ქართულს «შნო-ში» ეგულება წარმოდგენილად (ტექსტებში ყველგან ბაღლად «მადლია»); ნამდვილად არავითარ კავშირში არაა მასთან. ამ სიტყვას H. Vogt-ი¹ და აკად. აკ. შანიძე² «შუენიერ, შუენებას» უკავშირებენ.

თავისი მხრით ქართულ თარგმანებშიაც გვხვდება ირანულიდან მომდინარე ისეთი სიტყვები, რომლებიც სომხურთან საერთო ხმარებისა არიან, მაგრამ სომხურ ტექსტში ბაღლად სხვა სიტყვას გვიჩვენებენ. ესენია:

1. ლაშქარი, რომელიც შეესაბამება სომხ. ლაქარ-ს, ფალ. * laškar-სა და სპარ. laškar-ს, ხოლო სომხური ტექსტით - ყასრე-ს (= გუნდი, ერი, სპა).

საქაის აღიარების ახლობის ქართულ თარგმანშიც (ნ. გვ. 82,) მსგავსი სურათია. აქ ნათქვამია, რომ, როცა საქაი საკათალიკოზო ცახტილას გადაიყვანს, იგი, იმყოფდა ნაწილსა იონთას-ო. ამ ადგილის შესახებ მისეც სორენელის ისტორიაში (საცვლად ნაწილსა იონთას) მავრევიანის კეთილია (ქ. ნაყრასსიქ. ფადასიქ) დასახელებული:

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 25.
² ტატიანოსის სახელით ცნობილ მოღვაწესი ჩანან. ერთი თესლონიკოს კეთილის დროს და მეორე იუსტინე მოწამის დროს II ს-ში. უკანასკლავს როგორც მწერალს იხსენიებენ და ამიტომ დ. ალიშანს ის ჰგონია ჩვენი მარტვილობის წიგნის წყარო (ნ. ზ. აქტიანის. აღკალია ფრანკო-ბოსნიის ზოიყ. აღმდგენი, 1901, გვ. 66-67).
³ სიონი. აღკალია სარკოვიქ, ნაყრასსიქ ბეზაფრასკან აქ აღმდგენი აღმდგენი, პარფამანოქამაქ, ადამაქამანოქ ს ბანოქიოქიონსიქიქ ქ ბეზა აყოქ. მანოქ აქსიქიასიქ. სქრასან. 1941, გვ. 64, 17-20.
⁴ ს. სიონი. აღკალია სარკოვიქ, ნაყრასსიქ ზოიყ. აღკალია ს. აქტიანის ს. პარფამანოქამაქ. 1913, გვ. 354, 9.

სენენული მანიშნებელი, ეჭვი არაა, ერთგვარად უნდა შიგვიითიებდეს მარტვილობის სომხური ძეგლის აღმოცენებაზე. ის ან მარზბანობისა ანდა არაბთა ბატონობის პირველ პერიოდშია შედგენილი, V - VIII ს.ს-ში. V ს-ისა იგი არაა, რადგან ამ საუკუნის ენას, რომლის დამახასიათებელი ნიშნები სხვა საუკუნეების ენასთან მიმართებით უკეთ არის ცნობილი, მარტვილობის ენა საკმაოდ სცილდება. აკტორის სოლომხელეკობა და მისი პირითადი მიზანდასახულებაც თუ მხედველობაში გვეჩვენება¹, მაშინ რსუიანთა მარტვილობის ძეგლი უფრო VIII-VIII ს.ს-ში უნდა იყოს წარმოშობილი, ყოველ შემთხვევაში, თადეისისა და სანდუხტის მარტვილობის წიგნის შემდეგ, რადგან იგი უკანასკნელის მიერ აღებული ვეზის განმგვრძობია მესუკავეთა წამების წიგნთან ერთად. იუ თადეისისა და სანდუხტის მარტვილობის წიგნი თავისი დეკავანდელი სახით კრიტიკულად განწყობილი სამეცნიერო წრეების მიერ VI ს-ის მეორე ნახევარზე აღინიშნულად არ ითვლება, მაშინ რსუიანთა და მესუკავეთა წიგნებიც VIII ს-ზე უადრესი ვეღარ იქნება. ყოველ შემთხვევაში, ქართული თარგმანის დედანი VIII ს-ის პირველ ნახევარზე გვიანდელი აღარ უნდა იყოს, ვინაიდან ის სერია სომხური მარტვილობათა წიგნებისა, რომელთა თარგმანები ქართულადაა დაცული, ჩვენი დაკვირვებით (ნ. გვ. 074 074), შეიძლება აღმოჩნდეს ამ დრომდე ყოფილიყო წარმართობილი.

გ (I 3). « წამებაჲ წმიდათა მოწამესთა მესუკავეთაჲ ».

მესუკავეთა წამების წიგნს სომხურა « მრავალთავთა » ნუსხებში სხვადასხვა მოცულობისას ვხვდებით. პირველი, რაც მათ ერთობლივად ახსენებენ, ისაა, რომ « კონსტანტინეს ხილვა », რომელიც ქართულ წიგნს თან ახლავს, სომხური « მრავალთავების » უმრავლეს ნუსხებს არ ერთვის. მნაა გარდა ქართულიდან მიმართებით მათ ყველას აკლია საკმაოდ ვრცელი « შესავალი » (ნ. გვ. გვ. 22, 3-23, 23), რომელიც, როგორც უკვე შენიშნულია აქად. ნ. მარისა და აქად. იუ. ჯავახიშვილის მიერ, სომხურიდანვე მომდინარეობს. მესუკავეთა წამების წიგნს მოკლე ხასიათი უკავდება სომხურად. მხოლოდ შორის, ასეთია მარტვილობის წიგნის ერთი ნაწყვეტიც (სულ ერთი ფურცელი), საწერი ვერატზე წაკითხულნი მოიცრა ასომთავრულით, დაახლოებით XI-XII ს-ისა², რომელიც შესაძლოა « მრავალთავიდან » ვი არ იყოს, არამედ « ლეციონარიდან » (რახიყ-იდან), რადგან ისეთ შემთავლებზე წამების ცხოვრებებს ან კრებულშიც პქონია ზოგჯერ დაამოძილი აღგილი ძველად.

აქად. ნ. მარი თავის წინასწარი ხასიათის ნაკვლევი³, რომლითაც იგი ითყუებოდა თავის პირველ მთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს ათონის « მრავალთავში » მესულ სომხურ წამებათა წიგნებსა ქართული თარგმანის შესახებ და რომელიც შესადააქმლად ხელთ შეიწინა სომხურის მხოლოდ ნეკრავითი გამოცემანი, მესუკავეთა წიგნს მიმართ აღნიშნავდა, რომ სომხურ ტექსტს არ მოეძვეება ქართულას დასაწყისი, თხზი ნაბეჭდი ცვერდის აღებადისა. და მთელი ეპილოგი, სადაც საუბარია წმიდანების ნეშტ-

¹ იუ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო სწავლება, წიგნი I, გვ. 24-26.
² „ მარტვილობის » ხელნაწერი ფრანკო-სლავური ძეგლები, № 483.
³ H. M a r p. H a n u e z g k u u a A q o n . H e r u i n , o p o l . e t c . 1-24.

ქ. კოსტანტინე მეფის ლეგენდარული ხილვითურთ, თუმცაღა არსებობს მითითება, რომ ისინი, განსაკუთრებით კოსტანტინეს ხილვა, მთლიანად არსებობს სომხურადო! აკად. ნ. მარიც ეძებდა ხელნაწერებში და ჩვენც არ დაგვიცალა ცდა, გვეჩოყა საღმე ეს დანაკლისი, მაგრამ მთლიანად ეს არ მოხერხდა. აღესაყ არსად ჩანს წამების წიგნის «შესავალი» (ოთხი ნაბეჭდი ფურცლის თდენობისად რომ წარმოიღვეს აკად. ნ. მარი) და ამ წიგნის დასასრული (ნ. გვ. 57, 1-21). რაც შეეხება «ხილვას», იგი ხელნაწერებში შეგვეხვდა. ეს «ხილვა» მაშინაც კი არსებობდა ბეჭდვითი სახით, როდესაც აკად. ნ. მარი თავის ნაშრომს აქვეყნებდა, მაგრამ «სიყისრე ჯაყასკასრე-ში» კი არა, არამედ მერ. ავგერციანის «სქასკასრე ქარე ს ქასკასრე-ში» (რსფ. II, გვ. 119-120), მესუკავეთა წამების თხრობაზე დართულს შენიშვნებში.

მესუკავეთა მარტვილობის წიგნს როგორც აღვნიშნეთ, საქმიოდ ვრცელი «შესავალი» მიუძღვის, რომელიც ჯერ-ჯერობით მარტვი ქართულ თარგმანს შემოუნახავს. «შესავალი», როგორც ეს წამება-ცხოვრებათა წიგნებს სჩვევია, იწყება გამომთქმელის საკმიოდ რიტორიკული სიტყვით, რომელშიც აცხადებს, რომ საჭიროა „ ვეზიარნეთ ვსენობითა გოლსმოდგინედ ღუაწლსა მასკა წმიდათა მოწამეთასა... რომელი ვითარცა ცხოვარნი კეთილნი დაუღვად მოიწინეს ქრისტესთვის ქუეყანით ჩრდილოეთ, კარსაგან ივსეთისა, ქუეყანად სომხეთისა, რადთა იქმინენ ჰირველ-მაიქრე ასქარესა მას სლევისასა სუღიერსა...“ ამას მოსდევს ავტორის აღიარება, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით შექმნი მან, შეგსრულებინა დასახული ამოცანა. ეს წყაროებში ზეპირი და წერილობითი : „ ვითარ მიცნობიეს მთხრობელთაგან ჭეშმარიტთა და წიგნთაგან სუღიერსა, რომელი აუწყებენ ჰამბავთა და ვანგებთა სომხეთისათა-ღ“. მაშასადამე, გამომთქმელის დროს, როგორც ამას მართებულად შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, „ როდესაც ავტორი თავისი შრომის წერას შესდგომია, სომხეთის ისტორიულ ამბების აღმნუსხველი წყაროები უკვე არა ერთი და ორი ყოფილა“².

მარტვილობის წიგნის გამომთქმელი ნაქარმოებზე დართულს ანდერძში (ნ. გვ. 61, 1-16), რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ (გვ. 0127), სიტყვა-სიტყვით იმეორებს ასკიასთა მარტვილობის წიგნის ზოგიერთი სომხური ნუსხის ანდერძს, რაც ორვე წამების წიგნს ეხება, ანტონი ჰროშია, მეუღაბნოე. მკვლევართა უმრავლესობა მას ბერძნად მიიჩნევს. მერ. ავგერციანს ანტონი ჰროშია ჰგონია ან იმ მხლებელთაგანი, რომელიც სხვებთან ერთად კოსტანტინე კეისარს მოჰყვა აღმოსავლეთს იმ დროს, როცა მას კოსტანტინეპოლს გადაჰქონდა სამეფო ტახტი, ან იგი ის ანტონია, რომელიც გრიგოლ განმანათლებელმა წამოიყვანა კესარიიდან კრონიღესთან ერთად და მისი ბრძანებით აღწერა ალბათ მესუკავეთა წამება, ანღა, რაც უფრო სარწმუნოა, ამ ანტონი მეუღაბნოესათვის მარტვილობის ამბებია უნდა გადაეცა იმ ორი ამხანაგის თანამორწმუნესა თუ მოწაფეთაგანს, რომლებიც მესუკავეთაგან წამებას გაღურჩნენო³.

¹ H. Март. Къ покаянъ на Аѳоа, გვ. 17.
² ივ. ჯავახიშვილი, ქვ. სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 12.
³ სკრ. სსკერესან. სქასკასრე ქარე ს ქასკასრე-ში „სრფ, რსფ. II, გვ. 111-112.

მარტვილობის ავტორი ჩვენი დავკირვეებით, როვორც ეს ამ წამების „მესავ-
ლის“ ცნობებზე დაყრდნობით აღვნიშნეთ, ისეიანთა მარტვილობის წიგნის განსილ-
ვის დროს, სომეხთა, VI ს-ის მოღვაწე ან, რაც უფრო სიფიქრებელია, VII ს-ისა.
ამიდრამ ეხლა მის მიერ შესუკავებთა მარტვილობის წიგნის „მესავალში“ გან-
ცხადებური სიტყვები, რომ ჩემი წერილობითი წყაროები „აუწყებენ ჰამბა-
თა და განგებთა სომხთისათა-თ“ კარაულის დამადასტურებელ საბუთად მი-
გვაჩნია. „ჰამბავნი და განგებანი სომხთისანი“ სომხურად აღწერილი სომ-
ხურივე ისტორიული ამბების აღმნუსხველი წყაროები გვეცნია¹ და არა ბერ-
ძნული, რომელთაც ის „ანდერძში“ „მაცოიანთ“ ექახის. ისეიანთა დამესუკავეთა
წამების წიგნთა ავტორი „მესავალ-ანდერძში“ თავის თავზე იმასაც ლაჰარაყობს,
ბერძნული წყაროების გამოყენება შემეძლო, და ევების ეს სწორიყ იყოს, მაგრამ ის
მანც პირველ რიგში ასევე სომხურ წყაროებს უნდა მიმართავდეს.

ანტონი ჰრომის ბერძნობის მახინჯი საბუთად, რომელთაც თითოც მისი ნა-
წარმოებიც ბერძნულად დაწერილი და შემდეგ სომხურად მათარგმნთ უნდა იყოს, ის
გარემოება მიჩნია მკვლევარებს, რომ შესუკავეთა სახელებს ყველას ბერძნული და-
ბოლოება მოეპოება? ამასთანავე მესუკავეთა მეთაურის - სუქიას-სუქიასის - სახელის
ეტიმოლოგია, თანახმად გლოსისა, რომელიც ამ სიტყვას ახლავს ტექსტში, მხოლოდ ბერ-
ძნულის ნიდაგზე (ἰδὲν χαιος) ირკვევა². რადგან მესუკავეთა წამების წიგნს გააჩ-
ნია ისეთი ნიშნები, რომელიც მას ისეიანთა წამების წყაროთან ანათესავებს, ამიგრამ
ამ საგნის მკვლევართ, რომელთაც ანტონის მიზანტილოება შესაწყნარებლად მიჩ-
ნიათ, ისიც ჰგონიათ შესაძლებელი, რომ რივე ამ წიგნის ავტორი ანტონი ჰრო-
მი იყოს³. ამ შესვლადებს რომ სულ შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, ამას
ეხლა, რაცა ისეიანთა მარტვილობაზე (ჰოლოგრო: ნუსხანი) ისეთივე „ანდერძი“ აღმო-
ჩნდა, როვორც მესუკავეთა მარტვილობას აქვს, ერთგვარი საბუთიც გაუჩნდა. მაგ-
რამ, როვორც უკვე ვნახეთ, ისეიანთა წამების განხილვის დროს, ცნობა იმ მაცოიანეთა მ-
სახებ, რომელთაც თავის წყაროდ ასახელებს აგიოგრაფი და რომლებიც ბერძნული აუ-
ტენო, წინააღმდეგობაშია მისხავე განცხადებებსთან, რომ ისანი მან „კერძოთა იონთა-
სა“ იპოვა, „თვთ მებრ მე მრავალ ვზის აღმოვიკითხე“ და „აქ ჩუნს შიჯრის ია-
ვებიან-თ“. აგიოგრაფის ასეთი გამონათქვამები მის მიზანტილოებას კი არ უნდა გვი-
დასტურებდნენ, არამედ იმას, რომ იგი ბერძნულის მყოფდნე სომეხთა, რომელსაც ბერ-

¹ ჰაკლე ინტროდუქსი დაკავთვებათ ს. მისი „ლეონტი მრაველი - ქართული ისტორიკო-
სი „ჰამბავთა-მწერალი“ მე-8 საუკუნისა“, ენიკის მოამბე X. გვ. 93 94) ძველად, XI ს-ის წინათ,
ის ნაწარმოები აღინამწებოდა ქართულში „ჰამბავის“ სახელწოდებით, რომელიც საისტორიო-ეპი-
კური ხასიათისა იყო. თუ ასეა, მაშინ VIII ს-ის პირველ ნახევარში (ე. ი. იმ დრომდის, რომლის წი-
ნათ შემუშავებულნი ტექსტები უნდა ედეს დედნად სომხურ მარტვილობათა ქართულ თარგმანებს)
ასეთი თანახმა ყველაზე მეტად სომხურში მისე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ იქნება.
ეს ვითარება იმავე დადასტურებდა, რომ ხორენელის ისტორიაზე დამოკიდებული მარტვილო-
ბის გამომთქმელი და არა პირიქით, როვორც ეს აქად. ნ. მარს ევინა.

² ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 14-15.
³ იქვე, გვ. 15. ⁴ იქვე, გვ. 26.

ბნურის გარდა სომხური წყაროებიდან (ზეპირითა და წერილობით) უნდა ეპარგებინა. ყოველ შემთხვევაში ბიზანტიურ წარმომავლობას აღარ უნდა აუთუხუნებდეს იმ წყაროებს («წიგნთა სულიერთა, რომელნი აუწყებენ ჰამბავთა და განგებათა სომხითისათა»), რომლებშიც მას მისთვის საჭირო ცნობები ამოუკითხავს.

ბერძნულთბის კვალი, რომელსაც სუკავის შიწამეთა საკუთარი სახელების გადმოცემასა და ავტორის წოდებაში («ჰრომი») ამჩნევენ, ანდრანის ბიზანტიელად ითვლება არ უნდა აიხსნებოდეს, არამედ იმით, რომ მან იცის ბერძნული და, შეიძლება, სოგიერთ წყაროს ამ ენაზედაც იცნობდა. მისი წოდება «ჰრომი» შეიძლება ცომობრივი კუთვნილების გამოქსატველი კი არ იყოს, არამედ კონფესიონალურისა¹. მართალია, ისეთი რამ შედარებით უფრო მოკვიანო ხანისათვის არის შესაფერისი, მაგრამ კონფესიონალურ ნიდაგზე აღმოცენებული ასეთი წოდება შესაძლებელია აღრიც ყოფილიყო ფეხმოკიდებული ძველს სომხურ სინამდვილეში, ისე როგორც მაგ. «ხუიკი», რომელიც ნესტორიანელს აღნიშნავდა, რა ცომისაც კი არ უნდა ყოფილიყო ის.

ამრიგად, მარტვილობის წიგნის გამოთქმელი, ან ტონ ჰრომი, რომელიც უცხოელი კი არა, არამედ სომეხი უნდა იყოს, აღწერილი ამბების თვითმხილველი არაა, ის წყაროებზე დაყრდნობით წერს თავის თხზულებებს. ეს წყაროები, მისივე განცხადებით, სომხეთის «ჰამბავთა და განგებათა» მომხრობი ყოფილა, მას, როგორც ოსკიანთა მარტვილობის წიგნის განხილვისას აღუნიშნეთ, ბერძნული წყაროებიც, «მაგინენი», ქელონია ხელთ, რომლებიც «კერძოთა იონთასა-ს» მოუპოვებია. ეს «კერძონი იონთანი» კიდევ სომხეთის დასავლეთი პროვინციებია, რომლებიც გარკვეულ დროს ბიზანტიას ექვემდებარებოდა ან მისი გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ამ მხარეში შედიოდა აგრეთვე ის ადგილიც, რომელიც შესუკავეთა და ოსკიანთა მოღვაწეობის ასპარეზად არის წარმოდგენილი. ესაა ბაგრევანდი, რომელიც, მაგ. მოსე ხორენელთან, საჭაკ ქართველის დროს (V ს-ის პირველ ნახევარში) «კერძოთა იონთასა-ს» ფარგლებშია (ნ. ზემთ გვ. 133). საფიქრებელია, რომ ზეპირი გადმოცემები, რომლებიც «მთხრობელთაგან ჰქემმარითთა» მოუხმენია ანტიონის, პატარეკანდული წარმოშობისა იყოს, რადგან ადგილობრივი მოღვაწეების შესახებ პირველ რიგში აქ უნდა შექმნილიყო სათანადო. თქმულებები.

ანტონი ჰრომი, როგორც არა მომხრობი მის მიერ აღწერილი ამბებისა, რომლებიც მას ზეპირი და წერილობითი წყაროებიდან გამოუკრებია, თავის ნაწარმოებებში, როგორც მოსალოდნელი იყო. ყოველთვის ჰქემმარითად ვერ ატვიჩერს წარსულ სინამდვილეს. მის მიერ, დახატულ სურათს ისტორიული მოვლენების სისწორის მხრით მრავალი ნაკლი და კალმობრივობა ახასიათებს, რაც ერთპირად აქვთ შენიშნული მკვლევრებს. ასეთია კლარსიდ საკითხი, თუ როდის მოღვაწეობდნენ მესუკავენი და როდის აწამეს ისინი². მარტვილობათა წიგნებისათვის ესოდენ ძირითადი მომენტის სათანადოდ წარმოდგენილი-

¹ ასეთად მიიჩნევა ამ ტერმინს, ყოველივე ეჭვის გარეშე არაფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, «სუქაველსი ძველს ფართულ მწერლობაში», ტფილისის უნივერს. მოამბე, VI, გვ. 133.
² ლაწკარალებით ამის შესახებ ნ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში იქვე. სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 7-11.

ბა, აშკარაა, კარგის მუწყებელი არაა არც წყაროების ღირსებისა და არც ავტორის გულისყურის შესახებ. მის ნაწარმოებებს ამდენად უზრო ლიტერატურულ დაკუმენტის ხასიათი ენიჭება, ვიდრე საისტორიოსი.

როდის უნდა იყოს წარმომადგენელი სომხურად შესუკავეთა მარტვილობის წიგნი? მეკვლევირბა სხვადასხვანაირ პასუხს გვაწვდიან ამ კითხვაზე. ერთში მაინც ისინი თანახმა არიან, ყველას იგი ეკვიანდელი ხანის ქმნილებად მიაჩნია. მეოთხე საუკუნეზე უწინარესი იგი არა ჰგონიათ. თავიანთ შეხედულებას ესენი «მესავალი-სა» ანდა «ანდერძის» ამა თუ იმ ცნობაზე აგებენ. სავჯერ ასეთ ცნობას სხვა ზომენცსაც უყენებენ გვერდით. შესუკავეთა წიგნის ერთ-ერთ მეკვლევირს, მაგ., ჰუსიკ ეპისკოპოსს, რომელსაც ხსენებულ მარტვილთა მოწამეობა I-II სს-ში არა სჯერა, თავისი მოსაზრება იმით აქვს დასაბუთებული, „რომ რაჟი შესუკავენი და ისკიანნი, მით მარტვილობაში მძოვარ-მეუღბანოებად იწოდებიან, ამიტომ სრულებით შეუძლებელია, რომ ისინი პირველი და მეორე საუკუნეს მოღვაწეები ეოფილიყვნენ, რათ-ვან ამ ღრის მკუდაბნობება და მძოვარნი ჯერწისებობდნენ და საქრისტიანო მოღვაწეობის ამნაირი მიმართულება და ცხოვრებას წესრიგე სომხეთში IV ს-ში შემოდის“¹. დაკვირვება უკილობდად სწორია. თუკი მარტვილობის წიგნში IV ს-ის მოვლენაზეა საუბარი, მაშინ, ცხადია, იგი ან ამ საუკუნეში ანდა მის შემდგომში შექმნილი-ასეთად ხსენებული მკვლევიარი V-VI ს-ეს მიიჩნევს.²

უნახეთ ზემოთ, რომ შესუკავეთა და ისკიანთა მარტვილობის წიგნის ავტორის ანდნად მიიჩნევენ. იქვე მოვიყვანეთ ის ნიშნები, რომელია მიხედავით ამას ამტკიცებენ. დაფურთოთ თანაც ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება ასეთ პასუხთან და დაკასახელებით ის საყრდენიც, რაც ამას გვაფიქრებინებს. ზემოთქმულს აქ იმას დაკუმატებ, რომ ავტორის სომხობა (და ისიც, რომ ის მოსე ხორენელია) პირველად დალიშანმა აღნიშნა. ამას იგი იმ შემთხვევაში მიიხრეკდა დასაშვებად, თუ მარტვილობის წიგნის წყაროდ მოხსენებული ტატიანოსი იუსტინე მიწამის (გარდაიც. 167წ.) მოწამე ცატიანოსია, შემდეგში სახელგანთქმული მოღვაწე. ამ კარატას დასაბუთებას დალიშანი სხვა რაიმე წყაროს მოხმობით აღარ ცდილა. მაგრამ საგულისხმოა მაინც, რომ ასტონი პრომის სომხობა, თაკი რომ დავანებით იმას, მართლა მოსე ხორენელია ის თუ არა, ისეთი ერთდოიკი მკვლევირის მიერაა აღიარებული, როგორც ხსენებული პირია, რომლის მოსაზრების მიხედვით ანტონი პრომი მოკონილ სახელად გამოსდის; მაშასადამე, მის ქვეშ ამოფარებულია სომეხი ავტორი, რაც აბოკრიოული ნაწარმოებისათვის უჩვეულა მოვლენასაოარ წარმოადგენს.

მოსე ხორენელის მოღვაწეობის ხანის ვასარკვევად შესუკავეთა მარტვილობის წიგნს მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ნ. მარი. მას ეგონა, რომ რაჟი თარგმნა მომხურ მარტვილობათა წიგნებისა, რომლებიც ათონის «მრავალთავშია» დაცული, სომხურ-ქართული ეკლესიების ერთიანობის ხანაშია მხოლოდ შესაძლებელი, რაც VIII ს-ის დამდეგამდის გრძელ-

¹ ი ქვე, კვ. 9.

² ამ ხნის ნაწარმოებად მიაჩნია ძეგლი პროფ. დ. მელიქიეთ-ბეგსაც, მაგრამ რა ხიშნებით. არაფერს ამბობს (ნ. მისი «სუქაველი ძველ ქართულ მწერლობაში», გვ. 124).

დებოდა, ხოლო თარგმნა კიდევ VII ს-ის ვასუღამის შეიძლებოდა წარმეგზუიყო, ამიტომ ხორენელის ისტორიაში მოხსენებული სათენიკ ოვსთა მეფის ქალი, რომელიც იხსენიება აგრეთვე მესუკავეთა წამების წიგნში (რაც წარმომბილი უნდა იყოს არა უკვირანეს VII ს-ის მეორე ნახევრისა), ხორენელის მიერ მოგონილი პირი კი არ არის, არამედ სხვაგანაც ვსვდებით VII ს-ის მეორე ნახევრისათვის, რის გამო უნდა ავირჩიოთ: ან ის, რომ ხორენელს არ შეუთხზავს სათენიკის სახელი, ანდა ხორენელი VII ს-ის ნახევრამდის წერდაო! აკად. ნ. მარის ამ შეხედულების შეუსაბამობა მის მიერვე შემდეგში შეცვლილ თვალსაზრისთან, რომლის თანახმად სამხურიდან თარგმნა X ს-მდის მიმდინარეობდა, აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა², ასე რომ ამ მხრით მესუკავეთა წამების წიგნს მისე ხორენელის მოღვაწეობის ხანის გასარკვევად მნიშვნელობა ეკარგება.

მესუკავეთა ამოკრიფული მარტვილობის წიგნი, რომელიც თადეოზ მოციქულის გარშემო შექმნილ ასეთსავე ლიტერატურულ ძეგლთან სერიას ეკუთვნის, სხვებთან ერთად როგორც საისტორიო ნაწარმოები და ერთ-ერთი წყარო ძველი სამხეთის ისტორიისა, დიდი მნიშვნელობისა არ არის. მის ავტორიანობას ამ მხრით სათანადოდ შეეხა აკად. ივ. ჯავახიშვილი³ და საცილობელი რამ მის შეფასებაში არც გვეონია მოიპოვებოდეს. რამდენადაც მარტვილობის წიგნი თვითმხილველის ხელიდან გამოხული ნაწარმოები არარის, იმდენად ის ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც ნაწილობრივ ზეპირ გადმოცემებსა და ნაწილობრივ ზოგიერ საისტორიო წყაროს ცნობებზეა აგებული, რასაც თვითონ გამომთქმელიც კი აღიარებს.

მეორე წყება

სამხურიდან ნათარგმნი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების მეორე წყება, რომელიც გრიგოლ განმანათლებლის შთამომავლობი საგან გამასულ მღვდელ-მთავართა წამება-ცხოვრების წიგნებს წარმოადგენენ, შედგება: 1. «წამებაა წმიდათა მღვდელთ-მოძღუართაა სომხიოისათა არისტაკსისი, ირთანშისი, ისიკისი, გრიგორისი, დანიელისი»; 2. «წამებაა წმ. დისა ნერსის მთავარეპისკოპოსისა სომხეთისა და ხალისი ეპისკოპოსისაა მოწყისა მისისაა» და 3. «აღსრულებაა წმიდისა საპაქისი პართევისაა ძისა დიდისა ნერსისი».

დ (14): «წამებაა წმიდათა მღვდელთ-მოძღუართაა სომხიოისათა არისტაკსისი, ირთანშისი, ისიკისი, გრიგორისი, დანიელისი»

არისტაკისისა და სხვათა წამების წიგნის ქართული თარგმანის მთლიანად შესაბამისი ტექსტი სომხურს «შრავალთავებში»: რომელთაც სომხეთის სიძველეთსაყავში ვსწავლობდით, ვერ მივაკვლიეთ. მარტო ერთში აღმოჩნდა მარტვილობის ისტორიები

¹ H. M o p p. H y ' o a e z a k a u u o A p o s t . . . გვ. 17-18.
² ივ. ჯავახიშვილი, ძვ. სამხ. საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 3.

წიგნი, რომელიც ქართული ძეგლის მხრივ ნაწილს ხვდება. მჭიდურ გამოცემებში (რომლებშიც ყველაზე უწინარეს აკად. ნ. მარი ეძებდა ქართულის შესაბამის ტექსტს) ასეთი წიგნიც კი არსად. არის, რომ არა ვთქვათ რა სრულიად შემხვედრ ტექსტზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად მართებულად აკად. ნ. მარს ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ ქართული წიგნი თარგმანს წარმოადგენს სომხურისას, რომელიც ცალკე მარტვილობის წიგნის სახით უნდა არსებებდეს უთუოდ. მისი მოსაზრებით არისტავსის მარტვილობის სომხური წიგნი, როგორც ქართული თარგმანით ირკვევა, წარმოადგენდა განსაკუთრებულ რედაქციას, რამდენადაც მოსე ხორენელი სარგებლობდა.

აკად. ნ. მარის ამ მოსაზრებას ქვემოთ შევეხებით, აქ კი იმას აღვნიშნავთ, რომ მოსე ხორენელის ისტორიასთან ახლო ურთიერთობა უცილობლად აქვს ქართული თარგმანის იმ ნაწილს, რომელიც მარტვილობის ცალკე წიგნის სახითაა წარმოდგენილი ჯერ-ჯერობით სომხურ ერთადერთ «მრავალთავში». ასეთი ვითარების გამო შეიძლება ვთქვათ, რომ სომხური მარტვილობის ეს წიგნი ქართული თარგმანის შესაბამისისა და ერთ დროს ცალკე არსებული სომხური მარტვილობის წიგნისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული საკითხავია, რომელიც ხორენელის ისტორიიდან გამოკრებილი. მაგრამ ამას ის ელბეძება წინ, რომ სხენებული მარტვილობის წიგნის დასაწყისი სტრიქონები ისე ახლოს არა დგას ხორენელის ნაწარმოების სათანადო აღგებთან (ნ. გვ. ნი, მენიშვნა), როგორც ქართულ თარგმანთან. უკანასკნელის ეს ადგილი კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იმ ნაკვეთის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც აგათანგელოსისაგან ჩანს ვამოკრებილი. ამდენად, მამასადამე, სომხური მარტვილობის აღნიშნული წიგნი მოსე ხორენელისაგან უმეორად ვამოკრებილი კი არ უნდა იყოს, არამედ ნაწილს წარმოადგენს უფრო ვრცელი წამების წიგნისას, რომელიც გარკვეულ დროს ქართულად უთარგმნიათ.

როდესაც არისტავსისა და სხვათა წამების აღნიშნულ ნუსხასა და ქართული თარგმანის შესაბამის ნაწილს ვაღიარებთ ჯერ ურთიერთსა და მეორე ხორენელის ისტორიას, ირკვევა; რომ ხორენელის ტექსტს ქართული თარგმანი ყოველთვის არ ხვდება, ისე როგორც ყოველივეს არ ჰყარავს მარტვილობის წიგნის სომხურ ნუსხასაც. ასე ვთქვათ, თუ ერთი მხრივ ქართული თარგმანის ზოგიერთად აღვილი, რომელიც არ გააჩნია ხორენელის ისტორიას, შევადგინებთ ხოლმე. სომხური წამების წიგნს (ისე როგორც სოფრე ხორენელის ისტორიის რომელიმე ადგილი აკლია ქართულ თარგმანს და არსად ჩანს ხოლმე სომხური მარტვილობის წიგნშიც), მეორე მხრივ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა ხორენელის სომხეთის ისტორია და მარტვილობის სომხური წიგნი რომელიმე ადგილის მხრივ ერთნაირობას გვიჩვენებენ ქართულისაგან განსხვავებით. ასეთი ვითარება ბუნებრივად გვიკარნახებს დავასკვნათ; ჯერ ერთი, რომ ქართული თარგმანის შესაბამისი ხორენელი სრული ტექსტი, რომელიც საკითხავად ყოფილა ვამოკრებილი ძველ სომხური მარტვილობისათვის, რამდენადაც განსხვავებული ყოფილა როგორც ცალკე აღნიშნული ხორენელის ისტორიის ტექსტისაგან. ისე უკანასკნელი მარტვილობის წიგნისათვის და მეორე, ქართული თარგმანის აღვანთან იმდენად ხორენელიც ანტიკონის სათანად-

დო ადგილი კი არა დგას ახლოს, რამდენადაც აღნიშნული სომხური მარტვილობის წიგნი.

ასეთი ვითარება, ცხადია, სათანადო სამსახურს გაუწევს ხორენელის ისტორიის დღევანდელი ტექსტის კრიტიკას. უეჭველია, რომ არისტაკესისა და სხვათა მარტვილობის წიგნის ქართული თარგმანი მომდინარეობს საკითხავად გამოკრებილი სომხური მარტვილობის წიგნიდან, ხოლო ეს უკანასკნელი, მსგავსად ზოგიერთი სხვა წიგნისა, ძველ სომეხ ისტორიკოსთა ნაწერებიდანაა გამოღებული. ერთი მათგანია უცილობლად მოსე ხორენელიც, მისი «სომხეთის ისტორია». მცხინველია მკვლევართაგან¹, «ისტორიის» სურსების ჩვენებთა თანახმად, რომ ხორენელის ნაწარმოების ტექსტში ადგილების სხვაობასთან ერთად ზოგჯერ ბუნდოვანობაა და გაუმარტავია. მრავალი მათგანი ან გადამწერთა მკვლელობას წარმოადგენს, ანდა რედაქციურების ჩარევის ნაყოფია. ისინი ამა თუ იმ სატყუას ან გამოთქმას, უფრო მეტი სინათლისათვის, თან ურთავდნენ ახსნებს, რომელთა დიდი ნაწილი, გლისების სახით, ტექსტში ვადადიოდა. ამის გამო საფიქრებელია, რომ წილი იმ ზედმეტი ადგილებისა, რომლებიც ხორენელის ისტორიის დღესდღეობით ცნობილ ტექსტს მოეპოვება ჩვენი მარტვილობის ქართულ წიგნთან მიმართებით, ისე როგორც განსხვავებული სიტყვებით, ასე უნდა იყვნენ წარმომდგარი. ხორენელის «ისტორიის» ტექსტის დაჯანსაღებისას, ამჟამად, ანვარიში უნდა გაეწიოს როგორც სომხურად შემონახულ ჩვენი მარტვილობის წიგნს, ისე მარტვილობის წიგნის ძველ ქართულ თარგმანსაც, განსაკუთრებით უკანასკნელს, ვინაიდან იგი მომდინარეობს ისეთი სომხური დედნიდან, რომელიც ხორენელის «ისტორიის» დღეს ცნობილ ყველა ძველ ხელნაწერზე უსყველია.

არისტაკესისა და სხვათა მარტვილობის ქართული წიგნის ძირითადი სხვაობა ხორენელის ისტორიის სათანადო ტექსტისაგან ავად ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა. ერთი მათგანია, თარიღების უქონლობა ზოგან ქართულ თარგმანში, მორტი კიდე ისაა, რომ «ქ. ფაიტაკარანის განმარტება, რომელიც ქართულ თარგმანშია «რომელ არს ტფილისი» სომხურში არ მოიპოვება»². ამათ ისიც უნდა დაუშვავდეთ, რომ ვრთანესის შუ. სახეგ ნათქვამს: «აღსრულებასა ნეტარისა თრდატისსა დაუმთხვა საწამებელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა», ქართულში ემატება: „და ათენაგენისსა“. თარიღის დაკლება ალაგ-ალაგ ქართული წიგნის დამატებითავე ავისებად რჩება დღესაც, როცა უკვე მარტვილობის ერთგვარ სომხურ წიგნთან ვუაქვს საქმე. რაც შეეხება ფაიტაკარანის ახსნა-განმარტებას, ასეთი სომხური მარტვილობის წიგნსაც აღმოაჩნდა, ხოლო «ათენაგენისსა» მარტვი ქართულში ტექსტში იყის. როგორც პირველი, ისე მეორე მომენტი შემთხვევითი არ უნდა იყოს, კერძოდ ფაიტაკარანის ახსნა, რასაც თომა არწრუნის ისტორიაშიც ვხვდებით? უკანასკნელისებრ არც მესამე მომენტი უნდა იყოს მთარგმნელის ჩარევის შედეგი, ალბათ იგი მის დედანს (ხორენელის ისტორიიდან გამოკრებილ ნაწილს) ჰქონდა. ასე რომ პირველს ვარდა, რომელიც მთარგმნელს შეეძლო.

¹ И. И. Еремеев, Заметки о рукописях 1894; Н. Маер. Тексты и редакционная работа по арм.-гевг. рукописям, т. V, СПб., 1903, стр. 68-72.

² ივ. ჯავახიშვილი, ძვ. სომხ. საისტ. მწერლობა, წიგნი I, გვ. 29.

³ И. И. Еремеев, Заметки о рукописях 1894; Н. Маер, 1897, стр. 173.

არც გადმოედრა, სხვა მომენტი კი ისევ დედანიდან, - ქართული თარგმანის ყოველმხრე თან-მხვდომი სომხური მარტვილობის წიგნიდან, შეიძლება მიმდინარეობდეს.

არისტაკისი მარტვილობის ქართულ წიგნს სომხურისაგან განსხვავებით მოეპოვება ერთი ნაწილი, დასაწყისში, რომელიც მსგავსად მეორე ნაწილისა (დანარჩენისა), სომხური საისტორიო წყაროდან არის გამოკრებილი. აქად. ნ. მარი მის შესაბამისს სომხურში ვერას აღნიშნავდა, მაგრამ ასეთი მასაც აღმოაჩნდა. აქად. ივ. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნული ნაწილის შესატყვისი ადგილები ავსთანგელოსთან დაადანტურა. ავსთანგელოსის ტექსტთან დაკავშირებით კი აქად. ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ქართული ტექსტი არ წარმოადგენს გამოქვეყნებული სომხური წამების წიგნის თარგმანს (მხედველობაში ჰქონდა სი. ყიხიძე ჩაყისკასი-ის X წიგნში დაბეჭდილი წამება; გვ. გვ. 47-56), „ახლოს ის არც ავსთანგელოსის ტექსტთან დგას. ის... ზედმიწევნითი თარგმანია წამების განსაუთრებელი სომხური რედაქციისა, დაკარგულისა ან, რაც უფრო სარწმუნოა, ჯერ მიუკვლეველისა, რომლითაც მოსე ხორენელი სარგებლობდა თავისი ისტორიისათვის. პირველ მოვლენა, ე. ი. ჩვენი მარტვილობის დამოკიდებულება მოსე ხორენელზე, ნაკლებ სარწმუნოა, მაგრამ თუ ეს დამტკიცდებოდა, მაშინ ერთი ყურად არსებული არგუმენტი გვექნებოდა უფრო იმის სასარგებლოდ, რომ მოსე ხორენელი არა უგვიანეს VII ს.-ის ნახევრის ისტორიკოსია.“¹

აქად. ნ. მარის ამ უტყუარებების ის მხარე, რომლის მიხედვით, თითქმის ქართული თარგმანი ავსთანგელოსთან ახლოს არ იდგეს, აქად. ივ. ჭავჭავაძის მიერ დაარღვია. მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართებულად დაადგინა ქართული თარგმანის პირველი ნაწილის კავშირი ავსთანგელოსის ტექსტის სათანადო ადგილებთან. შედარების გზით ის იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ერთი ადგილის გარდა (ნ. ჩვ. გამოც. გვ. 64, 1-6), რომელიც სომხური დედნის (453, 3-7) თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, სხვა თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ურთიერთს.²

აქად. ნ. მარის შეხედულებების სხვა მხარეზე კი პასუხი ხსენებული შედარებიდანვე გამოიჭანა აქად. ივ. ჭავჭავაძის მიერ. რადგან „მარტვილობის ერთი მესამედი, ზოგიერთი დასაწყისი, სომხური ავსთანგელოსის თხზულების უკანასკნელი და საბოლოო რედაქციის თარგმანია, ხოლო მოსე ხორენელის თხზულებითგან ჩანს, რომ მას ჯერ კიდევ ავსთანგელოსის უკანასკნელზე უფრო ძველი რედაქცია ჰქონდა ხელთ, ამიტომ ცხადი სდება, რომ ეს კომპილაციური ძეგლი მოსე ხორენელის ნამრამზე უფრო მერმინდელი უნდა იყოს.“³

აქად. ივ. ჭავჭავაძის მიერ დაკვირვება, რომ ერთგან სომხურ ტექსტს ქართული „თითქმის სიტყვა-სიტყვით“ არ მისდევდეს¹ და ის „ლავისუფალთარგმანს წარმოადგენდას, რამდენადმე სწორი არ არის. ქართული მარტვილობის წიგნის დასახელებული ადგილი (გვ. 64, 1-6) ავსთანგელოსთან ნახევრებით ტექსტისათვის (453, 3-7), მართალია, „თავისუფალი თარგმანია“, მაგრამ სხვა ტექსტთან შედარებისას (586, გვ. 45, 7-10) ის

¹ Н. Марр. Из поездки на Афон... გვ. 18.

² ივ. ჭავჭავაძის მიერ, ძვ. სომხ. საისტ. მწერლობა, წიგნი I, გვ. 31.

³ იქვე, გვ. 31.

უფრო ახლობელი თარგმანი ჩანს, ვიდრე ხორენელის სათანადო აღვილთან დაპირისპირებისას. ამრიგად, ქართულის ეს აღვილიც, რომელიც ავთანგელოსთანვე პოულობს შესაბამისს (შავრამ სხვა აღვილთან და არა მითითებულთან), აკად. ივ. ჭავჭავაძის შეხედულებას გამოხატავს აღარ უქმნის: ქართული მარტვილობის წიგნის დასაწყისი ნაწილი მთლიანად ავთანგელოსის გარკვეული ტექსტის ათიქმის სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს.

ქართული თარგმანის შემსრულებელი ცდილობს ზედმიწევნით გადმოცეს თავისი დედანი, რომელიც არც თუ აღვილად დასაძლევიან. ცნობილია, რომ ავთანგელოსის სახელით ცნობილი «სომხეთის მოქცევის» წიგნი, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, რამდენიმე რედაქცია განიცადა, სანამ იგი VIII ს-ში მიიღებდა იმ სახეს, რომლითაც მან ჩვენამდის მოაღწია¹, სტილის მხრით (რითაც ნათესაობა აქვს კორინთთან) სუბუქი და გამჭვირვალე არაა². თხზულების ენის სიმძიმეს ისა ქმნის უმთავრესად, რომ მისი ავტორი მრავალსიტყვაობას მიჰმართავს უხვად. მძლავრი შთაბეჭდილების შესაქმნელად ის ერთი სიტყვის ნაცვლად სიტყვების მთელ სინონიმურ წყებას მოიხმობს. ხშირად ეს სიტყვები კიდევ ლიტონი ავებულებიან კი არ არიან, არამედ თხზულისა, ე. ი. კომპოზიტებს წარმოადგენენ. ნინადადებშიც უმეტესად რთულია, თანწყობილი ან ქვეყნობილი, ისიც არაიშვიათად შენაცვლებული მეორეხარისხოვანი წევრებით. აღნიშნულის სინამდვილეში აღვილად დარწმუნდება კაცი, თუ გარამაგებს შეადარებს თუნდაც მარტვილობის წიგნის დასაწყისს, რომლის ერთი აღვილი (გვ. 62, 23-33) ზედმიწევნით იმეორებს კორინთის ნაწარმოების სათანადო ტექსტს (36, 6-17)³. მგონია, დედნის ასეთი სტილი იმის მიზეზი, რომ ქართული თარგმანი მოკლე ჩანს მასთან შედარებით.

აღნიშნულის გარდა ზოგიერთი დაცილება დედნისაგან იმის გამოც შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ მთარგმნელს, როგორც ეტყობა, ხელი ჰქონია ავთანგელოსის გარკვეული რედაქციის რამდენაღმე განსხვავებული ვარიანტისაგან გამოკრებილი ტექსტი. ეს რედაქცია, როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის გვიმტკიცებს, ავთანგელოსის უკანასკნელი და საბოლოო სახეა, რომელსაც აკად. ნ. მარს და პროფ. ნ. აღონცი ეროვნულს ეძახიან. აკად. ნ. მარს იგი VIII ს-ში მიაჩნია ჩამოყალიბებულად. ამას იწყნარებენ პროფ. ნ. აღონცი და აკად. ივ. ჭავჭავაძის, მხოლოდ უკანასკნელი უფრო გარკვევით მოხაზავს ფარგლებს: „ავთანგელოსის უკანასკნელი ეროვნული რედაქცია VIII ს. პირველი ნახევრის უკანასკნელი ათეულების ნამუშევარს წარმოადგენს⁴. ასეთი რედაქციისაგან გამოკრებილი მარტვილობის წიგნის (უკეთ ერთი ნაწილის) ტექსტი, ცხადია, VII ს-ში ვერ წარმოიქმნებოდა და ამდენად აკად. ნ. მარსის შეხედულებაც, რომლის მიხედვით თითქმის მარტვილობის წიგნის სომხური დედანი ხორენელს უნდა უნგრებდეს, სწორი აღარა რჩება.

¹ ავთანგელოსის რედაქციების შესახებ ნ. 1: Н. П. Орр. Крѳаѳиние армян, трузан, армян-абап и апапап... Арарѳаѳа верѳаа. 580, т. XVI, сѳр. 182 ; 2: Н. Адонѳ: Арменип бѳпоху 10с-тинуиана... сѳр. 341-342, შენიშვნა; 3: ივ. ჭავჭავაძის, ქვ. სომხ. საისტ. მწერლობა, I, გვ. 124-25, 133-44.

² ს. ი. შალვაშვილი. 7-ასწლიანი რუსეთის მართლმადიდებლის აქაირობის... III ნაწილი. გვ. 105.

³ ს. ი. შალვაშვილი. 7-ასწლიანი რუსეთის მართლმადიდებლის აქაირობის... III ნაწილი. გვ. 38.

⁴ ივ. ჭავჭავაძის, ქვ. სომხ. საისტ. მწერლობა, წიგნი I, გვ. 144.

ე (15) « წამება მწიღისა ნერსშ მთავარქისყოძისისა სომხეთისა და ხაღისი ეპისკოპოსისა მონღისა მისისა »

ნერსეს მთავარქისყოძისის მარტვილობის ქართული თარგმანის შესაბამისი სომხური წამების წიგნის დაძებნით ყველაზე უწინარეს დაინტერესებული იყო აკად. ნ. მარჩი. მამინ, როცა ის თავის წინასწარ შენიშვნებს აქვეყნებდა ათონის « მრავალთავის » სომეხ მარტვილთა წიგნების ქართული თარგმანების შესახებ, შესაცყვისი ტექსტი სომხურს ზეჟღერ გამოცემებში ვერსად იპოვა¹. მიუხედავად ამისა ის მაინც ქართული თარგმანის სომხური დედნის არსებობის შესახებ იმედს არ კარგავდა, მით უფრო, რომ ქართული თარგმანის ახლო ნათესაობას მისე ხორენელის « ისტორიასთან » აშკარად ამჩნევდა. ძიებაზე აკად. ნ. მარჩ ხელი არც შემდეგში აუღია, როგორც ამას ვიცყობთ იმ წინასწარი ანგარიშიდან, რომელიც ხინას მთასა და იერუსალიმში მოგზაურობას შეეხებდა². იერუსალიმში მას მიუკვლევი ქართული თარგმანის შესაბამისი სომხური დედნისათვის, მარტვილობის წიგნისავე სახით, « რომელსაც ამაოდ ვეძებდი ეჩმიაძინში »³.

მარტვილობათა და ცხოვრებათა წიგნების ერთ-ერთ კრებულში ნერსესის მარტვილობის შესაბამის სომხურ წიგნს ჩვენც მივაკვლიეთ სომხეთის სიძველეთ-საქავეში (« მატენაღარანის » № 6632), რომელიც XVIII ს-ის ნუხხას წარმოადგენს. სხვაგან « მრავალთავებში » (ნაიილსიქი-ებში) გვხვდებოდა ნერსესის წამების წიგნები, მაგრამ ისინი, როგორც დაკვირვება მოწმობს, ტექსტობრივ ნაწილობრივ ხვდებიან მარტვილობის წიგნს, რომელთანაც მიმართებით უფრო ვრცელი არიან. ვაკრებოლია ეს წიგნები ნერსესის ცხოვრების იმ ძეგლის აღგილებით, რომელიც სიქსრე ჯაკაკანს-ის სერიაშია გამოქვეყნებული⁴ და X ს-ის ავთოგრაფს, შესრულ ხუცესს ეკუთვნის⁵. ეს წყარო კი, როგორც პროფ. ნ. აღონცი აღნიშნავს, „თუ ფავსტოსის შრომის გამოწვევებს არა, სავსებით წყაროდან მომდინარეს მაინც წარმოადგენს ამასთან ერთად“⁶.

ქართული თარგმანის შესაბამისი სომხური მარტვილობის წიგნი ნერსესისა ძირითადად მისე ხორენელის ისტორიიდან და ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებიდან არის გამოკრებილი. ფავსტოსისაგან აღებულია მხოლოდ უკანასკნელი

¹ Н. Марч. Из поездки на Афон... ИСМ!П., март, стр. 1-24, СПб. 1899.
² Н. Марч. Предварительный отчет о работе на Синае, в еденских в сотрудничестве с И. А. Джавахашем, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель-ноябрь); СПО, т. XIV, т. 2, стр. 1-51.
³ იქვე, გვ. 15
⁴ სიქსრე ჯაკაკანს. VI : Պարմուրան սրբոյն Ներսիսի Պարմևի Հայոց Հայրապետի. - Յաղագս վարմից սրբոյն Գրիգորի Հայոց Կաթողիկոսի և պարմուրան Ներսիսի Հայոց Հայրապետի, გვ. 9-124. Վենետիկ, 1853.
⁵ Գար. Զ [სარբანსაქანს]. Հայկական հին դպրութեան պարմուրան (7-ժԳ դար), II րպագր. Վենետիկ, 1886, გვ. 542-49.
⁶ Н. А дану, Армения в эпоху Юстиниана ... ТР., тт. XI, СПб, 1908, гв. 240.

ნაწილი (გვ. 78-79), რომელიც შალიცასა და ეტვფანეს « ხილვას » ეხება, დანარჩენი კი მისე ხორენელის ისტორიის მესამე წიგნიდანაა გამოკრებილი. მართალია, ქართული თარგმანის ის სათესაობა მისე ხორენელის თხზულებასთან, რომელიც ავად. ნ. მარმა შენიშნა, მას უჯარნახებდა ისევე წარმოუდგინა მათ შორის ურთიერთობა, რაც ცარიც მას მიიჩნდა არისტარქოსის წასების თარგმანსა და მისეც ნაწარმოებს შორის, მაგრამ ის, როგორც უკანასკნელ შემთხვევაში, ისე აქაც, სცდებოდა. შეცდომის მიზეზი კი ის იყო, რომ ავად. ნ. მარს სომხური მარტვილობის ქართული თარგმანები ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ურთიანობის ნაყოფად მიიჩნდა, რაც მას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მისე ხორენელის მოღვაწეობის « მრავალტანჯული საკითხის » ვადასაწყვეტად თითქმის საიმედო საყრდენს უქმნდა. სხვათა შორის, ამავ უხედალუებზე მღვარა ის მაშინაც, როცა იერუსალიმში ქართული თარგმანის სომხური დედანის ერთი ნუსხა უქოვია.¹

მისე ხორენელის ისტორიის მესამე წიგნის ცალკე თავებთან გამოკრებილ ტექსტებს შორის შიგადაშიგ მოიპოვება ისეთი ადგილები, რომლებიც, როგორც ეტყობა, ავთოგრაფს უნდა ეკუთვნოდეს. საკუთარი წვლილის შეტანა კი აქ იმას უნდა გამოეჩინა, რომ კომპილაციურს მიზნად ჰქონდა წარმოედგინა საკითხავად არა ვრცელი ტექსტი, არამედ მოკლე. ეს კი მიუღწევია იმ გზით, რომ სორენელის შრომის სხვადასხვა თავებიდან გამოღებული ადგილების ვადასაბმელად შეუტანია სათანადო დამაკავშირებელი მოკლე წინადადებები. საკითხავად გაკეთებული ასეთი მარტვილობის წიგნი არის სწორედ დედანი ქართული თარგმანისა.

ნერსისის მარტვილობის წიგნის სომხური და ქართული ტექსტები თითქმის ყოველმხრივ სვდებიან ურთიერთს, გარდა ერთი ადგილისა (გვ. 73, 1-5), რომელიც ქართულში მოიპოვება და სომხურ მარტვილობის წიგნში კი არა. ეს ადგილი ხორენელის სათანადო ტექსტის (294, 6-9) თავისუფალსა და არა სიტყვა-სიტყვით ვადასაბმელს წარმოადგენს. რაკი ყველა სხვა ნიშნით ქართული და სომხური წიგნები თითქმის ურთიერთს შეესაბამებენ, ამიტომ ეს ადგილიც, საფიქრებელია, სომხურ დედანსაც ექნებოდა, რაც შესაძლებელია, არსებულ სომხურ ნუსხას შემთხვევით აკლდეს.

ქართულსა და სომხურ ტექსტებს შორის ზოგჯერ სიტყვები არ შეესაბამებიან ერთმანეთს, ზოგჯერაც ქართულს თუ სომხურს ერთმანეთთან მიმართებით ხელმეტი ას ნაკლები სიტყვა ან ფრაზა მოეპოვება. ეს მოულოდნელი იმას უნდა მოწმობდეს, რომ არსებული სომხური წიგნის წიგნი და მისი წყაროები (მისე ხორენელი და ფავსტოს მიზანდიელი) იმ სახით, რომლითაც ქართულად მთარგმნელს ხელთ ჰქონდა, აღევადებოდა, რამდენადმე განსხვავებული, ყოფილია. ამასთან, ცხადია, ის ნიშნულოვან, რომელიც სხვა თარგმანების მსგავსად ენიჭება ქართულ თარგმანს წყარო მარტვილობის წიგნისას სომხური წყაროების ტექსტის კრიტიკისათვის.

ნერსისის ცხოვრების ქართული წიგნი რომ მისე ხორენელის ნაშრომიდანაა გამოკრებილი, ამას ისიც მოწმობს, რომ ერთგვან არმე მეთის მიერ ნახარართა ამოწყვეტის მიზეზად დასახელებული არსაკავანის უწესობა („ მშენებლისა მისგან თვისისა უწესობისა არსაკავანისა “) თავისთავად ყოველად გარეგნობრივია, რადგან არა-

¹ Н. Марр. Предварительный отчет о работах на Синае... გვ. 14

ქართული თარგმანის ტექსტი, როგორც შედარება გვიჩვენებს, ამ ნაწარმოებიდან არ მდებარეობს. მართალია, სომხურის ბადალი ტექსტი მთლიანად მოქცევა ქართულ თარგმანს, მაგრამ ისინი ერთმანეთთან მიმართებით თანმიმდევარი რიგით არ არიან გაწყობილი. ესა თუ ის ადგილი ერთსა მეორეგან წინ ან შემდგომ არის ხოლმე მოთავსებული. გარდა ამისა, ტექსტების შედარებითვე გაიჩვენა, რომ ქართულ თარგმანს სომხურთან მიმართებით ზედმეტი ადგილებიც მოეპოვება. ცხელია, ასეთ შემთხვევაში ქართული და სომხური წიგნები სხვადასხვა რელაქციას წარმოადგენენ. ქართულის ზედმეტი ტექსტი მთარგმანის გამათქმული არა ჩანს, როგორც ეს შეიძლება დაკავს ეფიქრა. ამ ზედმეტ ადგილებს, ზოგიერთის გამოკლებით, უმთავრესად სხვა წყაროსთან აქვთ თავისებური დამოკიდებულება. ერთი ასეთი წყაროა მოსე ხორენელის ისტორია. მსგავსებანი ხორენელის ისტორიასთან ჩვენი თარგმანისა წიგნის მათლებით შემდეგი ხასიათისა არიან:

ა. საპაქის აღსრულების ერთი ადგილი, გვ. 80, 13-15, ეხმაურება შუშანიკის მარტვილობის მოკლე წიგნს, რომლის სათანადო ადგილი (I 17-23) ხორენელისაგან არის სიტყვა-სიტყვით გამოკრებილი.¹

ბ. შემდგომი ადგილი, გვ. 81, 11-19, აგრეთვე ახლოს დგას მოსე ხორენელის ისტორიასთან (II, 65), რომელსაც იგი გადმოსცემს საპაქის ცხოვრების აღწერისას. შედარებითად შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მიიღოს კაცმა, რომ დაუშვას: აგიოგრაფი მოსეს ნაამბობს ზოგჯერ გამოტყუებს და ზოგჯერ ძლიერ მოკლედ, რამდენიმე სიტყვით, გამოთქვამს მას, რაც ხორენელს შედარებით ვრცლად და დანაწილებით მოქცევადა.

აღნიშნული ადგილის შესაბამის თავში მოგვითხრობს ვრამ სპარსთა მეფის წინაშე სომხეთის ნახარების წარდგენას; ამით თხოვნას, რომ მეფემ კათალიკოსის საყდრის კანდიდატებიდან შეარჩიოს ვინმე ეკლესიის მესვეურად. აქვე გვიამბობს ისტორიკოსი საპაქის გაშვებას ამბავს, მისთვის საცხოვრებელი ადგილის მიჩენვას, ვრამის გაფრთხილებას, რომ არ გადაიხაროს ის ბერძნებისაკენ, და საპაქის თხოვნას, დაუშვას მეფემ არსსვეურნი უ. ისტორიკოსი საგანუცბოდ აღნიშნავს საპაქის სიტყვის იმ თაბეჭდილებას, რომელიც ამ სიტყვას მეფესა ღმის კრებულზე მოუხდენია. იმის მიზეზად, რომ ხსენებული სიტყვა ვერ მოაყავს ისტორიკოსს, იმას ახახელებს, რომ „არავისგან მოწვევულ არს სასმენელთა ჩუენთა ყოველივჲ ჭეშმარიტებით და არცა ჩუენ შივიწყნარებთ (თავს ვადებთ) უწყებასა შინა ამას შთათხუვას-ო“ (ოც კოძეჲ ქ ცხეჲს მერ ჩინათაჲ ჩოქანოჲსს ნჲმარყოიხსამჲ, ს იუ მჲჲ ქ ყოჲყოიხსანს ჩასჲჲ ჩასასხჲჲ).² ასეთი განცხადება აგიოგრაფს საჭიროდ მიუჩნევია თითონაც გადმოეცა, მაგრამ შემდეგი სახით: „... უშიშად იტყოდა (საპაქ), რომელსა ვერ მივიწიენით ცნობად სიღრმესა სიტყუათა მისთასა-ო“ (გვ. 81, 13-14).

მოსე ხორენელის ნაწარმოებთან კავშირს აღბ-აღვ ტექსტობრივი სიხლოვეც მიათითებს. აღნიშნული შეხვედრადან ასეთია შემდეგი ადგილი:

¹ იაკობ კურდაველი „მარტვილობა შუშანიკისი“, სვ. გამოცემა, გვ. 49.

² „მარტყოიხჲ ჩაჲყოი“ სიღჲს სიორხსაჲჲ... 1913, გვ. 353, 2-4.

«ხე ზრავსალ (ყასხნალ ჩხუხს) რა-
ფალორს, ლ ამსნაჲს რაყძილქისს (ზრავ-
ყარასკისს ანდნაფეღაყს რარაყს) ას-
ნჩუას კალიქ ასასანქისს). შინჯს რამაყ-
საყ (პ.რამ) არბაჲ (რავლიმ) ყალ ზქს
ჩერს ჟაჯაფანსი ლ ილქანასური აინს
(რამარბასკასალსი ათაჲჩი ანსქანსი)
ქაფასლორს: ასე სორა იჯ ამნალ ასტ...
«არბაჲ სორა სმა (ჩეჩი) (გვ. გვ. 351, 1-2
-352, 1-2).

ც. ახევე ახლოსა მისე ხორენელის
აღვნილი: გვ. 82, 1-8.-

«შაჲნძამ (ძიღიქნალ ჩ მჩაჲჩს) ადმ-
ნაჲს საჩარარაყს ჯიფანს ათ მინს სა-
ჩასკ, (ლ ფმეღასს ანდნს არასკ) ადო-
ჯჩის აღს რარბნალ ილსე ვაჲიონს... ასე
სა იჯ ამსიყრ ანდნს, ლ (ჩ რავლიმ რა-
ქანსანსი სოყს) რარქასლორსალ ყაჲომს-
აყ აღქსისს, (ორ იათაჲ ჟაჯ რ-რავლიმ
ძამანსაკს ერლოქასყსა სმა ჩ ჟონს არაყ-
ფაჲიყს) ათჲრბიქისს: შორ ილსალ საჩარ-
არაყს ლ ყჩარაყსალ, ქე ათაჲომბაჲის
რამანსტ რაჲარსაყ ადგტ სორა ჟარ-
ნაჲაყაყფილქისს) აჲრრასოლს რარსალ...
(გვ. 354, 12-20).

(ასე მინს საჩასკ იჯ იმე კასხნალ რინ-
ფლორ კაჲის რჩეიღ-ფანსე მანსკასე სქე-
ღსელო რანდერბ) მსეროყას, დორ რიღსალ
ქარაქსნაყ ქსეღსელოჲს კაჲმოღქსე, (ორი
ქლორჲაყაყ რავაჲჩი), ჩხუხს კალიქ ჩ
ჩაჲრასანსი რავლიმ...» (354, 6-9).

ამ აღვნილის რამდენიმე მომენტი საინტერესოა. ჯერ ის, რომ «ნაწილი იონთაჲ»,
სადაც საშაჲი ცხოვრობს საყდარსე ხელის აღების შემდეგ, ხორენელთან დასახე-
ლებულია როგორც «ბავრეჲანდის მხარე» (ჩაჲრასანსი რავლიმ). მეორე საგულის-
ხმო მომენტი ისაა, რომ საშაჲის შემცვლელად «საყდარსე საჲათალიკოზოსა» ქარ-
თული წიგნით საშაჲი აგზავნის მაშტოც-მესროჲს, რომელსაც, როგორც აქაჲ ნა-
თქვამში, არ უნდოდა ჯაშორებოდა საშაჲს. მისე ხორენელი იქ, ვადარშაჲასე,
კათოლიკე ეკლესიაში საშაჲს მესროჲს დაუტოვებია, მაგრამ ბავრეჲანდიდან კი არ
მოუვლინებია, არამედ ამ მხარეში წასვლამდის დაუტოვებია ის ხე, უკანაჲხელოდ
აღსანიშნავია ისიც, რომ ტექსტობრივი თანმიმდევრობით მოჭანილი ნაწყვეტია

«და ვანკვრდა მეღმ იგი ლა ყოველი
სომრავლმ, (თუ ვითარ არა აქუს შიში
სიკუდილისაჲ ვურსა მისსა, და ეხრმთ
დაწყნარებულითა ვინებითა ზრახავს
სიბრძნესა). და უშრძანა ვეცლო(სა) მი-
ცემაჲ მას, ვითარცა მამაჲყესა მკნესა ლა
უშიშსა ვინებითა. ხოლო მან არა შიილა
ლა ჰრქუა: «ვეცლო შენი შენ თანა
იყავს» (გვ. 61, 14-18).

ისტორიის სათანადო ტექსტთან (III 66)

რამეთუ (ნახ ჟამსა) დაეგვეა (საყდა-
რი თესი) ლა იქველდა ნაწილსა იონთა-
სა, რაჲამს იგი მოვიღეს მისა მთავარ-
ნი სომხითოსანი ლა ევეღრებოღეს მას,
რათამცა კუდალ დაქდა საყდარსავე
თესსა. ხოლო იგე არა ერჩდა მით, ლა იმე-
ლებით აუწყა მათ ჩუენებაჲ იგე ლა
დიდად მწუხარე იყვნეს (მთავარნი
იგი. ლა მისცა მათ) მცველად საყდარსა
საჲათალიკოზოსა (ნეტარი მაშტოც, რომ
მელსა ეწოდა) მესრობ, ლა მას არა უნ-
და ვანშორებაჲ მისგან» (გვ. 82, 4-8).

ურთიერთს მხარს არ უჭერენ.

აღნიშნულთ გარდა ჩვენი ძეგლის ქართულ თარგმანს მოეპოვება კიდევ ორი ადგილი (გვ. 80, 6-8 და გვ. 81, 6-10), რომელთა შესაბამისს მოსე ხორენელის წაწარ-
მოებში ვერსად ვხვდებით, რის გამო ისინი, ცხადია, რალაც სხვა წყაროსთან უნ-
და იყვნენ კავშირში და შეიძლება ყველა ზედმეტი ადგილიც ამ უცნობი წყარო-
დან მომდინარეობდეს. როგორც ეს შემთხვევა, ისე ისიც, რომ მოსე ხორენელის
თხზულების სათანადო ადგილები (რომელთა მსგავსება ჩვენი თარგმანის გარ-
კვეთელ ადგილებთან უცილობელია) ზედმიწევნითა და თანმიმდევრულად არა
ჩანს გამოკრებილი, იმაზე უნდა მიგვივითებდეს, რომ ხორენელისა და ქარ-
თული თარგმანის დედნის შემხვედრი ადგილები, ურთიერთისაგან დამოუკი-
დებლად, რომელიღაც სხვა სომხური წყაროდან უნდა იღებდნენ სათავეს.

სომხურად რომ ერთ დროს მართლაც არსებულა ასეთი წყარო, ამას მოწმობს ძვე-
ლი ქართული ერთ-ერთი თარგმნილი ძეგლი, რომელსაც საჭაქის აღსრულების ქართუ-
ლი თარგმანის სრულიად მსგავსი ერთი ადგილი მოეპოვება. ეს ძეგლია «მოთხრობ-
ა ჰაგმოთინისაგან»¹, რომლის აღმოცენებას ქროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი IX ს-ით
განსაზღვრავს და შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ის გამოკრებილი იყოს ნათარგმნი
ბერძნული წყაროდან იარსენ საფარელის მიერ. ამ ბერძნულ წყაროდ კი Nar-
ratio de rebus Armeniae-სა და მასზე დართულ Catholici Armeniae-ს
ასახელებს²; რომელთაგან მას მოჰყავს ძეგლის შემხვედრი ადგილები³, რაც,
მართლაც, ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ ქართული ხსენებულ ბერძნულ წყარო-
ზეა დამოკიდებული.

Narratio de rebus Armeniae-ს მკვლევრები მიიჩნევენ VII ს-ის მეო-
რე ნახევრის, უფრო კი VIII ს-ის ძეგლად, რომელიც სომხურადაც უნდა არსე-
ბულიყო ერთ დროს⁴. ამ ძეგლის ერთი ნაწილი Δεήγησις ἀπὸ τοῦ ἀρχαίου Ἱε-
ροῦσοῦ μέρου τοῦ αὐτοῦ, რომელიც საფუძვლად უდევს «მოთხრობას ჰაგმოთი-
ნისაგან-ს», ნ. აკინიანს, უკანასკნელი დროის თავის ერთ-ერთ ნაშრომში, VIII ს-ის პირ-
ველი მუთხიკლში შედგენილად მიაჩნია უცნობი ავტორის მიერ, რომელსაც თვალწინ
აქვს ეზნიკ სუციის სკარაყიჲ კარაყაყ⁵ და ლაზარე ფარქელის ისტორიის პირ-
ველი წიგნი⁶. უკანასკნელს, როგორც ზემორე აღვნიშნეთ, იგივე აკინიანი VIII ს-ის

¹ გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ «ქრონიკებში», I წიგნი, გვ. 336-341.

² ოპოქ. ირ. ს. მსცხეხიბ-ჩხკ. ორავ საეციორხერე ჯაყასიარხი ს წაყერხი მასიხა. ო წაყ., პერე-
ქან, 1934, გვ. 74-73.

³ იქვე, გვ. 81-83.

⁴ ნ. ასკინსანს. კიქიბი კაპოიქიკო ორავ... ოქსნა, 1910, გვ. 99 (შგნ.) და 290. Simon Weber.
Weber die Versuche, den Verfasser der Invektiven gegen die Armenier: Migne, Patrologia
graeca 134, S. 1194 ff., zu bestimmen. «მოკარბანს», ოქსნა, 1911, გვ. 175-180

⁵ გამოცემულია სრ. სერ-მხეტელანის მიერ დანართად სამოიქი ღარანსაჲი ასტფიკი ჯალაღანს
ქაგოყ უარაყარაყ-ის. ოლოარჯაყაყ, 1893, გვ. 266-268.

⁶ ნ. ასკინსანს. ოარაყანკანსაეციორხერე 380-450 ერქანხი ღარარ. ო ჯანოქა ოწაოხაჲი, 1935, გვ. 459-60.

პირველი ათეულის ნაცყუარ თხზულებად აცხადებს. ნ. აკინიანი Diegeais-ის დასახელებული სომხური წყაროების გამოყენებას ხედავს მოსე ხორენელის ისტორიკოსი, რომელიც მისი აზრით IX ს-ის პირველ მეოთხედშია დაწერილი.¹

« მოთხრობა ჰატმოთინისაგან-ი », აჟად. კორნელი კეკელიძეს დიდიფიზიკური თვალსაზრისით შედგენილი სომხური ძეგლის ნაწყვეტი ჰგონია, რომელიც, მისი აზრით, X ს-მდის უნდა იყოს ნათარგმნი ქართულად? როგორც აღვნიშნეთ, « ჰატმოთინის » წყარო უკვე მიკვლეულია; ამის შემდეგ სომხურიდან მის უმუალო მომდინარეობაზე საუბარი შეუძლებელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აჟად. კ. კეკელიძის დაკვირვებიდან ერთი მაინც საგულისხმოა. ეს ისა, რომ ქართულად შემინახული « ჰატმოთინი » ქალკედონისტური სურისკვეთებით გაჟღერებული ნაწარმოებია, რომლის წყარო (პირვანდელი) სომხურია, აღმომცენარე სომხურ ქალკედონისტურ წრეში.²

საპაისის « აღსრულების » ქართული თარგმანის ზემოხსენებული ადგილი, რომელიც ზედმიწევნით ხვდება « ჰატმოთინის » სათანადო ადგილს, გადმოსცემს საპაისის ყოფნას « ნაწილსა იონთასა-ს », მასთან ნახარაბების გამოცხადებას, ამათ თხოვნას დაუბრუნდეს ტახტს (საკათალიკოსო საყდარს), საპაისის უარს ამაზე და შესრობის მივლინებას საკათალიკოსო საყდრის მცველად. « აღსრულების » ქართული თარგმანის ეს ადგილი ზემოთ მოსე ხორენელის ისტორიკოსის სათანადო ადგილს შევუდარეთ, რადგან ერთგვარ მიგავსებას მათ შორის უთუოდ აქვს ადგილი. ესაა ამ ადგილს თუ « ჰატმოთინის » ტექსტს შევადარებთ, როგორც უკვე ვთქვით, სრულ შესაბამისობას დავინახავთ.

« რამეთუ მას ჟამსა დაეტევა საყდარი თჳსი და იმცეიდა ნაწილსა იონთასა, რაჟამს იგი მოვიდეს მისა მთავარნი სომხითისანი და ევედრებოდეს მას, რაჲთაჲცა კუალად დაჭდა საყდარსაჲც თჳსსა. ხოლო იგი არა ერზა მათ და იძულებით აუწყა მათ ჩუენებაჲ იგი და მისცა მათ მცველად საყდარსა საკათალიკოსოს »

« ამისა შემდგომად წარსრულნი აზაფნი სომეხთანი ევედრებოდეს წმიდასა საპას, არა მოკესებად ბოროტთა მათთა³ და უკურქევადად საყდარსაჲც მისსა. ხოლო მან არა იმინა მათი, რომლისათჳსცა მიუთხრა მათ ჩუენებაჲ, რომელი იხილა განვრდომისათჳს მათისა ქმნადისა⁴. ხოლო მისცა მათ ნაც- »

¹ ი ქვე, გვ. 460.

² კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, ძვ. მწერლობა, ტ. I, მეორე გამოც., 1941წ. გვ. 450.

³ ი ქვე, გვ. 450.

⁴ « არა მოკესებად ბოროტთა მათთა » პროფ. ლ. მედიქსეთ-ბეგს ნათარგმნი აქვს (' სრულად აღკვეთილ... I, გვ. 78, 1) : « იო სრასუ ხ ჯარს ჯჩაქ » (ე. ი. , რომ ისინი ბოროტად არ მოიხსენებულან), რაც სწორი არაა - ხ ჯარს-ის ნაცვლად ჯარჩქს უნდა.

⁵ « რომელი იხილა განვრდომისათჳს მათისა ქმნადისა » აგრეთვე შეუხაბამოდ არის ნათარგმნი (ი ქვე, გვ. 78, 3) : « იო აზასუ ჯე სრასუ ჯასქქელი შასქს » (ე. ი. , რომელიც იხილა მათი დამხობისათვის).

სხვათა შორის, რამდენიმე სიტყვაც ამის შესახებ, რომ « ჰატმოთინი » პროფ. ლ. მედიქსეთ-ბეგს შიარნია IX ს-ის თარგმანად და ისიც არსენი სანთარელის ბიძის მიყვანილი ნაწყვეტია.

კიზისა ნეჭარი მამდოც, რომელსა ეწოდა მესრობ, და მას არა უნდა განმარებაჲ მის- გან(გვ. 82, 1-6).

ვალად მისა სანატრელი მსტოცა დამცვე- ლად საყდრისა მისისა (თეოდ. უორდანი, «ქრონიკები» I, 337, 20-25).

როგორც ვხედავთ, Diegesis-სა და მისგან გამომყრებილ ქართულ თარგმანში საჭაყის «აღსრულების» ქართული წიგნის ისეთი აღვილის სრულ შესაბამის ტექსტს ეძიებოდა, რომელიც ხორენელის ისტორიაში ასეთს მოკლებული იყო. Diegesis-ი, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანდა, მეკლევერებს VIII ს-ის დამდევის ნაწიარმოებ- ად მოაჩინათ და, რაც მთავარია, - წარმოშობილად სომხურ წყაროებზე. ნ. აკინიანის დაკვირვებით მაგ, ამ თხზულების ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა ერთ-ერთ წყაროდ ის ნაწარმოები, რომელიც ლაზარეს ისტორიაში I წიგნად არის შესული და რომლის მე-18 თავი, ჩვენი შეჩამებით, მთლიანად პოულობს შესაბამისს «აღსრულების» ქარ- თულ წიგნთან. საფიქრებელია, რომ «აღსრულების» ქართული თარგმანის ის აღვი- ლები, რომლებიც ამ თავთან მიმართებით ზედმეტად ჩანან და ნაწილობრივ მსგავ- სებას ამჟღავნებენ, ერთი მხრით, ხორენელის ისტორიასთან და, მეორე მხრით, ზო- გიერთი აღვილით სრულ ერთნაირობას ამყარებენ Diegesis-თანა და მის ქართულ თარგმანთან, «პატრიოთინთან», მომდინარეობდეს ისეთი სომხური წყაროდან, რომლიდანაც წარმომდგარი ირიათ: «აღსრულების» ქართული თარგმანის სომხუ- რი დედანი (გამომყრებით, რომლის მხლიოდ დიდი ნაწილია დაცული ლაზარეს სახელით ცნობილ ისტორიის I წიგნში: მე-18 თავად), ლაზარეს ისტორიის I წიგნი, Diegesis-ი და მისე ხორენელის თხრობა საჭაყზე.

ის გარემოება, რომ Diegesis-ის ქართული ნაწყვეტის - «პატრიოთინის» - პირ- ველ-წყარო სომხურ დიოფიზიტურ წრეში მოაჩინათ აღმოცენებულად, თავისთავად გვიკარახებს, - დავსახვით Diegesis-ის სომხური წყაროდან მომდინარე საჭაყის «აღსრულების» სომხური წიგნიც, რომლისაგან ქართულია ნათარგმნი, ხსენებულ წრე- ში წარმოშობილად. ქართული თარგმანის პირველ-წყაროს სომხურ დიოფიზიტურ წრე-

შემცველი ჰგლის IX ს-ის თარგმანად შეწყნარება შეუძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ენობრივად ასე- თი გამოთქმები, როგორცაა: «წარსრულნი» «ზოთნი სომეხთანი ევდარებოდეს წმიდასა სააკს», ანდა «რომელი იხილა განვრდომისათჳს მათისა ქმნადისა», რომელთაც ჩვენ ხსენებულ ნაწყვეტში ვხვდებით, IX ს-ისთვის უცხოა. მიმდებარე შენაცვლებული წინადადებანი კლასიკური ქართული ენის განვითარების მხლიოდ გვიანდელ ეტაპზე გვხვდება (X-XI სს.). ამი- ტომიყ ირის, რომ ასეთ რასზე ირსენ საფარელის უაჭველ ნაწარმოებში ვერსად ვხვდებით. გარდა ამისა, თუ «პატრიოთინი» საფარელის თარგმანი იქნებოდა, მაშინ საკუთარ სახელთა ხმარებაში ერთნაირობა გვეჩვენოდა, რასაც ვერ ვხედავთ. მაგ, არსენის შრომაში კავკასიის აღბანეთს ჰერე- თა ეწოდება, ხოლო თარგმანში - აღვანეთი.

ხსენებულ მიზნთა გამო «პატრიოთინი» საფარელის შემდგომ ხანაშია ნათარგმნი, რაც ამასთანავე მასაც გვეუბნება, რომ არსენი საფარელი Diegesis-ის ირიგინალით იტნობს და არა თარგმანით. ექვთიმე გბელის კი «პატრიოთინი» შეეძლია ქართული თარგმანით სკოლ- ნილა, მაგრამ არა X ს-ზე გაცილებით იდრე ნათარგმნით, როგორც ავად კ. კეკელიძე ფიქრობს, არა- მელ მისი დრის (X-XI ს.) თარგმანით, რომელსაც უფრო უდგება «პატრიოთინის» ენა.

ნი წარმომბის შესაძლებლობას ის ვარემოებაც ხლის შესაწყნარებელს, რომ, როგორც ვნახეთ, სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ჩვენი თარგმანები გამოწვეულია გაქარაველები გზაზე დამდგარი სომეხი დიოფიზიტების ინტერესებით. ესენი კი, ბუნებრივია, სათარგმნად პირველ ყოვლისა ისეთ ძეგლებს მოჰქილებდნენ ხელს, რომლებიც მათ მამა-პაპათა შორის იყო გავრცელებული.

შესამე წყება

ქართულად ნათარგმნ სომხურ მარტვილობათა წიგნების შესამე წყება ეხება ხაარს-თა დევნულების მსხვერპლთ, რომლებიც სამარხპანო სომხეთის დროს უქამებიათ. ამ წყებას ეკუთვნის შემდეგი წიგნები: 1. «წამება წმიდისა ვარდანისი და სხუთთა ნახარართა და ძალთა სომხითისათა»; 2. «წამება წმიდისა შუშანყისი»; 3. «წამება წმიდისა ატომისი და ძისა მისისა და მოყუასთა მისთა» და 4. «წამება იზიდბიზიდისი».

№(17). «წამება წმიდისა ვარდანისი და სხუთთა ნახარართა და ძალთა სომხითისათა»

ვარდანის მარტვილობის წიგნის ქართულ თარგმანს ამ სათაურის წინ კიდევ უფრო ვრცელიც მოეპოვება: «წამება წმიდისა ვარდანისი და ძამათა მისთა ჭუმბაყისი და ვაჰანისი და საჰაკისი, სომეხთა პატრიარქისა და მათ თანა ას ოცდაჩვედმეტა და სხუთთა, რომელნი მოისრნეს დიდსა მას წყობასა ეზღაგერდის შიერ უმჯულოთა მეფისა და რომელნი სხუთთაყა აღვიდთა ბრძოლათა მოისრნეს სარწმუნოებისათჳს იესუ ქრისტესსა». ასეთი ორმაგი სათაური უცხო არაა ძველი მარტვილობის წიგნების კრებულისათჳს. «მრავალთავეებში», რომლებიც წარმოადგენენ საკითხავების წიგნს, დაღაგებულს ვარკვეული კალენდარული თანმიმდევრობით, რომელიმე დღისათვის დაწესებულია ხსენება როგორც ერთი პირისათვის, ისე რამდენიმესათვის, მაგრამ საკითხავი ყველასათვის კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ერთისათვის, ანდა ზოგიერთთათვის, ისე რომ ზოგი უსაკითხავოდ არის დატოვებული. ასეთი ვითარება შეინიშნება არა მარტო სომხურ «მრავალთავეებში» (სამარტვილო-ებში), არამედ ქართულშიც. ასე მაგ. ოქტომბრის 17-თვის ძველად ხსენება ჭქონდა ვარკვენილი ერთი მხრივ კოზმასა და დამიანეს, ხოლო მეორე მხრივ შუშანაკს. ეს ასეა აღნიშნული, სხვათა შორის, ერთ-ერთ ძველ კრებულში (საქართ. მუხ. ხელნაწ. H ფონდი, № 244), სათაურშივე, მაგრამ საკითხავად მარტო პირველთა წამების წიგნთა მოყვანილი. ამრიგად, ასეთ შემთხვევებში, პირველი სათაური ამა თუ იმ დღისათვის დაწესებული ხსენების აღნიშვნულია, ხოლო მეორე მარტო ამისა, ვისთვისაც საკითხავია მოყვანილი.

ვარდანის მარტვილობის წიგნის ქართული თარგმანის შესაბამისი სომხური ნაწარმოები გამოცემათა შორის აკად. ნ. მარს, როცა იგი თავის წინასწარ ცნობებს აქვეყნებდა ათონის «მრავალთავეებში» მთავარებულ სომხურ მარტვილობათა ქართული თარგმანების შესახებ, არსად ჭქონდა ნახული. არც ხელნაწერებში აღიხვედრია მას იგი შემდეგში, თორემ სხვების მსგავსად ის ამახ სადმე აღნიშნავდა. ისე კი შენიშნა, რომ

მარტვილობის წიგნის ქართულ თარგმანს ნათესაობა აქვს ელიმეს თხზულების ტექსტთან.¹ როგორც სხვა მარტვილობის წიგნის მიმართ (როცა ასეთების შესაბამისი ნაწარმოები სომხურად ცალკე არსად ჩანდა, მაგრამ სათანადო ტექსტი ისტორიკოსებთან დაიძებნებოდა, რაც აკად. ნ. მარს ავარაუდებიანებდა, რომ აქ ისტორიკოსს უნდა გამოეყენებინოს ქართულის დედანი), ისე აქაც, ჩვენი წიგნის დედნის მიმართ, ის იმ აზრისა იყო, რომ ელიმეს უნდა ესარგებლნა ერთს დროს არსებული ქართულის შესაბამისი დედნით.² ასეთი ვარაუდი, როგორც უკვე ვნახეთ ზოგიერთი წიგნის მაგალითზე, აქაც შეუწყნარებელია. ქართული თარგმანების დედნები არც ისე ძველი მარტვილობის წიგნთა ნუსხებიდან (ან შექმნილი წიგნებიდან) მომდინარეობენ, ყოველ შემთხვევაში, ისინი ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ხანისა არ არიან (როგორც ეს აკად. ნ. მარს ეგონა), არამედ VIII ს-ის განულისა ან VIII ს-ის დამდეგის ხელნაწერებიდან, უკეთ რედაქციებიდან, და ნაწარმოებებიდან ითარგმნებიან.

ვარდანის მარტვილობის სომხური წიგნი თუ გამოცემაში არა, ხელნაწერებში მაინც მოგვეპოვება, ზოგან ისეთივე მოცულობისა როგორაც ქართულია, ზოგან კიდევ უფრო ვრცელი (უკანასკნელი უფრო ხშირად). მათ უმრავლესობას მხოლოდ ერთი სათაური გააჩნია, რომელიც უფრო ქართულის მოკლე (ან რაც იგივეა - საკითხავის) სათაურს უდგება: *Ակայաբանութիւն սրբոց Վարդանանց և այլոց Նախարարաց ի այլոց*. მხოლოდ ერთს მოეპოვება ვრცელი (ან რაც იგივეა - ხსენების) სათაურის რამდენადმე შესაბამისი სახელწოდება: *Ակայութիւն սրբոց Վարդանայ և իմայեկայ, և Վարանայ և Սահակայ ի այլոց սպարապետաց և ամենայն սուրբ արանց որք մեռան ի Գրիսուս*. ეს სათაური აღმოაჩნდა დღესდღეობით ყველაზე უძველეს ხელნაწერს, უფრო სწორად - მცირე ხელნაწერ ფრაგმენტს, რომელიც, როგორც მისი გამომცემელი შენიშნავს, «*ლექციონარის*» (ბაკიცი-ის) საკითხავის ნაწყვეტს წარმოადგენს³ და არა «*მრავალთავისას*».

ამ ნაწყვეტმა, რომელიც საკითხავის ტექსტის მხოლოდ ხუთიოდე სტრიქონს შეიცავს და იმავე სიტყვებით იწყება, რითაც ქართული თარგმანის შესაბამისი სომხური მარტვილობის წიგნები, ჯეროვანი ყურადღება მიიქცია მას შემდეგ, რაც ინგლისელმა არმენისტმა ფ. კონიბერმა ამაზე უფრო ვრცელი მოცულობის ფრაგმენტებს მიაკვლია ქ. ლიონის წიგნთსაცავში მრგლოვანი (სერკაპოპატი) ხელით ნაწერ ეტრატზე, რომელიც ერთი სხვა სომხური ხელნაწერის საფარველ ფურცლებად (სპარაპანსაკ) გამოეყენებიათ.⁴ როგორც ერთი, ისე მეორე ფრაგმენტი ჩვენი წიგნისაებრ მოკლე რედაქციისაა. პირველის მიმართ ამას ის მოწმობს, რომ იგი ლექციონარიდანაა (ბაკიცი-იდანაა, სადაც მხოლოდ მოკლე წამების წიგნებია წვეწლებრივ), ხოლო მეორის მიმართ ის, რომ იქ სადაც ვრცელი წამების წიგნებს

¹ Н. Марр. Из поэмы и на Армен... გვ. 18.

² იქვე, გვ. 18.

³ გამოცემულია ურნალ *Բազմաձև*-ში, 1851 წ., გვ. 225-229.

⁴ Փ. Կ. Կոնիբեր, Եղիշէ պարմութեան հարակոյրդ . . . և իմարէն Ամաւրեայ. 1893, გვ. 129-133.

მოკლესთან შედარებით შიგადაშიგ ზედმეტი ტექსტი გააჩნიათ, ამას ეს ისევე მოკლებული, როგორც მარტვილის მოკლე წამების სომხური წიგნები და მათგან მომდინარე ქართული თარგმანი. იმის გამო, რომ ფრაგმენტები გზადაგზა ელიშეს ისტორიის მეხუთე, მეექვსესა და მეშვიდე თავებს ხვდება, ცოტად თუ ბევრად განსხვავებული წაყოფებით, კონიბერს ისეთი აზრი დაებადა, რომ ელიშეს ისტორია თავისი ზედმეტი აღვლილებით დროთა მსვლელობაშია გავრცობილი, განსაკუთრებით X ს-დანო. ისტორიის არქეოტიპი კი ისეთივე მოკლე მოცულობისა უნდა ყოფილიყო, როგორც ფრაგმენტებს შემოუნახავს.

ფრ. კონიბერის აღმოჩენასა და მის მოსაზრებებს ელიშეს ისტორიის პირვანდელი ტექსტის შესახებ მკლე გამოეხმურნენ მკვლევრები. პროფ. გრ. ხალათიანი დაეთანაშა კონიბერს იმაში, რომ ელიშეს ნაშრომი წინათ შედარ განსხვავებული უნდა ყოფილიყო იმ ნუსხათა ტექსტებისაგან, რომლებიც ეხლა მოგვეპოვება. ესენი ვრცელი ინტერპოლაციების მადარებელი ჩანანო, ასკენიდა ესეც. ამასთან მანვე მოიგონა კონიბერის აღმოჩენამდე ცნობილი „ლეციონარის“ (ჯაუიფ-ის) ფრაგმენტიც, რომელიც ელიშეს ისტორიის მეხუთე თავის დასაწყისს შეიცავს. აქ მის ყურადღებას განსაკუთრებით იტყვევდა ტექსტის სათაური, რომლის მსგავსი ელიშეს ნაწარმოების ნუსხებში არსად ჩანდა. სათაურის მიხედვით მას ევინა, რომ ელიშეს უძველეს ტექსტში ნაამბობი უნდა ყოფილიყო მოლქაწიობათა შესახებ აგრეთვე ჰმეიოკისა, ვაჰან მამიკონიანისა (და არა არწრუნისა, როგორც ფრაგმენტის გამოცემელი ფიქრობს) და საჰაკ ბავრატუნისა, რომელთა სახელების ხსენებაც კი არსადაა ელიშესთან. მათ მხოლოდ, და ისიც შედარ მოკლე ცნობებით, ფარაქლთან ვხვდებით. შეიძლება, დასძენდა გრ. ხალათიანი, ფარაქლს ესარგებლა ელიშეს ასეთი ძველი ტექსტით, რომელსაც სებელსიც იცნობსო. ცკლილებებში ამ პირვანდელ ტექსტს ამის შემდეგ უნდა განეცადა და გადაამუშავებულიყო, როგორც ჩანს, არა უადრეს VII ს-ისათ:

შემდგომი ხანის მკვლევართაგან აღნიშნულ საკითხს შეეხო ბ. კიულესერიანი თავის „კრიტიკულ ედიუდებში“¹, რომელშიც მოიპოვება სხვათა შორის ჰასუხიც ფ. კონიბერისა და გრ. ხალათიანის მოსაზრებებზე. კიულესერიანი ეთანხმება კონიბერს და მართებულად მიაჩნია აზრი, რომ ელიშეს შრომის ხელნაწერები შედარ შებღალული არიან, მაგრამ არ იზიარებს იმ შეხედულებას, თითქოს ინტერპოლაციები X ს-ის შემდეგ დაწყებულიყოს, რადგან ენობრივად ისინი (ე.ი. ჩანართები) ძალიან ძველი ჩანანო. სწორად მიაჩნია გრ. ხალათიანის წმეხედულებაც, რომ „ლეციონარის“ (ჯაუიფ-ის) ნაწყვედი დიდად საგულისხმოა, მაგრამ არ იწყნარებს მის აზრს, თითქოს იგი წინანდელი დედანი იყოს, რომლითაც სებელსსა და ფარაქლს ესარგებლნათ.

¹ ბრ. ხალათიანი. ნაშრომს ათ ჰაგრაფიკის სერიატის სერიატის „ჩანარტის ამსო-რესაჟი“, 1895, გვ. 113-115.

² ბ. სილქესტერიანი. სერიატის, გრ. ხალათიანის ნაშრომის სერიატის („მკვლევარის ნაშრომისაგან“ ს. 15). ქიქნისა, 1909.

მ. კიულესერიანის პასუხი ფრაგმენტებთან დაკავშირებით აღბრუნ კითხვებზე სრულიად შესაწყნარებელია. «ლეტიციონარში» (დაჯიყ-ში) მითავსებული ელიშეს ტექსტი ნაწყვეტია უცილობლად გამოკრებილი ვარდანის მარტვილობის მოკლე წიგნისა. მის სათაურში მოხსენებული პირები იმას კი არ უნდა გვახარაულებინებდეს, რომ ელიშეს თავის ნაშრომში საუბარი ეწინებოდა აგრეთვე ყველა მათ მარტვილობათა შესახებ; არამედ იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ვარდანის ხსენებასთან ერთად ამ პირთა ხსენებაც ერთისა და იმავე დღისათვის ყოფილა დაწესებული. ამ პირთაგან მხოლოდ ვარდანის ხსენებისათვის მოუყვანიათ საკითხავად ელიშეს შრომიდან გამოკრებილი ვარდანის წამების მოკლე წიგნი, რაც ქართული «მრავალთავის» შემდგენელს უცვლელად აუღია ქართული თარგმანიდან სათაურთან ერთად. რასაკვირველია, ასეთი დასკვნა იმას არ ნიშნავს, რომ ვარდანთან ერთად მოხსენებულ პირთა წამების წიგნები არ იქნებოდა ცალკე სომხურად. არსებობს ლიტერატურული ცნობა, რომელიც X ს-ის დამდეგის ისტორიკოსს, აჭარონ ვანანდელს, ეკუთვნის, რომლის თანახმად მას ტაოში უნახავს ჰმაიაკის წამების წიგნი.² ასევე შესაძლებელია არსებულიყო ცხოვრებისა თუ წამების წიგნიც ვაჰანისა, რომელიც ვარდანის ძმა კი არ იყო, როგორც ამას ვარდანის მარტვილობის ქართული თარგმანის ვრცელი სათაური წარმოადგენს, არამედ ძმისწული; ჰმაიაკის შვილი. უეჭველია, ცალკე წიგნად იქნებოდა სპაჰე პატრიკის, ან როგორც სომხურს «ლეტიციონარშია» აღნიშნული, სპაჰე სპარაპეტის მარტვილობაც. სპაჰე ბაგრატიონი იყო, ვაჰან მამიკონიანის თანამებრძოლი და მისი სპასპეტობის დროს ერთხანს (481-482 წ.წ.) მარზპანადაც კი იყო არჩეული. მონაქმობის გვირგვინი სპარსელებთან ბრძოლაში მიიღო ვაჰანის ძმასთან, ვახაკთან ერთად, რომელთაც ლაზარე ფარაქელი წმიდანებს ეძახის.³ ქართული თარგმანის მიხედვით (სათაურით) ესეც ვარდანის ძმად იხსენიება ვაჰანთან ერთად, რაც

² ნეჩეხე აკიონანის უახანესელი დროის გამოკვლევით (სიქიქ ქაროუსაყი ლ. ზე ყასიმოპოლს ჯაიფე ყასირაჟიქი, პ. I., ქიხნსა, 1932) ელიშესთან, პირველ-დღიდან, ვარდან მამიკონიანის შესახებ საუბარი არც კი უნდა ყოფილიყო. ამ თხრობა შეეხებოდა მხოლოდ იმ ვარდან მამიკონიანს, რომელიც X ს-ში მოღვაწეობდა. ელიშეს ისტორია «ვარდანელთა ბრძოლის (451 წ.) ისტორია» კი არ იყო, არამედ «სომეხთა ბრძოლისა» (572-590), რომელშიც ასახული იყო სომხეთის თავკაცთა ვაჰაკი 540-595 წ.წ. შორის. ვინაიდან «სომეხთა ბრძოლის» შედეგი სანატრელი არ აღმოჩნდა, ამდენად თანამედროვეს მიერ მისთვის მიძღვნილი მათეანე (რომელიც 572 წლის აჯანყებას ეხებოდა კერძოდ) მოძღვრო თაობისათვის უსიამოვნო შეიქმნა. აჯანყების ხელშეწყობებზეც უმაღლესი დამსახურეს, ხოლო ეს VII ს-ის ბელაქციონისთვის, რომელიც ბერძნების მიმართ უკვე სიძულვილით იყო შეპყრობილი (რას ფეხვები ლეგიატივურსა და პოლიტურ ნიადანში იყო გადგმული), საბაბი შეიქმნა ელიშეს შრომის პირველიანი გადამუშავებისათვის, ისე რომ ის ფარაქელის ისტორიაში აღწერილ პირთა საჭმიანობას დაუკავშირდა, კიდევ უფრო განსაღებებლად ვარდან დიდის მამიკონიანისა.

³ ამის შესახებ ვრცელ ქვემოთ, სომხურად სათარგმნი შუამნიკის მარტვილობის განხილვისას.
⁴ რა პირობებში აღესრულა სპაჰე, ლაზარესთან ვერ ვარკვევთ, რადგან ამ დღის მიხედვით ნაშრომის ნუხებს. სითანადი ტექსტი (ურყლის ზეარდის გამო) აქლიათ.

სწორი არაა. ძმა მხოლოდ ჰმითაკი იყო, რომლის აღსასრული ორიოდ სიცყვით არის გადმოცემული საკითხავის ზოლოს, ხოლო სხვებზე კრინტიც კი არსად იმის. ამრიგად, საკითხავი მხოლოდ ვარდანს ეხება, ხოლო ხსენება კი ყველა მის თანამებრძოლს, « რომელნი მოისრნენ დიდსა მას წყობასა ეზღავერდის მიერა ».

ქართული თარგმანის ვრცელს სათაურში მოხსენებული საპაჟი ქატრიკად იწოდება, ხოლო სომხურში; მათიგის საკითხავის სათაურში, ის სხვებთან ერთად სპარაპეტად (საყარაყარად) არის აღნიშნული. ლაზარე ფარქელთან კიდევ ასპეტად (საყარა) და მარტვიანად იხსენიება. „მარტვიან-ასპეტისა“ და „სპარაპეტის“ შეცვლა „ქატრიკად“ იმას გვიმუდავებს, რომ ქართული თარგმანი იმ ხანას ეკუთვნის, როცა «ქატრიკის» წოდება ქართულ სინამდვილეში გავრცელებული იყო; ეს კი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით VII-სა და VIII-მდე საუკუნეებში შეიძლებოდა. ამით, ცხადია, კიდევ ერთი საბუთი გვემატება იმის დასაბუთებლად, რომ ქართული თარგმანი სომხეთისა და ქართლის ეკლესიების ერთიანობის ხანაში ვერ ითარგმნებოდა. მას ვერც X ს.ზე გვიან გადმოიღებდნენ, რად ამ დროიდან ეს წოდება ხმარებიდან გაიშინა. თანდათანობით.

ვარდანის სომხური მარტვილობის მოკლე წიგნი ქართლის შესაბამისია როგორც მოცულობით, ისე ტექსტობრივად. ამასთან გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ისინი ან სიცყვა-სიცყვით არ ხვდებიან ერთმანეთს, ანდა ფრაზები აკლიათ ან მეტი აქვთ ურთიერთთან შეფარდებით, მაგრამ ყველაფერი ეს იმას მიწმობს, რომ სომხური ნუსხეში ქართლის დედანთან ვარიანტობრივს და არა რედაქციულს მიმართებაში იმყოფებიან. დასაწყისში, რომელიც მარტვილობის წიგნის ერთგვარ «შესავალს» წარმოადგენს (ვვ. 85, 14-86, 8), სრული შესაბამისობა ტექსტებისა არა გვაქვს. ამის მიზეზი მგონია ის უნდა იყოს, რომ ეს ნაწილი რომელიღაც კათოლიკე ეკლესიის «ამამის» ნაწარმოების ნაწყვეტს უნდა წარმოადგენდეს, რაც მთარგმნელისათვის უმხელ არ ყოფილა. ის შეიძლება მას ქართულადაც სცოდნოდა, მის მიხედვით გადმოცემდეს მას და არა დედნის თვალმიდევნებით. ქართლისა და სომხური ტექსტების სხვა დაცილებანიც უთუოდ ანვარიშშია მისაღები, რადგან ჩვენი თარგმანების დედნის ენაზე დღეს ქართლისებრ ძველი ნუსხა არ მოგვეპოვება, რასაც პირველწყაროს (ამ შემთხვევაში ელიმეს თხზულების) ტექსტის კრიტიკისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც საერთოდ ქართული თარგმანები ყოველთვის დედნის ერთგულებას იჩენენ.

მ (I მ). * წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, ასულისა წმიდისა ვარდანისი, რომელი იყო ასულის წული წმიდისა საპაჟისა. ესე წმიდაჲ შუშანიკი იწმასა ქართლს ქმრისაგან თვისისა, რომელი იყო ანთიპატრიუსი და წინამძღუარი ქართლისაჲ.

შუშანიკის მარტვილობის მოკლე წამების წიგნი, რომელიც ასეთისავე სომხური მარტვილობის თარგმანს წარმოადგენს, განხილული მაქვს იაკობ ცურჯაველის ნაწარ-

წარმოვითან დაკავშირებით. იქვე გამოვაქვეყნე ქართული ძველი თარგმანი და მისი სომხური დედანი ურთიერთის გვერდით. ნაკვლევი შევეცადე გამერკვია საკითხი, თუ რა წყაროებზეა აღმოცენებული მარტვილობის ეს წიგნი და რა მიმართება არსებობს ამ წიგნსა და მარტვილობის ვრცელ ქართულ-სომხურ წიგნებს შორის. საგანგებოდ შევეხე იმ შეხედულებას, რომელიც ბოლო დროს გამოთქვა შუშანიკის მარტვილობის გარშემო ცნობილმა ბელგიელმა ირიენდალისტმა პ. პეტერსმა კერძოდ დაკვირვებას, რომ იაკობ სუცის სახელით ცნობილი ქართული მარტვილობის წიგნი დაწერილი იყოს არა V სს-ში, არამედ გვიან, 940 წელს, სომხურიდან თარგმნილი მოკლე წამების წიგნის გამომწერებით და, მაშასადამე, მისი გამომწერების შედეგად. სათანადო მასალის ანაღზის შედეგად პ. პეტერსის საწინააღმდეგო სურათი გადავევაღა, სახელობრ ის, რომ იაკობ ცურცაველის ვრცელი წამების წიგნი ნატყუარი ძველი არარის, არამედ ფიოთშილველი ავტორის ხელიდან არის გამოსული და სს...

შუშანიკის მარტვილობის მოკლე წამების წიგნი სომხურად მხოლოდ ერთი ხელნაწერის სახით მოიპოვება, ე.ი. იგივე მდგომარეობა სუფევს, რაც იყო მამინ, როცა ხსენებულ ნაშრომს ვაქვეყნებდი. სომხურ ხელნაწერთა შორის, რომელთაც წინამდებარე შრომისათვის ვსწავლობდი საგანგებოდ, იგი არსად შემხვედრია და ამდენად ტექსტობრივ არაფერი მომმატებია, რომ რაიმე შემესწორებინა ტექსტში, ანდა ხელახლა გამომექვეყნებინა ის. საბავიეროდ წავაწყდი ერთ ერთ კომპილაციურ ნაწარმოებს, რომელიც დოკუმენტად შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ იაკობ ცურცაველის თხზულება, «მარტვილობა შუშანიკისი», წინ უსწრებს მარტვილობის მოკლე წიგნის ქართულ თარგმანს. მაგრამ ამაზე დაწვრილებით მექნება საუბარი იმ თავში, რომელიც ქართულიდან სომხურად ნითარგმნ ძეგლებს ეხება.

შუშანიკის მარტვილობის მოკლე სომხური წიგნი, რომელიც უმთავრესად შუშანიკის ზღაპარულს გადმოსცემს, ვრცელთან ერთად სომეხ რედაქტორთა ეროვნულ-ქველესიურ შეხედულებათა თვალსაზრისის გამომხატველია. ამას განსაკუთრებით ის მოვლენა უფრო გვიარჩავს, რომ სომხურ წამების წიგნებში არა ერთგვის არის ხაზგასმული შუშანიკის სომხობა და მისი მამა-პაპათა ღვაწლი სარწმუნოების დაცვის საქმეში? ამავე რიგის მოწმობად გამოდგება აგრეთვე მოკლე რედაქციის ერთი აღვილიც, სახელობრ დასაწყისი სიტყვები, რომელშიც ხაზგასმულია ის მომენტი, რომ საჭაქ პართევამდის სომხეთის ეკლესიის გამგებელნი, ნახარართა შორის პირველნი და წმინდა და სათნონი, იყვნენ ჩვენი განათლების მიზეზი (წმიდანი და ნეტარნი ჟისმე და პირველნი ნახარართა შორის და ზედამსტვარნი ქრეყანისა სომხეთისანი სამღვდლოთა წესითა, მიზეზნი განათლებისა ჩუენისანი... = „სიღრფე იმასჲ ხრბ-ღსქჲ, არაჲჲსჲ ქ სსაქარაჲსჲს. ქსრაღიქიოღჲს ჯსაქარქს ჯსიოგ, დსასლიოღ-ღსასს აყარაღჲ...“). როგორც ვხედავთ, აქაც შუშანიკის წინაპრების (მამის დედის ხაზით) დამსახურებაა ხაზგასმული სომხეთის ქვეყნის წინაშე, რაც შუშანიკის ეროვნული კუთვნილების მხარის საგანგებოდ წარმოჩინების ინტერესით არის დაკარნა-

¹ იაკობ ცურცაველი, მარტვილობა შუშანიკისი ... გამოცემული იქმ მიერ, 1938წ., გვ. 49-53.
² იქვე, გვ. 039; გვ. 025, 43-45 და 54-57.

ხევი. მაგრამ ამასთან ერთად ეს აღგილი, რომელიც უცვლელად არის ქართულად გადმოღებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი ახალი საბუთია იმისა, რომ თარგმანი სრულდება არა ქართული მკითხველისათვის, არამედ იმ სომხებისათვის, რომლებიც დიოფიზიტური აღსარებისა იყვნენ და რომელთაც მშობლიურ ენაზე ლიტერატურული ძეგლების ათვისება, თუ არა თარგმანის სახით ახლად შესისხლხორცებულ ენაზე, აღარ შეეძლოთ.

რადგან სომეხ დიოფიზიტთა ასეთი მდგომარეობა ენის მხრით ტაოში, სადაც სომხურ მარტვილობათა წიგნები თთარგმნა, VIII ს-ის შუა წლებზე აღრე არ შეიძლება ვივარაუდოთ, ამიტომ ქართული თარგმანი მუშანიის მარტვილობისა ამ დროზე აღრინდელი არც შეიძლება იყოს. ქართული თარგმანები, როგორც აღვნიშნეთ, IX-X ს-ის მიჯნაზე უნდა იყოს შესრულებული, რაც სომხური დედნის აღმოცენებისათვის, ცხადია *terminus ad quem* იქნება. ხოლო *terminus a quo*-ს აღვიღად გადაწყვეტდა მიმენტი, ცნობილი რწი იყოს მისე ხორენელის სახელით ცნობილი ისტორიის შექმნის დრო, რადგან ხორენელის ხსენებულ ნაწარმოებთან, როგორც ცნობილია, გარკვეული დამოყიდებულება აქვს მარტვილობის მოკლე წიგნს. ასე მაგ., მარტვილობის წიგნის ზემორე მოყვანილი დასასწიისი სიტყვები სწორედ ხორენელის ისტორიიდან არის გამოკრებილი¹.

ზემოთ აღვნიშნე (გვ. 074) და აქაც უნდა გავიმეორო, რომ სომეხი მოღვაწეები, რომელთა ცხოვრება-წამებათა წიგნები ჩვენ ქართული თარგმანებით მოგვეპოვება, VIII ს-ის დამდეგზე გვანდელი არ არიან. მამულისა და სარწმუნოებისათვის ამ ხანამდე თავდაღებული სომხები პატრივცემულნი (ან ძველი ტერმინით: შერაცხილნი) იყვნენ ყველა სომხის მიერ განურჩევლად კონფესიონალური მიმღევრებისა. გარჩევა მხოლოდ 726 წლიდან დაიწყო, როცა სომხეთში ერთმა აღსარებამ ისე სძლია მეორეს, რომ ამ უკანასკნელის მიმღევრებს მშობლიურ ნიადაგზე აღარ ეღგომებოდათ და მეზობელ ხალხთან უნდა ეძებნა თავმესაფარი და ისიც ისეთთან, რომელიც მასთან ერთად საზიარო აღსარებისა იყო. ახალ გარემოში ეს ნაწილი ერთ ხანს მანც მის წიაღში წინათ გამომუშავებული შეხედულებებით ხელმძღვანელობდა და ლიტერატურული შემოქმედებით იკვებებოდა. ეს მარაგი მას მისი მშობლიური საგანძურიდან მოქქონდა, რომელსაც იგი მანამდის ამდიდრებდა. აი, ამ საუნჯიდან უნდა მომდინარეობდეს მუშანიის მარტვილობის მოკლე წამების წიგნიც, რომლის თარგმანი გარკვეული ინტერესებითა და განსაზღვრულ დროს აღმოსცენდა ქართულად. VIII ს-მდელი ტექსტიდან, რომელიც, საფიქრებელია, სომეხ დიოფიზიტთა წრის სიმძლავრის დროსა და მის წრეში იყო გავრცელებული, მომდინარეობს მუშანიის მარტვილობის წიგნის ქართული თარგმანი. ეროვნულ-ეკლესიური თვალსაზრისი, რომელიც სომხურს მოყვება თუ ვრცელს მარტვილობის წიგნში შეინიშნება, ამის შემდეგ ისე აღარ უნდა გავიგოთ, რომ აქ მონოფიზიტური ეკლესიის მიმღევრის სულისხვეულება მჭლავნდებოდა, არამედ როგორც ზოგად-სომხური, ეროვნული, რომელიც VIII ს-მდის თანაბრად იყო მასალები ურთიერთის მოწინააღმდეგე აღსარების სომხურ მანუათაყვის. ამიტომაც სომხური მარტვილობის ის რედაქციები, რომლებიც დღეს მოგვეპოვება და რომელთაგან მოკლე ვრცელზე უფრო აღრინდელი ჩანს იმით, რომ უფრო მეტად აქვს შემონახული ტექსტობრივი შეხვედრები თავის პირვანდელ დედანთან, ე.ი. იაყობ

¹ იქვე, გვ. 030.

ცურდაველის ნაწარმოებთან, VIII ს-ზე გვიანდელი არც უნდა იყვნენ. თუ ასეა, მაშინ ხორენელის ისტორიაც, რომელსაც სომხურია ავთოგრაფიული ნაწერები სხვა შემთხვევებშიც გამოჰქრებენ, VIII ს-მდის უნდა იყოს წარმომადგომელი.

შუმანიის მარტვილობის მკვლე წიგნის სომხურად წარმოქმნის ხანას უთუოდ მიათითებს ამ ძეგლის ქართული თარგმანის და მისი დედნის დღეს არსებული წიგნი როგორც თავისი სათაურით, ისე ტექსტის ერთი ადგილითაც. სათაურსა და ერთგან ტექსტში (50, 135) ვარსქენი მოხსენიებულია ქართლის ანთიპატროსად (ანტიპატროსად, ნათ. ანტიპატროსად). ერთხელ მკონდა შემთხვევა აღმნიშნა, რომ სწორია ნ. აკინიანის შეხედულება¹, როცა იგი ამტკიცებს - პიფაბშის სანაცვლოდ ასეთი სახელწოდების ხმაობა ამ ძეგლის ასად რედაქციად. მიათითებს. ასეთი ბიზანტიური სამოსელეა წოდებანი, როგორც ზემოთაც. (ნ. გვ. 0153) აღვნიშნე, მხოლოდ ბიზანტიის გავლენის ეამსა და არაბების ბიზანტიის ხანაში (VII-X ს.ს.) იყო მეტად გავრცელებული საქართველოსა და სომხეთში. ზემორე ვამტკიცებდი, რომ სომხური მარტვილობის ჩვენი წიგნის აღმოცენების დრო VIII ს-ის შუა წლებს აქვთ ვერ ვადმოიწვევათ, ამიტომ ხსენებული ტერმინი, სახელწოდება ვარსქენისა, VII-VIII ს.ს-ში გაჩნდებოდა მარტვილობის ტექსტში. ამდენადვე, ცხადია, სომხური მარტვილობის მკვლე წიგნის რედაქცია ამ საუკუნეებში უნდა იყოს შემუშავებული და არა IX-X ს.ს-ში, როგორც ეს ერთ დროს მეგონა.

ჩვენი ძეგლის ქართული თარგმანი დღეს-დღეობით ცნობილი ეროდ-ერთი სომხური მარტვილობის წიგნის ყოველმხრივ შემსველარ ტექსტს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც იგი ქართლის დედნისათვის რედაქციულად განსხვავებულ წიგნად კი არ გვეხატება, არამედ იმავე რედაქციის ვარიანტად.

თ (I9). « წამებაჲ წმიდისა ატომისი და ძისა მისი-
საჲ და მოყუასთა მისთაჲ »

ატომიანთა მარტვილობის წიგნი მოგვიხსრობს ამბავს, რომელიც სპარსთა მეფის იაზკერტის დროს შემთხვევით სომხეთის ლიდაცობას და კერძოდ ორ ღიღ ნახარას-ატომ გუნისა და მანაჭიჭრ რმტუნის. ესენი სპარსთა მეფის კარს ყოფილან გამოძახებული ქრისტიანობის უარსაყოფად. გამგზავრებულან თავანთი ამალითურთ, მაგრამ გზაში ვადაუფიქრიათ სამეფო კარს მისვლა და უკან მოძრუნებულან. ანძავეთის მხარეში მათ მოსწვია სპარსთა მღვდარი ლაშქარი. მტრის შესახვედრად ესენიც გამზადებულან, მაგრამ შებრძოლებაზე მალე სელი აუღიათ როგორც ქრისტიანებს, რომლებიც არ წინააღედებიათ ბორცოდ, აცხადებს ავთოგრაფი. წამების გვირგვინი უტვირთავთ და ასე ვამხდარან სპარსთა დევნულების მსხვერპლი ატომ გუნის და სხვე-

¹ იქვე. გვ. 038.

² იქვე. გვ. 042.

³ იქვე. გვ. 029-030.

ბი, რომელთა მარტვილობის წიგნს, «აღმშინათა» სახელწოდებით, ხშირად ვხვდებით სომხურ ხელნაწერ «მრავალთავებში».

მარტვილობის წიგნში მოთხრობილი ამბები სხვა რომელიმე სომხური წყაროთი (პირველ ყოვლისა ისტორიულთ) არსადაა ცნობილი. ავტომ გუნეი, როგორც ეს აღნიშნულიყაა სამეცნიერო ლიტერატურაში, ლაზარე ფარქელთან და ელიშესთან იხსენიება, მაგრამ სრულიად ისე არა, როგორც ეს მარტვილობის წიგნშია. ავტომი ერთიც არ უნდა ყოფილიყო, არამედ ორი, ორივე გუნეი, როგორც ამას ერთ-ერთი სამეხნი მკვლევარი ი. თორისიანი¹ ამტკიცებს; ერთი ვარდან მამიკონიანის ბრძოლების მონაწილე, ხოლო მეორე — ვაჰან მამიკონიანისა. ესენი, სხენებური ავტორის დაკვირვებით, ორი სხვადასხვა პირი უნდა ყოფილიყვნენ და არა ერთი, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ. თვითონ მას ვაჰანის რიგებში მეტადილი ავტომი მიანიშნა ჩვენი მარტვილობის მთავარ გმირად. მანაქიან რშტუნის ამბავი კი ანტერქოლიცია უნდა იყოს, რადგან პირითად თხრობასთან იგი მჭიდრო კავშირში არ იმყოფება. ამნაირად, როგორც ვხედავთ, ავტომიანთა მარტვილობის წიგნს სხვა რომელიმე სომხური წყარო მხარს არ უჭერს. ასეთ ნაწარმოებს მეტად დიდი ფასი ექნებოდა, რომ თვითმხილველის ხელიდან იყოს გამოხული, მაგრამ რამდენად ეს არსაიდან ჩანს, ამიტომ იგი როგორც საისტორიო წყარო დიდი წოდების ღირსი ვერ იქნება. მისი ფასი მხოლოდ ტალმოცემებზე აღმოცენებული ლიტერატურული ნაწარმოების თვისებებით განისაზღვრება.

სომხურ «მრავალთავებში» (დაიდნაჟირ-ებში) დაცული ავტომიანთა მარტვილობის წიგნის ნუსხები ქართული თარგმანისაგან განსხვავებით ზოგჯერ მეტ ტექსტს შეიცავს. მეტი ადგილები ასეთ ხელნაწერებში თავსა და ბოლოშია ხოლმე. ამ ძეგლის არსებული გამოცემის მიხედვით² დღევანდლამდე მხოლოდ დასაწყისის ზეღმეტ ტექსტს იცნობენ ჩვეულებრივ. დიდი არაა ეს ადგილი; აკად. ნ. მარის თქმისა არ იყოს³, «სულ ათიოდე სტრიქონია», მაგრამ მიუხედავად ამისა საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის მარტვილობის გამომოქმელისა თუ მქალაქებლის სიტყვებს წარმოადგენს, რომლითაც იგი მიმართავს მსმენელთ, ისმინონ მისი მონათხრობი ყურადღებით, რათა ვბაძავდეთ მარტვილთაა.

მარტვილობის წიგნის ბოლოშიც ანალოგიური მოწოდება ვამეორებული მარტვილმთყვარე კრებულის მიმართ და, დასასრულ, იქ ვხვდებით ასეთი ლიტერატურული ხასიათის ცნობასაც: «წიგნი წამებისა მათისაა არა ითხრობოდა ჩუენ შორის ვიდრე ჟამდამდე რომლისამე, მერმე იქმნა პოვნილ დღეთა კენატურისათა, მსახურისა წმიდათა ავტომიანთაჲსა, სულიერისა წინამძღურისა შიერ უფლისა ტაქად ვარაველისა»⁴ ვინაა

¹ შიქ. შიოანსან. სკოპხანგ. საჩარასკოპხანს ძამანსაკს და სულ ჩანგამანგ. «ჩაღ-მარქლუ» ., 1899, გვ. 396-400.

² «სოქხერე ჯაყასკანგ», XIX, გვ. 69-82.

³ H. M a p p. H з н о е з а қ а м а А ф о ш... გვ. 18.

⁴ «ხე ფქრ. ქკაჟოქხანს სოყა ოკსა ყაჟოქრ. ქ შქქი მხრომ ქჩხეს ქ ძამანსაკი ხეს.

საყაი ფიქსალ ხეს ქალირს სნსაჟოქი, საყასალირქ სრფოგ სკოპხანგ, ქ მსან ჩიყსოქ ანაჟსოქიქ ყტანს შარასჟი ქარაგაჟოქი» (6. გვ. 195, შენიშვნები ჩ).

ტენადარანში) დღეს დაცული (№ 102 = 2679), ხოლო პირი (გადანაწერი) ავტორისათვის ხელმისაწვდომ ფონდშიც (ვენეციის) მოიპოვება («მრავალთავი» №19).

ამავე საუკუნეში, განაგებობს ი. თოროსიანი, იხსენიება აგრეთვე ატომ ანძველი, ზოგჯერ, როგორც «ნეტარი უფალი»; და ზოგჯერ, როგორც «ანძველთა ეპისკოპოსი», ანდა, როგორც «ღვთისმოყვარე მთავარი», თუ, რასაკვირველია, რძი სხვადასხვა პირი არ. არიან ესენიო. ამას, როგორც ძველი ცხოვრებები გვაუწყებენ, შეუდგენია კრებული, რომელშიც შეუტანია რომელ თვეთა დღეების რიგზე დალაგებული მარტვილობათა წიგნები, რასაც «ატომის ღებულო» (სკიმპარქი) მრავალთავი (ნაიღსიქი) ან სადღესასწაულო (ჰოსანგოფსაკ) ეწოდებოდა. (ამაზე ბაასის დროს მხედველობაში აქვს: 4 სპ. 2.-ის ჩაყსასკანს ჩინ რკოიძესანს აყსაჰიძესანს - 7-ძ9 რკოიძესანს, შირაჰი, სსსსიქი, 1886, გვ. 550). საფიქრებელიაო, დასძენს იქვე, რომ ამ ატომის დავალებით დაეწეროს ტაჭატ ვარაგელს თავისი სეხნასა და მის მოყვასთა მარტვილობა X ს-ის შუა წლებშიო. ასეთთა მოკლე მასაზრებები ი. თოროსიანისა მარტვილობის წიგნის გამომთქმელის ვინაობისა და მისი მოღვაწეობის ხანის შესახებ.

ატომიანთა მარტვილობის წიგნის გარჩევა განზრახული ჰქონია ცნობილ სომეხ ფილოლოგს გ. ტერ-მკრტიჩიანსაც, როგორც ამას ერთ-ერთი მისი ნაწერიდან ვგყობილობთ, მაგრამ, რამდენადაც შევამოწმეთ, მას განზრახვა განუხორციელებელი დარჩენია, ყოველ შემთხვევაში, ამაზე არც სხვა ვინმე მკვლევარი ძრავს ხმას. თავის დასახელებულ შრომაში კი გ. ტერ-მკრტიჩიანი იმას აღნიშნავს, რომ ეს ძველი წარმოქმნილი უნდა იყოს არა უადრეს V ს-ის პირველი ნახევრისა და არა უგვიანეს X ს-ისაო. რით ხელმძღვანელობდა ხსენებული მკვლევარი ასეთი თარიღების დადგენის დროს, უცნობია, რადგან მის შესახებ მას ცალკე უნდოდა საუბარი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, განუხორციელებელი დაურჩა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი განცხადება, როგორც საქმეში ღრმად ჩახედული მეცნიერისა, უთუოდ საგულისხმოა და მხედველობაში მისაღები.

აკად. ნ. მარს მარტვილობის ჩვენი წიგნის ქართული თარგმანი, ისე როგორც სხვებისაც (რომლებიც ათონის «მრავალთავშია» დაცული), ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ერთიანობის ხანის ნაყოფად მიიჩნდა. მერვე საუკუნის დამდეგზე უგვიანესი ისინი მას ეგონა, ამდენად, ცხადია, მათი არქიტექტების (ე. ი. დედნების) წარმოშობისათვის ის წინა საუკუნეებს იწყნარებდა.

ასე აღრიხდელი რომ არაა საზოგადოდ სომხური ავთოგრაფიული მწერლობის ჩვენთვის საინტერესო წიგნების ქართული თარგმანები, ეს ჯეროვნად ჯერ კიდევ აკად. ივ. ჭავჭავაძის შვილმა გვარკვია. მისი შეხედულებით ისინი IX ს-ისა უნდა იყვნენ. პ. ჰეიფერსსაც ეს ძეგლები ძველ თარგმანებად არ მიაჩნია, მაგრამ არც მის მიერ ნაჩვენები გზით (გვ. 039-040) ხერხდება ქართული თარგმანების ისეთი ზღმიწვევითი დათარიღება, როგორსაც ის გვაწვდის ზოგიერთი მათგანისათვის. ძეგლები, და მათ შორის ატომიანთა მარტვილობა, 840-960 წ. შორის არის ნათარგმნი

¹ 4. S-U. სკიმპარქი. «სკიმპარქი». 1902, გვ. 106-108.

ქართულად, როგორც ეს ზემოთ (გვ.045) ვაჩვენეთ. ამის შემდეგ ცხადია, რომ ამათი სომხური დედნები ამ ხანას უსწრებს წინ. ამდენად, მაშასადამე, ატომის მარტვილობის წიგნის ავტორად X ს-ის ტაჭატს, «მოწესესა» თუ «მოდვარს», ვერ ვიგულებთ. მარტვილობის წიგნის ავტორს V ს-ის ოციან წლებამდის უნდა ემოღვაწა, რადგან, ჩვენი დაკვირვების თანახმად, ქართული თარგმანების დედნები სომეხ დიოფიზიტთა წრეში, თავის სამშობლო ნიადაგზე, აღმოცენებული თუ არა (V ს-ის-ში), გავრცელებული მაინც უნდა ყოფილიყო. ასეთი ვითარების გამო შეგვეძლო დავთახსნიებოდეთ ერთ ნაწილში გ. ტერ-მკრტჩიანს, რომლის დაკვირვებით ატომის მარტვილობის წიგნი V ს-ის ქარველი ნახევრის უწინარესი არ უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცი, თუ რის მიხედვით მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში გ. ტერ-მკრტჩიანი აკად. ნ. მარის ზემოთ ხსენებულ მისაზრებას უწევდა ანგარიშს, რაც, როგორც აღვნიშნე სწორი არ გამოდგა.

ი (I 10). წამებაჲ იზიდბოზიდისი

იზიდბოზიდის სომხური წამების წიგნმა გამოქვეყნებისთანავე¹ მიიპყრო ყურადღება სამეცნიერო წრეებისა. მართალია, იზიდბოზიდზე საკმაოდ ცნობებს ჯერ ძველ სომეხ ისტორიკოსებთან და შერამე ეპისტოლოგრაფიულსა და სვინაქსარულ კრებულებშიც პოულობდნენ, მაგრამ მარტვილობის წიგნის მიკვლევაში, რომელიც, ბუნებრივად, ასეთი ცნობების წყაროდ უნდა ეგულისხმა კაცს, მაინც დიდი სამსახური გაუწია მეცნიერებას. ჯერ ერთი, მისი მეოხებით შეიქმნა შესაძლებლობა, შეემოწმებინა კაცს აღნიშნული ცნობების სისწორე და, მეორეც, სომხურ საისტორიო მწერლობას მარტვილობის წიგნის სახით ერთი ახალი წყარო ემატებოდა ვისამუშებლად სომხეთის ცხოვრებისა, განსაკუთრებით VI ს-ისა, რომლისთვისაც არც ისე უხვი მასალა მოიპოვება.

მარტვილობის წიგნის გამოქვეყნებამდის ის სომეხი ახალგაზრდობისათვის გასაგებად ყოფილიყო და აღიშანმა გაარჩია.² თავის ნაშრომში იგი ყურადღებას აქცევდა აგრეთვე იმ ძველის ისტორიულ-ლიტერატურულ მხარესაც. როგორც აღიშანის, ისე სხვა ძველი და ახალი ხანის სომეხ მკვლევარ-მეცნიერთა უმრავლესობა მარტვილობის წიგნის ავტორად, სვინაქსარული წიგნის ცნობის თანახმად, ნერსეს რაჟივს აღიარებს, იმ ნერსესს, რომელიც იზიდბოზიდთან ერთად საქართველოში ყოფილია ჩანსმული. ამ ნერსესის მიერ უნდა იყოს დაწერილი იზიდბოზიდის მარტვილობა, რომელიც შემდეგში სხვა ხელოვანის კალმითაა გაჩარხულია, ამბობდა აღიშანი.³

¹ «Ակայաբանութիւն սբբոյն Յիզբոբուզիտայ». Կարգ և վկայաբանութիւնք սբբոյ, հարմարիք քարտայք ի ճառնսրբոց. Կարդ. Բ, Վենետիկ 1874, გვ. 124-130.
² Գ. Ալիշան. Յուշիկք հայրենեսայ Կարդ. Բ. Վենետիկ 1870, გვ. 309-331.
³ იქვე, გვ. 311.

იმის ამ სიტყვებს შემდეგშიც არა ერთი მკვლევარი იმეორებს. მარტვილის აღსრულების თარიღიც ყველაზე ადრე მართებულად ლ. ალიმანმავე გამოიანგარიშა. მან ასეთად 553 წლის 9 ნოემბერი დაადგინა, რითაც სამართლიანად უარყო წინათ შეწყნარებული თარიღი - 552 წ. ალიმანის მიერ დადგენილ თარიღს, ხშირად დაუმოწმებლად, იმეორებენ სხვებიც, იქნება ის სომეხი თუ უცხოელი მკვლევარი. იზიდბოზიდის პატივისცემის მიზეზი, ალიმანი სავსე სწორი შეხედულების მიხედვით, მის სპარსობაში იმარსება და ისიც ისეთ დროსა და ისეთ ადგილს, როგორცაა აღრინდელი საუკუნეები, ერთის მხრივ, და სომხეთი, უკეთ მისი მთავარი ძალაქი, დვინი, მეორე მხრით.¹

სომხეთის საეკლესიო ისტორიის ცნობილ მკვლევარს, მაღაქია ორმანიანს ახალი არაფერი შეაქვს იზიდბოზიდის მარტვილობის ძეგლის შესწავლის საქმეში. იგი მხოლოდ მოკლე შინაარსს გადმოსცემს მარტვილობის წიგნსას² და მასე მარტო იოანე დრასხანაყერტლოსა და სვინაქსარის მიხედვით.

მარტვილობის წიგნის შესწავლა დიდად წახწია წინ სომეხმა ცხოვლითა ფილოლოგმა გალ. ტერ-მკრტჩიანმა. მასაც, ისე როგორც ლ. ალიმანს, მარტვილობის წიგნის ავტორად ნერსეს რაჟიკი მიაჩნია; ნერსესის ავტორობა სვინაქსარული რედაქციითაა დამოწმებული, რაც წამების წიგნიდან მომდინარეობს ალბათ, თუმცა ასეთი რამ ხსენებულ წიგნს არა აქვს. ავტორი რომ აღწერილი ამბების თვითმხილველი უნდა იყოს და, მაშასადამე, მისი საწარმოებიც სარწმუნო, ამას გალ. ტერ-მკრტჩიანის აზრით ისიც უნდა მოწმობდეს, რომ მარტვილის აღსრულების თარიღი ზედმიწევნითი სისწორით არის აღბეჭდილი წამების წიგნში. ეს გარემოება კი მაღლა სწევს მარტვილობის წიგნის ღირსებას, როგორც საისტორიო წყაროსას, რომელიც VI ს-ის შუა წლებს მიეკუთვნება.³

გალ. ტერ-მკრტჩიანი იზიდბოზიდის წამებას სწავლობდა მასში მოხსენებული ერთი პირის, გრიგოლ რაჟიკის, ცალკე არსებულ მარტვილობის წიგნთან დაკავშირებით. ეს წიგნი თვით მან აღმოაჩინა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა.⁴ იზიდბოზიდისა და გრიგოლ რაჟიკის მარტვილობათა წიგნების შედარებითმა შესწავლამ იგი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ერთი და მეორე მარტვილიც ნესტორიანულ მოწამებულად (ყოველ შემთხვევაში, ნესტორიანელებისაგან სავანებოდ პატივცემულ მარტვილებად) მიიჩნია, ხოლო ამ ვითარებამ ბუნებრივად წამოაყენებინა მეტად საგულისხმო საკითხი (რომელიც შემდეგში მისი ვარაუდის შესაბამისად კიდევაც დადასტურდა), - წარმოადგენს თუ არა იზიდბოზიდის სომხური წამების წიგნი პირველ-დღეაანს, თუ ის სირიულიდან არის ნათარგმნი? მიუხედავად იმისა, რომ ნერსეს რაჟიკს შეეძლო სომ-

¹ პაგ., მკრტჩიან ავერეანისა; სპარსულად ქარე და ქსაყარანობისა სრცო. ბ. გვ. 238.

² ნ. ა. ქუჩას. შიუქსე ჩაყრხსაყ ჩაყრ, ქსნუქს, 1870, გვ. 342.

³ ს. ორმანიანს. აღყაყაყიომ, 4-9, 3364.

⁴ გ. სერ-სკრეცხას. ვიქტორ-სასანატირ ირამქს, სქარას. ყირამხე. «სპარსულ»,

წიგნი, გვ. 470.

⁵ «სპარსულ» 1904, გვ. გვ. 468-474 (გამოკვლევა: 468-473; ტექსტი: 473-474).

ქართ. და სომხ. ლიტერ. ურთიერთობა

ხუციც სცოდნადა, მაინც მგონია სარწმუნოდ, რომ მას თავისი თანამორწმუნეების მარტვილობა სირიულად უნდა დაეწერა, რის გამო დასაძებნია, ხომ არაა სირიულ ენაზე დატული იზიდბოზიდის წამების კვალია.¹

სვინაქსარის ცნობა, რომ იზიდბოზიდის წამების, ჭიგნი ნერსეს რაჟიკმა გამოთქვათ, ეჭვის ქვეშ P. Peeters-მა დააყენა. მას იგი უცნობი ყაღბის მქმნელის შეთხზულად და, მაშასადამე, სვინაქსარზე დართულად მიაჩნია.² აქედ. ივ. ჯავახიშვილი უფრო იმ მოსაზრებას ემხრობა, რომელიც ამ ცნობას ნდობას უცხადებს, და შესაძლებლად მიაჩნია, რომ ხსენებული «ცნობა ნერსესის ავტორობის შესახებ, რომელშიც არ არის ნათქვამი, რომ ნერსესი სომეხი იყო, უძველესი რელაქციით გან იყოს შემოკლებულ რელაქციაში შერჩენილი».

P. Peeters-მა, მას შემდეგ რაც Acta Sanctorum-ში შეიგნა იზიდბოზიდის მარტვილობის სომხური წიგნები საკუთარი თარგმანითურთ ლათინურზე და აგრეთვე ქართულის ლათინური თარგმანიც, მალე მძებნა და გამოაქვეყნა კიდეცაჲ ფრაგმენტო იზიდბოზიდის მარტვილობის სირიული ტექსტისა,³ რომლის დაძებნის აუცილებლობა ამ ენაზე, როგორც ვნახეთ, ვალ. ტერ-მკრტიანმა წამოაყენა. ფრაგმენტთან ერთად გამოსცა გამოკვლევაჲ, რომელშიც განხილულია სირიულია და სომხური წიგნების ურთიერთობა. ავტორის დასკვნით მარტვილობის სირიულია და სომხური წიგნების გაიგივება შეუძლებელია. სპარს. ნესტორიანელთა წრეშია პირველად გამოთქმული სირიულად მარტვილობის წიგნი. დღეს ცნობილი სირიული ფრაგმენტი არ წარმოადგენს პირველადი რელაქციის ტექსტს. სირიულიდან უნდა იყოს ნათარგმნი სომხური მარტვილობის წიგნი, რომელიც დროთა განმავლობაში შემთხვევათა მიმდინარეობის შესაბამისად სომხური ორიგინალური ძეგლის სახეს იღებს. იგი, ავტორის შეხედულებით, რელაქციულ ცვლილებებს განიცდის სანამ სომხური მონოფიზიტური ეკლესიისათვის შესაწყნარებელი არ გახდა, რაც 693 წლამდის მიმდინარეობდა, რადგან ამ დროს წამებული ერთ-ერთი მარტვილის გვამი, სახელდობრ დავით დვინელისა, მარტვილობის წიგნის მიხედვით იზიდბოზიდის სამარტვილეში დაუქრძალავთ.⁴ აღნიშნული დაკვირვებიდან აშკარად ჩანს, რომ პ. პეტერსის შეხედულებით იზიდბოზიდისა და დავით დვინელის მარტვილობის სომხური წიგნები VII ს-ის გასულისათვის სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბებულ იყოს და თითქმის მათ მიერ ყოფილიყოს აღიარებული, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორი არაა.

¹ იქვე, გვ. 472.

² P. Peeters. De sancto Isidoro martyre in perside. «Acta sanctorum», novembris..., Tomus IV, Bruxellis, 1926, გვ. 201. 6. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I, გვ. 66.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქვ. სომხ. საისტორიო მწერლობა, I, გვ. 66.

⁴ P. Peeters. Une légende syriaque de s. Jazdbyzid. «Analecta Bollandiana», t. XLIX, fasc. I et II, გვ. 5-21. Bruxelles, 1934.

⁵ იქვე, გვ. 21.

სომხური მარტვილობის წიგნს რომ რედაქციური სახეცვლილება უნდა განეცადა, ეს აქად ივ. ჯავახიშვილიმაც აღნიშნა. ასეთი დასკვნა მან იმ ფაქტიდან გამოიტანა, რომ სომხურ წყაროებში იზიდბილისის გარდაცვალების თარიღად სხვადასხვა რიცხვია დასახელებული, რაც მისი აზრით მარტვილობის წიგნის რედაქციებიდან უნდა მომდინარეობდეს. მარტვილის აღსასრულის თარიღებიდან უფრო სწორად ის მიიზნა, რომელიც ასეთად სომხური წელთაღრიცხვის პირველ წელს დასდებხ და რომელსაც მხარს უჭერს ქართული თარგმანიც, სადაც აღსრულების თარიღად დასახელებულია ხოსრო მეფის ზეობის მეოცე წელი, ე.ი. 551-552 წ.¹

აკად. ივ. ჯავახიშვილის ეს გამოანგარიშება, მართალია, ეყრდნობა წამების წიგნის ქართულ თარგმანსა და ზოგიერთ სომხურ წყაროს შორის დაძებნილ თანხმობას, მაგრამ ამასთან სათანადოდ არ ეჩვენა ანგარიში იმ ვარაუდებს, თუ რამდენად ეგუება დადგენილ თარიღს ქართულ თარგმანში დასახელებული ჰეფის ზეობის წლის ცვერლით მოცემული აღსრულების თვე (ჟაღიყ), რიცხვი (2) და დღე (ქიროსი). როგორც აღნიშნის², გ. ტერ-მკრტიანისა³ და პ. პეტერსის⁴ დაწვრილებით გამოანგარიშებიდან ირკვევა, 551-552 წელს კი არ მოდის აქაღიყის 2-ე კვირა დღეზე, არამედ 553 წ. ამიტომ იზიდბილისის აღსასრული 553 წლის 9 ნოემბრისათვის არის შესაწყნარებელი და არა წინა წლებისათვის. სხვათა შორის ეს წელი ხოსროს მეფობის ოცდამესამე იქნება, როგორც ეს სომხური მარტვილობის წიგნშია აღნიშნული და არა მეოცე, რაც, ეტყობა, შეცდომით არის წარმოდგენილი ქართულ თარგმანში.

წამების წიგნის პირველ-დღიდან მას შემდეგ, რაც სირიულ ენაზე აღმოჩნდა იზიდბილისის მარტვილობის წიგნი (ფრაგმენტი), პ. პეტერსისა არ იყოს, საეჭვოდ ხდის მოსაზრებას; მიჯიჩნიით ასეთად სომხური მარტვილობის წიგნი, თუმცაღა სომხურთან მიმართებით სირიული ძეგლის ნაწყვეტი ერთნაირ ვითარებას არ გვიჩვენებს. საფიქრებელია მართლაც, და ასევე მიიჩნდა ჯერ კიდევ გ. ტერ-მკრტიანის, რომ სპარსი მოწამის წისიყ ნესტორიანელის (როგორც ჰგონიათ), მარტვილობის წიგნი პირველად სირიულ ენაზე უნდა გამოთქმულიყო, რადგან ამ ენას დიდი განავალი ჰქონდა სპარსეთის ქრისტიანულ წრეებში, კერძოდ ნესტორიანელთა შორის. სომხური მარტვილობის წიგნი, როგორც პ. პეტერსი ამტკიცებს ჯერხსობით უცნობი სირიული მარტვილობის ერთ-ერთი რედაქციის თარგმანი უნდა იყოს, რომელსაც, ისე როგორც მარტვილობის სხვა ასეთი მომდინარეობის წიგნებსაც, რედაქტორის კალამი უნდა შეხებოდა.

P. Peeters-ის ხსენებული მოსაზრებანი განსაზიარებელია უცილობლად, მაგრამ იმას კი ვერ შევიწყნარებთ, რომ იზიდბილისის მარტვილობის სომხური წიგნი, რომელსაც ჩვენამდის ერთადერთი ხელნაწერით მოუწევია⁵, სომხურ მონოფიზიტურს, ან რო-

¹ იქვე, გვ. 62

² V. Ալիշան. Յուշիկ Գայրեսեաց Զայոց, გვ. 311.

³ Գ. Տեր-Մկրտչեան. Գրիգոր-Մանասիար Ռաძիկ Միարան Կոմիտ, გვ. 470 (შენიშვნა).

⁴ P. Peeters. Une légende syriaque de S. Jazdabozid. «Annl. Bolland.» t.

XLIX, fasc. I et II, გვ. 16.

⁵ ერევნის სიძველეთსაცავის («მთენაღარანის») მრავალთავებშიც არსად ჩანს ამ ნაწარმიების ნუსხა.

გორც პ. ჰევეტერსი უწოდებს, გრიგორიანულ, წრეს ჰკუთვნებოდა და საბოლოოდ მასში ჩამოყალიბებულიყო. უდაია, რომ იზიდბოზიდის კულტი და მარტვილობის წიგნიც, მონოფიზიტ სომეხთა შორის არის აღმოცენებული, კერძოდ ნერსეს აშტარაკელის დროს, მაგრამ ის, რაც მარტვილობის წიგნშია აღბეჭდილი, შეუწყნარებელი არ უნდა დარჩენილიყო დიოფიზიტ სომეხთათვისაც, რომლებიც ჯერ ისევ მშობლიურ ნიადაგზე იღწოდნენ და ეწეოდნენ სათანადო შემოქმედებას. ვერც ის ბრძოლა, მგონია, რომელიც საკუთრად სომხურ სინამდვილეში წარმოებდა მონოფიზიტურსა და დიოფიზიტურ ფრთახ შორის VI-VII ს.ს-ში, განსდებოდა დამატარებელი იმისათვის, რომ დიოფიზიტობას პირი ექცია წინათ შექმნილი სომხური აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებისაგან. ამ მწერლობის ძეგლებში ავი თავისი სოფლმსხვედრობის საწინააღმდეგვს ვერას შეხვდებოდა, რამდენადაც იქ აღწერილია ხალხი საერთოდ ქრისტესთვის მოწამე სომეხთა ანდა სომხეთში თავდადებულ უცხოელთა მარტვილობა და არა ამათი კონფესიონალური მიმდინარეობის წევრისა. სულ სხვაგვარი იყო ვითარება, როცა უცხო მარტვილის კულტს ეხებოდა საქმე, თუკი ცნობილი იყო, რომ ესათუის უცხოელი ისეთი ქვეყნიდან იყო, ან ისეთი ხალხის შვილი, რომელიც უმთავრესად ამათი კონფესიონალურ ფრთახ ემხრობოდა. აგიოგრაფიულ მწერლობაში, ცხადია, ისინი იმას ვერ შეხვდებოდნენ, რასაც ლეგმატურსა ან პოლემიკურში. ამიტომაც სწირედ, რომ სომხურიდან მომდინარე ქართულ თარგმანებში, რომლებიც დიოფიზიტ სომეხთა ინტერესებით აღმოცენდნენ ვარკვეულს ხანაში, წარმოდგენილია ცხოვრება-მარტვილობანი სომეხ თუ სომხეთში მოღვაწე ისეთი პირებისა, რომლებმაც VIII ს-ის გასულამდის მიიღეს წამების გვირგვინი. მათ შორის უკანასკნელი დროის მოწამე დაჯიბ ღვინელი, რომელიც პ. ჰევეტერსს იზიდბოზიდთან ერთად ამ ხანისათვის სომხური გრიგორიანული ეკლესიის (de l'Eglise armenienne) წმიდანად მიიჩნია.

სულ სხვაგვარად წარმართა საქმე ამ ხნის შემდეგ. როგორც წინათ აღვნიშნეთ (გვ. 011-013), მონოფიზიტებთან ბრძოლაში დამარცხებულმა დიოფიზიტებმა ერთმანერმუნე მეზობელ ქვეყნებში გადახვეწის შემდეგ ყოველივე სომხურს, განსაკუთრებით 726 წლიდან, ისე დაუწყეს ცქერა, როგორც უცხოისა და არა-მშობლიურს. ამით უნდა აიხსნებოდეს ის მოვლენა, რომ ჩვენს ქართულ თარგმანებში, რომლებიც IX-X ს-ში წარმოიძვა, არც ერთი ისეთი სომეხი მარტვილისა აუ მოღვაწის წამება-ცხოვრების წიგნი არ მოგვეპოვება, რომელიც VIII ან IX ს-ის ეკუთვნოდეს. მგონია, ასეთი გზით უნდა იყოს წარმოშობილი ქართულად და ბერძნულად იზიდბოზიდის ვრცელი თუ სვინაქსარული მარტვილობის წიგნები და არა ცილობის მეოხებით, რასაც, პ. ჰევეტერსის შეხედულებით, თითქმის ეწეოდნენ ნესტორიანელები, მონოფიზიტები და ბერძენი მართლმადიდებელი კულტისათვის იზიდბოზიდისა, რომელიც ერთი წუთითაც კი არ ფიქრობდა აღბათ ლეგმატურ უთანხმოებაზე.

იზიდბოზიდის მარტვილობის წიგნის ქართული თარგმანი ზედმიწევნით არის გადმოღებული სომხურიდან. ეს ვითარება ჯერ კიდევ აკად. ნ. მარს აქვს აღნიშნული თავის წინასწარი ხასიათის ნაშრომში² ტექსტების ზოგიერთი ადგილები, რომლებიც ერთ-

¹ P. Peeters. Une légende syriaque de s. Jacobid. «Anal. Bol.», t. LXIX, fasc. I-II, გვ. 24.
² H. Mapp. Us noezaku na Aphon... გვ. 23.

მეორეს არ ეთანხმება, ქართულ თარგმანში უფრო წესიერ ვითარებას გვიჩვენებს, რაც, უეჭველია, სომხურის ისეთ დედანს გულისხმობს, რომელიც არსებულ ერთადერთ ნუსხასთან მიმართებით ცალკე რელიქციას კი არ წარმოადგენდა, არამედ მისგან რამდენადმე განსხვავებულ ვარიანტს. ეს სურათი ასე აქვს წარმოდგენილი აკად. ივ. ჯავახიშვილს, ამიტომ ვაუგებარია, საიდან დასკვნა ბ. ჰეფერსმა, თითქმის აკად. ივ. ჯავახიშვილს ქართული ტექსტის ასეთი თვისების აღნიშვნით სწადღეს, შიკუთვნოს ქართულ ეკლესიას იზიდბოზიდის მარტვილობის წიგნის წარმოქმნა, ანდა გამოიყვანოს იზიდბოზიდი ქართველად, რათა მოაცილოს იგი სომხურსო!?

მეთხე წყება

არაბობის ბატონობის პირველი ხანის წამებულთა სომხური მარტვილობის წიგნიდან ქართულად გადმოღებულ თარგმანებში დატულია მხოლოდ 1. «წამება წმიდისა ღვთისა, რომელი იღესრულა ღვინს».

ია (I11). «წამება წმიდისა ღვთისი, რომელი იღესრულა ღვინს ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა ქრისტეს მიერ»

ღვით ღვინელის მარტვილობის წიგნი სომხურ «მრავალთავეში» ხშირად არ გვხვდება. ვენეციის გამოცემამ², როგორც ეტყობა (სათანალო ცნობები გამოცემას არ აქვს დართული), ერთი ხელნაწერის მიხედვით არის შესრულებული. გამომცემელს რომ შეეძინეს ხელნაწერი, უთუოდ გამოიყენებდა მათ საეჭვო წყობით განსამართვად და იმ ხარვეზების შესავსებად, რომელიც გამოცემულ ტექსტს მოეპოვება. ერუვნის სიძველეთ-საგავში («მატენადარანში») ეტრატზე ნაწერ ძველ ფრაგმენტებს შორის წამების წიგნის საკმაოდ ვრცელ ნაწყვეტს მივპოვიეთ (ფრაგმ. № 159). იგი რელიქციულად არააღრით არ სხვაობს წამების წიგნის სხვა ნუსხათაგან. ნაწერია დამწერნილი მოკუთხლვნი ასომთავრულით, ასე რომ შეიძლება X-XI ს-ისად მივიჩნიოთ.

ღვით ღვინელის წამების წიგნი მოგვითხრობს თავდასავალს ღვით სარწმუნოსთან ანუ არაბისთან, რომელსაც წინათ, გაქრისტიანებადის, სორჰან (II სურჰან) ჰქმევია. ჩამომავლობით ღვინელია ყოფილა. ის ღვით კურაქალაქის ძის ჰამზასჰის დროს მოპყლია სომხეთში არაბთა დაშქარს. აქ მას კოფაისის მხარეში უცხოვრია, სადაც შეუსწავლია ქრისტეს მოძღვრება და გადაუწყვეტია გაქრისტიანება ანანტასი კათალიკოსისა და სხელთვანის, როგორც ავითვრაფი ამბობს, გრიგოლ მაპიკონიანის, ქატრიკის, მთავრად მყოფობის უამს. გრიგოლ ქატრიკმა ის ანანტას კათალიკოსს

¹ P. Peeters, რეცენზია ივ. ჯავახიშვილის წიგნზე „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“, წ. I. „Analecta Bollandiana“, t. LIV, კვ. 397-401.

² В. С. Яковлев, «История Грузии», т. I, с. 85-96. «Собрание трудов», 1884.

მიუყვანა მოსანათლაჲად. ნათლიად თუით გრივლი დასდგომიან და სახელად მიუცია « თვისი იგი მამული სახელი » (ე.ი. უწოდებია მამის სახელი: დავით). გაქრისტიანების შემდეგ ის იმავე კუთხეში, სოფ. ძაგში, დასახლებულა, შეურთავს ცოლი და სიბერემდის იქ უცხოვრია.

სუმბატ ბავრატუნისა და სპაჲ კათალიკოზის ზეობისა, როდესაც სომხეთს ჩამომდგარა არაბობა, რომელთა მეთაურს აბღილა ჰრქმევია, ის მასთან დაუსმენიათ. აბღილას მოუთხოვია მისთვის, დაბრუნებოდა მამა-პაპათა შტურს, მაგრამ უარი მიუღია, რასაც წამება მოჰყვათ. ჯვარზე გაუკრავთ, უციხთ ლახვარი და მოუკლავთ. დავითის აღსრულების შემდეგ მისი გვამი ჯვრიდან ვაღმოუხსნია სარგსაკ ამატუნთა ეპისკოპოსს და მუშელ მამიკონიანს, სპასქედს, თავის ძმასთან, არტავაზთან, ერთად და სხვების თანხლებით აზიღბიზიდის სამარხში დაუკრძალავსთ ღვინს. ჯვარი, რომელზედაც მოწამე გაუკრავსთ, საფლავის ძეგლად გამოუყენებიათ, ხოლო ლახვარი, რომლითაც მოუწყლავთ, მუშელ სპასქედს წაუღია და ჯვარად გაუკეთებია. დავით ღვინულის შესახებ ძველი სომეხი ისტორიკოსებიც გვაწვდიან ცნობებს. სხვებთან მიმართებით უფრო მეტს იოანე დრასხანაკერტელი (IX-X ს.) მოგვითხრობს. დავითს ის სპარსად იხსენიებს და არა სარკინოზად, ან ტაჭიკად (ყამჩყ), როგორც ეს წამების წიგნშია აღნიშნული.

მარტვილობის წიგნში მოხსენებული საერო და საეკლესიო მაღალი წოდების პირები ძველი სომეხი ისტორიკოსების ნაწარმოებებითაც არიან ცნობილი. ჰამაზასპ და გრივოლ მამიკონიანელები ძმები იყვნენ, დავით კურაპალატის შვილები. სებეოსის ისტორიით ჰამაზასპი სიძე იყო თეოდოროს რმტუნისა. ერთხანს იგი სიმამრთან ერთად არაბულ ძალას დაპირჩილებია, მაგრამ შერმე, სიმამრის სიკვდილის შემდეგ, გამდგარა და ბიზანტიელების ხელისშეწყობით სომხეთის მთავარი გამხდარა. ბიზანტიის კეისრის კარს მისთვის კურაპალატობა უბოძებდა.² ეს ამბავი 658 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ წელს თეოდოროსი მიიკვალა.³ აქიდან ცხადია, რომ დაახლოვებით ამ წლიდან უნდა ვივარაუდოთ დავით-სურჰანის სომხეთში მოსვლა, მაგრამ არა უგვიანეს 662 წლისა, რადგან ამ დროიდან ჰამაზასპის მემკვიდრედ უკვე გრივოლ მამიკონიანი ჩანს.

დავით ღვინულის გაქრისტიანების თარიღი ანახტას კათალიკოზისა და გრივოლ მამიკონიანის, პატრიკის, ზეობით არის ცათარიღებული. მ. ორმანიანის მიხედვით ანახტასი კათალიკოსი 661-667 წ.წ. შორის მღვდელმთავრობდა,⁴ ხოლო გრივოლი 662/3-

- ¹ შიქანასიო კაპოიტიუსი ზეოპოლიტის წინამძღოლის წიგნი, შიქანა, 1912, გვ. 91-92, 94-95.
² სტრეფის ხატიკიასი წიგნი, 4-რე ყოყაყი... ბზინს სპ. მარტირიანის წიგნი, ერკლას, 1939, გვ. გვ. 146, 153-155.
³ ქ. პატრიკიანით თეოდოროსი 656 წ. მიიკვალა; ნ. ვსილუხაი წიგნი, 1987, გვ. 177.
⁴ შარლ. ორმანიანს. აღყაყაყი. 4წ. 1912, გვ. 745-46, 550. აგრ. ღამბის-ის მიხედვით ლეონი ხეჩუმი ყაპოპის. მ. მას, 1914, გვ. 133 ანახტასი კათალიკოზობდა 662-666 წ.წ. შორის, ხოლო ნ. ანაგეტიანს-ით (ბაქსანსკაყარასი რეპოზიციონსი. « მარტირიანის წიგნი » 1941, 1(6), გვ. 65) ანახტასის კათალიკოზობდა 662-668 წ.წ. ეკუთვნის.

665 წ.წ. შირის მთავრობდა. აქიდან ხაველია, რომ ხურჰანის გაქრისტიანება გრიფოლ მამიკონიანის გამთავრების დასაწყის ხანას ეკუთვნის, მაგრამ არა უგუანეს ანასტასე კათალიკოსის სიკვდილისა, ე.ი. დავითის გაქრისტიანება 662/3-667/8 წ.წ. შირის მომხდარა.

დავით ღვინელის აღსრულების ამბებიც ვარკვეული თარიღით კი არაა წარმოდგენილი, არამედ ხელისუფალთა ზეობით, - საჭაჟ კათალიკოსისა, სუმბატ ბავრატუნისა და არაბთა ლაშქრის წინამძღვრის აბდილათი. საჭაჟ კათალიკოსი მ. ორმანიანის ანგარიშით მღვდელმთავრობდა 677-703 წ.წ. შირის². სუმბატ ბავრატუნის მთავრობა ი. მაჭკვარდს სავანეებოდ აქვს გამოანგარიშებული სომხურისა და უცხო წყაროების შეწიამებით და ასეთად 692-726/7 წ.წ. აღგენს³. აბდილა სომხეთის ისტორიკანად ანუ ამირად იხსენიება სომეხ ისტორიკოსებთან. მისი ისტორიკობის პერიოდი 700-703 წ.წ. მიღის⁴. ამრიგად, აბდილას მოღვაწეობა სომხეთში საჭაჟ კათალიკოსის უკანასკნელ წლებს ხვდება, ხოლო სუმბატი მათ შემდეგაც მთავრობს. დავითის აღსასრულის განსასაზღვრავად უფრო ზედმიწევნითაა აბდილას სომხეთში ყოფნის დრო (700-703), რაც, როგორც აღვნიშნეთ, საჭაჟის უკანასკნელ წლებს ხვდება (გარდაიცვალა 703 წ.).

მარტვილის აღსრულების თვე და დღე ზედმიწევნით არის აღნიშნული წამების წიგნში. ეს მოხდა, ნათქვამია მასში, «არეგის» 23-ს, ორშაბათსო. «არეგის» 23, რაც ხსენებული ხანისათვის (700-703) რომელი კალენდრით 22 იანვარს უღრის, ორშაბათზე სწორედ 703 წ. მიღის («ნავასარდი» 700-703 წ.წ-ში 4 ივნისს იწყება⁵; 1 ნავასარდიდან 23 არეგამდის 233 დღეა⁶: VI-27 + VII-31 + VIII-31 + IX-30 + X-31 + XI-30 + XII-31 + I-22; ამრიგად 23 არეგი = 22 იანვარს, რომელიც ორშაბათს მხოლოდ 703 წ. ხვდება). დღემდის უფრო ხშირად დავითის აღსრულების თარიღად 693 წ. იყო აღიარებული. მხოლოდ მ. ორმანიანმა შეასწორა ის რამდენადმე და ხსენებული შემთხვევის თარიღად 701 წ. დაადგინა⁷. როგორც დავინახეთ, ესეც არ გამოდგა ზედმიწევნით სწორი, ნამდვილად დავითი 703 წ. უწამებიათ, რაც მარტვილიძის წიგნის ყველა ნაშანს ეგუება.

¹ შრომ. ი.რ. 3. შარკილარფი. ჯაჟ ჩაგრაფონსეაჟ მხიჯაგროქსნელ, გერანხერქხე მარგანხე შ. ჯაჟი იღესან. ქ.ქ.ბ.ს.ს., 1913, გვ. 12.
² შ. ორმანსეანს. Ազգապատմ., გვ. 754-5, 5510. ი. მარკვარდი საჭაჟის მღვდელმთავრობას 679-702 წ.წ. აღნიშნავს (6. ზემორე ხსენებული ნაშრომი, გვ. 41).
³ შრომ. 3. შარკილარფი. ჯაჟ ჩაგრაფონსეაჟ მხიჯაგროქსნელ... გვ. 12-25.
⁴ ჯ. ჯაროქიოსეანს. «Մասունցի Դավիթ» եպոսի դարաշրջანს. «Մասունցի Դավիթ», Արժան, Երևան, 1939, გვ. 240; შ. ო. შ. ილიკიას. Պատմական ակնարկ «Մասունցի Դավիթ» ძողովորական եպოսի ժամանակաշրջանի մասին. «Մասունցի Դավիթ», Պետական Համալսարան, Երևան, 1939, გვ. 166.
⁵ Ed. Dulaurier. Recherches sur la Chronologie arménienne... Paris 1859, გვ.
⁶ იქვე, გვ. 400.
⁷ ი.რ. ჯ. ილიკიას. Մკրնքնական օրացոյց. «Արարაჟი» 1896, გვ. 308-309.
⁸ შ. ორმანსეანს. Ազգապատմ. 47, 1912, გვ. 777, 5325.

ერთხელ აღვნიშნეთ (გვ. 0162) და აქ კიდევ უნდა შევჩერდეთ P. Peeters-ის იმ მოსაზრებაზე, რომლის თანახმად დავით ღვინელი თითქმის მხოლოდ მონოფიზიტური სომხური ეკლესიის მიერ ყოფილიყოს პატივცემული, ის მარტო ამ ეკლესიას მიეჩნის. ის წმიდანად იზიგბონიტთან ერთად. ასეთი მიკუთვნება სომეხი თუ სომხეთს წამებუ-ლი უცხო პირებისა, რომლებიც 726 წლამდის მოღვაწეობდნენ, როგორც სხვაგანაც აღ-ვნიშნეთ, მართებული არა ჩანს. შეიძლება ასეთი შეხედულება იმას ემყარებოდეს, რომ დავით ღვინელის თავდასასვალთან კავშირი აქვთ სომხეთის კათალიკო-სებს, ანასტასისა და სანაჟს, მაგრამ ეს დავით ღვინელის მონოფიზიტობას ვერ და-გვიმტკიცებს, რადგან VII-VIII ს-ის სომეხ კათალიკოსებზე ჯერ კიდევ ძველად ისეთი შეხედულება ჩანს გავრცელებული, რომლის თანახმად ეზრადან დაწყებუ-ლი (630წ.) ელიამდის (717 წ.), სულ ემქსი კათალიკოსი, ქალკედონიანელები იყვნენ! რა გინდ ეჭვის ქვეშ არ დავაყენოთ ამის მომხრეობი წყარო, იმას მაინც ნათლად გვიჩვენებს, რომ მის ავტორს ასეთი მოკლენის აღნიშვნას უნდა უკარნახებდეს ხშირად ცვალებადი ორიენტიცია მაშინდელი სომხეთის საერო თუ საეკლესიო ასპარეზზე მოქმედი მესვე-ურებისა, რაც საბოლოო ანგარიშით კამოწვეული იყო იმ დროის პოლიტიკური და ეკ-ნომიური პირობებით. დიოფიზიტურ წრეებს ეკლესიის ასეთი მმართველნი შეეძლოთ თავიანთ მომხრეებად მიეჩნიათ, ისე როგორც მონოფიზიტურ წრეებსაც, მიუხედავად მათი დროებითი გადახრისა და დათმობებისა. დიოფიზიტური ეკლესია რომ საერთოდ მწვალებლად არ უცქეროდა ხსენებული ხასის სომეხ კათალიკოსებს, ეს ნათლად ჩანს ისე-თი ბერძნული ძეგლიდან, როგორიცაა *Narratio de rebus Armeniae*¹, და მით მო-საზრებლედ ქართლის კათალიკოსის არსენ საფარელის ნაწარმოებიდან, რომელსაც ეწი-ლება «განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა»². არსენ საფარელი, ისე როგორც *Narratio de rebus Armeniae*-საგან გამოკრებით გადმოღებული ერთ-ერთი ქართული ძეგლი, რომელსაც ამოთხრობა პატიმითინისაგან³ ეწოდება⁴, ავად არ იხსენიებენ სომ-ხეთის ეკლესიის ხსენებულ მესვეურებს, რომლებიც; ცხადია, მართლმადიდებლად იქმნე-ბოდნენ შერაცხილნი სომეხ დიოფიზიტთა მიერ მაშინაც, ამ მესვეურთა დროს, და შემდეგმაც.

სომეხ დიოფიზიტთა წრეებში გასავალი ექნებოდა იმ მოღვაწეთ. პატივისცემას, რომლებმაც ქრისტიანობისათვის დაღვეს თავი სომხეთში ხსენებულ კათალიკოსთა ზეობისა, და წინათაც, თუნდ მათი ღვაწლის მომხრეობი ნაწერები აღმოცენებული ყოფილიყვნენ: სომეხ მონოფიზიტთა წიაღში, რადგან ამ ნაწერებით ისინი რომელიმე კონფესიონალური იდეებისათვის მებრძობებლად კი არ ზანან, არამედ საზოგადოდ ქრის-ტეს მოძღვრებისათვის. ასეთი დამოკიდებულება წამება-ცხოვრების წიგნებთან, როგორც არა ერთხელ აღვვინიშნავს, 726 წლამდის შეიძლებოდა არსებულიყო სომხეთში, ე.ი.

¹ Մովսեսիս Խաչատուրիի Գայոց Կաթողիկոսի Սակս Ժողովոց որ Եղև Ի Դայոց. «Գիրք Թղթոց». Թիֆլիս, 1901, გვ. 221-2.

² Migne. Pat. gr. CXXX, გვ. 1237-1258.

³ გამოსცა თ. ჟორდანიამ, «ქრისტიანები» I, გვ. 315-332.

⁴ გამოსცა თ. ჟორდანიამ, «ქრისტიანები» I, გვ. 336-341.

იმ დრომდის, სანამ იქ მონოფიზიტიზმამ არ მიიპოვა საბილოლი გამარჯვება. დავით ღვინე-
ლის სომხურა მარტვილობის წიგნის წარმოშობა ამ ზღვარს უსწრებს და ამდენად, მგონია,
რომ დავითის კულტი მარტა სომეხ მონოფიზიტთა შორის ყოფილიყვის გავრცელებული,
სწორი არაა. ამას სხვათა შორის ამ ძეგლის ქართული თარგმანის არსებობა დაუჭერ-
და მხარს. სომეხ მარტვილთა წიგნებზე, როგორც ვნახეთ, შესრულებულია ქართულად
გარკვეული მიზეზების გამო უპირველეს ყოვლისა, ისევ სომეხთათვის, მაგრამ ქალკე-
დონისტთათვის. მხოლოდ მათგან, და არა მათი მიწინააღმდეგე ბნაჟიდან, სხენებული
თარგმანები შემდეგში ქართულ ეკლესიაშიც პოულობს ნაწილობრივ შეწყნარებას. სხე-
ლველობაში მაქვს აქ ტოლ-კლარტული წარმოშობის ჩვენი თარგმანების შემცველი «მრა-
კალთავი» და «კლარტული სვინაქსარი», რომლებშიც ხსენებულ მარტვილთათვის დაწე-
სებულია ხსენების დღეები. ამიტომ ვიმეორებ, ნაციონალიზებული, მონოფიზიტური სომხური
ეკლესიის წიაღიდან (726 წლიდან) ხომეხ მარტვილთა ხსენება ქართულ ეკლესიაში ვერ და-
ემტკიცებოდა, თუ ამ მარტვილთ აგრეთვე პატივისცემა არ ექნებოდა დამსახურებული სო-
მეხ ქალკედონიტთა შორის. აქიდან ცხადია, რომ სწორი ვერ იქნება შეხედულება, თუ
დავით ღვინელის მარტვილობა მხოლოდ სომხური მონოფიზიტური ეკლესიის პატივისცე-
მის საგნად გამოცხადდება.

დავით ღვინელის მარტვილობის ქართული თარგმანის წარმოშობის დროის განსაზღვრა
იმ გზით, რითაც ეს სხვების მიმართ ხერხდებოდა, აქ არ გვარდება. მარტვილის აღსრულების
სომხური თვე «არევი» რომ თებერვალს დაემთხვიოს, რაც «არევის» ბაღდად არის ქარ-
თულში დასახელებული, ეს შესაძლებელია ძველად (XI ს-მდე, რომლიდანაც ძეგლის ნუს-
ხას მოუღწევია ჩვენამდის) მხოლოდ 472-592 წ.წ. შორის, რაც შეუფერებელია არა თუ ქარ-
თული თარგმანის წარმოქმნისათვის, არამედ თვით სომხური დედნის აღმოცენებისათვის. თუ
გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ სომეხ მარტვილთა წიგნების ქართული თარგმანების დიდი
ნაწილი უეჭველად 836/840 - 956/960 წ.წ. შორის ჩანს ნათარგმნი და დავით ღვინელის
მარტვილობის თარგმანსაც ამ ხანას დაუუკავშირებთ, რაც სხვანაირად არც შეიძლება იყოს,
მაშინ იმ ნუსხას, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართულ თარგმანს, შეიძლება «არევის»
ნაცვლად «მარგაც» ჰქონოდა. მ. ორშანიანი, მართლაც, სომეხ სვინაქსარების (სვინაქ-
სარი) ცნობების მიხედვით, რომლებშიც ნათქვამი ყოფილა, რომ დავით ღვინელი
აღესრულა არევის 23-ს, აღდგომის დიდ ორშაბათსა, რადგან ვერ პოულობს მხარდა-
ჭერას იმ დროის «არევის» (უ.ი. იანვარსა) და აღდგომის თვეს შორის, რაც აპრილი იყო,
აგრეთვე იმას ასკვნის, რომ მარტვილობის წიგნის პირველ-დედანში «არევის» მაგიერ
«მარგაც უნდა ყოფილიყო, რასაც გადამწერი კარგად გერ დაჰკვირვებოდა».

¹ პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის სტიქიის მოკლე შემოხილვა, «მნათობი», 1939 წ.,
№ 10-11, გვ. 246-248.

² У. О. Оршаниани. Աղգայակարում, I, 49, 1912, გვ. 777, 8525.

ქართულიდან სომხურად შესრულებული თარგმანები აგვივრავთ დარკს ეკუთვნის. ბევრი არ მოგვეპოვება ასეთი, მაგრამ ის რაც მინც არსებობს, მოწმობს იმას, რომ თარგმნა ქართულიდანაც წარმოებულა და, მამასაღამე, კულტურული და ლიტერატურული კავშირი სომხებსა და ქართველებს შორის საურთიერთო ყოფილა. ჭერჭერებით სულ ირნი ძეგლი ჩანს ქართულიდან სომხურად თარგმნილი IX-X სს-ში: 1. « ცხორებაჲ დიონისიოსისი ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძმ სოკრატისი და მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაჲ »; 2. « წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი - იაკობ ცურცაველისა », მხოლოდ უკანასკნელი მთლიანად კი არაა თარგმნილი, არამედ გამოყრებილად, რაც სხვა შრომის შემადგენელ ნაწილად არის გამოყენებული.

იბ (II 1). « ცხორებაჲ დიონისიოსისი ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძმ სოკრატისი და მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაჲ ».

დიონისე არეოპაგელის ცხოვრების ქართული და სომხური ტექსტების ურთიერთ-თან მიმართება და მათი წარმოშობის საკითხი სისრულით ბელგიელმა ორიენტალისტმა პ. ჰეეტერსმა გაარკვია. მანვე გამოსცა პირველად ცხოვრების ქართული წიგნი ათონის « მრავალთავის » (ფოტო-ქირის) მიხედვით.

არეოპაგელის ცხოვრების კოქსტისაღმე ინტერესი პ. ჰეეტერსს აღეძრა ათონის ქართველთა მონასტრის რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერის აღწერილობით, რომელიც აქედ. ნ. შარმა ვამოაქვეყნა 1901 წ.¹ აღწერილ ხელნაწერთა შორის გამოვლიდა დიონისე ცხოვრების შემცველი ნუსხაც, რომელიც « მრავალთავს » წარმოადგენს (MS7), ცნობილს ათონის მრავალთავის სახელით. აღწერილობაში მოყვანილი სათაურისა და ცხოვრების დასაწყისის რამდენიმე სტროქონის შედარებამ ასეთსავე ნაწყვედთან სომხური ცხოვრებისა, რომლის ანღერძში (ქუჯარასკარას) ეს ძეგლი ვისიაკან-ქჩხაყას-ენიდან თარგმნილად იყო აღნიშნული, პ. ჰეეტერსს უკარნახა მიეჩნათა ქჩხაყას-ის დამახინჯებულ სახელ ქუასკას-ისა და ამრიგად სომხური ცხოვრების წიგნი ქართულიდან ნათარგმნად გამოეცხადებინა.²

პ. ჰეეტერსის ამ მოსაზრებას მალე გამოეხმაურნენ სამეცნიერო წრეები. პირველ რიგში სომეხი ფილოლოგები.³ ვენელმა მსოფთაოსტმა არისტ. ვარდანიანმა პ. ჰეეტერ-

¹ La version grec-arménienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite. « Analecta Bollandiana », tomus XXXIX. Bruxelles, 1921, pp. 277-313.

² H. Mapp. Азбуковнические патерисаги по греческому рукописи Ивсра. Загреб первая: Описанне нату персоналия рукописей. 380, т. XII, кн. II-III, стр. 3-88.

³ ნ. ქვეციტი შენიშვნები I, გვ. 196

⁴ P. Peeters. La version géorgienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite. « Analecta Bollandiana », tomus XXXI, 1912, pp. 1-10.

⁵ გამოეხმაურა აქედ. ნ. შარმა « Христианская Востока », 1912, т. I, стр. 96-97.

სის შეხედულება შესაწყნარებლად მიიჩნია, მხოლოდ ქიხიასკანს-ის აღმოცენება ქრისტიან-ისაგან კი არ დასახა, არამედ ქიხიასკანს-ისაგან¹.

ახეთი კერძო ხასიათის შენიშვნებს სომხურ სინამდვილეში საკითხს უფრო გარღმავებულად შესწავლაც მოჰყვა. 1913-1914 წ.წ-ში ჟურნალ ზანგეჰი ამასოქსაჰ-ს ფურცლებზე ვენეღმა მხითარისტმა, ცნობილმა ფილოლოგმა ნ. აკინიანმა სათანადო გამოკვლევის დართვით ცხოვრების სომხური წიგნიც გამოაქვეყნა ვენის მხითარისტების ხელნაწერთა კოლექციის ორი ნუსხის მიხედვით². გამოკვლევაში ავტორმა ვაითვალისწინა დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი (მაგრამ მეცნიერთაგან VII-VIII ს. . . ნატყურა ძეგლად მიჩნეული) ავტობიოგრაფიის რედაქციები სხვადასხვა ენაზე (განსაკუთრებით სირიული და არაბული), მათ შესახებ გამოთქმული აზრებითურთ, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცხოვრების სომხური წიგნი, რომელსაც საგრძნობლად იტყვიან სემიტური ენების წიშნები, ნათარგმნი უხდა იყოს სირიულიდან ან არაბულიდან, უფრო კი უკანასკნელიდან. ქართულიდან თარგმნი ამ ძეგლისა ისეთ ადრინდელ დროს, როგორსაც ანდერძი აღნიშნავს, ე. ი. IX ს-ის ვასულისათვის, შეუძლებელია. ესეც რომ არ იყოს, მთარგმნელად დასახელებული პირი, ვინმე იოანე მკურნალი, რომელიც ამ თხზულებას, თანახმად ანდერძისავე ცნობისა, იერუსალიმში თარგმნის, მას სირიულიდან, ან, უფრო სწორად, არაბულიდან გადმოიღებდა, რადგან პირველ რიგში ეს ენა უხდა სულწლად მკურნალს. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ალბათ თავისი ხელოვნების გასამდიდრებლად უძეგბაურნია პალესტინაში და იქ, იერუსალიმში, გადმოუთარგმნია არეოპაგელის ავტობიოგრაფია და იქიდან სამშობლოში მოუტანია. ქართული წიგნი კი დიონისეს ცხოვრებისა თვით უნდა იყოს სომხურიდან ნათარგმნი, რასაც ის ვარემოებაც მოწმობს, რომ ის იმ კრებულში მოიპოვება, რომელსაც სომხურიდან მიმდინარე ავტობიოგრაფიული ძეგლების უეჭველი თარგმანები დაუცავს.

ნ. აკინიანის გამოკვლევამ და გამოცემულმა ტექსტმა სამსახური გაუწია პ. პეეტერსს; მთავრებია გამოთქმული ძეგლის „ამონიკალთავში“ (ათონისა) დაცული დიონისე არეოპაგელის ცხოვრების ნუსხა და თანაც ცლილყო სათანადო გამოკვლევის დართვით დაემტკიცებია თავისი შეხედულების სისწორე. ეს საქმე მან 1921 წ. განახორციელა³. გამოსცა ხსენებული ნუსხის მიხედვით ცხოვრების ტექსტი, რასაც საკულისხმოდ გამოკვლევა წარუძღვანა, რომელშიც, სხვათა შორის, დაწვრილებითი ქანუხი გასცა ნ. აკინიანის მოსაზრებებს და ტექსტობრივი მარჯვე ანალიზის გზით უეჭველი გახდა, რომ აღნიშნული ნაწარმოები ნამდვილად ქართულიდან არის ნათარგმნი სომხურად.

პ. პეეტერსის დასკვნით დიონისე არეოპაგელის ცხოვრების ქართული ვერსია ყოველმხრივ ეთანხმება სომხურ ვერსიას, მცირე ვარიანტულ სხვაობათა გარდა. ამასთან მოჰყავს მრავალი ენობრივი (ლექსიკური რიგის) საბუთიც, მაუწყებელი იმისა, რომ პრიორიტეტი ქარ-

¹ „ზანგეჰი ამასოქსაჰ“ 1912, გვ. 281-285.

² ნ. აკინიანის. „მონაქონისაჲ აქიონის ზიონისთის ნაქსიოისის არქაჲსაჲსოჲ“. „ზანგეჰი ამასოქსაჰ“. 1913; გვ. 641-640 და 1914; გვ. 205-218.

³ P. Pöschel. La version arménienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite. „Analecta Bollandiana“, t. XXXIX, Bruxelles, 1921, გვ. გვ. 277-292 (გამოკვლევა), 293-313 (ტექსტი).

თულის სწასარგებლოდ წყდება. ვარდა ამისა რამდენიმე ითი sens-იც დაიჭირა, რაც აგრეთვე სომხურისათვის ქართულის დედნობას ადასტურებს.

არეოპაგელის ქართული ცხოვრების წიგნის დედანი პ. პეტერსის გამოკვლევით არაბული უნდა იყოს, რადგან ეს გამოსწავლის ლექსიკასა და სინტაქსშია. იერუსალიმს, ხაბას ლავრაში, სინასა თუ შავ მთაზე, სადაც ქართული ელემენტო მრავალრიცხოვანი იყო და საკუთარი სავანეებიც ჰქონდათ, ადვილად შეიძლებოდა ეს ძეგლი არაბულიდან ეთარგმნათ, ამტკიცებს სრულიად მარაგებულად ბელგიელი მკვლევარი¹, რაც არ შეიძლება არ გაიზიარო კაცმა მის სხვა საბუთებთან ერთად.

ასეთია მოკლე დიონისე. არეოპაგელის ცხოვრების ქართული და სომხური წიგნების შესწავლის ისტორია. P. Peeters-ის საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ უცლობლად არის დადგენილი², რომ ხსენებული ცხოვრების ქართული წიგნი არაბულიდან არის ნათარგმნი, ხოლო სომხური-ქართულიდან. ერთი და მეორეც ქართული მწერლობისა და საერთოდ კულტურის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს. კერძოდ ქართულ-სომხური ურთიერთობისათვის ამ ენებზე დაცულ ცხოვრების წიგნებს უადრესი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ისინი ამ ურთიერთობის გაჩვენებულ დროსა და ადგილზე მიათითებენ. ამჟამად ისინი ერთ-ერთ ისეთ დოკუმენტს წარმოადგენენ, რომლის მიხედვით შეიძლება გაითვალისწინოს მკვლევარმა ენობრივი ბივის საკითხები სომხურისა და ქართულისათვის ძველად (IX-X სს-ში).

ცხოვრების წიგნთა ხელახალი გამოცემა იმით არის აქ გამოწვეული, რომ ჩვენ მოვიძიეთ წინანდელ გამოცემებში გამოყენებულ ნუსხებზე უფრო ძველი ნუსხები, როგორც ქართული (თუმცა ნაკლებევიანი) ისე სომხურიც, რომლებიც იმათთან მიმართებით, რა გამოცემებით ვიყით, უკეთ მართავენ ტექსტებს.

ივ (II 2). «წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, საკობ ცურტაველისა».

იაკობ ცურტაველის ნაწარმოები, «მარტვილობაჲ შუშანიკისი», როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 0170), პირწმინდად კი არ არის სომხურად ნათარგმნი, არამედ გამოკრებილი. იგი შესულია, როგორც შემადგენელი ნაწილი ნაწილობრივ კომპილაციური ერთი სომხური ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება: «*Պատմութիւնս սբոյ խաչին Տունեսայ*», որ այժմ «*Հասնսդի կոչի*», հოբ Ահարոնի «*Հասնսդեցոյ թողի*»³ სբოյს Աსინդესანց, «*Եղևանի գեղի*»⁴ որ ի «*Հասնսդ*», ეյժ աշխարհութեամբ և խուզիլ քննեսլ ի բազում մարտից հայոց և վրաց՝ յաղագս սբոյ խաչին Մցիխայի, որ այժմ բնակեսլ առ մեզ ի Կեսաղու-

¹ იქვე, გვ. 285-286.

² თუმცა ზოგჯერ ანგარიშს არც უწევენ. ნ. შავ. აქად. პრ. აქარიანის სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 1220, სადაც ნ. ავიანიანის შეხედულებაა გაზიარებული.

³ სილს - ნუსხით. ⁴ რიკის - ნუსხით.

* ეს თავი წავიკითხე მისხნებელ საქართ. სსრ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ-მის სამეცნიერო სესიებზე 1941 წ. 13-VI, სათაურით: „იაკობ ცურტაველის თხზ-ბა, როგორც ერთ-ერთი წყარო აშარონ ვინანდელისა“.

ქნსტ ჩაყენის ჩრჩაყიჩი (მოთხრობა ნინოს წმიდა ჯვრისა, რომელსაც ეხლა ვანანდისა ეწოდება, მამისა აპარონ ვანანდელისა, წმიდა ლეონტიელთა მთამომავლისა, იქვეანის დაბიდან, რომელიც ვანანდს არის, ფრიადი შრომითა და ძიებით გამოკვლეული სომეხთა და ქართველთა მრავალმაგნიანთაგან, მცხეთის წმიდა ჯვრისათვის, რომელიც ეხლა იმყოფება ჩვენთან ჯვარცმული ქრისტეს მოხილვით).

აპარონ ვანანდელის ეს თხზულება, რომლის ნაკლულევანი ნუსხა (XVIII ს-ისა) დაცულია სომხეთის სსრ. სახკომსახჭოსთან არსებულ სიძველეთ-საცავის («მატენადარანისა») ერთ-ერთ ხელნაწერში (№ 1885), იწყება ქართველთა განმანათლებლად წოდებული ნინოს ისტორიით, რასაც მოსე ხორენელთანაც ვხვდებით («სომხეთის ისტორია» II 86). მოსე ხორენელის ისტორიიდან გამოღებულ ამ ნაკვეთს მოსდევს თხრობის კავრძელებად სხვა წყაროდან გამოკრებილი მასალა. ერთი წყაროდან მეორეზე გადასვლა სავანეებოდ არის აღნიშნული სიტყვებით: «*ჩაყენ მქე ჩარბიქე სასიქს ჩ სიქს ყაყიჩიქის სიქიქსა ჩაქის*» (ხოლო ჩვენ მივიქცეთ წმიდა ჯვრის იმავე თხრობისაკენ). თუ რა მოცულობის არის ეს ნაწილი, სამწუხაროდ ნუსხის ნაკლულევანობის გამო არ ირკვევა, ხოლო თუ რას უნდა შეიცავდეს ის, ამის გათვალისწინება ძნელი არ არის, რადგან მისი დასაწყისი აღნიშნულ ნუსხაში შენახულია. ამ ნაწილში შუშანიკის მარტვილობის ისტორია არის მოთხრობილი.

შუშანიკის მარტვილობის თხრობა ასე ჩართული მცხეთის ჯვრის ისტორიაში ჩვენ დაცული მოგვეპოვება სომხურ სვინაქსარებშიც. სვინაქსარებში ეს ადგილი შუშანიკის მარტვილობის მეტად მოკლე თხრობით იწყება¹ შემდეგ იქ ნაამბობია, თუ როგორ გაიგანა ქართლიდან ეს ჯვარი შუშანიკის მახლის, ჭოჭიკის, დახმარებით შუშანიკის სანახავად მოსულმა ტარონელმა მოწესემ, ანდრეასმა, რომელმაც ის ჯერ ტაოს და შემდეგ ისპირს მიიტანა. მერმე კი სვინაქსარებში აღნიშნულია ამ ჯვრის შემდგომი თავგადასავალი: მოგზაურობა ისპირიდან ტარონს, ტარონიდან - ვანანდს, მოციქულთა სავანეში, აქიდან - ყარსს (931 წ.), ყარსიდან - ანისს (1094 წ.) და, ბოლოს, სრული გაქრობა თათართა შემოსევის დროს (1236 წ.).

სვინაქსარულ წამება-ცხოვრებათა კრებულების ძველ ხელნაწერებს სომხურში XIII ს-დან ვხვდებით. ზემოთ აღნიშნული შინაარსის მქონე მცხეთის ჯვრის ისტორია იქ მხოლოდ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან თუ მოხვდებოდა, რადგან ჯვრის თავგადასავალი, როგორც ვნახეთ, 1236 წლამდის არის მოყვანილი. მცხეთის ჯვრის სვინაქსარული თხრობისა და ვანანდელის მიერ ამავე ჯვრის შესახებ შედგენილი თხზულების ერთნაირი აღნაგობა, ეჭვი არაა, იმის მომასწავებელია, რომ უკანასკნელი (ე.ი. ვანანდელის თხზ-ბა) წყაროა ქირველისა (ე.ი. სვინაქსარებისა).

აპარონ ვანანდელის ნაწარმოების უნაკლულ ხელნაწერი ნუსხებიც არსებობენ თურმე, როგორც ამას სათანადო სამეცნიერო ლიტერატურიდან ვცნობილობთ. ცნობებს მათ შესახებ ვხვდებით ლ. ალიშანთან და აუად. ნ. მართან. ლ. ალიშანი თავისი ჯაყაყაყიჩი-ის I წიგნში: «*ოაყიჩიქე ჩაყიქე-ში*», სომეხ შემადგინეთა მქერვიქი

¹ სვინაქსარების თხრობანი ნ. ჩვენს გამოცემაში «*იაკობ ცურთაველი - მარტვილობა შუშანიკის*», დამატება, გვ. 57-63.

ათავსებს აპარონ ვანანდელსა¹, რომლის თხზულების შინაარსზე აქ იგი მეტად მოკლედ საუბრობს. შედარებით უფრო მეტ ცნობებს ვანანდელის თხზულების შესახებ რ. ალიშანი თავის ერთს სხვა ნაშრომში - *Այրարար-ში* - იძლევა². როგორც აქიდან ვიგებთ, მის ნუსხას შემდეგი სათაური ჰქონია: «*Պատմութիւն սրբոյ Նշանի Նունէի Կրայ Կաս առաջնորդի, որ Արարինի Կանանդայւոյ Թոռին Ղևնդ Երիցի, ի յիջաւանից գեղջէ, բազում աշխարհութեամբ և խուզի քննեալ ի բազում մարտից Հայոց և Կրայ » (მოთხრობა ნინოს წმიდა ნიშისა, ქართლის წინამძღვრისა, მამა აპარონ ვანანდელისა, ლევონდი ხუცის შვილის შვილისა, იჯავანის სოფლიდან, დიდი შრომითა და ძიებით გავმოკვლეული სომეხთა და ქართველთა მადიანთაგან)»³. ჯვრის თავგადასავალი აქ მოყვანილი ყოფილა 912 წლამდის: «*Ի կարարմնն Սարգսայ (Աթագաւորի, յորում) Բնէ կործանումն եղև աշխարհիս Հայոց » [აღსასრულსა სუმბატისსა (Ե მეფისასა, რომელსა) დიდი ճակոճա իქմնա ժրեցանისა ამის სომննետისաւա]*. ხსენებული ჯვრის შემდგომი თავგადასავალი, რასაც სვინაქსარები მოგვითხრობენ, ამ ნაწარმოებში აღარ ყოფილა⁴.*

რადგან აპარონის შრომა 912 წლის ამბებითა ყოფილა დასრულებული, ამიტომ იგი ალიშანს X ს-ის დამდეგის მოღვაწედ მიაჩნია: «*Եւոջրոճա, մամասաճամե, Ենարոնի մամին (Գ. 912 թ.) և րնճա ճարճակլիւղիւոյ 931 թընթե րწինարց, րաճան ამ թըն ճարի ճանճըլճան Կարնն իճკլոնն Գճուլն, րայ Գճար իხնեղեճա մის իսტորիանի»*. თავის იმ ნაშრომში კი, რომელსაც *Հայաստանում ეწოდება*, იგივე მკვლევარი, როცა აპარონის ხსენებას მხითარ აირივანელის ქრონიკაში შენიშნავს, მის მოღვაწეობას IX ს-ის გასულსა დებს⁵.

რ. ალიშანი იმასაც გვამცნობს, რომ აპარონ ვანანდელის სახელით ცნობილი თხზულების მის ნუსხას ბოლოშიტყვაობა ჰქონია, ხალაც აპარონი მოხსენებული ყოფილა, როგორც ამ ჯვრის მსახური და მას, როგორც ის იუწყება თურმე, თავისი ნაწარმოებისათვის წყაროდ გამოუყენებია და ცნობებაც გამოუკრებია: «*ՂԱԿԱԹԱՆԿՆԵՂԱՅ ԱԿԱԿՄԱԳՐԷ, և ի վկայութենէ Ըղւշանկանն, և ի վարուց սրբոյն Սարգսայ, և ի ճգնաւորէն Անդրէասու: Կփի և ճրբոյն Հմայնի վկայաբանութիւնն՝ քառասուն արամբ: ի րանն ճայոց, որ այժմ Գառանի վանք կոչի. գփի և այլ բազում յիշարակս սրբոց, որոց յոռացմունք եղեալ (Լր) ի րագնայ լինլոյ աշխարհիս » (ავთანეველ ისტორიკოსისაგან, შუშანიკის წამებიდან, წმ. საპაკის ცხოვრებიდან და ანდრეას მოწესისგან. ვიპოვე წმ. ჰშითაკის წამებაც ორმოცდ კაცითურთ, ტაოში, რომელსაც ეხლა ორბეოცთა საჳანე ეწოდება; ვიპოვე სხვაც მრავალი სახსუნებელი წმიდათა, რომლებიც დავიწყებან მისცემოდნენ ჩვენნი ქვეყნის განაჭირში ყოფნისგან)»⁶.*

¹ Բ. Ալիշან. Հայաստանում, պատմիչք և պատմութիւնք Հայոց. Կենսրիկ, 1901. I, გვ. 78-79.
² Բ. Ալիշან. Այրարար բնաշխարհ Հայաստանსայ. Կենսրիկ, 1890, გვ. 104-5, შენიშვნა.
³ იქვე, გვ. 105, შენ.
⁴ იქვე, გვ. 105, შეն.
⁵ იქვე, გვ. 105, შეն.
⁶ Բ. Ալիշან, Հայաստանում... I, გვ. 78.
⁷ Բ. Ալիշან. Այրարար... გვ. 105, შენიშვნა.

აკად. ნ. მარს აჭარონ ვანანდელის თხზულების ნუსხა მიუკვლევი და გადმოუწერილი თავისი მოგზაურობის დროს 1902 წ. იერუსალიმს. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ ამ მოგზაურობის ანგარიშში: «*Людопытными оказались списанные мною в монастыре св. Аахובה армянская версия Истории св. Нини и особенно История св. Креста Нини. Последняя составлена Аароном Ванангским на основании армянских и грузинских источников, как заявляет сам автор. В числе неизвестных армянских источников для жизни Нини автор называет, и это весьма любопытно, Историю Агафангела, из которой он приводит целый пространный отрывок. Весьма любопытно это в том отношении, что Аарон Ванангский, очевидно, имел в руках ту армянскую версию Истории Агафангела, какую располагал Моисей Хоренский... В труде Аарона Ванангского, кроме того, имеются и интересные исторические данные*»¹.

როგორც ვხედავთ, აჭარონ ვანანდელის თხზულება მრავალმხრივ საგულისხმო ნაწარმოებია ყოფილა. ჩვენი ნუსხის ზემოთ მოყვანილი სათაურის მიხედვითაც მცხეთის ჭკრის ისტორია, რომელიც მის იუტორს სომხური და ქართული წყაროებიდან ვამოუკრებთ, მოყვანილი უნდა ყოფილიყო იმ აღგილამღის, ხედაც საუბარია ამ ჭკრის ვანანდელი ყოფნაზე. ვანანდიდან დაძვრა და მისი შეძღვრები თავდადასავალი, რომელიც ლ. ალიშანისკე ცნობათ, ზოგან თითქოს მოთხრობილი ყოფილა (ჟაყაყაყა: ყილმ, I, გვ. 78-79), იქ შემდგომი დროის დანართი უნდა იყოს. ჩვენი ნუსხის სათაურის სიტყვები, რომ ჭკარი «*გზლა ჩვენთან მკვიდრობს*» (ორ აჟამ რნაკსაჟ აჟაქსჟ; იერუსალიმის ნუსხით: *ორ აჟამ რნაკსაჟ ჟ ქერქიჟ მსრომ*), ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ცხად ჰყავს, რომ ამ ისტორიაში მისი ვაქრობის ამბავი აღარ უნდა ყოფილიყო მოთხრობილი. თუ აუტორის ექსაუტო - ვანანდელი - მის ვანანდში მკვიდრობას გულისხმობს, მაშინ ვამონათქვამიდან - რნაკსაჟ აჟაქსჟ (ჩვენთან მკვიდრობს) - ნათელი ხლება, რომ ეს ისტორია მაშინ შეუღვენია მის ავტორს, როცა ეს ჭკარი ვანანდიდან ჭერ კიდე არ ყოფილა დაძრული, ე. ი. 931 წლამდის. ამიტომაც ლ. ალიშანის ის მონაზრება, რომ აჭარონ ვანანდელი X ს-ის დამდეგს წერს თავის თხზულებას, სწორი გვეჩინია.

აჭარონ ვანანდელის მოღვაწეობას ამ დროს მხითარ აიროვანელის ცნობაც უნდა უჭერდეს მხარს, რაც ჭერ კიდეც ლ. ალიშანმა აღნიშნა. მხითარს «*მამა აჭარონი*» დასახელებული ჰყავს «*მამა გავიკისა*» და «*უყაღ მაშტოცის*» გვერდით: «*Ասոր հայր Գազիկ, հայր Ահարոն, որ էր Մաշտոց, որ 40 ամ հայ ոչ եկեր*» (აქა, ე. ი. 885 წლის თარლის ქვეშ, მამა გავიკი, მამა აჭარონი, უფალი მაშტოცი, რომელმაც 40 წელი პური არა ჭამა)². «*მამა გავიკი*» ადომინანთა სავანის წინამძღვარია, რომელმაც ასლოციის ცნობით

¹ Н. Марр. Предварительный отчет о работах на Синае восточных в сотрудничестве с И. А. Давташадянц, и в Уорусалиме в поездку 1902 (апрель-ноябрь). «*Сообщ. Уаг. Прав. Палест. Общ-ства*, т. XIV, т. II, 1903 г., стр. 36.

² Սիւրբարաւ Արիւմանսկոյ Պապուրիւն Հայոց... Մոսկւա, 1860, გვ. 55.

«*դշაყარაკ մարտիրոսացն ժիսյարեալ ի գիր, որ Ասոմայ գիր (ս.არ. Ասომարիրს) անու-
անեալ ասի*» [მარტვილთა ხსენება შეიჭანა წიგნში, რომელსაც ატომის წიგნი (ს.არ. ატომის
ღებული) ეწოდება]¹. «*ატომის წიგნად*» თუ «*ატომის ღებულად*» მკვლევრებს ე.წ. *ასომარ-*
ირ *ნაძღესაჲრ* ესმისთ, ე.ო. «*მრავალთავის*» ერთ-ერთი რელაქცია². ასოლოკის ცნობითვე
მაშტაცი ჯერ სევანის მონასტრის განთქმული მეუღაბნოეა და შემდეგ სომხეთის კა-
თალიკოსი³. ორივეს მოღვაწეობა IX ს-ის გასულს მოდის⁴; თუ «*მამა აპარონი*» ჩვენი
აპარონ ვანანდელია, როგორც ეს, მგონია, მართებულად მიიჩნია ლ. ალიშანს, მაშინ
ისიც, რასაკვირველია, ამათი თანამედროვეა.

IX ს-ის გასულსა და X ს-ის დამდეგს მოღვაწე აპარონ ვანანდელის ხსენებული ნა-
წარმოები რომ ამომწურავად დავახსიანთოთ, საჭიროა ხელთ გვჭინდეს მისი სრული,
უნაკლულა ნუსხა, რასაც ამჟამად მოკლებული ვართ⁵. მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ
ნაწილის მიხედვითაც (ზემოაღწე მოყვანილ ცნობებთან ერთად), რომელიც ჩვენს გან-
კარგულებაშია, შეგვიძლია ამ ძეგლის ერთი საინტერესო მხარე მაინც გავითვალის-
წინოთ შუშანიკის მარტვილობასთან დაკავშირებით. ეს კი ისაა, რომ აპარონ ვანან-
დელს, რომელსაც, როგორც მისი თხზულების სათაურშია აღნიშნული, გამოუყენე-
ბია ქართული წყაროებიც, კერძოდ, როგორც ირკვევა, ხელთ ჰქონია «*შუ-*
შანიკის მარტვილობის» ქართული ტექსტი იაკობ ცურცაველითა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აპარონის თხზულება იწყება ხინოს მოღვაწეობის აღ-
წერით, რომელიც მოსე ხორენელის ისტორიიდან არის გამოღებული (II 86). ამ ნაწი-
ლის მომდევნოა შუშანიკის მარტვილობის ამბავი, რომელიც, როგორც ვნახავთ, «*შუშა-*
ნიკის მარტვილობის» ქართული წიგნიდან არის გამოკრებილი. ამრიგად, აპარონის ისტო-
რიის სათაურში აღნიშნული ცნობა, რომ ღიღი ძიებით გამოვიკვლიე სომხური და ქართუ-
ლი მატრიანებიო, მართლდებო. ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული მომენტები, რომ ამა დამ
წყაროდან გამოვკრიბე საჭირო მასალაო, ჩანს თითქოს თანმიმდევრობით ტექსტისა
არის ჩამოთვლილი. პირველად აქ აგათანგელოსია ნახსენები, მაშინ როცა, როგორც
ჩვენ ხელთ არსებული ნაკლულევანი ნუსხა გვირკვევს, მოსე ხორენელია გამოყენე-
ბული. მოსესასაგან გამოკრებილი ეს ნაწილი აგათანგელოსისად აღმათ იმიტომ არის
გამოცხადებული, რომ იგი მოსეს ისტორიაშიცა და ჩვენს ნუსხაშიც მთავრდება
მითითებით აგათანგელოსზე, რომელიც ხორენელისათვის თითქოს წყარო ყოფილიყოს ნი-
ნოს მოღვაწეობის წარმოსადგენად⁶. აგათანგელოსის შემდეგ შუშანიკის მარტვილობაა

¹ *Սպեփանոսի Տարոնեցոյ Ասողկան Պատմութիւն Կիւղերական. ՍԳԲ, 1886, ցვ. 160.*

² *Մ. Օրմանեան, Աղգապարտւմ, I, 5 673.*

³ *Սպեփանոսի Տարոնեցոյ Ասողկան Պատմութիւն ... ցვ. 160 და ցვ. 259.*

⁴ *Մ. Օրմանեան, Աղգապարտւմ, I, 5 673.*

⁵ ვეცადე მიმეღო ლენინგრადიდან პროფ. ვ. ღონდუას მეშვეობით აკად. ნ. შარის ვად-
მონაწერი ნუსხის პირი. ვადაშიდეს კიდევაც, მაგრამ სხვადასხვა ვართულების გამო ჯერხნობით ვერ
მოსურსდა ვადმოგზავნა.

⁶ *Մ. Խորենացոյ Պատմութիւն Հայոց ... Տփղիս, 1915, ցვ. 234. აპარონ ვანანდელის ის-
ტორიის ეს ნაწილი, «*ნინოს ცե՛ն*», ნ. პროფ. ლ. შეღიჭსეთ: ბეგვის გამოცემაში, Աւտօրագ
Իրեցա Խոսի [Տեղեկագիր ՍՍՄՄ գիտութ. ակադ. հայկական ֆիլիալի, 1941, ցვ. 63].*

დასახელებული აპარონის ისტორიის ბოლოსიტყუაობაზე. ჩვენი ნუსხითაც, როგორც ვნახეთ, მეორე აღვილს შუშანიკის მარტვილობაზეა საუბარი, რაც იაკობ ცურტაველის ნაწარმოებთან არის გამოკრებილი. «შუშანიკის მარტვილობის» შემდეგ მომდევნო წყაროდ ბოლოსიტყუაობაში ჯერ «საძაგის ცხოვრებაა» დასახელებული და შემდეგ «ანდრეას მოწესე». მართლა ასეა ეს თუ არა, და რანაირია ის აღვილები, რომლებიც ამ წყაროებთანაა გამოკრებული, ამის ვარკვევა მხოლოდ სრული ნუსხის შესწავლით მოხერხდება. ამჟამად კი, როცა ასეთ ნუსხას მოკლებული ვართ, ეს შეუძლებელია. ინტერესი ამ ნაწილებთანაა მინც დიდი რჩება: იმ შენიშვნების შემდეგ მინც, რომლებიც აქაღ. ნ. მარმა წარმოადგინა თავისი ანკარიში სიხასა და იერუსალიმში მოკვებურობისა (ნ. ამონაწერი ზემოთ, გვ. 0175).¹

იმის დასადასტურებლად, რომ აპარონ ვანანდელის თავისი თხზულებისათვის ცურტაველის თხზულებით სარგებლობს; საკმაოა ჯერ იაკობის ნაწარმოების ხათანალი

¹ შესწორებათა აკადემიის სიმეხთის ფილიალის ორგანოში [სხეცყაფიქ სუნიწ ფიქოლ-ქიონსსსრქ აცყარესქაქი ჯაყყაყანს ჭქქსაქი, 1941 წ., გვ. 61-63] ჰრიფ. ლ. მელოქსეთ-ბეგმა იერუსალიმის ნუსხით გამოაქვეყნა, როგორც მას ჰგონია, აპარონ ვანანდელის «ნიხონ წმ. ჯვრის ისტორიის» «სრული ცექსტი», ნამდვილად კი მხოლოდ დასაწყისი ნაწილი. ეს ნუსხა, ჩვენი აზრით, აპარონ ვანანდელის თხზულებას შემსყველი იმ ხელნაწერიდან უნდა იყოს იღებელი, რომლის შესახებ, როგორც ზემოთ ვნახეთ, აქაღ. ნ. მარი გვაწვლიდა ფრიად საინტერესო ცნობებს, რომელთა შესახებ ხსენებაც კი არხადაა პრიფ. ლ. მელოქსეთ-ბეგის იმ მიმოხილვაში, (გვ. 59-61), რომელიც მან წარუმიძღვანა მის მიერ გამოქვეყნებულ ცექსტის სხეუბის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა დაფასებისას (ანინონს ჯვრის ისტორიის» შესწავლის საქმის ცადმოცემის დრის) მიმოხილვის ავტორს შრავილი გაუგებრობა გააჩნია. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის; რომ პრიფ. ლ. მელოქსეთ-ბეგის სასრულით არ იცნობს «მცხეთის ჯვრის ისტორიის» გარშემო არსებულ ლიტერატურას, რაც ძირითადად მის მიერ მოხმობილ აკლორებებსეე ეკუთვნის.

ღ. აღიშანი, რომელსაც პრიფ. ლ. მელოქსეთ-ბეგის იმწმებს, «მცხეთის ჯვრის ისტორიის» არა ერთხ, არამედ ორ ძეგლს იცნობს. ერთი «საა, რომელიც სვინაქსარებშია («ამისაფურქებშია») შესული და რომლიდანაც ერთი მომესტი დასახელებული აქვს აღიშანს ვალარშაქათან დაჯავშირებით, თავისი კაბითალურ ნაშრომში, სკრაფისაში, სახელდობრ ის, რომ ერთ დრის ოსტოიანმა სფიმ (და არა აფიმ, როგორც მას არა ერთხელ პრიფ. ლ. მელოქსეთ-ბეგის ეძახის) ვალარშაქათანის კათედრალი ააიხრა, და მეორე კი აპარონ ვანანდელის ნაწარმოებია, რომელზედაც იმავე ნაშრომში საუბრობს ღ. აღიშანი (გვ. 104-105, შენიშვნა), რაც მიმოხილვის ავტორის მიერ უყურადღებოდ არის დატოვებული. რამ ავტორს (პრიფ. ლ. მ. ბ.) ამ აღვილისათვის ყურადღება მიექცია, მაშინ ის დაინახავდა, რომ აქ აღიშანის მიერ დასახიათებული «სისონ ჯვრის ისტორია» სხვა ირაფერია, თუ არამის განკარგულებაში არსებული ნაწარმოები, რომელსაც ის აქვეყნებს და რომელიც მას იერუსალიმის ნუსხის სახით «უნიკალურ ხელნაწერად» წარმოუდგენია. ნათლად შეამჩნევდა აგრეთვე მასაც, რომ მისთვის მოწოდებული ნუსხის ძირითად ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, არამედ მის დასაწყისს ექვე მიინც, რომ მოწოდებული მასალა მთლიანი ნაწარმოები არაა, ამის გარეშეც შეიძლებოდა აღძრვილა კაცს, რადგან ქართ. და სიმს. ლიტერატურული ურთიერთობა

ადგილის (თავი 1) გვერდით მოეყვანათ მთლიანად კანანდელის შრომის ის ნაწილი, რომელიც ჩვენს ნაკრულებს ნუსხაშია დაყუდი, და მერმე ერთიმეორესთან დაპირისპირებით შევისწავლოთ ისინი.

იყო მერვესა წელსა [შ რ III] სპარსთა შეფისასა. კარად სამეფოდ წარმართა ვარსქენ ჰიფიასში, (128 არმუშაჲსი, რამე-

შოქტერიოჲთი აჲთი შაჲყუდუჲთი იორღოჲ ორღაჲსა, შარჲჲთი აგრჲჲთი განაჲსაჲსა, ხ იოღღჲსი აგრჲჲთი ორღაჲსი (ორღაჲსი) რეხჲჲთი.

რამდენიმე დღე ვაღმარებელი ხსენებული შახლა ისე არ მთავრდება, როგორც ეს ამ კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებში ხსენდება, სახელდობრ აქ იხილება ასეთ შემთხვევებში დამახასიათებელი დაბოლოება: «ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჟამ».

ამ ადგილთან ერთად რომ ქროფ. ჯ. მელიქსეთ-ბეგს გაეთვალისწინებინა აგრეთვე აკად. ნ. შარის 1902 წლის მოგზაურობის ანგარიში, სადაც სხვათა შორის საუბარია აპარონ ვანანდელის ანონის ჯვრის ისტორიის ხელნაწერზედაც, რომელიც აკად. ნ. შარს მიუკვლევი იმპერატორ-საყუდუღი, სიღანაჲ ქროფ. ჯ. მ.-ის მიერ გამოცემული ამავე ჯვრის ისტორიის ტექსტის მომდინარეობს. უეჭველი გახდებოდა მისთვის, რომ აკად. ნ. შარი « მცხეთის ჯვრის ისტორიას » იცნობს არა მარტო ჯ. ალიშანის « მითითებებზე დაყრდნობით, არამედ დამოუკიდებლად. ჩვენი დაკვირვებით, აკად. ნ. შარსაც იმავე ხელნაწერთან უნდა ჰქონდეს საქმე და იქიდან ჰქონდეს ვაღმარებელი ვანანდელის ნაწარმოები, სადაც ქროფ. ჯ. მ.-ს მოაწოდეს ამ ძეგლის დასაწყისი ნაწილი (და არა მთლიანი ნაწარმოები, როგორც ეს მას ჰგონია). სწორედ ამ სეკლით უნდა ეხელმძღვანელა აკად. ნ. შარს, როცა მან გამოთქვა შეხედულება, რომ «წმ. ნინოს ჯვრის ისტორია » ქალაქლინდურ ნაწარმოების ნაწარმოებია და იხილ. ალიშანის იმ მითითებით, რომელსაც ქროფ. ჯ. მ.-მ. აღნიშნავს და რომელიც სვინაქსარებში შესულ «მცხეთის ჯვრის ისტორიას» ვარაუდობს.

აღნიშნული ნაწარმოების გაუთვალისწინებლობის გამო კი ეხლა - 1. გამოქვეყნებული ტექსტი განსაზღვრულია აპარონ ვანანდელის « ანონის ჯვრის ისტორიის » როგორც მთლიანი ნაწარმოები; 2. იერუსალიმის ნუსხა წარმოდგენილია « მცხეთის ჯვრის ისტორიის » ერთადერთ ხელნაწერად, მაშინ როცა, რომ იხილავთ ვთქვათ ჩვენს ნუსხაზე, ჯ. ალიშანსაც ჰქონდა კიდევ ერთი სხვა ცალი; 3. გაურჩეველია ერთიმეორისაგან, რომ სხვა სვინაქსარის « ისტორია მცხეთის ჯვრისა » და სხვა აპარონ ვანანდელის ამავე ჯვრის ისტორია; 4. უმართებულოდ არის წარმოდგენილი ძიება ვაღარშაჲთის მთხრე ბისა (რომელსაც ჯ. ალიშანი იმეჩმეზს (მცხეთის ჯვრის ისტორიიდან ») აპარონ ვანანდელის ნაწარმოების გამოქვეყნებულ ნაწილში, რადგან ეს მოიხსენიება სვინაქსარში წარმოდგენილი « მცხეთის ჯვრის ისტორიიდან » არის მოყვანილი, რაც რედაქციულად და შედგენილობითაც უფრო ისტორია არ არის, რომელსაც ვანანდელი თხზავს ნ. ასევე მყარად არის ნაგულისხმევი, რომ აკად. ნ. შარი მარტო ალიშანის იმ მითითებას ეყრდნობოდა აპარონის იხილებების ქალაქლინდურ ნაწარმოებზე დასახვის დროს, რასაც ქროფ. ჯ. მ.-მ. შენიშნავს და რაც სვინაქსარის « მცხეთის ჯვრის ისტორიას » შეეხება და არა ვანანდელის მიერ შედგენილ ამავე ჯვრის ისტორიას, რომლის მხოლოდ ნაწყვეტიც დღეს გამოქვეყნებულია. ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, უსაბუთოა ქროფ. ჯ. მელიქსეთ-ბეგის გამოცხადებით აკად. ნ. შარის ხსენებული მოსაზრების შესახებ, რომ ვანანდელის გამოქვეყნებულ ნაწარმოებში (ნამდვილად კი მის დასაწყის ნაწილში) « ჩვენსაჲსი ყვანაჲთისი, ნათ მარტო »

თუ) პირველ იგივე იყა ქრისტიანე, ნა-
შობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ ჭ
ცოლად მისა იყა ასული ვარდანისი სომეხ-
თა სპაჰტისაჲ, რომლისათვის ესე მიჰწე-
რე თქუენდა, მამისაგან სახელით ვარ-
დან და სიყუარულით სახელი მისი
შეშანიკ, მამიში ღმრთისაჲ (ვითარცა
იგი ვთქუთ, სიყრმიტგან თვისით...) I 6-12.

არცა ჭირი ეხილვა, (არცა შიში, არ-
ცა მახვლი), არცა აყრობილებჲჲ (ქრისტეს-
თვის). რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე
სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა ში-
ლებისათვის, ან ძლუნად თავსა თვისსა შე-
სწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარისყო-
ფითა ჭეშმარიტისა ღმრთისაჲთა და
თაყუანის სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვ-
ლით კერძოვე თავი თვისი ქრისტესგან ვა-
ნავლდ. ხოლო (საწყალობელი ესე) ცოლ-
სა ფთხავდა (სპარსთა) მეფისაგან, რაჲ-
თამცა (სათნო ეყო მეფესა. და ესრეთ
ეცყოდა, ვითარმედ) «რამელი იგი ბუნე-
ბითი ცოლი ირს და შვილინი, იგი ინიცა
ესრევე შივამცინე შენსა შჭულსა,
(ვითარცა ესე მე)»... მამინ ვანიხბა-
რა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა
ასული მეფისაჲ. I 19-30.

და იჯმნა... II 1.

პარალელურად მოყვანილ ტექსტებს თუ გულმოდგინედ დავუკვირდებით, ვნა-
ხავთ, რომ აპარონ ვანანდელი, რომელიც «შუმანიის მარტვილობის» ქართულ
ტექსტს იყენებს უცილობლად თავისი შრომისათვის წყაროდ, თითქმის სიტყვა-სი-
ტყუით გამოჰყრებს მისგან აღვლილებს თანმიმდევრებით [გადახრა, რომელსე ურთი-
ერთის მიმართებით გამოკრებილი აღვლილებს გვიჩვენებს, დაშლით ან წინწყლებით გვაქვს
ტექსტებში წარმოდგენილი, ხოლო ურთმანეთთან შედარებით ზედმეფად აღმოჩნდოლი
სიტყვები თუ ფრაზები ერთისადაც და მეორისაც ფრაზებში გვაქვს ჩანსეული].

როგორც წყაროსაგან გადახრა, ისე წყაროსთან მიმართებით ზედმეფი აღვლიე-
ბის გაჩენა სომხურში, აღვილ-აღვილ წესიერ მოვლენად მოჩანს. ასე მაგ., ერთგან
სომეხი ავტორი ქართული წყაროს ამ აღვილს, რომელიც მის შემოქმედ. ქართველ

კათალიკოსს ფრიასონსაჲ ქრ. იორი ჩორ და
აორ ფრიასონსქი: ხე კინ იხერ დეოსაჲრ
ქარაგანსაჲ ' რაიეჲ საყარაყაჲრქი, ქლანს
იორქი გრემ საროგოიქსამქ. სორა
ანოხს ქრ ქიორქ ქარაგანს[ი]ქი, და
ქი გგოლანსაჲ ჩოლანსქი ანოლანსეჲა
(სასაროლანსაჲრ და რარეყაჲრქი) და ხერქ-
ხილად ქლასოიქი;

ხსკ დეტაქსნი ხერს (ხეჲსა ქი დოლან
არქოლსქი და) კანოქიანს ქინქრქი რაგალორქის
მოარაქი იქი ხერქსანოიქის დახე და
იქი კლასანსაჲ არქოლს. და იქი ხელოქის ქიქი
ყაყაყანსაჲ, აჲქ (რამსკარ არქი ქი-
ქსაქოღაროიქსამქ) გინქს ღმბაჲ რაგა-
ლორქის მყოიღანსქი, იორანსაჲრ ვანქამ-
რქი რაღარა, ხერქარაგოიქის კლასქი
მყოიღანსქი (და ათხანს დარქი იორქი
ღირ სარაგანსქი რხქი). და ამხსსქის გინქს
ქი ქრისაჲრქი მასანსქს რაგალოღანსქი:
ხე კინ (ყარაქი) ათხანს ქი რაგალორქს,
იორქსაჲ რქი გერქსქი კინს და გორქის
ხერს კინქს ქი ყარაგოიქის კლასქი (ღირ-
ქს) და დარქს მყოიღანსქი: ხსკ რა-
გალორქს უორარაგალორქის მყოიღანსქი
რამ. გერქს კინქი მყოიქს ყარაგანსაჲ
ქი კინოიქის;

ხე სორა იქს... (აქიდან ავლია).

ქერალს თავისი მკითხველი წრისა თუ ცალკე პირივნებისათვის უნდა შეიხედეს "მეფარდებული", სცვლის, რადგან მისი ხელუხლებლად დატოვება არ შეეშვენიებოდა არბათ არც მის რილს და არც მის ვარემოს. ესაა, ცხადია, ემის მიზეზი, რომ ქართული ტექსტის აღგალი: « რომლისათვს ესე მივწერე თქუესდა », იქცა სომხურში. დასს იყოი ვრემ აყო. ვო. მამაქ (რომლისათვს ვწერ ქემმარიტად-ო).

ღედნისაგან დაცილებისა თუ წამატების სხვა შემთხვევა სომხურ თარგმანში უმეტესად ენობრივი რივისაა. შეინიშნება სავრძნობლად ქართული ენის ვავლენა სომხურზე. ასე მაგ., აღვლი: « ამსსსსსს აჩსსსს ხ ჩრჩსყოთხ მსასსსსს ჩსდა-ყო. მსსსსს ». ცოცხლად დლადებს ქართულის ვავლენას: « ყოვლით ვერძოვე თავს თვისი ქრისტესგან ვანავლო » (ქერძო ამ ვავებულია ქერძის, ე.ი. წილის თუ ნაწილის ასრით).

ზემოთ მოყვანილი ტექსტების ურთმანეთს დაცილებული აღვილებიდან ცალკეა აღსანიშნავი რი ურთიმეორის სრულიად სწინააღმდეგო აღვილი, რის მიზეზი ხსენებული რივის არგუმენტებით ვერ აიხსნება. ერთი მათგანი ვარსქენის სპარსელი ცოლის ვინაობის ეხება. ქართული ტექსტით ივია « ასული მეფისაჲ », ხოლო სომხურით - « სპარსთა მეფის სიდედრი » (ვხო კნიჟ მართლ). სხვათა შორის, ასეა ეს მოვლენა აღბეჭდილი « მუშანიკის მარტვილობის » სომხურ წიგნშიც. მეორე საგულისხმო შემთხვევა ვარსქენის სპარსთა სამეფო ვარს ვამგზავრების თარიღს ეხება. როგორც ცნობილია, « მუშანიკის მარტვილობის » ქართულ ხელნაწერ მუსხეებში სახელი სპარსთა მეფისა, რომლის მეფობის მერვე წელს პიტიაში მის ვარს ვამეკვავრა, არსადაა დასახელებული. ზოგიერთ მუსხაში მეფის სახელის აღვლას ნაკვალევს ვხვდებით « მრ »-ს სახით, რომელიც ზოგჯერ ხელნაწერებში ვაუჯებრიბით ქარავამის ქვეშ არის ხოლმე მოქცეული. აპარონ ვანანდელის შრომაში ვი ამ აღვილს დასახელებულია « იაზკერტი ძე ვრამისა » (კლქნირიოქი მამი ჰაყსჩრყი ირქოჲ მამამჲ), რაც ანაქრონიზმიია ისე, როგორც « ვახტანგ ვურგასლის ქხოვრების » ავტორთან მუშანიკის მარტვილობის დასახელება ურმის დის მეფობის დროს.² ვანანდელი შეყდომას იმ მხრით ჩადის, რომ მუშანიკის წამებას დებს არა მკილის - პეროზის - მეფობაში, არამედ მისი მამის - იაზკერტ ვრამის ძის - ზეობაში (438-457 წ.წ.). ეფობა, მეფის სახელი ვარკვევით არც ქართული ძეგლის იმ მუსხაში ყოფილა წარმოდგენილი, რომელიც სომეხ ავტორს ვამოყუყუებია.

თუქტით, რომ აპარონ ვანანდელი « მუშანიკის მარტვილობის » ქართულ წიგნს იყენებს და არა სომხურს, რომელიც მის დროს სომხურადაც არსებობდა იმ ვროვნულ-ეკლესიური იერით, რომლითაც მას ჩვენამდის მოუღწევია, დავლისაა სავითობა წყება აღიძრვის ჩვენს წინამე. უპირველეს ყოვლისა ვითხვა იმის შესახებ ისმის, ით რად მანდალამიისკ « მუშანიკის წამების » ქართულ წიგნს მიპმართა აპარონმა და არა სომხურს; ვანა სომხურ ეროვნულ-ეკლესიურ თვალსაზრისზე ვაწყობილი სომხური წიგნები უფრო არ ვამოადგებოდა მას, ვიდრე ქართული, რომელიც ასეთისაგან დაზღვეულია?

ამ ვითხვაზე ამომწურავი პასუხის ვაცემა ამჟამად ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ ვანანდელის ნაწარმოების მთლიანი მუსხა ვერ ხელთ არა ვვაქვს. არსებული ფრავმენტი ვი, მართალია, თითქმის მთლიანად ხვდება ცურტაველის ნაწარმიების სითადალო აღვილს,

მაგრამ ერთგან ისეთი ნიშანდობლივი ადგილიც მოეძიებება, რომლითაც იგი ცურტაველის ტექსტს სცილდება და «მუშანყის მარტვილობის» სომხურ წიგნს უახლოვდება. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ადგილია, სადაც საუბარია ვარსტენის სპარსული ცოლის ვინაობაზე. ხოლო ეს ვარსტენი გვაპარაულებინებს, რომ შესაძლოა «მუშანყის მარტვილობის» სომხურივე წიგნებიდან აღნიშნულს ვარდა მომდინარეობდნენ სხვა «შესწორებანიც», რომლებიც, ჟინ იცის, დაცულია ვანანდელის ვრცელ ნუსხებში.

აღნიშნული ვარაუდი რომ ნამდვილიც გამოდგეს, სომეხი ავტორის ქართულ ტექსტზე დამოკიდებულებას ის მაინც ვერ მინსხის და ქართულისადმი მიმართვა კიდევ იმით უნდა აიხსნას, რომ მას მის თვალში მოეძიებება მისი მიზნებისათვის ისეთი რამ, რაც არ გააჩნია სომხურ სათანადო ძეგლს. ეს კი, როგორც «მუშანყის მარტვილობის» ქართული და სომხური ტექსტების შედარებითი ვარსტენის ცნობილი, ისაა, რომ ქართული ნაწარმოები, რომელიც თვითმხილველი ძირის მიერ არის დაწერილი, მთმხდარ შემთხვევებს უფრო დაწვრილებითა და ზედმიწევნით ვადმოსცემს, ვიდრე სომხური. საისტორიო ხასიათის ნაწარმოებისათვის ის უფრო გამოსადეგი იქნებოდა, ვიდრე მის საადაგზე აღმოცენებულს სხვა წყარო, რომლიდანაც ცალკე მიქნებულს შეიძლება მართლა გამოეყენებინოს სომეხ ავტორს.

ამეგობარად, აქარონ ვანანდელის თხზულების ის ადგილი, რომელიც ზემოთ ჩვენი ნუსხით მოვყვანეთ, მომდინარეობს ქართული წყაროდან, რომლით სარგებლობას თვით ავტორი აცხადებს თავისი თხზულების სათაურსა და ბოლოსტყუაობაში. მის მიერ აქ მოხსენებული ქართული წყარო სხვა არა არის რა, თუ არ იაკობ ცურტაველის ნაწარმოები: «მარტვილობა მუშანყისი», რომელსაც სომეხი ავტორი გამოკრებით თარგმნის სომხურად, რაც მას თავისი შრომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აქვს წარმოდგენილი.

ამეგობარ უნდა, რომ აქარონ ვანანდელის «მცხეთის ჭვრის ისტორიას» უკიდრის მნიშვნელობა აქვს ქართული პწერლობისათვის იმით, რომ მის მიერ წყაროდ გამოყენებული იაკობ ცურტაველის ნაწარმოები, რომელსაც ვანანდელი ხანის (XI-XII ს.) თხზულებად აცხადებდა ბელგიელი ორიენტალისტი P. Peeters-ი, სწორი არ გამოდგა. ეს ძეგლი ერთი ახალი საბუთის ძალას ქმნის მათთვის, ვინც აქამომლის სხვა რიგის დოკუმენტებით გამთლიოდა P. Peeters-ის მონახრებათა წინააღმდეგ.

² შესაძლებელია, აქარონ ვანანდელის ამ ნაწარმოებით უხტინესი სარგებლობებს, დამოსი სიახლივე ცურტაველის ნაწარმოთან, რაც ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, აქარონის ნაწარმოებიდან მომდინარეობდნენ, თუმცა, როგორც ცნობილია, ზოვიერთ ქართულ ძეგლს უხტინესი ქართულის მცოდნე თანამეამულის საშუალებითაც იცნობდა (ნ. მარტვილობა მუშანყისი - გვ. 344-5).

ეგზეგეტიკური ნაწარმოები, რომელიც სომხურიდან არის ქართულად ნათარგმნი ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, არის 1. «თარგმანებაჲ ღაჳითის ფსალმუნებისაჲ» ეპიტაფე კუპრელისა. ნათარგმნია არა მთელი წიენი, არამედ მხოლოდ მცირე ნაწილი; 15 ფსალმუნის განმარტება.

იღ (III 1). ეპიტაფე კუპრელი: თარგმანებაჲ ღაჳითის ფსალმუნებისაჲ.

შატბერდის კრებულში შემავალ ნაწარმოებთაგან, რომლებიც უმთავრესად თარგმანებს წარმოადგენენ, მხოლოდ დასახლებული ძეგლია; რომ ატარებს ცაქვეულ ცნობას თვისი მომდინარეობის შესახებ. ეს ცნობა ამ ძეგლის თარგმანს არ აღვიღს მოვალეობა; ერთგვან ის მთარგმნელს ეკუთვნის, ხოლო მეორეგან - კრებულის ვადამწერს. მთარგმნელი, სახელად დაჩი, ხსენებულ ცნობას გვაწვდის ამ წერილში, რომელიც მას სტეფანე მტბევრისათვის ვაუგზავნია. შატბერდის ნუსხაში ეს წერილი «ფსალმუნების თარგმანებას» მიუძღვის წინ (ხელნაწ. გვ. 515-16; ნ. შენიშვნები j: კვ. 197-8).

სტეფანე მტბევრისადმი მიმართულ წერილში დაჩი აღნიშნავს, რომ «მრავლით ჟამოთგან გუღსმოდგინედ ვეძიებდი თარგმანებასა ფსალმუნთასა, წიგნსა მას, რომელი დაჳწერა წმიდამან მამამან ჩუენსმან ეპიტაფე კუპრელ ებისკოპოსმან, და არა ვაძვე ქართულად. ბერძენთა ენითა ვაძვე და ვერ შეუძლე ცნობად... მეგრე ვაძვე სომხურითა ენითა წერად, სრულიად მითვე ბერძენულითა განგებითა... მცირედი ესე ვემოჲს-ხილვად ვამოთარგმანე .და... ვანსაკითხავად მოვიძღუანე-ი». ამიდან აშკარად ჩანს, თუ რა-გვარი მომდინარეობისაა ქართული თარგმანი. მთარგმნელის აღიარებით ის სომხურიდან ყოფილა გადმათარგმნილი.

ესევე გარემოება, რომ კრებულში შესული ფსალმუნების განმარტება სომხურიდანაა სათარგმნი და ის დაჩის ეკუთვნის, მეორეგან, თარგმანების ერთ-ერთი გვერდის (573) ქვემო აშიაზეა, აღნიშნული კრებულის ვადამწერის ხელით: «დაჩის ეთარგმნა ესე სომეხთა ენისაგან, ღმერთმან სული მისი დიდებულ ყავს».

ცნობილია, რომ შატბერდის კრებულში აღმოჩნდა სომხურიდან თარგმნილი სხვა თხზულებანიც. ზოგი მათგანი მეცნიერულად არის გამოცემული სომხურ სათანადო ტექსტებთან ერთად. ისინი სომხურიდან მომდინარედი მიიჩნევიან არა რაიმე პირდაპირი მართებების საფუძველზე, არამედ მხოლოდ ფილოლოგიური ძიების საფუძველზე.

დაჩის ზემოთხსენებულ წერილში აღნიშნული ცნობის გარდა, რომლითაც იმას ვიტყვობთ, რომ თარგმანი მას სომხურით შეუსრულებია, სხვა საგულისხმო გარემოებებიც არის აღბეჭდილი. აღნიშნულია წერილში, რომ სტეფანე მტბევარი, რომელსაც დაჩი მიჰმართავს, მთარგმნელისა და მისთანათვის მწყემსად ყოფილა განჩინებულნი: «კურთხეულ არს ღმერთი, რომელიმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩუენდა და მკურნალად სულიყრად, აღმაშენებელად ჩუენდა». ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ სტეფანეს წოდებასთან მიმართებით, რომელიც ეპის-

კოპისად არის დასახელებული მიმართვის დასაწყისშივე («ღირსო მამაო, წმიდაო ებისკოპოს სტეფანე»), დაჩი დაბალისა ყოფილა; ის სტეფანეს სამწყსოს, ტბეთის საეპისკოპოსოს, წევრი ჩანს. დაჩის მიღვაწეობის ადგილ-სამყოფელი ტბეთის დაშორებით არსებულა: «მრავალგზის მისდა ხილუაჲ შენი... არამელ სიშორისაგან და რუღუნებისაგან უცალოვებისა ვერ ღირს ვიქმეს თამუანის ცემაღ შენდაო». რამეში გამოიხატებოდა დაჩის «რუღუნება უცალოვება» არა ჩანს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ერთ-ერთი ძმობის წინამძღვარი იყო. უცალოვებაზე ჩვეის ავი წერილის ბოლოსაც, როცა უთვლის, რომ მე მხოლოდ ერთი ნაწილი ვადმოვთარკმნე და «უკუეთუ ჯერ არს განსრულებაჲ, სიწმიდემან შენმან განასრულენ, მე უცალოვებისა ჩემისაგან ვერა რას შემძლებელ ვარ-ო».

დაჩის «რუღუნება-უცალოვება» მარტო აღმინისტრაციული საქმიანობის შედეგად არ უნდა წარმოვიდგინოთ. მას, როგორც ჩანს, დიდი მიდრეკილება ჰქონია მწიგნობრობისადმი. «მრავლით უამითგან გოლსმოდგინედ ვეპიგნული თარგმანებასა ფსალმუნთასა, წიგნსა მას, რომელი დაწერა წმიდამან მამამან ჩუენმან ეპიფანე კვარელ ებისკოპოსმან-ო», აცხადებს ის თავის წერილში. უძებნია, რაჲა შეეფყა, ხომ არ არსებობს სადმე ქართულად მისი თარგმანი. ძეგლის დროს მიუყვლევია ბერძნული ტექსტისათვის, მაგრამ ერის უცოდინარობის გამო ის მას ვერ გამოუყენებია. უნახავს ის სომხურადაც, ისეთივე აგებულებისა, როგორისაც ბერძნული, მაგრამ თარგმნი ერთბაშად მაინც ვერ ვუბედავს, თუმცა ეს ენა მისთვის უცხო არ ყოფილა. «შემეშინა თარგმანებადაო», მაგრამ რად? პასუხს იქვე ვეპიგნის: «რამეთუ დიდი ბრალობაჲ შეემთხუევინ თარგმანთა, რომელნი არა განეკრძალბენ, და სრულიად უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებელი წინააღმდეგობად გამოჩნდებისა», ანუ ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, დაჩის შიშს, ის მოსაზრება სდებია საფუძვლად, რომლის მიხედვით მთარგმნელები თურმე დიდ დანაშაულში ვარდებიან მაშინ, როცა არ ფრთხილობენ და წინათ ვისმესგან სრულად ნათარგმნის გვერდით მეორედ ასრულებენ თარგმანს, რაც წინააღმდეგი ჩადება პირველისა!»

დაჩის წერილის აღნიშნული ადგილის ვადმოცემა იმიტომ მივიჩნიეო საჭიროდ, რომ მას ზოგიერთი ძეგლევრები ჯეროვნად ვერ იგებენ, რაც კარგაჲ ჩანს მათი თარგმანებელან სხვა ენებზე. მაგრამ ეს ცოტაა, ზოგჯერ ამ ნიადავზე ზოგიერთ მათგანს სრულიად უცნაური დასკვნებიც გამოიჰყავს, რასაც შეუძლია შეცდომადი შეიყვანოს განსაკუთრებათ ის ძარსი, რომლებიც, იმის გამო რომ დამითუქიდებლად ვერ მიუწვდებათ ხელი პირველ-წყაროსე, იტულებულნი არიან ერწმუნონ ახეთს მთარგმნელ-კომენტატორებს.

თქმული უმთავრესად პროფ. დ. მელიქსეთ-მეგს შიგნება. იგი აღნიშნულ ადგილს თარგმნის უსწოროდ და სომეხ მკითხველს აწვდის ასეთი სათაურით: «*Հայկերն թարգմանութիւնսն են անվարանի յեն*», რაც ნიშნავს: «სომხური თარგმანები არ არიან სანდონი-ო» (ნ. მისი *Վրաց աղբյուրները Հայաստանի և հայերի մասին. քաղվածքներ վրացերեն քննարկից հայերեն թարգմանութեամբ, ներածություն-ձանոթություններով և հանդիսանումներով*. Երևան, 1934, გვ. 88). ასეთი დასკვნა გამოტანილი შემდეგი წინადადების საფუძველზე: «*შემეშინა თარგმანება, რამეთუ დიდი ბრალობაჲ შეემთხუევინ თარგმანთა, რომელნი*

რაცო დარწმუნებულა მიუზის შემდეგ, რომ «პირველად თარგმანებული» არსად ყოფილა, მაშინ, როგორც თვითონ წერს, «მცირელი ეს გემო-ხილვად გამოკთარ-გმანე და... განსაკითხავად მოგიძღუანე. (ხილ) შენ... განიკითხე და ჯერ თუ იყოს, შენ მიერ დაენერვენ შორის ეკლესიასა, და უკუეფთ არა ლაის რამე ყყოს, წიგნსა, ესე დაწვ და სიუცბმ ჩემი დადუარე-ო». ურთი სიტყვით, მთარგმნელი თავისი თარ-

არა განეკარგა და სხვადასხვა უკუეფთ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებუ-ლი წინააღმდეგად გამოჩნდების. პრაფ. ლ. მელიქსეი-ბეგი ამ წინადადების სიტყვებს - რამეთუ დიდი ბრალობაა შეეშთხევის თარგმანთა, რომელნი არა განუცხადანენ - ასე თარ-გმნის: ქორიქსიას ასაგოუჯ ქააქაასოქიოსსხერ მსხ. კყაამარაჲ ხუ ააააჲაასიამ, რაც ნიშნავს: „ვისინიდან გაუფრთხილქელი თარგმანები დიდ გმადას (ან: კიცხვას) წარმოქმნიან“. როგორც ვხედავთ, თარგმანი დღის სიტყვებს სისრულით არ ვაღმოსცემს; ის არც აზრს გვაქვდას. სისწორით, რადგან «ბრალობაა» გავებუღია კყაამარაჲ-ად (= გმობა, კიცხვა, საყვედური) და «თარგმანთა» კიდევ ესნის არა მთარგმნელი გმობი, არამედ დღევანდელი გვეებით - თარ-გმანებად, ნათარგმნ ნაწარმოებებად. ასეთნაირ თარგმანს წყაროც ეძებნება; ეს არის ექ. თაყაიშვილის მიერ რუსულად შესრულებული თარგმანი დაჩის სხენებუღი. წერილისა, რომელსაც «მხატვრის კრებულის» აღწერას აქვს დართული (ნ. Унивание рудо-иисей «Университетская библиотека имени Г. В. Плеханова среди рукописей» т. II, № 4. Тбилиси, 1906-1912, გვ. 642), სადაც ვკითხულობთ: „Копия с рукописи, сдана в библиотеку университета переписью подберзашовца Яковлева Мухом.“

ესხვათა შორის პრაფ. ლ. მელიქსეი ბეგი ქველი ქართულის ფარმებს აღიხსნის ურევს და ქველს ახლებურად აღიხსნის. ასე მაგ, ქველი ქართულის პრევერბიანი იწმყა მას ახა-ლი ქართულის მსგავსად მყობადი ჰგონაა და ამიტომაც «გამოჩნდების» ნათარგმნი. აქვს ცერსა-დ.

დაჩის ზემოთ: აღნიშნული სიტყვების თარგმანს პრაფ. ლ. მელიქსეი ბეგი შენიშნავს: ურთავს, რითაც ის მიითთებს ეფრემ მცირის იმ ცნობილ გამოთქმაზე, რომლითაც ეფრემს თავის იმ საღ შეხედულებას გამოხატავს, რომლის მიხედვით თარგმანი უმუადიოდ დღიდან ონდა სრულდებოდა და არა უცხო თარგმანიდან (ნ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I², 1941 წ., გვ. 151). მიითთებას იმ მიხსნით აყუთებს პრაფ. ლ. მ. ბ., რომ აზვენის, თითქოს დაჩისა და ეფრემის სიტყვებს შორის მსგავსება არსებობდეს, რაც სწორი არაა. ჰერეზიად არ აქვს მასვე სათარგმნი ეფრემ მცირის სხენებუღი ადგილას შემდეგი სიტყვები: «სომეხისა. შვილსა და ბერძენისა შვილის შვილსა, ნუ უკუე და არა უეჭუელსა, თუ უეჭუ და საკუთარი შვილი აღვიარე» - ჩაყრესი ქორიოსს და რიხსაყრესი ქორიოსს აყრეს. ქორე ყოყაყაჲს. ასკაასკაჲს. ჯერ, ასკაასკაჲს. და ასკაასკაჲს. ქორიოსს აყრეს. რთორც ეტყობს, პრაფ. ლ. მ. ბ.-ს არ ესმის სწორად ქველი ქართული გამოთქმა: ნუ უკუე და არა უეჭუელსა (ქ. ი. ენების უეჭუელსაყრ, ეს სიტყვები ნათქვამია იმ სომ-ხურ თარგმანზე, რომელიც შემდეგ შეიღაა ქართულად უთარგმნიით); რადგან მას შემდეგ ნაირად ვაღმოსცემს - ქორე ყოყაყაჲს ასკაასკაჲს ჯერ, რაც ნიშნავს: „რომელიც ჰერეთ უეჭუელი არ იყო“ - უეჭუელი არ იყო - ვი. არა, არამედ «შეხადლებელი უეჭუელ.

გმანის გავრცელებაზე ატბართვას თხოვს უმაღლესი ზელისუფლისაგან, თუ კი ის მიწინა-
მის ღირსად იღმინდებოდა. იხეთი გულმოდგინე ძიება, არხებობს თუ არა ძეგლის თარგ-
მანი ქართულად, და ის მიადნიც, რაც მას ამითვის ამოდრავებს. ცხადია, რამის
მწიგნობრობის ასპარეზზე შემთხვევით მიღვაწედ არ ახსიათებს. ის მწიგნობარი ჩანს,
მაგრამ რა არის? ახ, რომ „კალივებას“ უქმნის, ნათელი არაა.

ღაჩის წერაღის მოკრძალებული ცონი სტეფანეს წინაშე იმასაც მოქმობს, რომ
სტეფანე მტრ ვარს მის თვალში ღიდა ავტორიტეტის ხაზელი აქვს მოძიებული. ხო-
ლო ეს მარტო მისი მკვდეღ-მთავრობის მღვდმარეობით კი არ უნდა აიხსნებოდეს, არა-
მედ მისი სწავლულებითა და „მთცემული ხობრძითა“ სტეფანეს, ღაჩის მიწმობით, ზე-
სძლებია მისი ნამუშავეებს „განსრულება“: „უკუეთუ წერ არს განსრულება, სწმ-
ღმან შენმან განსრულენ-ო“, ხოხოვს იგი მას ასმის კითხვა: რით უნდა განსრულე-
ბინა სტეფანეს ღაჩის ყამოწყება? ცხადია, ღანარჩენი ნაწილის გაღმთარგმნით.
ან სომხურიდან, ანდა ბერძნულიდან. თუ ასეა, მაშინ ღაჩის ხსენებული გამოხატე-
მიდან იხვევა, რომ სტეფანე მტბევარს, რომელიც IX ს-ის ვახურსა და X ს-ის ღამლეგს
მოღვაწედდა (ის მტბეთის ეპისკოპოსი ეპისკოპოსი იყო 918 წ-დან¹), უცხო ვნა, თუ ენები,
სცოდნია და ღიდად განათლებული კაცი ყოფილა. ღაჩის აღიარება რომ ამ შემთხვევაში
სწორია, ამას ისიც მოქმობს, რომ სტეფანეს სახელით ზენამღის მოღწეულია ავთოგრაფი-
ული ნაწარმოები: „წამებაჲ წმიდისა მიწამისა ეობრონისისა, რომელიც აუღ. კ. კეპელი-
ძის ღახსიათებით „მომეტებულ ნაწილად გრბელ ავთისმეტყველებითს ცრამტადს წარ-
მოადგენს, რომელიც საღვთო წერილის ტექსტებითა და განყენებულ მსჯელობითაა
შეხავებული“.

სტეფანე მტბევრისადმი გავზავნილ წერილში ღაჩი აღნიშნავს, რომ ვახტანგ კუპა-
რელის ფსალმუნთა განმარტების წიგნიდან, რომელიც მთელი 150 ფსალმუნის განმარ-
ტებას შეიცავს, მხოლოდ „შვიდა გაღმთავრებნე და განსაყთხავალ გოგზავრო: ხოლო
მე ასერგასისითა მათგან სწკითხავთა შორის“ შუდა ხოლო გამომხუმიან, რომელ არს
„აღმთოქუ ნი“ თღენ: სრულად“. მაგრამ შატბერტის კრებულში, რომელსაც ეპოფანე
კუპარელის ფსალმუნთა განმარტების თარგმანი ღიუფავს, „შვილზე შეტი ფსალმუნის გან-
მარტებაჲ: წარმოადგენილა: I ფსალმ: (516-522 გვ.); II ფსალმ: (527-528 გვ.); III ფსალმ:

იყო-ო „აქ, ცხადია, არავითარი უნდობლობის ეჭვიც კი არა აქვთ სომხურ თარგ-
მანებისადმი. არც ღაჩისა და არც უფრემ მცობრეს. მარველა მტბამ უკიდრება ხო-
მხურიდან თარგმნას, რომ შეიძლება სათარგმნი ძეგლი უკვე თარგმნილი იყოს და ასე-
ლი თარგმანი, კი ის ამ იქნება, რაც წინააღღლო, ის მარველის „წამადრეგმა გამოწრეობის“
ხოლო მეორეს იმიტომ მიიხნა: მაშინ შეუწინაღად სომხურიდან თარგმნი (ისეთ შემთხვევებ-
ში, როცა თათობაც უცხო ენიდან არის მთარგმნი), რომ მას ურჩევნია უმუღლილ ღედნ-
დან შესრულებული თარგმანი ისეთ თარგმნის თარგმნის, რომელიც შეიძლება იყოს კიდრე-
ბე უეჭუელი“, ე. ა უნდაღა ღედანთან მიმართებითა.

¹ კ. კეპელიძე, ქართული ღიღერობრობის ასტრონია, II², 424, წ. 130.
² ი. მ. კეპელიძე, იგივე 434.

(525-527 გვ.); IV ფსალმ. (527-530 გვ.); V ფსალმ. (530-533 გვ.); VI ფსალმ. (533-535 გვ.); IX ფსალმ. (539-540 გვ.); XLIV ფსალმ. (540-545 გვ.); XLV ფსალმ. (545-548 გვ.); XLVI ფსალმ. (549-551 გვ.); XLVII ფსალმ. (551-553 გვ.)²; XLVIII ფსალმ. 553-557 გვ.); XLIX ფსალმ. (557-561 გვ.); L ფსალმ. (561-566 გვ.) და LXVII ფსალმ. (566-573; 575-576 გვ. გვ.). ის სხვაობა, რომელიც წერილში განცხადებულსა და სინამდვილეში არსებულს შორის შეინიშნება, მკვლევარებს საკონტრავერსი აგდებდა: ჩა მოთვლილია ვან შვიდი დაჩის ეკუთვნის, ვინა თარგმან დანარჩენი შვიდი? „არ ვიცით-ო“, ასეთია მაგ. აკად. კ. ქეკელიძის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე (ნ. ქართული ლიტერატ. ისტორია II², გვ. 424). თუ მართლაც ვერწმუნებით დაჩის წერილს, მას მხოლოდ შვიდი ფსალმუნის განმარტება უნდა ეთარგმნა, დანარჩენი რვა (და არა შვიდი), მაშასადამე, სხვისა არის. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ღღემლის გაურკვეველია იმ შვიდი ფსალმუნის განმარტება, რომელიც დაჩის უთარგმნია. შეიძლება თუ არა აღნიშნულის ვარკვევა? მეოთხე, შესაძლებელია. თუთ წერილშივე კვაძეს ამ ამოცანის ამოსახსნელი საყრდენი. დაჩი სწერს სტეფანეს: „ხოლო მე ას ერგასისთა მათგან საკითხავთა შორის შვდსი ხოლო გამომიხუმან, რომელ არს იად მოთქუნი“ ოღონდ სრულად-ო“. აქიდან ამჟამად, რომ ის შვიდი ფსალმუნი, რომელიც დაჩის უთარგმნია, მარტო „აღმოთქუნი“ ყოფილა. ამრიგად, „აღმოთქუნი“ ფსალმუნთა ერთი ჯგუფის საერთო სახელწოდება გამომდის, რომელიც შვიდი ფსალმუნისაგან ჩანს შემდგარი. ენა, თუ მივმართავთ თარგმანს, ერთ-ერთი ფსალმუნის სათაურის წინ, სათაურისავე შრიფტით, ნუსხაში, ვიპოვით წარწერას: „თარგმანებაჲ აღმოთქუნისაჲ-ო“. ეს ფსალმუნია მე-44-ე. „აღმოთქუნი“ სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს თვით ამ ფსალმუნის პირველი მუხლის დასაწყისის სიტყვიდან: „აღმოთქუნ გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი...“ მაშასადამე, „აღმოთქუნი“ ამ ფსალმუნის სახელწოდებაა. მაგრამ ამ სახელით, როგორც დაჩის სიტყვებიდან ჩანს („შვდნი ხოლო გამომიხუმან, რომელ არს „აღმოთქუნი“ ოღონდ სრულად-ო“), მარტო ერთი ფსალმუნი კი არ იგულისხმება, არამედ მთელი ჯგუფი, მუსლი ფსალმუნისაგან შემდგარი. ამ ჯგუფის პირველი წევრი მე-44-ე ფსალმუნია, ხოლო დანარჩენი ექვსი, საფუძვრებელია, თანრიგით მომდევარი ექვსი ფსალმუნია: 45, 46, 47, 48, 49 და 50.⁴ უკა-

¹ ეს ფსალმუნი გამორჩენილია ექ. თაყაიშვილთან: *Opusc.* II, 1-4 სთ., გვ. 643.

² ეს ფსალმუნი აკლია კ. ქეკელიძის ნუსხას: ქართ. ლიტ. ისტორია II², გვ. 128.

³ უკანასკნელი ფსალმუნი (LXVII) განმარტების სათაურში დასახელებულია მე-75-ედ, მაგრამ თუ თვით შინაარსს მივხედავთ და იქ მოყვანილი მუხლების ტექსტს გავსინჯავთ, ვნახავთ, რომ ეს ფსალმუნი 75 კი არ არის, არამედ 55. ჩანს, ამ გრაფიკულ ნიშანზე აღმოცენებულ შეცდომასთან კვაძეს საქმე. აღნიშნულ კითხვას მკვლევართაგან არაფერ დაჰკვირვებია და ამიტომ მე-9 ფსალმუნის შემდეგ, თანრიგის დაცვის მიზნით (ე.ი. მე-17-დ), უკანასკნელ რიგში მოქცეული ეს ფსალმუნი აქვთ გადმოტანილი (ნ. ექ. თაყაიშვილი, *Opusc.* II, სთ. 1-4, გვ. 643 და კ. ქეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია II², გვ. 128).

⁴ შეიძლება ითქვას კაცმა, რომ „აღმოთქუნის“ ჯგუფში მე-44 ფსალმუნის მომდევარი კი არა, არამედ წინამდებელი ფსალმუნები შედიოდნენ (1-6, 9), მაგრამ ასეთ ვარაუდს ის გადავიღებთ წინ. რომ ესაა ამ ფსალმუნისაგან (44) ამ ფსალმუნის განმარტების თარგმანი გვეჩვენებს და არა შვიდისა.

ნასუნელის შემდგომ კიდევ ერთი ფსალმუნის განმარტების თარგმანი მოიპოვება, მაგრამ ის რომ წინა ჭკუფში არ უნდა შედიოდეს, ამას ამ ფსალმუნის სათაურისათვის დართული ისეთი სიტყვები უნდა მოწმობდეს, როგორცაა «წმიდისა ეპიფანეს თქმული კვაძრელისაჲ», რაც სხვებს არ გააჩნია და რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს თაღი სხვებისაგან განცალკევებული არის.

კიდევაც რომ სწორი არ იყოს ის ვარაუდი, რომლითაც «აღმთქუნი» ზემორე აღნიშნულ ფსალმუნთა შვიდეულს უნდა აღნიშნავდეს, ის მაინც უღავთა, რომ საკუთრივ «აღმთქუნი» მე-44 ფსალმუნია, ხოლო მისი მთარგმნელი სამღვრილად დაჩია. ესლა კი, როცა გარკვეულია, რას ამ ფსალმუნის განმარტების თარგმანი დაჩის ეკუთვნის; მისი თვისების გამორკვევა, რაც დედანთან დაპირისპირებით უნდა მოსდეს, საშუალებას მოგვცემს სხვა ფსალმუნების განმარტებათა თარგმანის დედანთანვე შეპირისპირებით მივაკვილოთ იმას, ეკუთვნიან თუ არა ისინიც მე-44 ფსალმუნის განმარტების მთარგმნელს, დაჩის. დაჩის თარგმანად სხვებს იმ შემთხვევაში მივიჩნევთ, თუ აღმოჩნდება, რომ ისინიც დედანთან მიმართებით იმავე თვისებებით ხასიათდებიან, რითაც უეჭველი თარგმანია.

ამ საქმის აღნიშნული გზით წარმართვას ერთი დაბრკოლება ელოდება წინ. ეს არის, რომ სომხურ ხელნაწერებში ჩვენ ვერსად მივაკვილოთ ეპიფანე კვაძრელის სახელით ცნობილ ფსალმუნთა განმარტებებს შორის მე-44 ფსალმუნის მომდევნო ფსალმუნთა განმარტებები. ამიტომ მოკლებულიცა ვართ საშუალებას, შევამაგროთ ამ მხრივ ჩვენი ვარაუდი, რომ მომდევნო ფსალმუნების (45-50) განმარტებთა თარგმანიც ერთსა და იმავე პირს უნდა ეკუთვნოდესთქო.

სტეფანე მტბევატთან მიწერილი წერილიდან, როგორც ვნახეთ, ჩანდა, რომ დაჩის მხოლოდ შვიდი ფსალმუნის კომენტარის თარგმანი უნდა ეკუთვნოდეს. ამ შვიდზე ითხოვს ის მწყემსო-მთავრის ნებართვას: «ჭერ თუ იყოს, შენ მიერ დაენერგნენ შორის ეკლესიასა-ც». კიდევ მეტი, დაჩი იმასაც სთხოვს სტეფანეს, რომ «უკუეთუ ჭერ არს განსრულებაჲ [იგულისხმება მთელი ნაწარმოების თარგმანი], სინძიდემან მგნმან განასრულენ, მე უცალოვებისა ჩემისაგან ვერარას შემძღებელ ვარ-ც». როგორც ირკვევა, სტეფანეს დასტური დაუცია დაჩის თხოვნისათვის, შეუწყნარებია მის მიერ თარგმნილი ფსალმუნების განმარტებები ეკლესიაში დასასერგავად.

1 ეპიფანე კვაძრელის ფსალმუნთა განმარტებების სომხური თარგმანის არსებობა ვიცოდით კარაქელ ეპისკოპოსის ნაშრომით (სხიქ რადასიოუ... ღჳმქაქის, 1914, გვ. XLI-XL), რომელიც ეპიფანეს ფსალმუნთა განმარტებების ერთ ისეთ ხელნაწერს ასახელებს (ეჩმიოძინის სიძველეთ-საცავის ხელნაწ. ფინდი, № 1204), სადაც ზოგჯერ კრცლად და ზოგჯერ მოკლედ მითავესებულია განმარტებები შემდეგი ფსალმუნებისა: I, V, VI, VIII, XVII, XXII, XXIII, XXVIII და XLIV. აქითგან გამოვიღეთ ქართული ტექსტის შესატყვისი მასალა. ამას გარდა «მრავალთავებშიც» ვხვდებოდით საკითხავების სახით ზოგჯერ ეპიფანეს სახელით წაწერილ ფსალმუნთა განმარტებებს. მცირეოდენი მასალა იქაც მოვიპოვეთ, რაც ვამოკიყნეთ კიდევაც ჩვენი მიზნებისათვის ტექსტების გამოქვეყნების დროს.

